



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-ფ/
1977/2

ფილოსოფიის,
ფსიქოლოგიის,
ეკონომიკისა და
სამართლის სერია

4-1977

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის,
ეკონომიკისა და სამართლის
სერია

СЕРИЯ

ФИЛОСОФИИ, ПСИХОЛОГИИ,
ЭКОНОМИКИ И ПРАВА



თბილისი
ТБИЛИСИ

4-1977

კ. შარვაშიძის სახ. ს. ქ. სსრ
საბჭოთა მეცნიერებათა აკადემიის
საბჭოთაო საგანმანათლებლო საქართველო

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეჯი: ნ. ჭაჭავაძე (რედაქტორი),
ა. ბოჭორიშვილი, ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოადგილე), პ. გუგუშვილი,
გ. თევზაძე, ი. მიქელაძე, ა. ფრანგიშვილი, თ. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Чавчавадзе Н. З. (редактор),
Бочоришвили А. Т., Григолава В. В. (зам. редактора), Гугушвили П. В.,
Тевзадзе Г. Б., Микеладзе И. С., Прангишвили А. С., Церетели Т. В.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ბოჭორაძე
Ответственный секретарь Г. Г. Бочорадзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-95-46

ბელმოწერილია დასაბეჭდად 10/V-78; შეკვ. № 4625; ანაწილის ზომა 7×11¹/₂;
ქალაქის ზომა 70×108¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 16.80; საალრიცხო-საგამომცემლო
თაბახი 16.14; უე 07500; ტირაჟი 800;
ფასი 1 მან.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

•

შინაბრსი

ნომერი მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს	
0. შიშარდნაძე, ადამიანი უწინარეს ყოვლისა	5
რ. ბაღანაძე, კომუნისტური იდეოლოგია როგორც ცოდნის, რწმენისა და პრაქტიკული მოქმედების ერთიანობა	11
რ. ხარბაძე, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების დაძლევის ზოგიერთი საკითხი	19
0. აჭინაძე, ადამიანის შემსწავლელი ფილოსოფიური შეცნობების პრობლემა	29
ნ. პირველი, სიყვარულის როგორც ქეშარიტების საზომის პრობლემა სტოიციზმში	38
ბ. ნუცუბიძე, კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის თავისებურებანი თანამედროვე ეტაპზე	59
ნ. ბარამიძე, ზოგიერთი მოსაზრება სწავლის ადგილის შესახებ ადამიანურ ქცევითა სისტემაში	73
0. ნინიძე, ადამიანის ინდივიდუალობა — საბჭოთა სამოქალაქო სამართლის დაცვის საგანი	88
ბ. სინკაძე, საღაჯევეო მარაგის ნორმირების მეთოდის სრულყოფისათვის	96
ნ. შავეჩაძე, კულტურის განვითარების გარეგანი და შინაგანი ფაქტორები	108
ბ. იოსელიანი, პუბლიცისტიკის როლი პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში	128
0. ზირსაშვილი, ვოკალური ხელოვნების ფსიქოლოგიის პრობლემისათვის	140
ბ. გუგუშვილი, სოციალურ-ეკონომიკური გეგმიანობა როგორც საზოგადოების განვითარების ფაქტორი	144
ბ. ბაზაშვილი, შიდა ბაზრის ზოგიერთი თეორიის საკითხები სოციალიზმის პერიოდში	161
0. პაიჭაძე, ა. პალეონოვა, მოხმარების არსის საკითხისათვის	168

პრინტიკა და გიზლიტორაფია

ნ. კვარაცხელიანი, ს. გომიზური, საინტერესო ნაშრომი ფილოსოფიის რაობის შესახებ	175
რ. გომიზური, სოფლის მეურნეობაში განაწილებითი ურთიერთობის სრულყოფისათვის	180
0. პრიგოტინი, შინაარსიანი და ორიგინალური გამოკვლევები	183

ძრონიკა და ინფორმაცია

ბ. ლომთათიძე, ვ. ბრიგოლაძე, ჩვენს სამეცნიერო დაწესებულებებში	187
--	-----

СОДЕРЖАНИЕ

Номер посвящается 60-летию Великой Октябрьской Социалистической революции	
Э. А. ШЕВАРДНАДЗЕ, Человек прежде всего	5
Р. Г. БАЛАНЧИВАДЗЕ, Коммунистическая идейность как единство знания, веры и практической деятельности	11
Р. ХАРБЕДИА, Некоторые вопросы преодоления существенного различия между умственным и физическим трудом	19
И. КУЧИНСКИЙ, Проблема изучающей человека философской науки	29
Н. И. КИРВАЛИДЗЕ, Проблема очевидности как критерия истины в стоицизме	38
А. НУЦУБИДЗЕ, Особенности основных противоречий капитализма на современном этапе	59
Н. Х. БАРАМИДЗЕ, Некоторые соображения о месте учения в системе поведения человека	73
Т. НИНИДЗЕ, Индивидуальность человека, предмет защиты гражданского права	88
А. О. СИСВАДЗЕ, К совершенствованию метода нормирования страхового запаса	96
Н. З. ЧАВЧАВАДЗЕ, Внешние и внутренние факторы развития культуры	108
А. Ш. ИОСЕЛИАНИ, Роль публицистики в процессе формирования личности	128
И. Е. ГЕРСАМИЯ, К проблеме психологии вокального искусства	140
П. В. ГУГУШВИЛИ, Социально-экономическое планирование как фактор общественного развития	144
Г. В. ГАЗАШВИЛИ, Некоторые вопросы теории внутреннего рынка при социализме	161
Т. Н. ПАИЧАДЗЕ, А. М. ПАЛЕНОВА, К вопросу о сущности потребления	168

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Н. КВАРАЦХЕЛИЯ, Х. ГОГОЧУРИ, Интересный труд о сути философии	175
Р. ГОГОХИЯ, К усовершенствованию распределительных отношений в сельском хозяйстве	180
И. ПШИГОТИЖЕВ, Оригинальное и содержательное исследование	183

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Ч. ЛОМТАТИДЗЕ, Ф. В. ГРИГОЛАВА, В наших научных учреждениях	187
---	-----

ნომერი მიმდევნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს

ადამიანი უწინარეს ყოვლისა

ადამიანი! რა ამაყად ეღერს!

ა. მ. გორკის უდიდესი ჰუმანიზმით აღსავსე ეს სიტყვები სკოლის მერხიდანვე იცის ყველამ, მაგრამ არასოდეს ისე ამაყად და შთაგონებულად არ აღეღრებულა, როგორც ახლა, ჩვენს დროში. არასოდეს და არსად არ ყოფილა ადამიანი ისე წარმოჩენილი, ისე პატივცემული, როგორც ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში, მომწიფებული, განვითარებული სოციალიზმის ქვეყანაში.

სწორედ იგი, საბჭოთა ადამიანია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იმ მონაპოვართა შორის, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რომ მოვიზიარეთ დიდი ოქტომბრის შემდეგ განვლილი ექვსი ათეული წლის მანძილზე; ადამიანი, რომელმაც, როგორც სკკპ XXV ყრილობაზე ითქვა, მოიპოვა თავისუფლება და შეძლო მისი დაცვა უძნელეს ბრძოლებში: ადამიანი, რომელიც მომავალს ამენებდა, ძალ-ღონეს არ ზოგავდა და არავითარ მსხვერპლს არ ერიდებოდა; ადამიანი, რომელმაც ყველა განსაცდელს გაუძლო და თვითონაც უმაგალითოდ შეეცვალა; ადამიანი, რომელმაც შერწყმულია იდეური მრწამსი და უზარმაზარი სასიცოცხლო ენერჯია, კულტურა, ცოდნა და მათი გამოყენების უნარი, მგზნებარე პატრიოტიზმი და თანამიმდევრული ინტერნაციონალიზმი.

ისტორიას ახსოვს ბევრი დიდი ჰუმანისტი რევოლუციონერი, მოაზროვნე, რომლებიც ჩაგვრისა და მონობისაგან ადამიანის განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ და სამართლიან საზოგადოებრივ წყობილებაზე ოცნებობდნენ და მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, კაცობრიობას „აუცილებლობის საშუალოდან თავისუფლების საშუაროსაკენ“ რომ გაუკვალა გზა, რევოლუციის ბელადმა დიდმა ლენინმა და მის მიერ შექმნილმა კომუნისტურმა პარტიამ გადააქციეს ჰუმანისტური იდეალები რეალურ სინამდვილედ და ჰუმანისტური აზრით აღავსეს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო.

„სოციალიზმი ყველაზე ჰუმანური, ყველაზე დემოკრატიული საზოგადოებრივი წყობილებაა იმ წყობილებათა შორის, რომლებსაც იცნობს ისტორია, — ამბობს ლ. ი. ბრეჟნევი. — მთელ მატერიალურ და სულიერ ღირებულებებს იგი ფართოდ აყენებს ადამიანის სამსახურში, მისი განვითარების, მისი კეთილდღეობის სამსახურში“. ამ სიტყვების ღრმა აზრს შეიცავს თითოეული კარი, თითოეული თავი, თითოეული მუხლი სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტისა, რომელშიც ხორცშესხმულია კაცობრიობის ყველაზე ამბილესებული იდეალები და რომელიც მთელმა ხალხმა მოიწონა. პროექტში განვითარებული და სრულქმნილია საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა დებულებანი, დამკვიდრებულია კანონის წინაშე ადამიანთა თანასწორობის ზოგადი პრინციპი, მათ შორის ყოველგვარ განსხვავებათა მიუხედავად. და ეს თანასწორუფლებიანობა, პოლიტიკური თავისუფლებები უზრუნველყოფილი და გარანტირებულია ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

ჰუმანიტური მიმართულება ახასიათებს კომუნისტური პარტიის მთელ მოღვაწეობას, მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. გავიხსენოთ: პარტიის XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების საფუძველი იყო და ყრილობის მთელი მუშაობის ცენტრში იდგა კომუნიზმის მშენებელი ადამიანი, მისი ცხოვრება, მისი ფიქრები და მისწრაფებანი, მისი საჭიროებანი და მოთხოვნები. ჩვენი ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტიბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ყოველდღიური მჩქეფარე, მრავალმხრივი მოღვაწეობა მთელ მსოფლიოს უჩვენებს იმ ნამდვილი ჰუმანიზმის მაღალ ნიშნულს, რომელსაც საფუძველად უდევს ადამიანის ღირსებისა და უფლებების პატივისცემა, ადამიანის კეთილდღეობისათვის, მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის ზრუნვა.

სწორედ ამით, ადამიანისათვის ზრუნვით არის გამსჭვალული სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამი დადგენილება: საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ, რომლებიც უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე მიღებულ და უდიდესი ზემოქმედება მოახდინა რესპუბლიკის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეზე. უწინარეს ყოვლისა საქმე ეხება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე. დადგენილებაში ღრმად პრინციპული პოზიციებიდან იყო გამოვლენილი რესპუბლიკის ეკონომიკასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში არსებული დიდი ნაკლოვანებანი და განისაზღვრა იმ სერიოზული ჩამორჩენის დაძლევის პრაქტიკული გზები, რომელიც სხანგრძლივი დროის მანძილზე შეიქმნა. მაგრამ რას ნიშნავს სამეურნეო და კულტურულ განვითარებაში ჩამორჩენის დაძლევა? ეს უწინარეს ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ უკეთესი პირობები შევუქმნათ ადამიანს, მის ეფექტიან და შთაფრებულ შრომას, ჰარმონიულ განვითარებას, მისი ცხოვრების მატერიალური დონის ამაღლებას, მისი კულტურული, სულიერი მოთხოვნების უფრო სრულ დაკმაყოფილებას.

ამავე სულისკვეთებით არის გამსჭვალული ორი სხვა დოკუმენტიც: სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ, რომელმაც რესპუბლიკის ეკონომიკის მკვეთრი აღმავლობის ამოცანის განხორციელებას მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეუქმნა. და, ბოლოს, 1976 წლის ივნისში მიღებული გადაწყვეტილება, რომელშიც სკკპ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს და იწონებს იმ პოზიტიურ პროცესებს, საქართველოს კომპარტიისა და მთელ რესპუბლიკაში რომ მიმდინარეობს თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად.

ბოლო წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ადგილობრივმა პარტიულმა კომიტეტებმა პრინციპული მნიშვნელობის ღონისძიებათა კომპლექსი განახორციელეს ამ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. მათი მიზანია: ავამაღლოთ რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალი, დავძლიოთ მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სამეურნეო მაჩვენებლების მიხედვით საერთო-საკავშირო დონისაგან მისი ხანგრძლივი ჩამორჩენა. ამის მისაღწევად უნდა გავაუმჯობესოთ მუშაობა კადრებთან, ავამაღლოთ მასების

აქტიურობა და ინიციატივა, განვამტკიცოთ პარტიული და სახელმწიფო, საწარმოო და შრომის დისციპლინა, სრულყოთ კომუნისტური აღზრდის ყველა მხარე, დავამკვიდროთ მაღალი იდეური და ზნეობრივი მოვლენების, გავაძლიეროთ ბრძოლა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების, კერძომესაკუთრული ტენდენციების, სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და მეჭრთამეობის წინააღმდეგ. მიღებულია და განუხრელად სრულდება ჩვენი გადაწყვეტილებანი პროტექციონიზმისა და მავნე ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლის, წამატებებისა და თვალის ახვევის ფაქტების ლიკვიდაციის ღონისძიებების, სახელმწიფო დისციპლინის დაცვისათვის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ. ყველა მომხდარ ცვლილებაში დიდი როლი შეასრულეს რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა, პარტიული აქტივის კრებებმა, რომლებიც, საერთო აღიარებით, გამოიჩინეს საქმიანი ვითარებით, გულახდილი მსჯელობითა და პრინციპული შეფასებით.

ღონისძიებათა მთელი კომპლექსის თანამიმდევრული განხორციელების შედეგად მკვეთრ გარდატეხას მივაღწიეთ რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებაში. თუ იმ დროისათვის, როცა მიღებული იყო დადგენილება თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ, საქართველოს ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი ეკავა ქვეყანაში ბევრი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მაჩვენებლით და მეცხრე ხუთწლედის პირველი ორი წლის შედეგების მიხედვით მთლიანად მის დავალელებს ფაქტიურად ჩაშლის საფრთხე შეექმნა, მომდევნო სამი წლის მანძილზე მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა და ხუთწლიანი გეგმა წარმატებით შესრულდა. თითქმის ოთხჯერ დაჩქარდა სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი და შრომის ნაყოფიერების მატების საშუალოწლიური ტემპი. სამრეწველო წარმოების მოცულობა ხუთწლედის დამლევითათვის გაიზარდა არა 39 პროცენტით, როგორც დირექტივებით იყო გათვალისწინებული, არამედ 40,1 პროცენტით. ხუთწლიანი დავალების გადაჭარბებით 220 მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტია მიეყიდა სახელმწიფოს, დაჩქარებული ტემპით შენდებოდა მსუბუქი და კვების მრეწველობის ობიექტები, სკოლები და საცხოვრებელი სახლები.

ეკონომიკის პროგრესისადმი ჩვენი მიდგომის პრინციპული თავისებურება ის არის, რომ რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის ასამაღლებლად, საქვემოთ ეკონომიკურ ყულაბაში მისი წვლილის გასაზრდებლად პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიური გულმოდგინე მუშაობა ორგანულად ერწყმის განუწყვეტელ ზრუნვას ადამიანისათვის, მისი მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ღონისძიებისათვის. 1976 წელს, მაგალითად, 1970 წელთან შედარებით სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა რესპუბლიკაში გაიზარდა თითქმის 1,5-ჯერ, დაზარება და შეღავათები, რომლებიც მოსახლეობამ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მიიღო, 1,4-ჯერ, ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავალი კი თითქმის 1,3-ჯერ გადიდა.

ჰუმანიზმი სისხლხორცეულად ახასიათებს სოციალიზმს. მისი მთავარი ღირებულება მშრომელი ადამიანია. ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის, ყველაფერი ადამიანისათვის — ეს არის ჩვენი სოციალისტური ცხოვრების წესის უღრმესი აზრი, სოციალიზმი განადიდებს ადამიანს. მაგრამ არაფერი ისე არ ამაღლებს პიროვნებას, აღინიშნა პარტიის XXV ყრილობაზე, როგორც აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, საზოგადოებრივი მოვალეო-



ბისადმი შეგნებული დამოკიდებულება. შეიმუშაონ ასეთი პოზიცია, გააძლიერონ ადამიანის ზნეობრივი აღზრდა — აი რა მიაჩნიათ ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს თავიანთ ერთ-ერთ მთავარ ამოცანად.

ჩვენ ვცდილობთ ყველაფერი ვილონოთ იმისათვის, რომ ადამიანის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან ერთად განუწყვეტლივ მალდებოდეს მისი იდეურ-ზნეობრივი და კულტურული დონე. თორემ, როგორც პარტია გვაფრთხილებს, შეიძლება მეშინაური, წვრილბურჟუაზიული თსიქოლოგია ავალორძინოთ.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1976 წლის ივნისის დადგენილებაში აღნიშნა, რომ საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ მიზანდასახული მუშაობა გასწია მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის, რესპუბლიკის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მაღალი იდეური და ზნეობრივი პრინციპების დასამკვიდრებლად. ამ მაღალმა შეფასებამ აღგვაფრთოვანა ყველანი, კომუნისტები და უპარტიოები, დაგვარწმუნა, რომ სწორად გვესმის პარტიის მითითებანი, რომ მისი ლენინური კურსის შესაბამისად ვმოქმედებთ. მკაცრად, თვითკრიტიკულად ვიანალიზებთ ყველაფერს, რაც განვილილი წლის მანძილზე გავეთებულა. ამასთან რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა მშრომელს კარგად აქვთ შეგნებული, რომ მიღწეული მხოლოდ დასაბამია იმ დიდი მუშაობისა, რომელიც კვლავაც უნდა განვაგრძოთ ადამიანის იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდისათვის.

ამიტომ ჩვენ ფრიად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ორ დოკუმენტს, რომლებსაც ახლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ვამზადებთ. და მათ მოზადებასთან დაკავშირებულ დიდ კვლევითს, ორგანიზატორულ და იდეურ-აღმზრდელითს მუშაობას. ეს არის დადგენილებანი კერძომესაკუთრული ტენდენციებისა და მშრომელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი ბიუროკრატიული დამოკიდებულების გამოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. მათი საჭიროება უდავოა. ფაქტები მოწმობს, რომ ბევრი საკითხი ჩვენში ადგილებზე ბოლომდე ვერ წყდება, მაგალითად, ასობით 92 შემთხვევაში მშრომელები საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიმართავენ ისეთი საქმეების გამო, რომლებიც ადგილობრივ ორგანოებში უნდა მოგვარდეს.

მუშაყებს, რომლებიც თავს არიდებენ საკითხების გადაწყვეტას და პირად პასუხისმგებლობას, არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, წესრიგისათვის მოვუწოდებთ. ჩვენ საგანგებოდ განვიხილაეთ და უყუყმანოდ ვგმობთ ჭერ კიდევ არსებულ ფაქტებს, როცა თანამდებობის პირები უგულვებელყოფენ ადამიანის კანონიერ უფლებებს, ივიწყებენ მის ინტერესებს, არ ზრუნავენ მშრომელთა საარსებო საჭიროებებისათვის, სწორად არ რეაგირებენ კრიტიკაზე.

ამასთანავე, როცა ვრზუნავთ პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის, როცა ვიცავთ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, უნდა ვიღვწოდეთ, რომ ყველა მოქალაქე ასრულებდეს თავის მოვალეობას საზოგადოების წინაშე. ვ. ი. ლენინის სიტყვით რომ ვთქვათ, ზნეობრივია, მამასადაამე, ჰუმანიტარი, მამასადაამე, დემოკრატიულია, ყოველივე ის, რაც ხალხის ინტერესებს, კომუნისტების მშენებლობის ინტერესებს, საბჭოთა ადამიანის კომუნისტური აღზრდის ინტერესებს ემსახურება. სკკპ XXV ყრილობაზე საგანგებოდ აღინიშნა, რომ სწორედ თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლური მიდგომა საკუთარი მოვალეობისადმი, ხალხის ინტერესებისადმი

უქმნის ერთადერთ საიმედო ბაზას იმას, რომ რაც შეიძლება სრულად შევა-
სნათ ხორცი სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპებს, უზრუნველყოთ
პიროვნების ჭეშმარიტი თავისუფლება, მისი ჰარმონიული განვითარება,
რაც შესაძლებელია მხოლოდ ჩვენს დიდად ორგანიზებულ, დიდად დისცი-
პლინიან და მონოლითურად შეკავშირებულ საზოგადოებაში.

როცა მოქალაქეთა უფლებების, სოციალისტური დემოკრატიის პრინცი-
პების დაცვისათვის ზრუნავს, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია დიდ
მნიშვნელობას ანიჭებს დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებას.
ჩვენთან ყოველდღიურ ცხოვრებაში მოიკიდა ფეხი ცნებამ — „დისციპლინის
სტატისტიკა“. აი რას გვეუბნება ეს სტატისტიკა. 1972—1976 წლებში არა-
საბატიო მიზეზით გამოწვეული სამუშაო დროის დანაკარგები მრეწველო-
ბაში შემცირდა 29 პროცენტით, სამშენებლო ორგანიზაციებში — 37, საავტო-
მობილო ტრანსპორტზე — 20 პროცენტით, ხოლო იმ საწარმოთა რიცხვმა,
რომლებიც ჩამორჩებოდნენ პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულების
მხრივ 1972 წლის 260-დან 1977 წლის პირველ ნახევარში შეიღამდე იკლო.
განმტკიცდა შრომის დისციპლინა სოფლის მეურნეობაშიც.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი,
კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ მოქალაქეების უფლება-მოვალეობათა
ერთიანობა ახალი კონსტიტუციის პროექტის დამახასიათებელი ნიშანია.
მათ დიდ აღშფოთებას იწვევს, როცა იმპერიალისტური ბანაკის იდეოლოგე-
ბი და პოლიტიკოსები ფარისეულურად ღაღადებენ ჰუმანიზმზე, როცა ცილს
სწამებენ საბჭოთა კავშირსა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებს,
ჩვენი ცხოვრების წესს. საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, თუ რა დიდად
განსხვავდება ერთმანეთისაგან ის, რასაც კაპიტალისტური ქვეყნების კონ-
სტიტუციები აცხადებენ, და ის, რაც სინამდვილეში ხდება. ამა როგორ ამო-
ელებათ ხმა რაიმე ჰუმანიზმზე, რაიმე უფლებებზე, თუ იქ ადამიანი არსები-
თად მოკლებულია თვით ისეთ უპირველეს უფლებას, როგორც არის შრომის
უფლება და, მასასადამე, ადამიანის შესაფერისი ცხოვრების უფლება, ამის
დადასტურებაა მილიონობით უმუშევარი.

იმ „თავისუფლებათა“ შორის, რომლებსაც ბურჟუაზიული კონსტიტუ-
ციები აცხადებენ, წინა პლანზე დგას წარმოების საშუალებათა კერძო საკუთ-
რების თავისუფლება. წარმოების საშუალებათა საკუთრების უფლება ლოგი-
კურად ამკვიდრებს მეორე უფლებას — ადამიანის ექსპლოატაციის უფლებას,
სხვისი შრომით გამდიდრების უფლებას, უუფლებობისა და გაჭირვებისათვის
მშრომელთა განწირვის უფლებას. ამიტომ არის ღრმა კლასობრივი უფსკრუ-
ლი ექსპლოატატორსა და ექსპლოატირებულს შორის, აქედან გამომდინა-
რეობს მორალი — ადამიანი ადამიანისათვის მგელია და რაც უნდა გაიჭაჭონ
ბურჟუაზიის იდეოლოგები ყველა ჭურის შემთანხმებლები და ოპორტუნის-
ტები, რომლებიც ცდილობენ ფერუმარულით შეაღამაზონ კაპიტა-
ლისტური წყობილება, უფსკრული უფსკრულად რჩება, მგელი კი მგლობას
არ მოიშლის.

საქართველოს კომუნისტები და ყველა მშრომელი, რომლებიც სწავლო-
ბენ და საქმიანად განიხილავენ თავიანთი სახელმწიფოს ძირითადი კანონის

პროექტს, კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან ლენინური პარტიის გარშემო, რომლის მთელი საქმიანობის, მთელი მისწრაფების მიზანია ყველაფერი ილონოს ხალხის კეთილდღეობისათვის, ადამიანისათვის. ეს უმაღლესი და ჰუმანური მიზანი განუყრელად აკავშირებს პარტიას საბჭოთა ადამიანებთან, არნახულ შემოქმედებითს ენერჯიას მატებს მასებს კომუნისმის იდეალების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

მ. შავარდნაძე

საბარტყვილოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის
პირველი მდივანი

ქ. თბილისი

„პრავდა“, 1977 წლის 6/IX.

„კომუნისტი“, 1977 წლის 7/IX

წარმოადგინა სარედაქციო კოლეჯიამ

რეპაზ ბალანძიძე

კომუნისტური იდეოლოგია როგორც ცოდნის, რწმენისა და პრაქტიკული მოქმედების ერთობა

ახალი ადამიანის დაზნაობისთვის ძირითადი ნიშნების ჩამოთვლისას, სკკ XXV ყრილობაზე ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდიანამ ამხანაგ დ. ბრენევა ერთ-ერთ ასეთ ნიშნად ღრმა იდეოლოგია და პარტიული ღვაწლი დაასახელა. რამდენადაც „ორი მსოფლმხედველობის ბრძოლაში არ შეიძლება ნეიტრალიზმი და კომპრომისები“, კომუნისტური იდეოლოგია, კომუნისმის იდეალებისადმი ერთგულება — ის უპირველესი ნიშანია, რომლითაც ხასიათდება ახალი საბჭოთა ადამიანი. ახალ ადამიანზე რომ ვლაპარაკობთ, მასში მარტო დღევანდელი ან მომავლის ადამიანი კი არ იგულისხმება, არამედ ის ადამიანი, რომლის ფორმირება ჯერ კიდევ მასების რევოლუციური აზროვნების პერიოდში დაიწყო და დღემდე გრძელდება. უდიდესი როლი ამ ახალი ტიპის ადამიანის ფორმირებაში შეასრულა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ და მასთან დაკავშირებული წარმოების საშუალებებზე არსებული კერძო საკუთრების შეცვლამ სახელმწიფო საკუთრებად. სწორედ წარმოების საშუალებების განსაზოგადოება დაეღო საფუძვლად ადამიანთა კერძო-საკუთრული ფსიქოლოგიის დაძლევისა და მათში კლდეტივიზმის გრძნობის აღზრდას.

ახლა, როცა დღემდე არნახული ენთუზიაზმით ვემზადებით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად, როცა ვაჭაბებთ მთელ ჩვენს შენაძნეს ერთ-ერთ უდიდეს მიღწევად, ჩვენს საზოგადოებასთან და ცხოვრების სოციალისტურ წესთან ერთად, ახალი ადამიანის ჩამოყალიბებაც უნდა მივიჩნიოთ. სწორედ ასე იყო ნათქვამი სკკ XXV ყრილობაზე: „განვლილი 60 წლის უმნიშვნელოვანესი შედეგია საბჭოთა ადამიანი, ადამიანი, რომელმაც მოიპოვა თავისუფლება და შეძლო დაეცვა იგი უშიშრად ბრძოლაში. ადამიანი, რომელიც აშენებდა მომავალს, ძალ-ღონეს არ ზოგავდა და არავითარ მსხვერპლს არ ერთდებოდა, ადამიანი, რომელმაც ყველა განსაცდელს გაუძლო და თვითონაც უმაგალითოდ შეიცვალა. შეისისხლბორცა იდეური მრწამსი და უარსმავარი სასიცოცხლო ენერგია, კულტურა, ცოდნა და მათი გამოყენების უნარი. ეს არის ადამიანი, რომელიც მგზნებარე პატრიოტია და ამასთანავე იყო და ყოველთვის იქნება თანმიმდევრული ინტერნაციონალისტი“¹.

ახალი ადამიანის ფორმირება ჩვენი უდიდესი გამარჯვებაა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე. მაგრამ მიღწეული ზღვარი როდია. ჩვენ მატერიალისტი-დიალექტიკოსები ვართ და ამიტომ მხოლოდ წინსვლა, მხოლოდ შემდგომი წარმატებები გვწამს. ასეა ყველგან და ყველადღეს, ასეა ახალი ადამიანის ფორმირების საქმეშიც. ამიტომაც სკკ XXV ყრილობამ ჩვენი პარტიის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის უმთავრეს მიმართულებად მიიჩნია კომუნისმის ღირსეული მშენებელი ახალი ადამიანის მომავალი აღზრდა, ხოლო სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთ უძირითადეს ამოცანად დასახა კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ფორმირება. აღნიშნული ვითარება თავისთავად გასაგებს ხდის იმას, თუ რატომ ექცევა დღეს ასე დიდი ყურადღება კომუნისტური იდეოლოგიის როგორც საბჭოთა ადამიანის უძირითადესი ნიშნის გაღრმავებას ყოველი საბჭოთა მოქალაქის შეგნებაში.

მოგესვენებთ, კომუნისტური იდეოლოგია არ იაზრება მარქსისტულ-ლენინური თეორიის ვარაუდით. სწორედ მისი დაუფლება აძლევს ადამიანს ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების წვდომის ნამდვილ გასაღებს, ათავისუფლებს მის გონებას რელიგიური ცრურწმენებისაგან. აიარალებს მას მომავლის ღრმა რწმენითა და ნათელი ოპტიმიზმით. ამიტომაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამ

¹ სკკ XXV ყრილობის მასალები, 1976. გვ. 119.

იდეების მშრომელთა მასებში დანერგვის ახალი ფორმირებისა და მეთოდების ძიებას, ამიტომ დგას ფართო პროპაგანდა პარტიის მთელი იდეურ-აღმზრდელი მუშაობის ცენტრში. ამ საქმეს ჩვენში მთელი რიგი დაწესებულებები ემსახურებიან — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიდან დაწყებული და პარტიული ცენტრების ქსელით განათლების ცნობიერებაში არა კარა მათი კომუნისტური იდეურობით აღზრდისათვის. მართალია, საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის 60 წლის განმავლობაში მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მოქალაქემ დიდად იცავლა სახე, ეს ზემოთაც აღინიშნა, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ჩვენში ზოგიერთმა აღმანამა მშვენიერად იცის ჩვენი იდეებიც, ჩვენი პოლიტიკაც, ჩვენი საზოგადოების აზრიც. მაგრამ არ მოქმედებს ამ იდეების მიხედვით, არ იღწვის ამ პოლიტიკის შესატყვისად, უგულებელყოფს სოციალისტური ყოფაცხოვრების ნორმებს. ეს ფაქტი აღინიშნა სკკპ XXV ყრილობაზე: „სამწუხაროდ, ჭრ კიდევ გვხვდებიან აღმანები, რომლებმაც იცან ჩვენი პოლიტიკა და ჩვენი პრინციპები, მაგრამ პრაქტიკულად ყოველთვის არ იცავენ მათ, არ იბრძვიან მათი განხორციელებისათვის, შემრიგებულად ეკიდებიან სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმების დარღვევებს. სიტყვასა და საქმეს შორის განსხვავება, რა ფორმითაც არ უნდა ვლინდებოდეს იგი, ზიანს აყენებს სამეურნეო მშენებლობას, მაგრამ განსაკუთრებით: ზნეობრივ აღზრდას“.

მაშასადამე, სკკპ XXV ყრილობამ სრულიად არაოპორტუნად გამოკეთა საბჭოთა აღმანების ისეთი აღზრდის პრობლემა, რომ ისინი არ იფარგლებოდნენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის მხოლოდ შესწავლითა და ცოდნით, არამედ მოქმედებდნენ, წარმართონ თავიანთი ცხოვრება — ყოველ კერძო ვითარებაშიც კი — ამ თეორიის შესატყვისად. ეს მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, როცა ცოდნა გარდაიქმნება რწმენად. ე. ი. იქცევა ისეთ აქტიურ ძალად, რომელიც უწყველად გამოიწვევს აღმანების ამოქმედებას მაღალი იდეებისა და მიღებული ცოდნის შესაბამისად. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მივაღწევთ სიტყვისა და საქმის ერთიანობას, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შევძლებთ კომუნისტური იდეურობის შემდგომ გაღრმავებას თითოეულ აღმანში; რამდენადაც „კომუნისტური იდეურობა, — როგორც ეს სკკპ XXV ყრილობაზე ითქვა, — არის ცოდნის რწმენისა და პრაქტიკული მოქმედების ერთიანობა“. სხვაგვარად მარქსისტულ-ლენინური თეორია ვერც გამოიწვევს განხორციელებას სოციალისტური საზოგადოების პრაქტიკაში, სხვაგვარად ვერც მოხერხდება ჩვენი ქვეყნის წინსვლა კომუნისტიზმისაკენ.

რაკი კომუნისტური იდეურობა აღნიშნული სამი მომენტის ერთიანობას გულისხმობს, გვინდა საგანგებოდ შევეხებთ ორ ძირითად საკითხს: 1) რა როლი აქვს თითოეულ მათგანს კომუნისტური იდეურობის ჩამოყალიბებაში, 2) როგორ ხდება ცოდნის გადაზრდა რწმენაში და მეორე მისი გამოვლენა პრაქტიკულ საქმიანობაში.

დავიწყოთ პირველი საკითხის ანალიზით. როგორც ზემოთ აღინიშნა, კომუნისტური იდეურობის ჩამოყალიბებისათვის საჭირო და აუცილებელია მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ცოდნა. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ზოგჯერ ამგვარი ცოდნის შექმნა ისე ხდება, რომ იგი არ მოიცავს მთლიან პიროვნებას, არ იწვევს მის მთლიან განსხვავებას. ამ შემთხვევაში პიროვნება კმაყოფილდება იმით, რომ მან იცის მარქსიზმის ზოგადი დებულებები და საჭიროების შემთხვევაში შეუძლია კიდევ მათი ციტირება; ამავ დროს, ამ დებულებების მიმართ თვითონ სრულ ინდიფერენტულობას ინარჩუნებს. სხვანაირად რომ ვსთქვათ, მან ეს იდეები ისევე იცის, როგორც ის, რომ 2X2=4-ს. ცხადია, ასეთი ცოდნა, რომლის მიმართაც ვლინდება სუბიექტის დაინტერესება, არ შეიძლება ისეთ ძალად ჩაითვალოს, რომელიც მის შესატყვის მოქმედებებსაც გამოიწვევს, ასეთი რამ თუ მოხდება. ე. ი. ცოდნამ რომ მის შესატყვისად პიროვნების ამოქმედებაც გამოიწვიოს, საჭიროა ცოდნა გადავიდეს რწმენაში, საჭიროა ესა თუ ის შექმნილი იდეა შინაგანად მიღებულ იდვად, პიროვნების საკუთრებად იქცეს; მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გახდება ცოდნა, იდეა აქტიურ ძალად, მოქმედების სტიმულად, კონკრეტულ ვითარებაში ორიენტაციის საშუალებად. „კომუნისტიზმის შესწავლა რომ მარტო იმის შეთვისება იყოს, რომ კომუნისტურ მშრომელში, წიგნაკებსა და ბროშურებშია, მაშინ ძალიან ადვილად მივიღებთ კომუნისტურ მედავიზონებს და მკვებარებს“ — გვაფრთხილებდა თავის დროზე საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი, მსოფლიო პარლტეპარაატის დიდი ბელადი ე. ი. ლენინი. ხოლო თუ ჩვენ კომუნისტური მედავიზონებისა და მკვებარების მომრავლება კი არ გვინდა, არამედ — კომუნისტიზმის იდეალებისადმი ერთგული და თავდადებული აღმანების აღზრდა, მთელი ჩვენი მუშაობა იქით უნდა წარვმართოთ, რომ ესა თუ ის დებუ-



ლება, თვალსაზრისი უბრალოდ ათვისებული კი არ იყოს, არამედ განცდილიც, პიროვნების საკუთრებად ქცეული. მხოლოდ მაშინ, როცა გარედან მოსული ცოდნა პიროვნების საკუთრება, — მის იდეად, მის შეხედულებად, მის რწმენად გარდაიქმნება. — გვეყენება სრული გარანტია იმისა, რომ ეს ცოდნა უშეველად იქცევა აქტიურ ძალად, პრაქტიკული მოქმედების სტიმულად.

ცხადია, იმის თქმა, რომ მარტო ცოდნა არ არის საქმარისი კომუნისტური იდეურობისათვის, არ ნიშნავს ცოდნის როლის უგულვებელყოფას. კომუნისტურ იდეურობაში, როგორც ცოდნის, რწმენისა და პრაქტიკული მოქმედების ერთიანობაში, ცოდნა შემთხვევით როდი დგას პირველ ადგილზე. ცოდნა, შემეცნებითი საქმიანობა იმდენად აუცილებელია ადამიანისათვის, რომ ეს მომენტით თვით ადამიანის არსის ერთ-ერთ ძირითად ნიშანთვისებად გვევლინება. ამაზე კარგად მივგვიხსენებთ ადამიანის ცნების განმსაზღვრელი ცნობილი დეფინიციები, კერძოდ, მისი ის მახასიათებლები, რომ ადამიანი არის მოაზროვნე არსება, რომ იგი არის შემეცნებითი სუბიექტი და ა. შ. ამასვე მივგვიხსენებთ ცხოველის, ადამიანისა და ღმერთის ცნობილი შედარება, როცა მათ ერთმანეთისაგან სწორედ იმით ახსვავდები, თუ როგორია სინამდვილესთან მათი შემეცნებითი დამოკიდებულება; ამაგლითვე: ამბობენ, რომ ცხოველი ისაა, რომელიც არაფერი იცის და არც უნდა იცოდეს, ე. ი. რომლის წინაშეც შემეცნებითი ამოცანები არ დგას; ღმერთი ისაა, ვინც ყველაფერი იცის და ამდენად არც მის წინაშე დგას შემეცნებითი ამოცანები; ადამიანი კი ისაა, ვისაც უნდა სამყაროს ახსნა. მისი შემეცნება, ბუნების, საზოგადოების, აზროვნების საილუმოებებში ჩაწევომა, ე. ი. ის, ვინც არ იაზრებს ცოდნის, შემეცნების გარეშე.

ამგვარად, როგორც ზემოთაღნიშნა, ცოდნა აუცილებელია კომუნისტური იდეურობისათვის, მაგრამ არასაქმარისია. ამის ნიმუშად ჩვენს საზოგადოებაში არსებული ის ადამიანები დავასახელოთ, რომლებმაც იციან მარქსისტულ-ლენინური იდეები, მაგრამ არ მოქმედებენ მათ შესაბამისად. ამასვე აღსატურებს ისიც, რომ კაპიტალისტურ სამყაროში ახლა უდიდესი გულმოდგინებით სწავლობენ მარქსიზმს, მის იდეებს. მაგრამ სწავლობენ არა იმ იდეების სიყვარულის გამო, არამედ მის სამართად. არ შეეცდებიოდით, თუ ვიტყვოდით, რომ „ბურჟუაზიულმა „სოცეტოლოგებმა“ ზოგიერთ ჩვენგანზე ნაკლებ როდი იციან მარქსიზმ-ლენინიზმი. მაგრამ ამ ცოდნას ისინი სრულებითაც არ უქცევია კომუნისტებად. აღნიშნული გარემოება კი ერთხელ კიდევ აღსატურებს იმ დებულებას ჭეშმარიტებას, რომ კომუნისტური იდეურობისათვის აუცილებელია ცოდნის ვადაზრდა რწმენაში.

რაკი ჩვენ მიერ დაყენებული საკითხებიდან პირველს უკვე ვუპასუხეთ, კერძოდ კი — საკითხს იმის შესახებ, თუ რატომ არის აუცილებელი ცოდნის ვადაზრდა რწმენაში, ახლა ვუპასუხოთ მეორე კითხვასაც: როგორ ხდება ცოდნის ვადაზრდა რწმენაში და მერე მისი გამოვლენა პრაქტიკულ საქმიანობაში? ცოდნის რწმენაში ვადაზრდა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული — ობიექტურზე და სუბიექტურზეც. მაგრამ ამ საქმეში პირველი სიტყვა მაინც მარქსისტულ-ლენინურ თეორიას ეკუთვნის. ცხადია, რომ სინამდვილის ახსნას მრავალი თეორია ცდილობდა მარქსიზმ-ლენინიზმის წარმოშობამდე, იდეალისტურიც და მატერიალისტურიც; მაგრამ ახლა ისიც ცნობილია, რომ ვერცერთი მათგანი ვერ ხსნიდა მას სწორად, მეცნიერულად: იდეალისტები იმიტომ, რომ, ბუნებრივი ძალების აღიარებით, სამყაროს პრინციპულ შემეცნებადობას დასკვნიდნენ და აგნოსტიციზმადვე მიდიოდნენ; მატერიალისტები იმიტომ, რომ ისინი ვერ ამაღლდნენ ისტორიის მატერიალისტურ გაგებამდე, მათ ვერ მიაგნეს საზოგადოების განვითარების კანონზომიერებას.

მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმა მოგვცა ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების მეცნიერული ახსნა. გვაჩვენა, თუ როგორ იცვლება და ვითარდება არა მარტო ბუნება, არამედ საზოგადოებაც. როგორც ვლიან ერთმანეთს სოციალურ-ეკონომიური ფორმაციები სწორედ მარქსიზმი იყო ის ერთადერთი თეორია, რომელმაც კაპიტალიზმის არსებობის პირობებშივე იწინაწარმეტყველა მისი დაღუპვა და შეცვლა სოციალისტური ფორმაციით. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია მარქსიზმის იდეების უდიდესი გამარჯვება იყო. სწორედ ამ რევოლუციამ აჩვენა მსოფლიოს, რომ მარქსიზმის იდეები ყოველად ძლიერია, ვინაიდან სწორია. წარმოების კაპიტალისტური წესის შეცვლამ სოციალისტურით, კერძო საკუთრების ინსტიტუტების გაუქმებამ და წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრების გამოცხადებამ მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები უდიდესი სიმბაბით განაწყო მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი, — დაარწმუნა ისინი იმაში, რომ ეს იდეები აბსტრაქტული იდეები კი არაა, არამედ ისინი უშეველად ხორციელდებიან

პრაქტიკაში. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებიდან დღემდე განვლილი 60 წელი, მთელი ის წარმატებები, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ და ხალხმა მოაოჯა ამ ხნის განმავლობაში, იმის ნათელი დემონსტრაცია, თუ როგორ ხორციელდება მარქსისტულ-ლენინური თეორია პრაქტიკაში. საბჭოთა საზოგადოება, ცხოვრების სოციალისტური წესი და ახალი საბჭოთა ადამიანი! — აი საზოგადოებრივი პრაქტიკის ის შედეგი რამაც მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების სისწორე დაადასტურა; ამან კი, თავის მხრივ, უდიდესი აღმწარდგომითი ზეგავლენა მოახდინა ადამიანებზე: მშრომელთა უდიდესმა მასამ ირწმუნა ეს იდეები და საკუთარ რწმენად აქცია იგი. მაგრამ რაკი ჭერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებმაც იციან მარქსიზმის იდეები, მაგრამ არ მოქმედებენ მის შესატყვისად, მათზე ზემოქმედების საუკეთესო საშუალებად ისევ ამ იდეების სისწორეში დარწმუნებულობა უნდა მივიჩნიოთ.

მეორე პირობა, რაც შესაძლებელს ხდის იდეების რწმენაში გადაზრდას, არის ის, რომ აღნიშნული იდეები შეესაბამება ადამიანთა ინტერესებს, მიზნებს, მოსწრაფებებს. ცნობილია, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი ჩამოყალიბდა როგორც პროლეტარიატის იდეოლოგია ანუ მოძღვრება, რომელიც გამოხატავდა პროლეტარიატის ინტერესებს, მის მიზნებსა და მოსწრაფებებს. გავიხსენოთ, თუ როგორი საზოგადოების შექმნაზე ფიქრობდნენ მარქსიზმის კლასიკოსები. ცნობილი მარქსისტ-ლენინელები: მათ უნდოდათ მშრომელთა ექსპლოატაციის მოსპობა, სოციალური და თვრყვეული თანასწორობის მოპოვება ადამიანებისათვის. შეესატყვისებოდა თუ არა იგი მშრომელთა ინტერესებს? — ცხადია. შეესატყვისებოდა, რაც შეეხება დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას — მისი უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა იმაშია, რომ სწორედ მან მოუპოვა ადამიანებს ამგვარი თანასწორობა.

ახლა, თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთელი მოღვაწეობა მისი დაარსებიდან დღემდე ადამიანების კეთილდღეობისა და ბედნიერებისკენ არის მიმართული. ადვილად მივხვდებით, რომ არც ერთ კეთილი ნების ადამიანს არა აქვს უფლება ინდიფერენტული დარჩეს ამ იდეებისადმი და არ ირწმუნოს ეს იდეები, არ გამოავლინოს ამ იდეებისადმი ერთგულება და თავდადება.

მასხალადმე მეორე პირობა, რამაც მარქსიზმის იდეები ცოდნიდან რწმენაში უნდა გადაზარდოს, არის ის, რომ ეს იდეები ზუსტად შეესაბამება მშრომელ ადამიანთა ინტერესებს, მოსწრაფებებს, მიზნებს. ეს კი დიდად უწყობს ხელს იმას, რომ ცალკეული პიროვნებები ამ იდეების უბრალო აღმქმედნი კი არ იყვნენ, არამედ მათი შემფასებელნიც, განმცდელნიც. ყოველივე ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ჩვენი იდეოლოგიური დარგის მუშაკებმა და მარტო მარქსიზმის იდეების პროპაგანდით კი არ უნდა დაკმაყოფილდნენ, არამედ შეეცადონ, რომ ეს იდეები თითოეული პიროვნების საკუთრებად, მისი ქცევის განმსაზღვრეულად იქცეს.

რაკი მარქსიზმის იდეების ძალას მის სისწორება და მეცნიერულობაში ვხედავთ, რაკი სწორედ ამით უნდა მიიღოს და ირწმუნოს იგი ხალხმა, ჩვენ არ გვაქვს უფლება დუმილით ავუაროთ გვერდი ჩვენში არსებულ ზოგიერთ სიძნელეს და არაფერი ვუთხარათ მათზე მშრომელთა ფართო მასებს, თუკი ამას ისინი ჩვენგან მოითხოვენ. ამასთან დაკავშირებით, კარგად იყო ნათქვამი სკკპ XXV ყარლობაზე: „ლიახ. ჩვენ ვიცით, რომ ჭერ კიდევ არ გადამჭრილა ყველა პრობლემა. ჩვენს კრიტიკოსებზე უკეთესად ვიცით ჩვენი ნაკლოვანებანი, ვხედავთ სიძნელებს და წარმატებით ვძლევთ მათ“. ეს გამონათქვამი კარგად მიგვიითხებს, რომ პარტიას არაფერი აქვს დასაშალი ხალხისათვის. მთავარი აქ ისაა, თუ როგორ ილაპარაკებ ამ სიძნელებებზე: როგორც ისეთზე, რომელიც არაფერი ეშველება; თუ როგორც დროებითზე. — ისეთზე, რომელიც მომავალში უშეკველად გამოსწორდება.

როგორც ვხედავთ, ძალა რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს ცოდნიდან რწმენაში გადაზრდის, თვითონ ამ იდეებშია. ოღონდ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მივაწვდით ამ იდეებს მშრომელთა ფართო მასებს, ვაჩვენებთ თუ არა მათ ამ იდეების ყოველისშემძლეობას, — იმას, რომ ყოველი დებულება მართლდება პრაქტიკაში, იმას, რომ მომავალი მხოლოდ იმ საზოგადოებას აქვს, რომელიც ამ იდეებით იხელმძღვანელებს. ამ საქმეში, უდავოა, მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროპაგანდისტიკის თეორიულ მომზადებას, მის განსწავლულობას და, რაც მთავარია, იმას, თუ თვითონ მას რამდენად სწამს ეს იდეები, რამდენად ერთგულია მათი (ამ იდეებისა). ის, ვინც მარქსისტული იდეები თეორიულად იცის მხოლოდ, ვინც არ მოქმედებს ამ იდეების შესატყვისად, — სხვის მასწავლებლად ვერ გამოდგება.

მეორე მხრივ, რაკი მარქსისტულ-ლენინური იდეები ყველაზე ჰუმანური, ყველაზე დე-

მოკრატული იდეებია, საქირა ის, ვინც ამ იდეებს ასწავლის სხვას, თვითონ იყოს მაღალი წინეობისა და კულტურის ადამიანი, იყოს ისეთი, ვისაც ნამდვილად ენდობა, დაუჭერებს, შეიყვარებს სხლბი. ყველა, ვინც მარქსიზმ-ლენინიზმის სახელით ლაპარაკობს, უნდა იყოს კიდევ ღირსი ამ იდეებზე ლაპარაკისა. სიტყვისა და საქმის დაცლიება ყველთვის სასიანაა, მაგრამ არაჩვეულებრივად დიდი ზიანი მას მაშინ მოაქვს, როცა ასეთ რამეს იდეოლოგიური ღარვის მუშაი სნადის.

მაშასადამე, კომუნისტური იდეურობისათვის აუცილებელია მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გადარდა რწმენაში. მაგრამ აქ ამგვარი სიძნელე გვხვდება. როცა საქმე სხვა ადამიანს ეხება, როგორ მივხვდეთ, გადავიდა თუ არა ცოდნა რწმენაში? აქ სხვა ადამიანი იმტომ ვახსენებ, რომ ყოველმა ადამიანმა თავის საკულტური თავის შესახებ კარგად იცის, აქვს თუ არა იდეური რწმენა, მან ეს იცის საკულტურ გრძნობებზე, განცდებზე და სხვა ფსიქიკურ ფენომენებზე უშუალო დაკვირვების გზით. მაგრამ მან დანამდვილებით არაფერი იცის სხვა ადამიანის რწმენის შესახებ იმტომ, რომ არა აქვს საშუალება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამოიყოს სხვისი განცდები, გრძნობები და ინტერესები. ეს სიძნელე სხვისი მშ-ს წვდომის სიძნელის სახითაა ცნობილი ფსიქოლოგიაში. ამ სიძნელემ ფსიქოლოგიის ზოგიერთი მიმდინარეობა სხვისი მშ-ს პრინციპული შეუმტყნებლობის აღიარებამდე მიიყვანა. მხოლოდ მარქსისტულმა ფსიქოლოგიამ ნახა აქედან გამოსავალი, როცა სხვისი ფსიქიკური ფენომენების წვდომის გზად მის მოქმედებებზე, ქცევებზე დაკვირვება გამოაცხადა; ეს გზა, ე. ი. სხვა ადამიანების ქცევებზე მათ შრომით და საზოგადოებრივ საქმიანობაზე დაკვირვება უნდა გამოავსებოდეს ჩვენც იმ ერთადერთ გზად, რომელიც გვეტყვის: მართლა მოხერხდა თუ არა ცოდნის გადაზრდა რწმენაში? მართლა არის თუ არა ესა თუ ის ადამიანი კომუნისტური იდეურობისა?

რკი ადამიანის შრომისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში კარგად ჩანს გადაზრდა თუ არა ცოდნა რწმენაში, პარტიამ წამოაყენა პოლიტიკური, წინეობრივი და შრომითი აღზრდის ერთიანობის პრინციპი, — ეს ნიშნავს: შეუძლებელია აღზრდის ეს სამი ფორმა დავცილოთ ერთმანეთს; შეუძლებელია, რომ პოლიტიკური აღზრდა წინეობრივ აღზრდას მოწვევით, ხოლო აღზრდის ამ სახეებმა თავისი დიდებითი კვალი არ დაინიონ შრომით აღზრდას. თავის მხრივ, ვინც საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაშია მთელი ენერგიით ჩართული, ვინც ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ამრავლოს ჩვენი ქვეყნის სხვაი და ბარკა, იგი პოლიტიკურად აღზრდილია და წინეობრივად.

იმის ტყმა, რომ ადამიანი იდეური რწმენა შრომის საქმიანობაში ავლენს თავს, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, თითქოს იდეოლოგიური მუშაობის შეფასებისათვის მართო ეკონომიკური მიღწევები კმაროდეს. საქმისადმი ამგვარი მიდგომა ვულგარულ-პრაგმატისტული იქნებოდა. საქირა სამეურნეო ამოცანების იდეოლოგიური უზრუნველყოფის ამოცანა იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთ ფორმად მიგვანდებს და არა ერთადერთად. საქირა ყოველთვის გვახსოვდეს, რომ კომუნისტური შეგნების, კომუნისტური მსოფლმხედველობის ადამიანი მარტო ის ადამიანი კი არ არის, ვინც ბევრს და ბეჯითად შრომობს. არამედ, უპირველეს ყოვლისა, ისა ვისაც გულით უყვარს თავისი ხალხი, ყველაფერს აკეთებს ამ ხალხის ბედნიერებისათვის და ვინც მოქმედებს პრინციპით: „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის“.

კომუნისტური იდეურობის ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, კომუნისტური იდეალების ერთგული ადამიანია, ე. ი. ისეთი ადამიანი, რომლის უპირველესი მიზანი და საზრუნავი კომუნისტური საზოგადოების აშენებაა. ეს მიზანი, ცხადია, ისე შრომისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში ავლენს თავს. ამტომ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, აქტური ცხოვრებისეული პოზიცია, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში მონაწილეობის მიღება არის ის ნიშნები, რომელიც ახასიათებს ან უნდა ახასიათებდეს კომუნისტური შეგნების ადამიანს.

როგორც შემოთავაზდნა, ადამიანების დიდზე დიდი ნაწილი უკვე არის მაღალი შეგნების კომუნისტური წინეობისა და კულტურის ადამიანი. ეს ადამიანები ქმნიან ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებას. საზოგადოებას, რომლის შესახებ სკკ XXV ყრილობაზე ითქვა: ჩვენ შევქმენით ახალი საზოგადოება. საზოგადოება, რომლის მსგავსი კაცობრიობას არ ახსოვს. ეს არის უკრისოს. მდღეივად მზარდი ეკონომიკის, მომწიფებული სოციალისტური ურთიერთობის, ნამდვილი თავისუფლების საზოგადოება. ეს არის საზოგადოება, სადაც გაბატონებულია მეცნიერული მატერიალისტური მსოფლმხედველობა. ეს არის მომავლის, ნა-

თელი კომუნისტური პერსპექტივებისადმი მტკიცე რწმენის საზოგადოება. სწორედ ამ საზოგადოებამ მთლიანად (ხოლო სამუშაო ადგილებზე — შრომითმა კოლექტივებმა როგორც ამ საზოგადოების პირველადმა უჭრებებმა) უნდა აიღოს ხელში ცალკეული ადამიანების გარდაქმნის საქმე, მათში კომუნისტური იდეურობის განმტკიცების საქმე. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმ სოციალისტურ შეტვირთვებს, რომლებშიც ასეა თითქმის ყველა საწარმოა ჩართული, არამედ იმ პატრიოტულ თაონობებსაც, რომლებიც, როგორც ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა სკკპ XXV ყრილობაზე, მარტო საწარმოო ლოზუნგებს კი არ წარმოადგენენ, არამედ — ზეგობრივ ნორმებსაც.

კომუნისტური იდეურობის სულისკვეთებით საბჭოთა ადამიანების აღზრდას დიდად უნდა შეუწყოს ხელი, აგრეთვე, ჩვენში განმტკიცებულმა ცხოვრების სოციალისტურმა წესმა და იმ უპირატესობებმა, რომელნიც მას აქვს: „ქეშმარიტ კოლექტივიზმისა და ამხანაგობის აღწოხად, ქვეყნის ყველა ერისა და ხალხის შეკავშირება, მეგობრობა, რაც დღეის დღე მტკიცდება, ჭანსალი ზნეობა, რომელიც ძალასა და სიმტკიცეს გვმატებს — ასეთია ჩვენი ცხოვრების წესის წარმატადი ფერები, ასეთია სოციალიზმის დიდი მონაპოვარი, რომელიც ჩვენი სინამდვილის ძვალსა და რბილშია გამჭადარი“ — ითქვა სკკპ XXV ყრილობაზე და ჩვენ მიგვაჩინა, რომ ცხოვრების ეს წესი უნდა იქცეს საბჭოთა ადამიანების იდეური აღზრდის კარგ სტიმულად.

ზემოთ ჩვენ ვთქვით, რომ კომუნისტური იდეურობა თავს იჩენს ადამიანის ქცევებში, მის შრომითსა თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში. ეს მართლაც ასეა, მაგრამ არა ყოველთვის, არა უგაშონაკლისებოდ. არის ხოლმე შემთხვევები, როცა სიტყვა და საქმე, ცოდნა და პრაქტიკული მოქმედება ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, აღმოვჩინებთ, რომ საქმე კომუნისტურ იდეურობასთან მაინც არა გვაქვს. გარეგნულად აქ თითქმის ყველაფერი რიგზეა. ადამიანი სასარგებლო საქმეს აკეთებს. გამოირჩევა თავისი დისციპლინიანობით. უნარიანობით, ენერგიულობით. მაგრამ ყოველივე ამის იქეთ იმალება საკუთარ თავზე, საკუთარ განდიდებამზე მზრუნველი ეგოისტი და კარიერისტი. ფაქტიურად იგი (ეს პიროვნება) ასე და არა სხვაგვარად იმითომ კი არ მოქმედებს, რომ მას სხვანაირა მოქმედება არ შეუძლია. არამედ — იმითომ, რომ ამით უფროსების უურადლება დაიმსახუროს, კარიერა გაიკეთოს ან, როგორც ამბობენ ხოლმე, წინ წავიდეს ცხოვრებაში. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავისხნოთ გ. ფანჯიკიძის „მეშვიდე ცა“ ან მისივე სცენარის მიხედვით გადარებული ფილმი „რევან სიღაშელი“. გავისხნოთ, როგორ ენერგიულად შეუღვა სიღაშელი საქმიანობას, რა დიდი ენთუზიაზმით, გატაცებით მუშაობდა თვითონაც და როგორ ჩაბა ამ მუშაობაში თავისი საამქროს წევრები, როგორ შეაყვარა თავი ყველას, როგორ მოიპოვა კარგი კაცისა და კარგი მუშაის სახელი, დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა ქარხანაში. მაგრამ, ბოლოს, ერთმა თითქოს უმნიშვნელო შემთხვევამ ფარდა ახადა მის საქციელს, გამოირკვა, რომ ყველაფერს ზემოთ ჩამოთვლილს სიღაშელი მარტო თავისი პირადი განდიდებისა და კარიერისათვის აკეთებდა. დამეთანხმებით, რომ სიღაშელი მარტო ფანჯიკიძის ნაწარმოების გმირი როლია, ასეთი ადამიანები ჭერაც ბევრია ჩვენს საზოგადოებაში, რომელიც კარგი სიტყვებითა და ზოგჯერ, კარგს რომ ჰგავს, ისეთი საქმიანობითა კი იწოდებიან.

ახეთი ადამიანი, ცხადია, არ არის კომუნისტური იდეურობის ადამიანი. მას, მართალია, აქვს ცოდნა და მოქმედებს კიდევ ამ ცოდნის შესატყვისად, მაგრამ მისი მთავარი ნაკლი ისაა, რომ ეს ცოდნა არ გადადის რწმენაში. ამიტომ იგი მოქმედებს, როგორც იტყვიან, უგულლოდ, უინტერესოდ; მოქმედებს როგორც მკაცრად დეტერმინირებული არსება, როგორც წინასწარ დაპროგრამებული რობოტი; მოქმედებს ისე, რომ არ განიცდის არაერთი სიყვარულს იმ საქმიანობის, რომელსაც იგი აკეთებს. ცოდნის, რწმენისა და პრაქტიკული მოქმედების ერთიანობის მოთხოვნა კი გულისხმობს შემდეგს: არ კმარა, რომ ადამიანი თავისი საქმის კარგი შემსრულებელი იყოს, არ კმარა, რომ, ვთქვათ, იგი გეგმებს ყოველთვის ასრულებდეს და გადაჭარბებითაც კი; არამედ საჭიროა, მას ჰქონდეს იმ საქმის დიდი სიყვარული, რომელსაც იგი აკეთებს; ჰქონდეს იმის ღრმა რწმენა, რომ თავისი შრომით იგი ამდიდრებს საერთო დოვლათს, საერთო კეთილდღეობას განმტკიცებსა უწყობს ხელს, მისი შედეგებისა და შვილიშვილების უკეთ ცხოვრებას უყრის მტკიცე და საიმედო ფუნდამენტს.

ყოველდღიურ ცხოვრებაში, ჩვენს გვერდით ცოტანი როდი არიან ასეთი ადამიანები, რომელნიც სწორად, საზოგადოების სასარგებლოდ მოქმედებენ, მაგრამ რწმენის გარეშე. ასეთი მოქმედება რომ გამოვიცნოთ, საჭიროა შეგვეძლოს მიხედვარა, თუ რა მოტივი ამობრავებს ამა თუ იმ ადამიანს, როცა იგი არ მოქმედებს სწადავად. განსხვავებულ მოტივთა გამო ერთნაირი მოქმედება რომ სხვადასხვანაირად უნდა შეუხასდეს, ამის საილუსტრაციოდ, ასეთ



მაგალითის დავასახელებთ (წინასწარ ვიტყვით, რომ მაგალითში ბერა ხელფანური კონსტრუქციებია, მაგრამ ისეთები, რომელიც დაშვება თერაპიულადაც და პრაქტიკულადაც შეიძლება); ვთქვათ, რომ მავანმა და მავანმა დაინახა, რომ ვიღაც კაცი მდინარეში იხრჩობდა... რაკი თვითონ ცურვა იცის, გადახვევა წყალში და წყალწაღებული აშკარა სიკვდილს გადაარჩინა. როგორ უნდა შეფასდეს ეს მოქმედება? ერთი შეხედვით. აქ ორი აზრი არ უნდა არსებობდეს: იმან, ვინც წყალწაღებული აშკარა დახრჩობას გადაარჩინა, არა მარტო სასარგებლო, არამედ ზეიშობრივად გამართლებული მოქმედებაც ჩაიდინა.

მაგრამ ახლა ის შესაძლო მოტივები გავითვალისწინოთ, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედგინა ამ მოქმედებას და ამის მიხედვით შევაფასოთ: 1) ვთქვათ, მშველელი მარტო კი არ მიდიოდა ქუჩაში, არამედ თავის შეყვარებულთან ერთად და ახლა წყალში იმიტომ გადახტა, რომ ამით თავის შეყვარებულს მოაწონოს თავი, დაარწმუნოს თავის სიამაყეში, გულადობაში და ა. შ. მაგრამ შეყვარებული რომ არა, იგი არ გადახტებოდა წყალწაღებულს გადასარჩინად და ამით თავის სიცოცხლეს საფრთხეში არ ჩაიგდებდა; 2) ვთქვათ, მშველელმა, ხანამ წყალში გადაეშვებოდა, დაინახა, თუ ვინ იხრჩობდა და წყალშიც სწორედ იმიტომ გადაეშვა, რომ სწორედ ეს კაცი და არა სხვა ვინმე მიჰქონდა წყალს. საქმე ისაა, რომ ეს წყალწაღებული კაცი უმდიდრესი კაცია და მშველელმა იცის, თუ იგი ამ უკანასკნელს გადაარჩენს ამისათვის დიდივალ გასამრჩელოსაც მიიღებს. აქვე შეიძლება სხვა ვარიანტების დაშვებაც: ვთქვათ, კაცი, რომელიც იხრჩობა, რომელიმე დიდი დაწესებულების ხელმძღვანელია, მშველელი კი ის აღაშინა, რომელსაც მისთან მუშაობის დაწყება უნდა. ან კიდევ: ეს კაცი პროფესორია, მშველელი კი სწორედ ის აღაშინა, ვისაც მისი ასპირანტობა უნდა და ა. შ. 3) ვთქვათ, კაცს, რომელიც იხრჩობა, და მშველელს დიდი შტრობა აქვთ ერთმანეთში, აქამდე მშველელი ყოველთვის იმის ნატყვამი იყო, რომ მოეღვა ეს კაცი. მაგრამ ამჟამად იგი თვითონ წარუწავს მისი სიცოცხლის შენარჩუნებაზე. წარუწავს არა იმიტომ, რომ სიბრალურის გრძნობა უჩნდება მის მიმართ, არამედ იმიტომ, რომ მერე თვითონვე მოკლას თავისივე ხელით (გავიხსენოთ სისხლის აღების წესი). 4) და ბოლოს, მშველელმა არ იცოდა, ვინ იყო ეს კაცი, იმ მომენტში, როცა მდინარეში გადაეშვა, მას არც შეყვარებული მიჰყვებოდა გვერდით, და არც სიმდიდრესა და სახელზე უფიქრია მას. წყალში იმიტომ გადაეშვა, რომ აღაშინა შეეცოდა. მხოლოდ აღაშინა სიბრალურით ჩაიდლო სიცოცხლე საფრთხეში.

02957

როგორც დაინახეთ, ყველა ზემოთაღნიშნულ შემთხვევაში მშველელი სხვადასხვა მოტივით მოქმედებდა და, თუმცა შედეგი ყველა შემთხვევაში აღაშინა გადაარჩინა იყო. დამატებით, რომ ჩამოთვლილიდან მხოლოდ ბოლო შემთხვევაა ნაშრომად ზეიშობრივი მისი უნაგარობის გამო. ყველა დანარჩენი კი არაზეიშობრივია, სწორედ ანგარიშობის გამო.

ზეიმოყვანილი მაგალითები: კარგად ჩანს, რომ ჩვენ რომელიმე აღაშინა ზეიშობრიობასა და იდეურბაზე არ შეგვიძლია მარტო მისი მოქმედების შედეგით ვიმსჯელოთ, — საჭიროა იმ მოტივების გავთვალისწინებაც, რომელიც ამ მოქმედებებს იწვევენ. ცხადია, ნათქვამი ისე არ უნდა გათვალისწინდებოდეს, თითქმის ამა თუ იმ ქვეყნის მოტივი ყოველთვის უცნობი იყო დამკვირვებლისათვის. მართალია, ყოველი ქვეყა არ ავლენს მის მოტივს, მაგრამ აღაშინა მისი მოქმედებებზე სისტემატური დაკვირვება საბოლოოდ. მაინც გვაგებინებს, თუ რა მოტივი ამოძრავებს ამა თუ იმ აღაშინას. ისევე გავიხსენოთ თუნდაც ზიდაშელის ამბავი: თუ დიდხანს მისი ქცევათა მოტივები უცნობი იყო, ერთმა უბრალო შემთხვევამ გამოავლინა მისი ქცევის ნამდვილი მოტივი.

რამდენადაც არსებითად მოტივები განსაზღვრავენ აღაშინა მისი ქცევათა ზეიშობრიობა-უზეიშობას, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოტივთა აღზრდას: ე. ი. საჭიროა აღაშინა იმგვარი მართვა, რომ მან სწორედ ის მოტივები აირჩიოს, რომელნიც უანგარო მოქმედებებს შეესატყვისებინა. რაკი აღაშინა მართებს ჩვენი პარტია არსებითად იდეოლოგიური დარგის მუშაების დახმარებით ახორციელებს, საჭირო და აუცილებელია ჩვენს პროპაგანდისტულ საქმიანობაში ფართოდ გამოვიყენოთ ფსიქოლოგიური ექსპერიმენტთა მონაცემები.

სხვათა შორის, ცოდნის რწმენაში გადაზრდას იმიტომ ექცევა ასე დიდი ყურადღება ჩვენს იდეურ-აღმწერლეთათვის საქმიანობაში, რომ რწმენაში გადასული მარქსისტულ-ლენინური იდეები თვითონ წარმოადგენენ ქცევათა ისეთ მოტივებს, რომელიც კაცთშეყვარების პრინციპების შესატყვისად ამოქმედებენ აღაშინას. ამასთან, კომუნისტური აღზრდის სისტემაში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს თვით აღზრდას. ზოგჯერ აღზრდის ეს ფორ-

კ. მარქის სხ. საქ. შტო
საბჭოთავო რესპუბლიკა
საქალაქო მაცნე



მა საერთოდ არის დავიწყებული, სამაგიეროდ მთელი ყურადღებაა გადატანილი გარემოზე, შრომით კოლექტივებზე, საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე.

როგორც წემოთ აღინიშნა, არავინ ისე კარგად არ იცის, რა ხდება სხვის სულში, ვიდრე თვითონ ამ სხვამ. ამიტომ, თუ არ ღაგვარგავთ თვითკონტროლის თვითშეფასების უნარს, თუ ობიექტურნი და კრიტიკულნი დავრჩებით საკუთარი თავის მიმართ, თუ არ უფულებელვყოფთ. და ძალით არ ჩავაჩუმებთ საკუთარ სინდისს სმას, — შეძლებთ კიდევ საკუთარი თავის მართვას. ამ საქმეში მთავარია ცხოვრების გზის, მისი საზრისის სწორი არჩევა, ღირებულებათა ორიენტაციაში სწორი გარკვევა, სწორი მიზნის დასახვა და მის მიხედვით მოქმედება. მთავარია ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა გაფეტიშებაზე, მატერიალური კეთილდღეობის უმაღლეს ღირებულებად გამოცხადებაზე უარის თქმა და გონიერი მოთხოვნილებების წინ წამოწევა. მართალია, ამ საქმეში გადამწყვეტი სიტყვა თვითონ პიროვნებას ეკუთვნის, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ უარი ვთქვათ გარედან ჩარევაზე, იდეოლოგიურ ზემოქმედებაზე. ამ მიზნით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ეთიკის, აქსიოლოგიისა და სხვა ფილოსოფიური დისციპლინების ცოდნას პროპაგანდისტის მიერ, რაც საშუალებას მისცემს მას დეცემაროს აღამიანებს სწორი ღირებულებითი ორიენტაციის შემუშავებაში, ღირებულებათა ორიენტაციაში.

სხვათა შორის, იმის მოთხოვნა, რომ ცოდნა გადაიწარდოს რწმენაში და პრაქტიკულ მოქმედებასაც რწმენა განაგებდეს, თითოეულ აღამიანს უნდა აქონდეს და აი რატომ: თუ აღამიანი თავისი რწმენის მიხედვით არ მოქმედებს, გამოდის, რომ იგი ისეთ რამეს აკეთებს, რაც მას არ სურს, რაც მის უშუალო მოთხოვნილებას არ წარმოადგენს, ასეთი მოქმედება კი იძულებითი მოქმედებაა და არა თავისუფალი. ეს კი ნიშნავს, რომ ასეთი აღამიანი გაუცხოებული აღამიანია და არა თავისი ნებით, თავისი სურვილით მოქმედი აღამიანი, ასეთი მოქმედება ყოველთვის უსიამოვნოა და უინტერესო. სხვაგვარია ვითარება, როცა აღამიანი თავისი მოთხოვნილებებისა და რწმენის კარნახით მოქმედებს. ამგვარი მოქმედება ნამდვილად თავისუფალი მოქმედებაა, ხოლო ამგვარად მოქმედი აღამიანი თავისუფალი, თავისი ნებით მოქმედი აღამიანი.

ყოველივე ნათქვამი რომ შევაჯამოთ, შეიძლება ამგვარი დასკვნა გავაკეთოთ: ცოდნის, რწმენისა და პრაქტიკული მოქმედების ერთიანობის განხორციელება მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას და აღამიანისადმი, მისი აღზრდა-ფორმირებისადმი. ამ საქმეში პროპაგანდისტმა, გარდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნისა, უნდა გამოიყენოს ფსიქოლოგიის, ეთიკის, აქსიოლოგიის, სოციოლოგიის და სხვა მეცნიერებათა მონაცემები. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მთავალწევთ ცოდნის უტყველ გაღაზრდას რწმენაში ანუ ყველა საბჭოთა აღამიანის აღზრდას კომუნისტური იდეურობის, კომუნისმის საქმისადმი ერთგულების სულსკვეთებით.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა



რომან ხარბელია

გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების დაძლევის ზოგიერთი საკითხი

საბჭოთა კავშირი იმყოფება განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე, რომელიც კომუნის-მის წარმატებით მშენებლობის საფუძველია. როგორც წერს ვ. ი. ლენინი: „მხოლოდ სოციალიზმიდან დაიწყება სწრაფი, ნამდვილი, მართლაც მასობრივი მოსახლეობის უმრავლესობის, შემდეგ კი მთელი მოსახლეობის მონაწილეობით წარმოებული წინსვლა, საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ყველა დარგში“¹. განვითარებული სოციალიზმის დროს განუხრელად იქმნება პირობები მისი კომუნისში გადაზრდისათვის: მწარმოებლური ძალების გიგანტური განვითარება და წარმოებით ურთიერთობათა თანმიმდევრული სრულყოფა კომუნისტური წარმოების წესის უმაღლეს ფაზაზე გადასვლის აუცილებელი პირობაა. კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და შესაბამისი წარმოებითი ურთიერთობის დამკვიდრება გულისხმობს ისეთი საკაცობრიო მნიშვნელობის სოციალური პრობლემის გადაწყვეტას, როგორცაა გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების დაძლევა.

გონებრივი და ფიზიკური შრომა — ადამიანთა საქმიანობის ეს ორი მხარე — კლასობრივი საზოგადოების მთელი ისტორიის მანძილზე არა მხოლოდ გამოყოფილი იყვნენ ერთმანეთისაგან, არამედ ურთიერთდაპირისპირებაში, წინააღმდეგობაში იმყოფებოდნენ. მათ შორის წინააღმდეგობა წარმოიშვა წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებისა და ანტაგონისტური კლასების წარმოშობასთან ერთად. ფრ. ენგელსი წერდა: „ერთი რამ ცხადია, სანამ ადამიანის შრომა იმდენად ნაკლებ პროდუქტიული იყო, რომ მცირეოდენ ნაჭარბს იძლეოდა ადამიანისათვის აუცილებლად საჭირო საარსებო საშუალებებზე ზედიზე, საწარმოო ძალების გაძლიერება, კავშირურთიერთობის გაფართოება, სახელმწიფოსა და საპარტოლის განვითარება, ხელოვნებისა და მეცნიერების დაფუძნება მხოლოდ გაძლიერებული შრომის დანაწილებით იყო შესაძლებელი, რის საძირკველსაც წარმოადგენდა დიდი შრომის დანაწილება უბრალო ფიზიკური შრომით დატვირთულ მასებსა და მცირერიცხოვან პრივილეგირებულთა შორის, რომლებიც სამუშაოებს, ვაჭრობას, სახელმწიფო საქმეებს ხელმძღვანელობდნენ, ხოლო შემდეგ ხელოვნებისა და მეცნიერების დარგში იღწვოდნენ. ამ შრომის დანაწილების უმარტივესი სტიქიურად აღმოცენებული ფორმა სწორედ მონობა იყო“².

გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის მრავალსაუკუნოვანი დაპირისპირებულიობა თანდათან ძლიერდებოდა და მწვავედებოდა. წარმოების საშუალებებს მოკლებული ადამიანთა უმრავლესობის ხვედრი მძიმე, იძულებითი ფიზიკური შრომა იყო, გონებრივი შრომა კი გაბატონებული კლასების პრივილეგიას შეადგენდა. პირველი კლასობრივი წყობილების — მონათმფლობელობის შემდეგ, ფეოდალურ საზოგადოებაში ანტაგონისტური წინააღმდეგობა გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის კიდევ უფრო გაღრმავდა ქალაქის სოფლისაგან გამო-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 588.
² ფრიდრიხ ენგელსი, ანტი-დიურიჩი, გვ. 214, თბ., 1952.

ყოფისა და მათ შორის წინააღმდეგობის წარმოშობასთან დაკავშირებით. გონებრივი შრომა ფეოდალებისა და სასულიერო პირების მონოპოლია გახდა. გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის დაპირისპირებულობა უფრო მკვეთრად და სრულად გამოიხატა კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში, როდესაც იგი თავის გამოხატულებას პოულობს შრომის დანაწილებაში თვით წარმოების პროცესში. კაპიტალისტურ საზოგადოებაში წარმოების პროცესის ინტელექტუალური ძალების გამოყოფა ხელით შრომისაგან და კაპიტალის გაბატონება შრომაზე თავის დასრულებულ სახეს ლეზულობს.

იხილავდნენ რა შრომას ისტორიულ ასპექტში, მარქსიზმის კლასიკოსებმა ახსნეს, რომ გონებრივი და ფიზიკური შრომა ერთიანია თავიანთი ბუნებით და რომ ანტაგონისტური წინააღმდეგობა მათ შორის სოციალურ-კლასობრივი მოვლენაა და, შესაბამისად, ისტორიულად გარდამავალი ხასიათისაა, მათ ნათლად აჩვენეს, რომ შრომა არა მხოლოდ წყაროა მატერიალური და სულიერი სიმდიდრისა, არამედ არის ადამიანთა შემოქმედებითი ენერჯის გამოვლენის მთავარი საშუალება, საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველი. ადამიანთა შემეცნების, აზროვნების, მთლიანად პიროვნების განვითარება ხორციელდება შრომის უშუალო შემოქმედებით. შრომა, როგორც მიზანშეწონილი საქმიანობა, გამოხატავს ბუნებასთან ადამიანის ურთიერთობას. იგი წარმოადგენს ერთდროულად სულიერ და მატერიალურ პროცესს. წარმოება ყოველთვის ხორციელდება ადამიანთა ფიზიკური და გონებრივი მოღვაწეობის საშუალებით, ადამიანური შრომის ნამდვილი ბუნება მდგომარეობს საქმიანობის ამ ორი მხარის — გონებრივი და ფიზიკური შრომის — ორგანულ შეხამებაში. მათი სრული ერთიანობის გარეშე შეუძლებელია პიროვნების ჰარმონიული განვითარება.

გონებრივი და ფიზიკური შრომა საზოგადოებრივი და ინდივიდუალური შრომის ერთიანი პროცესის ორი მხარეა. მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლებმა, იკვლევდნენ რა საზოგადოებრივი განვითარების პროცესს, გვიჩვენეს ფიზიკური შრომის გადამწყვეტი როლი ადამიანის შეცნების ჩამოყალიბებასა და მის გონებრივ საქმიანობაში. ფიზიკური შრომა არის გონებრივი შრომის წარმოშობისა და განვითარების საფუძველი. თუმცა, მატერიალური სიმდიდრე და სულიერი ფასეულობანი ყოველთვის წარმოგვიდგებიან როგორც გონებრივი და ფიზიკური შრომის შეერთების შედეგი.

ცალმხრივი შრომა — როგორც ფიზიკური, ისე გონებრივიც — ეწინააღმდეგება პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას. გონებრივი და ფიზიკური შრომა ერთმანეთისაგან განსხვავდება არა მხოლოდ იმით, იხარჯება თუ არა ნერვული ან ფიზიკური ენერჯია, არამედ იმ ფუნქციითაც, რაც ეკისრებათ მათ შრომის საზოგადოებრივ სისტემაში. მათი ორგანული შერწყმა, პიროვნების ყოველმხრივი განვითარება, პრაქტიკულად შესაძლებელია მხოლოდ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისა და ჩაგვრის ლიკვიდაციის შემდეგ. წარმოების საშუალებათა გადაქცევა საზოგადოებრივ საკუთრებად სპობს დაპირისპირებულობას გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის. ეს უკანასკნელი სოციალისტური რევოლუციისა და სოციალიზმის მშენებლობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. ეკონომიკის სოციალისტური წყობის შექმნით აღმოიფხვრა გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის დაპირისპირებულობის სოციალურ-ეკონომიკური საფუძველი. აღნიშნული დაპირისპირებულობის სრული მოსპო-

ბა დაკავშირებულია შემდგომ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ გარდაქმნებთან, რომლებსაც შედეგად მოჰყვა სოციალიზმის გამარჯვება.

კომუნისტური საზოგადოების პირველ საფეხურზე თუმცა ისპობა დაპირისპირებულობა გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის, მაგრამ მათ შორის არსებითი გასხვავება რჩება იმდენად, რამდენადაც კიდევ არსებობენ კლასები. ეს კლასები არა ანტაგონისტური, არამედ მეგობრული კლასებია და მათ მიზანიც ერთი აქვთ — კომუნისტური საზოგადოების აგება. გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის განსხვავების არსებობა გამოხატავს მწარმოებლური ძალების განვითარების დონეს სოციალისტურ საზოგადოებაში. სოციალიზმის დროს ჯერ კიდევ შენარჩუნებულია შრომის დანაწილების ძველი ფორმები, ჯერ კიდევ მთლიანად არ მოსპობილა ვიწრო სპეციალიზაცია, შენარჩუნებულია შრომის დაყოფა კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ, მძიმე და მსუბუქ და ა. შ. შრომად. მნიშვნელოვნად განსხვავდება მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის შრომა.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების დაძლევა პირველხარისხოვანი პრობლემაა. „რა იქნებოდა, — წერდა ი. ბ. სტალინი, — მუშების ცალკეულ ჯგუფებს კი არა, არამედ მუშების უმრავლესობას რომ აემაღლებინა თავისი კულტურულ-ტექნიკური დონე ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალის დონემდე? ჩვენი მრეწველობა აყვანილი იქნებოდა ისეთ სიმაღლეზე, რომელიც მიუწევდომელია სხვა ქვეყნების მრეწველობისათვის. მაშასადამე, შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ტექნიკური პერსონალის დონემდე მუშების კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების გზით გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების მოსპობას არ შეიძლება პირველხარისხოვანი მნიშვნელობა არ ჰქონდეს ჩვენთვის“³.

სოციალიზმის დროს განუზომლად გაიზარდა მშრომელი მასების კულტურულ-ტექნიკური დონე, მიუხედავად ამისა, მუშებმა და კოლმეურნეებმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს ინჟინერ-ტექნიკური, აგრო და ზოოტექნიკური მუშაკების დონეს. განსაზღვრული ზომით ამით განისაზღვრება ინტელიგენციის, როგორც საზოგადოებრივი ფენის არსებობა, რომელიც გონებრივი შრომის მუშაკებს წარმოადგენს. ამასთან სოფლის მოსახლეობის კულტურულ-ტექნიკურ დონეს არ მიუღწევია ქალაქის მოსახლეობის დონისათვის.

გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების დაძლევა განსხვავდება მათ შორის დაპირისპირებულობის მოსპობის პროცესისაგან. დღეს ამ პრობლემების გადაწყვეტის გზები სხვაა, რამდენადაც სოციალისტურ საზოგადოებაში იგი გამომდინარეობს საზოგადოებრივი განვითარების თვისებრივად ახალი პირობებიდან. გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების დაძლევის პროცესი არ ხასიათდება კლასობრივი ბრძოლით და ძალადობით, არამედ ხორციელდება სოციალისტური ეკონომიკის კომუნისტურში გეგმაზომიერი გადაზრდის გზით და, ამ საფუძველზე, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური წანამძღვრების შექმნით. ეს პრობლემა, უპირველეს ყოვლისა, გადაწყდება მშრომელთა ზოგადსაგანმანათლებლო და ტექნიკური დონის, მათი კულტურის საყოველთაო ამაღლებით.

³ ი. ბ. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრინციპები სსრ კავშირში, თბ., 1953, გვ. 31.

გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების დაძლევა ობიექტური აუცილებლობაა. კომუნისმის მშენებლობა შესაძლებელია მხოლოდ მოსახლეობის ფართო მასების კულტურის ამაღლების საფუძველზე, ერთიანი შრომითი პროცესის გონებრივ და ფიზიკურ შრომად დანაწევრების ლიკვიდაციის საფუძველზე. სოციალისტურ საზოგადოებაში ფართო შესაძლებლობა არსებობს გონებრივი და ფიზიკური შრომის შეერთებისათვის როგორც წარმოებაში ისე მის გარეთ.

ვიღრე უშუალოდ განვიხილავდეთ გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაციის ძირითად გზებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტა ხდება სოციალიზმიდან კომუნისმში გადასვლის სხვა უმნიშვნელოვანეს პრობლემებთან ერთად, როგორცაა: კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და ამის საფუძველზე ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების მოსპობა, ახალი ადამიანის აღზრდა, შრომისადმი თითოეული მუშაკის კომუნისტური დამოკიდებულებით აღზრდა და სხვ. ყველა ეს პრობლემა ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებულა.

გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების დაძლევის ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური წანამძღვარია ტექნიკური პროგრესი და მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლება. ახალი ტექნიკის ბაზაზე წარმოების განვითარება და სრულყოფა, მისი კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია იწვევს ძირეულ ცვლილებებს შრომითს პროცესებში, აუცილებელი ხდება შრომის პროცესში ადამიანთა გონებრივი საქმიანობის პარმონული შეხამება ფიზიკურ საქმიანობასთან. წარმოებაში მკვეთრად მძლდება მძალკვალიფიციური მუშაკების — ინჟინერ-ტექნიკოსთა შრომის როლი. უშუალო შემსრულებელთა შრომა უფრო გააზრებული ხდება, — ეს კი მოითხოვს ძირეულ თვისებრივ ცვლილებებს მეურნეობის ყველა დარგის მუშაკთა კვალიფიკაციურ და პროფესიულ შემადგენლობაში. კადრების კვალიფიკაციის ზრდის აუცილებლობა გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების დაძლევის პრობლემის პრაქტიკული გადაწყვეტის ერთ-ერთი საშუალებაა.

ამგვარად, წარმოების სრულყოფა და მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლება ურთიერთდაკავშირებულნი და ურთიერთგანპირობებულნი არიან. სოციალიზმის დროს ტექნიკური პროგრესი შეეცაბამება მთლიანად საზოგადოებისა და მისი თითოეული წევრის სასიცოცხლო ინტერესებს. შრომის პროცესში მუშაკები იმაღლებენ თავიანთ კვალიფიკაციას, ეუფლებიან მომიჯნავე პროფესიებს, უფრო მეტი, მათი მოღვაწეობის სფერო სრულიადც არ შემოიფარგლება წარმოებრივ პროცესში მონაწილეობით: ბევრი საბჭოთა მუშა და კოლმეურნე ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მეურნეობრივი და კულტურული ცხოვრების აქტიური მონაწილეა.

ტექნიკურ პროგრესს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში თან ახლავს მუშაკთა კულტურულ-ტექნიკური დონის ზრდა, მათი კვალიფიკაციის ამაღლება, ხელით შრომასზე დამყარებული ძველი სპეციალობების მოსპობა და ა. შ. ახალი სპეციალობების დასაუფლებლად მუშებსა და კოლმეურნეებს უნდა ჰქონდეთ უმთავრესად საშუალო განათლება და კარგი ტექნიკური მომზადება.

პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს ჩვენი საზოგადოების მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებას. განუხრელად იზრდება



სახალხო მეურნეობაში დასაქმებული უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლების მქონე მუშაკთა რიცხოვნობა. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ნათელ წარმოდგენას იძლევა აღნიშნული კატეგორიის მუშაკთა რიცხვის. ზრდაზე მთლიანად კავშირის მასშტაბით და საქართველოს სსრ რესპუბლიკაში.

სახალხო მეურნეობაში დასაქმებული უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლების მქონე მუშაკთა რიცხოვნობა (ათასი კაცი)⁴

ცხრილი 1

წლები	ს უ ლ		მა თ შ რ ი ს			
			უმაღლესი განათლებით		საშ. სპეც. განათლებით	
	სსრკ	საქ. სსრ	სსრკ	საქ. სსრ	სსრკ	საქ. სსრ
1960	8784	191.8	3545	106.7	5239	84.5
1965	12066	248.4	4891	138	7179	110.4
1970	16841	324.9	6853	185.4	9988	139.5
1973	20361	364.1	8384	209.4	11977	154.7
1975	22447	405.6	9441	235	13306	170.6
1975 წელი 1960 წელთან %-ულად	258,8	236,6	269,4	221,7	254,1	202,3

როგორც ცხრილიდან ჩანს, მხოლოდ უკანასკნელ თხუთმეტ წელიწადში სახალხო მეურნეობაში დასაქმებული უმაღლესი განათლების მქონე პირთა რიცხვი გადიდა მთლიანად სსრ კავშირში 2,7-ჯერ, ხოლო საქართველოს სსრ-ში— 2,2-ჯერ. საშუალო-სპეციალური განათლების მქონე მუშაკთა რაოდენობა შესაბამისად — 2,5-ჯერ და 2-ჯერ.

მუშებისა და კოლმეურნეების საქმიანობაში ფიზიკური შრომა სულ უფრო ეხამება გონებრივ შრომას. რთული ტექნიკის სრულყოფილი დაუფლება განაპირობებს შრომის მაღალ კულტურას, რაციონალიზატორობას და გამომგონებლობას. ჩვენს ქვეყანაში განუხრელად იზრდება რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების რაოდენობა. მათი წინადადებების დანერგვა დიდ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა (იხ. ცხრილი 2).

სკკპ XXV ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ აუცილებელია სახალხო განათლებისა და პროფესიული მომზადების სისტემის განუწყვეტელი სრულყოფა, როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, „ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ახლა, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში. იგი წინანდელთან შედარებით სხვაგვარ ხასიათს ანიჭებს შრომას და, მამასა-დამე, შრომისათვის ადამიანის მომზადებასაც“. საქმე ისაა, რომ მსხვილი მანქანური ინდუსტრიის პირობებში მუშაკთა კვალიფიკაციის გააჩნია პრინციპულად ახალი თვისება, ვინემ ხელით შრომის პირობებში. მანქანური შრომის დროს კვალიფიკაციის დონე განისაზღვრება არა დამუშავების სირთულით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მანქანისა და შრომის საგნის სირთულით. წინა პლანზე წამოიწევა მუშაკთა მეცნიერულ-ტექნიკური მომზადება, რომლის გა-

⁴ ცხრილი (I) გაანგარიშებულია: СССР в цифрах в 1975 году, Краткий статистический сборник, М., 1976, стр. 184; Грузинская ССР в цифрах, в 1975 году, Тб., 1976, стр. 204.
⁵ სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976, გვ. 105.



საქსტატი
საქართველოში

გამომცემლობა და ჩვეთნაღმაცია სსსრ-ში მეურნეობაში*

ცხრილი 2

გამომცემლობა და ჩვეთნაღმაცის ჩვეთნაღმაცია	1965 წ.		1970 წ.		1971 წ.		1972 წ.		1973 წ.		1974 წ.		1975 წ.	
	სსრკ	საქ. სსრ	სსრკ	საქ. სსრ	სსრკ	საქ. სსრ	სსრკ	საქ. სსრ	სსრკ	საქ. სსრ	სსრკ	საქ. სსრ	სსრკ	საქ. სსრ
მეღმეულია (ათასობით)	4076	21,8	4591	27,4	4615	27,4	4733	27,7	4925	29,6	4900	29,5	5100	31,3
წამბოცაში დაწრტა (ათასობით)	2841	18,7	3414	21,4	3478	21,3	3561	21,5	3747	22,7	3820	23,3	3900	24,2
დაწმბოცა დაწრტევის (მლ. მან.)	147	1,2	229	2,0	247	2,2	261	2,2	286	2,2	291	2,4	310	3,3
დაწრტეული მეღმეულია (მლ. მან.)	1908	0,186	3004	0,27,5	3237	0,32,3	3411	0,31,6	3778	0,39,3	4391	0,41,7	4700	0,47,6

* СССР-ის ციფრები 1975 წ. სტრ. 72; Грузинская ССР-ის ციფრები 1975 წ. სტრ. 45.

ს. მარტვილაძე

რემე მას არ შეუძლია გაერკვეს გაწყობილობის, მანქანებისა და მექანიზმების მუშაობაში, ტექნოლოგიურ პროცესებში.

ავტომატიზებული წარმოების მუშაკთა კულტურულ-ტექნიკური დონე უახლოვდება ინჟინრისა და ტექნიკოსის დონეს, არაიშვიათად ძნელი გასარჩევია მათ შორის განსხვავება. ყველაფერი ეს ცვლის კადრების პროფესიულ შედგენილობას საზოგადოებრივი წარმოების ყველა დარგში.

გონებრივი და ფიზიკური შრომის ორგანული შეხამება კომუნიზმის მშენებელთა შრომის სულ უფრო დამახასიათებელი თვისება ხდება. შრომის პროცესში მუშის გონებრივი საქმიანობა ზოგჯერ აქარბებს კიდევაც ფიზიკურ საქმიანობას, ეს თავის გამოხატულებას პოულობს მუშაობის დაგეგმარებაში, ესკიზების შედგენაში, სამუშაო ადგილის ორგანიზაციის უფრო რაციონალური ფორმების შერჩევა-მოფიქრებაში და ა. შ.

ამასთანავე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გონებრივი და ფიზიკური შრომის ორგანული შერწყმა არ ნიშნავს სპეციალობათა გაქრობას ან ურთიერთშერწყმას, სრული კომუნიზმის დროს გაქრება ადამიანთა დაქვემდებარება შრომის ისეთი დანაწილებისადმი, რომელთანაც მიჯაჭვულია მუშაკი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, რომელიც ხელს უშლის მის ჰარმონიულ განვითარებას, მაგრამ შრომის დანაწილება და შრომითი საქმიანობის სპეციალიზაცია, როგორც ასეთი, არ ქრება.

გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების დაძლევის ზოგიერთი აქტუალური საკითხების შესახებ საინტერესო პრობლემები აქვთ დაყენებული საბჭოთა ეკონომისტებსა და ფილოსოფოსებს ვ. ი. ელშევეს⁷, ი. ა. მაკაროვს⁸, ე. ა. მანევიჩს⁹, ს. პ. მეჩევეს¹⁰, ა. კ. კურილევის¹¹, დ. ა. პარფენოვის¹², ა. ნ. პოპოვისა¹³ და სხვ.

გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების დაძლევის ერთ-ერთ ეკონომიკურ წინამძღვრად გვევლინება შრომითი ჩვევების ყოველმხრივი განვითარება და შრომის სპეციალიზაცია. კომუნისტური მშენებლობის პროცესში ყველა სპეციალობის, პროფესიის მომუშავეთა საქმიანობაში გადამწყვეტ როლს შეასრულებს გონებრივი მოღვაწეობა, ხოლო ფიზიკური საქმიანობა მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. ადამიანის გონებრივი და ფიზიკური შრომის ასეთი ორგანული შერწყმა მოხდება იმ არსებითი ცვლილებების საფუძველზე, რომელსაც დღეს განიცდის ადამიანის წმინდა გონებრივი და წმინდა ფიზიკური საქმიანობა. ამასთან, კომუნიზმი სპობს არა პროფესიებსა და სპეციალობებს საერთოდ, არამედ მხოლოდ იმ პროფესიებსა და სპეციალობებს, რომლებიც არ შეიცავენ ინტელექტუალურ შინაარსს, რომლებიც

⁷ В. Я. Ельмеев. и др. Коммунизм и преодоление разделения между умственным и физическим трудом. Л., 1965.

⁸ Ю. А. Макаров. Пути преодоления социально-классовых различий, Саратов, 1973.

⁹ Е. А. Маневич. Труд умственный и физический в период развернутого строительства коммунизма, М., 1967.

¹⁰ С. П. Меचेv. Преодоление противоположности и существенных различий между умственным и физическим трудом, М., 1967.

¹¹ А. К. Курилев. Преодоление существенных различий между умственным и физическим трудом — проблема строительства коммунизма, М., 1963.

¹² Д. А. Парфенов. Умственный и физический труд в СССР, М., 1964.

¹³ А. Н. Попов. Труд умственный и физический, Воронеж, 1972.



მოითხოვენ დიდ ფიზიკურ დატვირთვას. წარმოების სრულყოფა ახალი ტექნიკის ბაზაზე, მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლება, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ზრდა, სამუშაო დროის ხანგრძლივობის შემცირება, კომუნისტური აღზრდის გაძლიერება უკვე გახდა მასობრივი მოვლენა, როდესაც რიგითი მუშაკები, მუშები და კოლმეურნეები ხდებიან რაციონალიზატორები, გამომგონებლები, წარმოების ხელმძღვანელები და ორგანიზატორები, სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწენი. თავის მხრივ, ინტელექტუალური შრომის წარმომადგენლები სულ უფრო მონაწილეობენ უშუალო წარმოებაში, უახლოვდებიან პრაქტიკას, შედიან წარმოების პროცესში.

საბჭოთა სახელმწიფო დამყარებულია მასების უდიდეს აქტიურობაზე სახელმწიფოებრივი მმართველობის საქმეში მშრომელთა ჩაბმავზე „...საბჭოთა ხელისუფლება, — წერდა ვ. ი. ლენინი, სხვა არ არის რა, თუ არა ორგანიზაციული ფორმა პროლეტარიატის დიქტატურისა, რომელსაც ახალ დემოკრატიამდე, სახელმწიფოს მმართველობაში დამოუკიდებელ მონაწილეობამდე აკყავს მშრომელთა და ექსპლუატირებულთა ათეული და ათეული მილიონები...“¹⁴. სახელმწიფოს მმართველობაში მშრომელთა ფართო მასების უშუალო მონაწილეობა, სოციალისტური საზოგადოების განვითარებასთან ერთად, სულ უფრო ფართოვდება და სრულყოფილი ხდება.

შრომის გამოცვლა ხელს უწყობს ადამიანის მრავალხმრივი შესაძლებლობის განვითარებას. კომუნისზმის დროს იქნებიან მეცნიერებიც, მწერლებიც, არქიტექტორებიც, მუსიკოსებიც და სხვა სპეციალისტებიც, მაგრამ ამასთან საზოგადოების ყველა წევრი ყოველმხრივ განვითარებულნი იქნებიან. ტექნიკური ცოდნის მაღალი დონით, რომლის ძალითაც ერთნაირი წარმატებით შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ როგორც მატერიალურ, ისე მომსახურების სფეროში, აგრეთვე ადამიანური მოღვაწეობის სხვა სფეროებშიც.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მატერიალური წარმოების სფეროში იწვევს ფიზიკური შრომის შინაარსისა და ხასიათის, მისი სტრუქტურისა და ფუნქციის შეცვლას, მიიმე ფიზიკური შრომის ლიკვიდაციას შრომის ელექტროალტურვილობის ამაღლების, მანქანების გამოყენების საფუძველზე, არაკვალიფიციური და ნაკლებადკვალიფიციური შრომის თანდათანობით შემცირებას, მაღალკვალიფიციურ მუშათა ხედრიწონის განუზრელ ზრდას.

გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების მოსპობის პროცესი თავის გამოხატულებას პპოულობს მუშათა და გლეხთა მასების საზოგადოებრივ, მეცნიერულ საქმიანობაში ჩაბმით. სოციალიზმმა შრომა დააყენა საპატიო ადგილზე. თუ წინათ ექსპლოატატორულ საზოგადოებაში შრომა სოციალური კიბის უკანასკნელ საფეხურზე იდგა, ამჟამად სოციალიზმის პირობებში იგი გადაიქცა ღირსების, მამაცობისა და დიდების საქმედ.

სოციალისტური წარმოების პირობებში, როდესაც შრომა საყოველთაო ხდება და სულ უფრო იქცევა ადამიანის პირველსასიცოცხლო მოთხოვნილებად, გონებრივი და ფიზიკური შრომის მუშაკებს შრომის მონაცვლეობისა და გამრავალფეროვნების არნახული შესაძლებლობები ექმნებათ. მატერიალური წარმოების სფეროში მუშაობის შემდეგ, განსაკუთრებით — ხუთდღიან სამუშაო

¹⁴ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 27, გვ. 313 (ხაზგასმა ჩემია—რ. ხ.).

მათ ვერაზე გადასვლასთან დაკავშირებით, მშრომელები აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ საქმიანობაში, იმალებენ კვალიფიკაციას, გონივრულად ისვენებენ და ა. შ.

სოციალიზმი თავისი განვითარების ობიექტური მსველელობით ფართო ასპარეზს ქმნის შემოქმედებითი შრომისათვის, ადამიანის უნარის ყოველმხრივი განვითარებისათვის, რის საფუძველზეც ფართოვდება გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების დაძლევის შესაძლებლობა.

მეცნიერული გამოკვლევები¹⁵ ადასტურებენ რომ რაც მალაია მუშაკთა კვალიფიკაციის, ასევე საერთო განათლების დონე, მით უფრო შემოქმედებითია, ინტენსიური და მაღალმწარმოებლურია მათი შრომა.

უდავოა, რომ შრომისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება შეიძლება გამოვლინდეს ნებისმიერ წარმოებრივ კოლექტივში, მაგრამ მშრომელთა ნამდვილი შემოქმედება შესაძლებელია მხოლოდ ისეთ საზოგადოებაში, რომელიც თავისუფალია ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან.

წარმოებრივ საქმიანობაში მუშათა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებაზე შეიძლება ვიმსჯელოთ, მაგალითად, მუშათა კლასის რიგებში გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების რიცხვის ზრდით, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე ვეჭონდა საუბარი, რაციონალიზატორობისა და გამომგონებლობის ზრდა შეიძლება მივიჩნიოთ როგორც გონებრივი და ფიზიკური შრომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანი, რაციონალიზატორობისა და გამომგონებლობის მასობრივი ხასიათი იმის შესახებ მეტყველებს, რომ ის უკვე აღარ არის მხოლოდ გონებრივი შრომის მუშაკთა პრივილეგია.

გონებრივი და ფიზიკური შრომის ურთიერთდაახლოება, ურთიერთშერწყმა სრულიადაც არ გულისხმობს მათ შორის ყოველგვარი განსხვავების მოსპობას. საკითხი ეხება არა საერთოდ გონებრივი და ფიზიკური შრომის განსხვავების მოსპობას. კომუნისტური საზოგადოების უმაღლეს ფაზაში გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავება გაქრება, მაგრამ შენარჩუნებული იქნება არარსებითი სახის განსხვავებანი, რომლებიც დაკავშირებულია ფიზიკური და გონებრივი საქმიანობის ბუნებრივ განსხვავებასა (თუმცა მოღვაწეობის ეს სახეები ერთიმეორეს ავსებენ) და საზოგადოების მეურნეობრივ-შრომითი ორგანიზაციის სპეციფიკასთან (შენარჩუნებული იქნება საწარმოთა მართვის, ხელმძღვანელობის ფუნქცია).

სკვპ პროგრამაში ნათქვამია, რომ „კომუნიზმის გამარჯვების შემდეგ ადამიანთა საწარმოო საქმიანობაში მოხდება გონებრივი და ფიზიკური შრომის ორგანული შეერთება. ინტელიგენცია აღარ იქნება ცალკე სოციალური ფენა. ფიზიკური შრომის მუშაკები თავიანთი კულტურულ-ტექნიკური დონით გონებრივი შრომის ადამიანთა დონეს მიაღწევენ“¹⁶.

როგორც აღნიშნული გეჭონდა, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების დაძლევის გადაწყვეტაში დიდი და რთული პრობლემაა შრომის ცალმხრივობის ლიკვიდაცია. შრომის ცალმხრივობის დაძლევისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პროფესიათა შეთავსების, მრავალდაზვოსნობის ფართოდ განვითარებას, აგრეთვე კომპლექსური ბრიგადების ორგანიზაციას, რომელთა წევრები ფლობენ რამდენიმე პროფესიასა და სპეციალობას. ამ მუ-

¹⁵ В. П е р е в е д е н ц е в. Рабочие в зеркале социологии. — «Литературная газета», 1967, 22 ноября, с. II.

¹⁶ სკვპ პროგრამა, გვ. 70, თბ., 1961.

შაკებმა შეიძლება შეცვალონ ერთმანეთი, ისინი უკვე სამუდამოდ აღარ არიან მიჯაჭვულნი ერთ პროფესიასა და სპეციალობას.

გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების დამლევად-ში გადამწყვეტ როლს თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის სოციალიზმის უპირატესობებთან შეერთება ასრულებს. „მეცნიერულ ტექნიკური რევოლუცია მხოლოდ სოციალიზმის პირობებში იქნის სწორ მიმართულებას, რომელიც შეესაბამება ადამიანისა და საზოგადოების ინტერესებს. თავის მხრივ, მხოლოდ მეცნიერებისა და ტექნიკის დაჩქარებული განვითარების საფუძველზე შეიძლება გადაიჭრას სოციალური რევოლუციის საბოლოო ამოცანები აშენდეს კომუნისტური საზოგადოება“¹⁷. განვითარებული სოციალიზმის პირობებში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის წამყვანი როლის, ავტომატიზაციის შედეგები ძირეულად ცვლიან წარმოების პროცესში ადამიანისა და ტექნიკის ურთიერთობას, თვისებრივად გარდაქმნიან ადამიანთა შრომის შინაარსს, იწვევენ არსებით პოზიტიურ ცვლილებებს მუშათა კლასში. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია სოციალიზმის პირობებში ძირეულად ცვლის მატერიალური წარმოების სფეროში მუშათა კლასის საქმიანობის შინაარსს, მოითხოვს მათი კვალიფიკაციისა და განათლების დონის არსებულ ამაღლებას, მუშათა შრომის გამდიდრებას მეცნიერული მიღწევებით. სოციალიზმის დროს ადამიანის შრომა იღებს მატერიალურ-სულიერ ხასიათს, სხვანაირად რომ ვთქვათ, სოციალიზმის პირობებში ტექნიკური პროგრესი ჰუმანიური ხასიათის მატარებელია, რამდენადაც იგი ადამიანებს შემოქმედების, თვითგანვითარებისათვის ფართო ასპარეზს უქმნის.

მხოლოდ კომუნისტური წარმოების წესს შესწევს უნარი მატერიალური წარმოების ავტომატიზაცია მიიყვანოს ლოგიკურ ბოლომდე — ადამიანი თავის ფუნქციებს გადასცემს ავტომატიზაციის განვითარების კვალობაზე ავტომატებს და თვითონ არსებითად პირველად განთავისუფლდება მასობრივი წარმოების უშუალო პროცესისაგან. შესაბამისად გაქრება არსებითი განსხვავება გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის, რაც ადამიანთა შორის კლასობრივი განსხვავების ერთ-ერთი მთავარი საფუძველია. მხოლოდ კომუნისტური საზოგადოების უმაღლესი ფაზის საბოლოო დამკვიდრებით დაიძლევა არსებითი განსხვავება გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის, უზრუნველყოფილი იქნება პიროვნების სრული გაფურჩქვნა, მისი ფიზიკური და სულიერი ძალების ყოველმხრივი განვითარება.

¹⁷ სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976, გვ. 64.



156 კუნიცხი

ადამიანის უამრავი ფილოსოფიური მდგომარეობის პრობლემა

კრეაციონისტული ანთროპოლოგიის წინამძღვრები, მარქსიზმ-ლენინიზმის ფილოსოფიას როგორც ეპოქის ასახვასა და მუშათა მოძრაობის პროგრამას განვითარების საკუთარი, შედარებით ავტონომიური ლოგიკა აქვს. შედარებით, რადგანაც იგი როგორც თავისი კლასის სიტუაციისა და იდეურ-პოლიტიკური მიზნების ასახვა უპირატესად ისეთ კვლევამეთოდს ამოცანებს სვამს, რომლებიც უმჭიდროესადაა დაკავშირებული მუშათა მოძრაობასთან. რამდენადაც ეს მოძრაობა რევოლუციურია და შემოქმედებითი, ამდენად იგი კოლექტიურია — მთელ კაცობრიობას, მისი ისტორიული მისწრაფებების განხორციელებას ემსახურება; ამდენადვე მარქსიზმი ისტორიის თანამედროვე ეტაპის თვითნობიერებასაც გამოხატავს: მუშათა კლასი და მისი ფილოსოფოსები, ახორციელებენ რა პროლეტარიატის მისიას, იმავდროულად კაცობრიობის ამოცანებსაც წყვეტენ.

დღეს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქცა საზოგადოებრივი ადამიანის დაცვა და განვითარება, როდესაც ბურჟუაზია თეორიის უკანასკნელ სიტყვად „ადამიანის სიკვდილს“ აცხადებს. ფართო ისტორიული გამოცდილების მიუხედავად კაპიტალიზმს არ ძალუძს ადამიანური სინამდვილის ფილოსოფიური ტოტალიზაცია და, თუმცა ჯერ კიდევ შეაქვს ღირებული წვლილი ადამიანის შემსწავლელ კერძო მეცნიერებებში, ხშირად ავითარებს მათ ისტორიოსოფიული პერსპექტივის საპარისპიროდ ანდა მის „ნაცვლად“. ასეთ სიტუაციაში მხოლოდ მარქსიზმს შეუძლია მთელი ადამიანური გამოცდილების ინტეგრირება და ადამიანის ძალისა და სიბრძნის დაცვა, განვითარება და განმტკიცება. ასახვითა და პროეციებით განხორციელებული ეს ინტეგრაცია დაკავშირებულია ახალი ადამიანური სინამდვილის შექმნასთან სოციალიზმი მოადგა ისეთ ეტაპს, რომელზეც პიროვნებისა და ინდივიდუალობის ფორმირება უპირველეს ამოცანად იქცა. ამ ამოცანებისა და საზოგადოებრივი მოთხოვნების შექმნე განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს თანამედროვე ფილოსოფიური ანთროპოლოგიის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, როგორც მეცნიერება იგი უდავოდ განვითარების საწყის ეტაპზეა.

ბურჟუაზიული მიმდინარეობანი, როგორც შემდგომ ვაჩვენებთ, ვარდებიან გადაუწყვეტელ ანტიომიებში, ურთიერთს გამორიცხავენ ადამიანის მოღვაწეობის განსხვავებულ მხარეთა ვაბსოლუტების გამო და თავს ვერ აღწევენ სპეკულაციურ ჰუმანიზმს ან თეორეტიკულ ანტიჰუმანიზმს. ამ ვითარებას საკმაოდ დამაჯერებლად უთითებს ლუსიენ სევი: ერთი მხრივ, ეგზისტენციალიზმის სპეკულაციური ჰუმანიზმი, რომელიც საფრანგეთში ომის შემდგომ წლებში გაბატონდა, აცხადებს სუბიექტურობის პრიმატს როგორც მეთოდოლოგიური, ასევე ონტოლოგიური თვალსაზრისით; მეორე მხრივ, სტრუქტურალიზმი, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, რაც ავიწროებს ეგზის-

ტენციალისტურ მოდას, გამოდის უპიროვნო ობიექტური სტრუქტურებიდან და ცდილობს ადამიანის „დაშლას“ და არა მის ინტეგრაციას, ბოლოს კი მოდის ადამიანის თეორიული სიკვდილის ლოზუნგამდე: „ადამიანი თანდათან ქრება“, — წერს მ. ფუკო.

ლევინ-სტროსი ხელშეწყობას მენციერების პრინციპებით და ცდილობს ანთროპოლოგიის სპეკულაციურობის დაძლევას, მაგრამ მისი მენციერება პოზიტივისტური სულისკვეთებისაა. და მაინც შესამჩნევია, რომ სევი სწორედ ამ მხრივ მოექცა სტრუქტურალისტების საკმაოდ მძლავრ გავლენაში, როცა ლევინ-სტროსის ნააზრევი ანთროპოლოგიის მენციერებად გადაქცევის სერიოზულ ცდად მიიჩნია; ამას იგი ამბობს მიუხედავად იმისა, რომ თვითონვე ხაზგასმით აღნიშნავს მის თეორეტიკულ ანტიპუმანიზმს, რომელსაც სამართლიანად განსაზღვრავს როგორც ბურჟუაზიული კონფორმიზმისა და ტექნიკრატიზმის იდეოლოგიას.

ვფიქრობთ, რომ სევი იდეოლოგიის სფეროში ქრისტიანობას, უფრო ზუსტად, პერსონალიზმს ემხრობა და წერს კიდევ მარქსიზმისა და კათოლიკური აზრის როგორც მსხვილი მონოპოლიებისაგან ფილოსოფიის დამცველთა კავშირის საკურობების შესახებ. მეორე მხრივ, სევი არცთუ თანმიმდევრულად აქებს მენციერებამდელი ფილოსოფიის დაძლევის პენციერულობის სტრუქტურალისტური კონცეფციით, რომელიც ცდილობს ადამიანის მთელი პრობლემატიკის გადატანას სპეკულაციური სფეროდან მეცნიერული ანალიზის სფეროში. ყოველ შემთხვევაში, სევის აზრით, სტრუქტურალიზმი წარმოადგენს მწვერვალს ბურჟუაზიული ანთროპოლოგიისას. ბოლო დროს მას არღვევს სუბიექტურობის აბსოლუტიზაციისა (სპეკულაციური ჰუმანიზმისა) და უპიროვნო სტრუქტურების (თეორეტიკული ანტიპუმანიზმის) ანტინომია. ეს ანტინომია შეიმჩნევა ეგზისტენციალიზმისა და სტრუქტურალიზმის გავლენაში მარქსისტულ აზროვნებაზე. პირველმა, სხვადასხვა ტრანსფორმაციების მისადაგებთა და ფორმის ნააზრევის გამოყენებით, შექმნა სპეკულაციური ჰუმანიზმის განსაკუთრებული ვარიანტი, რომლის უპირველეს წარმომადგენლად სევი თვლის ა. შუეს იმის გამო, რომ მან ამოსავალ პუნქტად მიიჩნია პირიველების პირველადობა; ხოლო სტრუქტურალიზმის უეჭველი გავლენა ემჩნევა ალტუსერისა და მისი წრის თეორეტიკული ანტიპუმანიზმის ფორმულას. სწორედ ამ ანტინომიის დაძლევის მიზნით წამოიწყო ფრანგმა მარქსისტმა საკუთარი კვლევა-ძიება.

ჩვენი აზრით, მარქსისტული ფილოსოფიური ანთროპოლოგია უნდა აიგოს ისტორიული მატერიალიზმის საძირკველზე, — ეს ცხადია. მაგრამ მან თვითონაც უნდა გააცნობიეროს ისტორიული მომენტი, თავისი საკუთარი განვითარების პროცესი და ძირითადი საზოგადოებრივი გამოცდილების აქტუალური ტენდენციები. მართლაც, შეუძლებელია ადამიანის შემეცნება ზოგადად, გარკვეული ისტორიული გამოცდილების როგორც ერთგვარი ათვისის წერტილის გარეშე. ჩვენ მუდამ ისტორიაში ვიმყოფებით, ამიტომაც მას შიგნიდან ვუყურებთ და ასევე ისტორიული პროცესის შიგნიდან ვვკრებთ ადამიანურობას, ადამიანის რაობას მაგრამ როცა რაობის, არსის საკითხს ესაჯიშთ ჩვენ ვეძებთ უნივერსალურ ფაქტორს, რომელიც მუდამ ვლინდება ისტორიაში, თუმცა სცილდება ყოველი ისტორიული მომენტის ფარგლებს. ადამიანის დიალექტიკა არის დიალექტიკა მისი, თუნდაც რამდენიმე, უნივერსალური არსისა და ცვალებადი ისტორიული არსებობისა; ამასთან, არც არსი,

არც არსებობა არ დაიყვანება საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობაზე, თუმცა ეს უკანასკნელი განსაზღვრავენ არსსაც, არსებობასაც და წარმოადგენენ ერთ-ერთ დეტერმინანტს ადამიანური სინამდვილის დანარჩენ შემადგენელ ელემენტებთან — სომატურ სფეროსა და ცნობიერების სფეროსთან ერთად, რაც განსაკუთრებულად აქტიურ, ნიადავ მზარდ როლს თამაშობს. ადამიანის არსი შეიმეცნება მისი ერთობლივი ქმნისას, — ეს უნივერსალური წესია, რომლის ამკარად და პროგრამის სახით ფორმულირება მხოლოდ კრეაციონიზმს შეუძლია. ეს წესი უნივერსალურია იმიტომ, რომ ადამიანის წმინდობის ფილოსოფია მუდამ გამომდინარეობდა რომელიმე ადამიანური პრაქტიკიდან, მეორე კი რამდენადმე განსაზღვრავდა პირველის მიზნებს. მისი შეგნებულად მიღება, შეიძლება, სულ ცოტა, ორი გარემოების გამო. 1) ვინაიდან ადამიანური პრაქტიკის მიზანი ამჟამად არის ახალი ადამიანის და, თანაც, სწორედ შემოქმედი ადამიანის შექმნა; 2) ვინაიდან კრეაციონიზმის ისტორიის ფილოსოფია და მეთოდოლოგია შემოქმედების პროცესში ავლენს ადამიანობის ახალ დემონსტრაციას და შემოქმედებით მეთოდოლოგიურ წესებში ხედავს ახალი საზოგადოების ძირითად პრინციპებს.

თანამედროვე სოციალისტური საზოგადოებრივი ვარაქმნები — კომუნისტური ცივილიზაციის მშენებლობის საწყისები — წარმოადგენენ ძირითადს, უფრო სწორედ, უნდა წარმოადგენდნენ მთავარ გამოცდილებას, რომელიც უნდა განაზოგადოს ახალმა ფილოსოფიამ. იმიტომ სწორედ მარქსისტ ფილოსოფოსებს ესახებათ დიდი შესაძლებლობანი თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტაში, თუკი ისინი მართლაც არიან მარქსიზმის განვითარების დღევანდელი ეტაპის — ლენინური ეტაპის ნამდვილი მოაზროვნენი. სწორედ ასეთ პერსპექტივაში არის დღეს განსაკუთრებით საჭირო ფილოსოფიური ანთროპოლოგია როგორც ადამიანური გამოცდილების ინტელექტუალური ტოტალიზაცია და ადამიანის პრიზმაში გადატეხილი მთელი ეპოქის ტოტალიზაცია. სწორედ ტოტალიზაცია, რადგან კერძო მეცნიერებებს, რომლებიც ხშირად წარმატებით ვითარდებიან ბურჟუაზიული კულტურის წრეშიც, შეუძლიათ მოიციან სინამდვილის მხოლოდ ცალკეული ელემენტები, ასპექტები, მხარეები, სფეროები; ტოტალური ცოდნისა და შესაბამისი პროგრამის მოცემა მართლდენ ფილოსოფიას და მის პრაქტიკულ შესატყვისობას — პოლიტიკას შეუძლია.

ფილოსოფიური ანთროპოლოგია, საჭიროა როგორც მეცნიერება, — ეს ნიშნავს, რომ ადამიანის მეცნიერული გამოკვლევის, მისი ინდივიდუალურ-საზოგადოებრივი განვითარებისა და ცხოვრების კანონთა აღმოჩენის ამოცანები, ნაწილობრივ ახალი სინამდვილითა და ახალი პროგრამით ნასაზღვრები, ახალი პრობლემატიკის ნიადაგზე უნდა დაისვას. ეს გაცილებით მეტია ვიდრე პრობლემა ადამიანის შესახებ ჭეშმარიტი ცოდნისა, რასაც ათასობით და მილიონობით კერძო ჭეშმარიტებათა სახით გვაწვდიან სხვადასხვა მეცნიერებანი, ხელოვნება და ყოველდღიური ცოდნაც კი. ვგულისხმობთ ობიექტური ცოდნის ისეთ სისტემას, რომელიც მაქსიმალურად სარწმუნო და მეცნიერული პროგნოზისა და გვეგური განვითარების საშუალების მომცემი იქნება. საკითხი, რომელიც შემდგომ განიხილება, შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ: რაოდენ არის შესაძლებელი მეცნიერება ადამიანის შესახებ?

ადამიანი და მისი არსი, მისი ძირითადი კანონი. ცნობილია, რომ მარქსისტულ ფილოსოფიაში უპირატესად განვითარებულია ადამიანის კვლევის სო-

ციალური ასპექტი, რაც, ერთხანს, ჩვენი ფილოსოფიის სპეციფიკას, თანამედროვე აზროვნებაზე მისი მეცნიერული ზეგავლენის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა. ეს იყო ნორმალური (თუმცა მხოლოდ რამდენადმე) დიალექტიკური რეაქცია ანთროპოლოგიზმის, ნატურალიზმისა და ფსიქოლოგიზმის მიმართ. მაგრამ ადამიანის ონტოლოგია უნდა ისწრაფვოდეს, რათა ყოველმხრივ მოიცვას ერთობლივი ადამიანური სინამდვილე, ამიტომ, უნდა მივეუთოთ ადამიანის სამ „ფენას“ — სამი განსხვავებული ონტიური სტატუსით:

- ა) სხეულებრიობა — მატერიალური სტატუსით,
- ბ) სოციალურობა — სოციალური სტატუსით,
- გ) ფსიქიკა — იდეალური სტატუსით.

ერთგვაროვანი სინამდვილის ასეთი „დაშლა“ ანალიზის გზით და სამი სხვადასხვა ეპისტემური საგნის დადგენა, რომელნიც ნამდვილად ერთ ონტიურ საგანს შეადგენენ, არ არის დამოკიდებული ცალკეული ფენების სტატუსთან დიფერენციაციაზე. აქვე ითქმის, რომ ადამიანის თავისებურება გამოიხატება არა მხოლოდ ზემოაღნიშნული ფენებით, არამედ, პირველ ყოვლისა, ფენების შინაგანი ურთიერთშუალობით, მათი სამყაროსთან დამოკიდებულებით. ამყამად უკვე თვალსაჩინოა და, საყოველთაო აღიარების გამო, ბანალურიც კია აზრი, რომ შეუძლებელია ადამიანის სხეულისა და ფსიქიკის გაგება, თუ მათ განვიხილავთ საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარეშე. საჭიროა ამ აზრის შევსება იმით, რომ შეუძლებელია ადამიანის სოციალური ასპექტის გაგება, მისი სხეულებრივი, მატერიალური საგნობრიობისა და შინაგანი ფსიქიკური სამყაროს გაუთვალისწინებლად.

გავიხსენოთ ეს საერთო კონსტატაციები, რათა კიდევ ერთხელ აღინიშნოს ანთროპოლოგიური ანალიზებისა და მათი შედეგების სინთეზის განსაკუთრებული სიმწლე. მათი „მრავალფენიანობა“ და „მრავალასპექტიანობა“ იმისდა მიხედვით, საერთოდ ადამიანს ვსწავლობთ თუ პიროვნებას, ინდივიდუალობას. ყოველი კერძო შემთხვევა სხვაგვარად წარმოგვიდგენს საპირისპირო პოლუსს (სამყაროს, „საერთოდ“ საზოგადოებას, საზოგადოებრივ ჯგუფს) ანუ საგანს, რომელთანაც სუბიექტი დეკავშირებულია დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის უზოგადესი ურთიერთობით. დროებით შემოვიფარგლოთ ამ უზოგადესი ურთიერთობით.

დაისმის კითხვა: რა თეორიული და პრაქტიკული სარგებლობა უნდა მოვიპოვოთ წამოყენებული თეზისიდან, რომ ადამიანის ყველაზე ზოგად, ელემენტარულ არსს წარმოადგენს გარემომცველ სამყაროსთან მისი ერთიანობისა და ბრძოლის ურთიერთობა? ეს თეზისი სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთობის არამარქსისტული გაგების სამი ტიპის (ავნოსტიციზმის, ტრანსცენდენტური იდეალიზმისა და დაუძლეველი ანტიომიურობის ონტოლოგიის (დიალექტიკური დაძლევა და საშუალებას გვაძლევს ავირიდოთ ნეოპოზიტივიზმის, ფენომენოლოგიისა და ეგზისტენციალური უარყოფის ჩიხი და მცდარი ძიებანი. მაგრამ მისი კონსტრუქციული ღირებულება ჯერ კიდევ არ განსაზღვრულა, ვინაიდან ესაა ზოგადი ჰეშმარიტება — აბსტრაქციის უდიდესი ხარისხით „არსთა არსის“, დაბალი „დონის“ არსის ან სხვა ამდაგვარის აღმოჩენა (აქ თავს იჩენს მოუწყვსრივებელი ტერმინოლოგია. — ამ შემთხვევაში, წმინდა ტექნიკური, — რაც კიდევ ართულებს ამოცანას), უნდა გახდეს ამოსავალი პუნქტი ელემენტარული

ონტოლოგიური „წესრიგის“ დამყარების აზრით; და მაინც ეს არ გვიჩვენებს შემდგომ გზას, მით უმეტეს — პრაქტიკული მოქმედების პრინციპებს. ამრიგად, ეს ჩერკერობით „წმინდა“ თეორიული ჭეშმარიტებაა და მისი აბსტრაქტული შემეცნებითი ღირებულება შემოზღუდავს „გამოყენების უნივერსალობას“. თუ ადამიანი მუდამ იმყოფება სამყაროსთან ბრძოლასა და ერთიანობაში, მაშინ რისი ქმნა შეუძლია მას, როგორი უნდა იყოს მისი ცნობიერება და ქმედება? ვინ იქნება XXI საუკუნისა და შემდგომი საუკუნეთა ადამიანი? — ეს კითხვები, თითქმისდა აშკარად მიმართული მომავლისაკენ, შესაძლოა უწინარესად ესებოდეს თანამედროვე ადამიანის, მისი არსის სიღრმისეულ გაგებას. პასუხს უნდა უძღვოდეს ადამიანური ბუნების გარკვეული კონცეფცია და ადამიანთა მოდგმის აქტუალური სიტუაციის გაგება. ეს არის ჩვენს წინაშე წამოჭრილი უძნელესი საკითხთაგანი, ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა.

ადამიანის რევოლუცია. ადამიანის არსს წარმოადგენს მისი ბიოლოგიური და ფსიქიკური სტრუქტურების განსაკუთრებული კავშირი და მისი ურთიერთობა სამყაროსთან, რაც განისაზღვრება საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობით. ადამიანი ბიოლოგიურად თითქმის არ იცვლება, მაგრამ სულ უფრო განიცდის საზოგადოებრივ გარდაქმნებს; ამიტომაც ადამიანი, პირველ ყოვლისა, არის საზოგადოებრივი არსება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ XXI საუკუნის ადამიანები იქნებიან ისეთნი, როგორც იქნება იმდროინდელი საზოგადოება, როგორც იქნება მისი კულტურა.

მაგრამ მომავალი არც ავტომატურად — მუდმივი კანონების ძალით — გვეძლევა და არც მხოლოდ ნებისყოფის პროდუქტს წარმოადგენს, არამედ იგი საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური ტენდენციებისა და ადამიანთა ორგანიზებული ცნობიერების შედეგია. ამის გამო, XXI საუკუნის ადამიანს ჩამოაყალიბებს ცივილიზაციის განვითარება და კულტურის გაბატონებული იდეები. ადამიანთა ცნობიერება მოიპოვებს სულ უფრო მეტ მნიშვნელობას, — ამ პრობლემის მიმართაც კი შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვანი შემოწმებადი ჰიპოთეზის პრინციპი. ჩვენს პირობებში ადამიანი იძენს სუბიექტურ წინამძღვრებს, რათა გახდეს ისეთი, რაგვარად ყოფნაც სურს და რაგვარადაც მეცნიერულად, გონიერულად დაიპროგრამებს თავს. სხვარიგად რომ ვთქვათ: ჩვენი ფილოსოფოსები, სოციოლოგები, პედაგოგები; ასევე, ბიოლოგები, ანთროპოლოგები და ექიმები — თუ როგორი ადამიანის ნიმუშს შეიმუშავენ, ამაზე მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული, აგრეთვე, ადამიანის ნამდვილი მომავალი. მაგრამ ეს სინამდვილე დამოკიდებული იქნება ჩვენს კოლექტიურ, ორგანიზებულ მოქმედებაზეც, რომელსაც, მისი ობიექტის გათვალისწინებით, შეიძლება ვუწოდოთ ადამიანთქმნადობის პრაქტიკაც.

წამოვაცყენებ თეზისს, რომ უკანასკნელი წლების ადამიანის მიმართ ჩვენი პოლიტიკის გულისხმიერი დაკვირვება, მეცნიერებითა და ტექნოლოგიით მოცემული სწრაფად მზარდი შესაძლებლობების ფონზე, საშუალებას იძლევა დავაპროგრამოთ (ან შევნიშნოთ კიდევაც) მომავალი, ახალი ეტაპი სოციალისტური რევოლუციისა — ადამიანის რევოლუცია. წყობილების გენერალური გარდაქმნა გააწყობს მხოლოდ საერთო ჩარჩოს და იძლევა შანსებს სოციალიზმის მშენებლობის ახალი, გაღრმავებული, უფრო

მშვიდობიანი და შემოქმედებითი ეტაპისათვის — ახალი ადამიანის ფორმირების შესახებ. რასაკვირველია, ეს არის რევოლუცია არა პოლიტიკური აზრით და, მით უფრო, არც წარსულის რადიკალური უარყოფის გაგებით; პირიქით, მან უნდა გამოიყენოს ტრადიციათა ყველა მართებული ღირებულება, რათა მათს მყარ, ფართო და ღრმა საძირკველზე კონსტრუქციულად აიგოს ადამიანის ახალი სინამდვილე.

მოქმედების საშუალებებიც განსაკუთრებული უნდა იყოს. პირველ ყოვლისა, ეს არის ადამიანში ინვესტირება: მზარდი სახსრები განათლები-სათვის და განათლების საყოველთაო, საზოგადოებრივი სისტემის საფუძვლიანი მოდერნიზაცია. ასეთია ადამიანის პრაქტიკული გარდაქმნის, მისი აღზრდისა და თვითაღზრდის საშუალებანი — მისი ცოდნისა და მგრძობელობის ზრდა, აზროვნებისა და ქმედების მოწესრიგება, აგრეთვე შრომასა და თავისუფალი დროის სფეროში ინტერპერსონალურ ურთიერთობათა სრულყოფა. თუ ადამიანის არსს და, ამ აზრით, მის ჰეგემონობას უწინარესად წარმოადგენს სოციალურ ურთიერთობათა ერთობლიობა, მაშინ ადამიანი არის იმ საზოგადოებრივ წყუფთა ასახვაც და შემოქმედიც, რომლის წევრიც იგია. ჩვენ ურთიერთასულისმგებელნი ვართ, ვინაიდან ერთობლივად ვყალიბდებით. ამიტომ ადამიანის რევოლუცია სრულად შესაბამება ჩვენს შესაძლებლობებს: ყველასაგან ერთობლივად და ნაწილობრივ ყოველი ჩვენგანისაგან დამოკიდებულია, თუ როგორნი ვქნებით თვით ჩვენ და როგორნი იქნებიან XXI საუკუნის ადამიანები. ნუ დავექვემდებარებით, ამასთან, დროის გამოუცნობელ შემოქმედებს: საქმე არის იმისი შეგნებაც, რომ პოსტულირებულ ნიმუშთან მიახლოების ეს პროცესი თავისთავადაც გარკვეულ ღირებულებას წარმოადგენს.

ყალბი და უარყოფითი შედეგებით გადატვირთული იყო ოდესღაც ცნობილი გამოთქმა „მიზანი არარაა, — მოძრაობაა ყველაფერი“. ამჟამად ჩვენ აღმოვჩნდით ისეთ სასიკეთო ისტორიულ სიტუაციაში, რომ შეგვიძლია უარყოფით მიზნის დაპირისპირება მოძრაობასთან და უფლება გვაქვს ვთქვათ: ჩვენ ეპოქაობით მიზანსა და ღირებულებებს არა მარტო მყოფადში, არამედ ჩვენ მიერ ერთობლივად განხორციელებულ სინამდვილეშიც. კოლექტიური, შემოქმედებითი ძალისხმევით შობადი ხანა იქნება ეპოქა სრული ადამიანისა, რომელიც თავისთავს აღმოაჩენს საკუთარი შრომის ნაყოფში და სხვების მასთან მიმართებაში, ამავე გზით კი — თანამედროვეობაში.

რადგან ესოდენ ბევრს ვმსჯელობთ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შესახებ, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ღირსშესანიშნავი პროცესი ჩვენს პირობებში შეიძლება და უნდა მოგვევლინოს კიდევაც ჰუმანიტარულ რევოლუციად. მეცნიერება ზომ კულტურულ-პოლიტიკურ ფაქტორებთან ერთად წინასწარ განსაზღვრავს, თუ როგორი გახდება ადამიანი და ამ შემოქმედებითს პროცესში აღმოაჩენს ადამიანური არსების ახალ შესაძლებლობებს; ამასთან, არა მარტო სრულად გახსნის ადამიანურ ბუნებას, არამედ მისი ფორმირების თანამონაწილედ იქნება.

სამყაროსთან დიფერენცირებული ერთიანობის შექმნა. რა ხასიათი-საა საზოგადოებრივი ურთიერთობები? — ისტორიულად ცვალებადი ეს ფაქტორი თეორიულად და პრაქტიკულად ყველაზე მნიშვნელოვანი ხდება. „ოქროს საუკუნის“ უტოპიათა მიხედვით, პირველყოფილი თემის ადამიანი ბედნიერი იყო, ვინაიდან ერთიანობაში იმყოფებოდა თავის

თუმცა და ბუნებასთან, რომელიც მის ირგვლივ და თვით მასში ჯერაც არ იყო გაუცხოებული. მაგრამ კულტურის ისტორია ადამიანის მზარდი სეპარაციის ისტორიაცაა: იგი სულ უფრო შორდებოდა ბუნებას, სხვა ადამიანებს. ლეონარდო და ვინჩის ცნობილი ნათქვამი — „მარტობაში უფრო იქნები თავისთავადი“ — წარმოადგენს ამის მშვენიერ აღიარებას, თუმცა გვიდასტურებს ადამიანის იზოლაციას იმ ეპოქაშიც, რომელიც ისწრაფვოდა ადამიანის დაყენებას ყურადღების ცენტრში ადამიანებთან იზრდებოდა უცხოობა და მტრობა: დაბოლოს, სარტრმა მკაცრი ბრალდება წაუყენა თავის თანამედროვეთ: „ჯოჯოხეთი — ესაა სხვები“, ხოლო თავის ნაწარმოებებში დახვეწილი ანალიზით დავიხატა ადამიანსა და სამყაროს შორის არსებული უფსკრულის ან, უკიდურეს შემთხვევაში, მათ შორის მტრობას საშინელი სურათი, ჩვენი წინააღმდეგობა იმ სამყაროსა და იმ კონცეფციების მიმართ უფრო საფუძვლიანია, ვიდრე ის, რომელიც ეჭვბეჭვად ცხოვრების დონესა და ზასიათს, პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და იდეოლოგიურ მოსაზრებებს. მხედველობაში გვაქვს ადამიანისა და სამყაროს ახალი დამოკიდებულება, რომელიც შესაძლებელი გახდება ახალი საზოგადოების ჰემიარტი ერთიანობის წყალობით.

უტოპიებში გამოთქმული ოცნებები გამოხატავდნენ ადამიანის მისწრაფებას სამყაროსთან ერთიანობისაკენ, რის განხორციელებაც მხოლოდ ილუზორულად შეიძლებოდა უტოპიაში, რელიგიაში; გამსაკუთრებით მისტიკაში, რომელშიც პოსტულირებული ან განცდილი შერწყმა ღმერთთან მისწრაფებათა უშაღესი ხორცშესხმა იყო. პიროვნება, თუმცა კი ილუზორულად, პოულობდა თავის ადგილს მთელში (რადგან ღმერთი ყოველად იყო) და ამრიგად წვდებოდა თავისი ცხოვრების საზრისს. საზრისი ხომ, უპირველეს ყოვლისა, მთელთან შეწყობაა, ადგილია მთელში; ხოლო ბედნიერება — ესაა თანხმობა საკუთარ ადგილთან იმ მთელში და აგრეთვე თავის თავთან შერიგება. ოღონდ ასეთი შერიგება თავისი თავიდან და სამყაროსაგან განდგომიდან მოდის: ადამიანი ეთანხმებოდა სამყაროს, რომელიც ღმერთით იყო სიმბოლიზებული; მისტიკის უკიდურეს ფორმებში იგი თავს ინადგურებდა კიდევ, ჰპოვებდა რა ბედნიერებას სრულ გაუპიროვნებაში, თავისი სხეულებრიობისა და სულიერი განსაკუთრებულობის გაუცხოებაში.

„ადამიანი — სამყაროს“ ურთიერთობის საპირისპირო მოდელში (რომელსაც ისტორიულად მრავალნაირი ფილოსოფიური კონკრეტისა ცია ჰქონდა) პიროვნება თავის ღირსებას პოულობს რადიკალურ განკერძოებასა და გარემოსთან დაპირისპირებაში. იგი ებრძვის სამყაროს, რომელსაც განიცდის როგორც მტრულს და ზოგიერთ იდეალისტურ დოქტრინაში ერთადერთ რეალობად ან, უკეთეს შემთხვევაში, ერთადერთ ღირებულებად საკუთარ თავს თვლის. ორი პოლუსის — ადამიანისა და სამყაროს დიალექტიკური „ძაბვის განმუხტვა“ ამ შემთხვევაში ხდება „რელუქციის“ ან მეორე წევრის უარყოფის გზით.

თანამედროვე ისტორიული და პოლიტიკური სიტუაციის ფილოსოფიური სიახლე მდგომარეობს ადამიანსა და სამყაროს შორის არსებული დიალექტიკური „ძაბვის“ შენარჩუნებისა და დაუფლების აუცილებლობის გაცნობიერებაში. ამ ძაბვის ენერჯია, — რომელიც ვლინდება როგორც დიფერენციალით (პიროვნული თავისებურებების შექმნა, თავდაცვის ინსტიქტი, მანიღვიდუალიზებული საზოგადოებრივი ტენდენციები), ასევე ინტეგრაცი-

ათ (ასიმილაცია, მრავალი აღმზრდელობითი პროცესი, თემობრივი მისწრაფებანი, პროექციის მექანიზმები, იგივეობანი კულტურაში და ა. შ.), — დღემდე ცალმხრივად და ნაწილობრივ იყო გამოყენებული, რაც აძლიერებდა ადამიანის დაქუცმაცებას, „ფრაგმენტოზაციას“. ამიტომ ამ ძაბვის სწორად მთელი „ორპოლუსიანი“ ენერჯის გამოყენება (ფილოსოფიის ენაზე ამას, მიახლოებით, შეიძლება დავარქვათ ცნობიერებაში სამყაროს გაშინაგანებისა და საგნებში აზრის ობიექტივაციის (დიალექტიკა) მოგვიტანს არა მარტო ახალ ურთიერთობებს ადამიანებსა და სამყაროს შორის, დადგება ეპოქა არა მარტო თვისებრივად ახალი ადამიანისა, არამედ ენერჯისა და ღირებულების ახალი კავშირისაც, მათი ურთიერთგამიდრების ურთიერთობისაც.

„სრული ადამიანი“ იდეაში იგულისხმება მთელი საზოგადოებრივი გარემოს და ბუნებრივი გარემოს სულ უფრო ფართო სფეროთა ჰუმანიზაცია. მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული ლაპარაკი სამყაროსთან ადამიანის გამამდიდრებელი ერთიანობის შესახებ. ასეთი დანასჯვის არსებითი ელემენტია თუზისი, რომლის თანახმადაც ასეთ დიფერენცირებულ ერთიანობასთან უცბად, ოდენ იდეით. ოცნებით ვერ მივალთ; იგი თანდათანობით და ნაწილ-ნაწილ იქმნება, იმ გარემოს შექმნაში გაფართოებით, რომელსაც, აქსიოლოგიური თვალსაზრისით, ჩვენ უნდა ვთვლით, ვიწონებთ, და ვაფასებთ. ამრიგად, სამყაროსთან ადამიანის ყველაზე მომწიფებულ და ჰუმანიტარულ კავშირად აქ გვევლინება შემოქმედება.

ადამიანი, რომელიც თვით შეიქმნის თავს გაერთიანებული საზოგადოებრივი ძმობის მხარდაჭერითა და მეცნიერების სიმძლავრის გამოყენებით, უნდა გამოქმნოს, აგრეთვე, პირველადი და ბუნებრივი კავშირი სამყაროსთან; უფრო მართებულად, იგი თვითონ შექმნის ასეთ ნამდვილ ერთობას, რომელშიც არა თუ შეინარჩუნებს თავის ავტონომიას, არამედ განიეთარებს კიდევ საკუთარ ინდივიდუალობას. პიროვნებათა კულტურის სიმდიდრე მჭიდრო და ჰუმანიტარულ კავშირშია თანაშემოქმედი საზოგადოების კულტურის სიმდიდრესთან. გადაჭრით და ხაზგასმით აღვნიშნავთ: ეს ეხება არა მარტო მთელი საზოგადოების ერთგვარად აბსტრაქტულ ერთობლიობას, არამედ, პრაქტიკულად, პირველ ყოვლისა, კონკრეტულ ერთობლიობებს — ორგანიზაციულს, წარმოებრივს, კულტურულს. მარტივად რომ ვთქვათ, ადამიანი არის და იქნება კიდევ ისეთი, როგორცაა კოლექტიურად მის მიერ ფორმირებული — მისი სამუშაო ადგილი, საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მხატვრული ანსამბლი, მეზობელთა საზოგადოებრიობა.

ცხოვრების სიბრძნე ისიც არის, რომ ვაპოვოთ მართებული განზომილებანი ყოველდღიურ საქმიანობაშიც, რათა საყოველთაო პრაქტიკა ავამალლოთ ღირსებისა და გონების საქმეთა დონეზე. ავტომატიზებული, უაზრო და ყოველგვარ შთამბეჭდაობას მოკლებული ყოველდღიურობა თანდათანობითი თვითგანადგურების ტოლფასია. ადამიანური სიბრძნე ისიც იქნება, რომ ღრმა, შეგნებული, ბედნიერი ცხოვრებით მოვიპოვოთ საკუთარი ადამიანობა პიროვნული არსებობის პროცესში და, ამავე დროს, კოლექტიურად შექმნილ საზოგადოებრიობებშიც. სამყაროსთან ინდივიდუალიზებული, სულიერი ერთობის მიღწევა შეიძლება მხოლოდ კონკრეტული საზოგადოებრიობებისა და ახალი საზოგადოების მეშვეობით.

მომავლის ადამიანი — ექსპერტი, ფილოსოფოსი, შემოქმედი. თანამედროვე ცივილიზაციის განვითარების ტენდენციები

ბადებს ექვს: ხომ არ გაქრება ადამიანის დაქვემდებარება შრომის განაწილებისადმი, რასაც, ამ შემთხვევაში — საკმაოდ უტოპიურად, ითვალისწინებდა მარქსი.

თანამედროვე ადამიანი, და მით უფრო — მომავლის ადამიანი, გაცილებით ვიწრო კვალიფიკაციის სპეციალისტი გახდება, ამასთან, ცოდნის ან პრაქტიკის უაღრესად შეზღუდულ დარგში; მაგრამ იმავდროულად იგი მით უფრო იწყებს სწრაფვას თავისი პროფესიული შეზღუდულობის „გასაწონასწორებლად“ (რითაც შეფასდება მისი ცოდნა და ქმედების მაღალი ეფექტურობა) ფართო კულტურული და შემეცნებითი ჰორიზონტის შექმნით. ამიტომ ინდივიდი, რომელიც ავსებს საზოგადოებრიობას თავისი ოსტატური ქმედებითა და განუყოფელი პიროვნული არსებობით, იმავე დროს იქნება დიდი გრძნობიერებისა და სხვებთან ჰუმანიტარული თანაცხოვრების შემძლებელი ადამიანი — პიროვნება, რომელიც ხელმძღვანელობს ნამდვილი ადამიანური სიბრძნით; უფრო თავმდაბლად და ზუსტად რომ ვთქვათ — ფილოსოფიით. ასეთი განსაზღვრება, რომელსაც ლეგენდა მიაწერს პითაგორას, — რომელიც ვერ ბედავდა ბრძნის სახელი ეტარებინა და თავს მხოლოდ სიბრძნის მოყვარულს, ფილოსოფოსს, უწოდებდა — ამჟამადაც რჩება თანამედროვე სამყაროს ინტელექტუალური იმედებისა და იდეოლოგიური პრაქტიკის განმსაზღვრებლად. მართლაც, ხომ მართლოდენ ფილოსოფიას ძალუქს განკარგობულ მეცნიერებათა ინტელექტუალური ინტეგრირება, ამასთან, პრაქტიკის და თეორიის შეერთება, ე. ი. პირველის აყვანა გონითს დონეზე და მეორის ნანატრის განხორციელება. ამრიგად, ფილოსოფია ხდება ინდივიდუალურ არსებათა იმედი: მას შეუძლია აზრი მისცეს ცხოვრებას, იპოვოს მასში თანაზომიერება, მისი ბუნებრივი წესრიგი და უჩვენოს ადამიანებს, თუ როგორ აიყვანონ მათ საკუთარი, კერძო, ყოველდღიური, ცხოვრება ხელოვნებისეული მშვენიერისა და მეცნიერული ჭეშმარიტების დონეზე. ამიტომ ახალი ადამიანის ამ ფართო ჰორიზონტის მნიშვნელოვანი ელემენტი გახდება ხელოვნება, ცხოვრებისეული პრაქტიკის ყოვლისმომცველი ფაქტორი კი — ჰუმანიტარული გრძნობელობა და აქტიურობა.

სწორედ ასე გვესახება ზემოგამოთქმულ მოსაზრებათა მოკლე დასაბუთება: ადამიანი შემოქმედი ვინაიდან იგი თვითონ იქნება თავისი თავისა და თავისი გარემოს, თავისი სამყაროს კოლექტიური შემქმნელი. ძალთა დაძაბვა მუშისა, როდესაც იგი ოპერირებს საკუთარი შრომის იარაღებით, წარმოსახვა არქიტექტორისა და კონსტრუქტორისა, როცა ისინი სულ უფრო სრულყოფილ ნაგებობებსა და მანქანებს აპროექტებენ, აზრი მეცნიერისა და ზეშთავგონება ხელოვნისა, — ყველაფერი ეს შეიძლება იყოს შემოქმედების გამოვლენა. შემოქმედება მარტო ორიგინალური ნაწარმოების შექმნა ხომ არ არის, არამედ შეიძლება იყოს რეპროდუქცია ან „ჩვეულებრივი“ წარმოება, თუ კი იგი გამოდგება გულმისავალი, თავისუფალი ძალთხმევის შედეგი; ძალთხმევისა, რომელშიც ინდივიდუალობას სურს საკუთარი თავის გამოხატვა, არა მაინცა და მაინც ორიგინალური პროდუქტით, არამედ რაოდენობით, ხარისხით, შესრულების დახვეწილობით.

სამყაროსთან ჭეშმარიტი კავშირისა და ერთიანობის მიღწევა უპირველეს ყოვლისა, სწორედ შემოქმედებით შეიძლება: სამყაროს არა მარტო აზრითი წვდომით, არამედ გრძნობითაც (როცა გაუცხოება მოიხსნება) და მოქმედებითაც — სწორედ შემოქმედებითს პროცესში.



ნოდარ კირვალიძე

სიცხადის როგორც მემპარიტების საზომის პრობლემა სტოიციზმში

1. ჭეშმარიტების საზომის საკითხი სტოელთა გნოსეოლოგიის ფუნდამენტური პრობლემაა, რომლის ირგვლივ სტოიციზმში, მისი არსებობის სხვადასხვა ეტაპზე, ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებანია განვითარებული, — ეს კი გარკვეულ სიძნელეს ქმნის მკვლევართა წინაშე და ხშირად, სტოელთა თვალსაზრისის უმართებულო ინტერპრეტაციის საფუძველი ხდება. ამდენად, საჭიროება მოითხოვს ჭეშმარიტების საზომის სტოიციკისტური თვალსაზრისისადმი დიფერენციალურ მიდგომას.

ვეძებთ რა სიცხადის როგორც ჭეშმარიტების საზომის სათავეებს¹, ჩვენი უძველესი, ე. წ. კლასიკური სტოიციზმი გვიანტერესებს და, უპირატესად, მისი ფუძემდებელი — ძენონი კიტეადან (Ζήνων Κιτιεύς), მაგრამ, რამდენადაც სტოიციზმმა ახალი სიკოცხლე მის სისტემატიზატორ ხრისიპესთან (Χρυσίππος) კპოვა, ჩვენი მსჯელობის ობიექტი არსებობდა ეს ორი მოაზროვნე იქნება². და მაინც, იმ სიძნელეს, რაც ჭეშმარიტების საზომის სტოიციკისტური ინტერპრეტაციის კვლევას ახლავს, ამ პრობლემის არც ასეთი შემოსაზღვრა მოგვიხსნის, თუმცა იგი ჩვენი მსჯელობის ობიექტად არსებობდა ხდის *φαυλάτα χαλαρῶτα*-ს, მაგრამ ჭეშმარიტების საზომის სტოიციკისტური გაგების ძირითადი უთანხმოება სწორედ მის ინტერპრეტაციაში მდგომარეობს. აქ ძენონი და ხრისიპე ხშირად იმ მოაზროვნეებად წარმოგვიდგებიან, რომელთაც ჭეშმარიტების საზომის ფუნქცია მართებულ გონებას (*ῥησις ἀληθής*) მიაწერს და, ამდენად, ჭეშმარიტების საბოლოო საზომად იგულისხმებს აზროვნების „ფორმალური ივივეობა“, წინააღმდეგობის კანონი³.

ჭეშმარიტების საზომის სტოიციკისტური ინტერპრეტაციის ასეთი გაგება ვერ იკვდება კლასიკური სტოიციზმის ემპირიზმს და წინააღმდეგობაში მოდის მის აკურატო ნაზარეთთან. ამიტომ საკითხი თვით *φαυλάτα χαλαρῶτα*-ს რაობის შესახებ უნდა დაიხვას და, რადგანაც ჭეშმარიტების საზომის ბუნება სტოიციკისტში თვით ჭეშმარიტებისა და ძირითად გნოსეოლოგიურ პრინციპთა რაობითაა წარმოებული. უპირველეს უოელისა, მათი ანალიზი ხდება აუცილებელი.

2. სტოელთა გნოსეოლოგიური ნაზარევი მათს ლოგიკაშია წარმოდგენილი, მაგრამ, ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, გნოსეოლოგიის ცენტრა-

¹ იხ. ნ. კირვალიძე, შემეცნების სიცხადესთან მიმართების პრობლემა დემოკრიტეს გნოსეოლოგიაში, „მაცნე“, ფილოსოფიის...სერიი, 1976, №1.

² სტოელთა გნოსეოლოგიის ძირითადი დებულებანი მისი დამაარსებლის — ძენონის მიერ იქნა შემუშავებული, ხოლო მათი და, მასთან ერთად, ლოგიკის პრობლემათა დამუშავება ხრისიპეს განეუფლებს; იგი თვით იყო ამ სკოლის მეტაური 230—207 წლებში, მას სტოიციკისტის მეორე დამაარსებლად მიიჩნეეს ფილოსოფიური კრიტიკა. ეპიკტეტის ცნობით, „ხრისიპე რომ არ ყოფილიყო, სტოიციზმი დააღუბებოდა“ (Diogenes Laertius. Leben und meinungen berühmter Philosophen. Übersetz und erläutert von O. Apelt, 1921, Bil. Buch VII—X, VII, 183. შემდეგ ამ შრომაზე მითითება იწარმოებს წიგნისა და ფრაგმენტის ნომრით).

³ Гегель. Соч. т. X. стр. 338, 342; А. Маковельский. История логики, 1967, стр. 178.

ლურ პრობლემას ქვემარტების საზომის ძიება ქმნის. სავსებით მართებულა ვინდელბანდის დებულება იმის შესახებ, რომ სტოელები საზომის კვლევას გამოყოფენ „სწორი დასკვნების კვლევადიან“⁴. თუმცა ვინდელბანდი მასში არისტოტელეს ლოგიკის ფორმალურ მეცნიერებად გარდაქმნის მიზეზს ეძებს და, შესაძლოა, მართებულადაც, მაგრამ ის ფაქტი, რომ ქვემარტების საზომი არ დაიყვანება სწორ დასკვნათა თეორიაზე და ამდენად არ უნდა რჩებოდეს მის ფარგლებში, უდავოდ მისაღებია. იგი, თავის მხრივ, იმ პოზიციის მართებულებაზე მიუთითებს, რომელზეც კლასიკური სტოიციზმი აფუძნებს ქვემარტებისა და მისი საზომის ძიების პროტესს. ქვემარტება და მისი საზომი შემეცნების სინამდვილესთან, მის საგანთან მიმართებაში უნდა დადგინდეს და არა ლოგიკური გამომდინარეობის სფეროში, რის გამოც შემეცნების საზომის პრობლემა გნოსეოლოგიამ უნდა იკვლიოს და არა ლოგიკამ.

ქვემარტების ძიების ეს გზა, შენიშნული კლასიკური სტოიციზმის მიერ, თვით შემეცნებისა და ქვემარტების სენსუალისტურ-მატერიალისტური გაგებითაა გაპირობებული. ქვემარტება სტოელებს ესმით, როგორც ჩვენი წარმოდგენის, ცნების, მსჯელობის შესაბამისობა ობიექტურ სინამდვილესთან, — ეს უკანასკნელი ქვემარტების ერთადერთი რეალური საყრდენია⁵.

სტოელებს, კერძოდ, ძენონსა და ხრისიპეს განეკუთვნებათ ცნობილი, ახალ დროში ლოკის მიერ გამეორებული თეზა ადამიანის სულის როგორც „წმინდა დაფის“, „პაპირუსის ფურცლის“ შესახებ. რომელზეც ყოველი წარწერა თვით რეალური სინამდვილის საგანთა და მოვლენათა ზემოქმედების შედეგად ჩნდება⁶; და, რადგანაც მასზე პირველ წარწერას გრძნობები აკეთებენ, ყოველგვარი ცოდნის საფუძველში გრძნობადი აღქმები, წარმოდგენები ძვეს. ადამიანის სული მთელ თავის შინაარსს საგანთა ზემოქმედებით იძენს. თვით ცოდნა სხვას არაფერს წარმოადგენს, თუ არა საგანთა ასახვას შეგრძნებათა და მათზე დაფუძნებული აზროვნების, გონების გზით. გონება წარმოადგენის სახეა და, ამდენად, სტოელთა გნოსეოლოგიის ძირითადი პრობლემა იმის კვლევაა — არსებობენ თუ არა ისეთი წარმოდგენები, რომელნიც ზუსტად წარმოსახვენ მათში მოცემულ საგნებს და, ამრიგად, შესაბამისობაში იქნებიან საგნობრივ ვითარებასთან.

უპირველეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ სტოელები არ მიიღებენ თეზას ყოველი შეგრძნების, წარმოდგენის ქვემარტების შესახებ: თუმცა წარმოდგენები ქვემარტების წვდომის ერთადერთი და სანდო წყაროა, მაგრამ ისინი არ არიან უპირობოდ ქვემარტები, — რის გამოც გაუმართლებელია მათდამი ბრმა რწმენა; არც იმის მტკიცებაა სწორი, თითქოს ყოველი მათგანი ფლობდეს სიციხადეს. სტოელები, ეპიკურეს საწინააღმდეგოდ, იმაზე მიუთითებენ, რომ არც ყოველი შეგრძნება, წარმოდგენაა ქვემარტი და არც ყოველ

⁴ Виндельбанд. История древней философии, 1882, стр. 277.

⁵ ქვემარტება, სტოელთა აზრით, სამი ელემენტის შემცველია: აღსანიშნის, აღმნიშვნელის და საგნის (ἡ ἐπιχείρησις); მათგან 2 სხეულებრივია-საგანი და მისი ბგერითი გამოთქმა, ერთი კი არასხეულებრივი აღმნიშვნელი საგანი და სიტყვით გამოთქმული (λέξις). ქვემარტება-მდლარობა ამ უკანასკნელს მიეწერა. ქვემარტი არის მტკიცება, ხოლო მტკიცება სიტყვიერია გამოთქმა (იხ. Секст Эмпирик. сочинения в двух томах, кн. у III, гр. 11—12. შემდგომი მითითება იწარმოებს სექსტის წიგნისა და ფრაგმენტის ნორმით).

⁶ ფსევდოპლუტარქე. de plac. phil, IV. 11. (Антология мировой философии, т. I, ч. I, гл. 492).

მათგან ახლავს სიცხადე; წინააღმდეგ შემთხვევაში, ქეშმარიტად უნდა მიგვეჩნია სიზმარი და თვით ჰალუცინაციებიც კი, რაც, თავის მხრივ, ხსნის სიცხადის ყოველგვარ გნოსეოლოგიურ ღირებულებას.

შეიძლება ითქვას, რომ სტოელთა ეს პოზიცია, რეალურ ნიადაგს უქმნის თვით ქეშმარიტებისა და მისი საზომის მართებულ კვლევას. ყოველი წარმოდგენის ქეშმარიტად მიჩნევა, ანდა მათთვის სიცხადის მიწერა, ცალკეულ წარმოდგენათა მცდარობისა თუ სიბნელის გამო, პრობლემის გაუფასურებას და, არსებითად, დაკარგვას ნიშნავს.

სტოელთა თანახმად, ქეშმარიტებას სხვა, რეალური საყრდენი უნდა მოეძებნოს და საზომიც მის ბაზაზე უნდა იქნეს ფორმულირებული. ეს საყრდენი თვით ქეშმარიტების მატერიალისტური ინტერპრეტაცია, მისი სინამდვილის ასახვად, მასთან შესაბამისობად მიჩნევა. ამ შემთხვევაში კი შემეცნებას ქეშმარიტად წოდების უფლებას არა მისი საგნის არსებობისა თუ უშუალოდ მის ფუნქციას მას მიეწერება, რაც ამ შესაბამისობას, წვდომას ჰფენს ნათელს. ეს მოქმეტი არსებითია სიცხადის როგორც ქეშმარიტების საზომის სტოელთა თეორიისათვის. იგი მკვლევარის ყურადღებას ცხადი — ქეშმარიტი — სინამდვილის მწვდომის იდენტურობაზე აპყრობს და უდაოდ მართებულ გზაზე მიუთითებს სიცხადის შესაძლო გნოსეოლოგიურ ფუნქციის კვლევის თვალსაზრისით. მაგრამ როგორ და რამდენად არის არც გუნდები და რამდენად არის იდენტურობის ეს თეზა? რა სქენს ჩვენს წარმოდგენებს უნარს, წვდეს სინამდვილეს? რატომ უნდა იყოს სინამდვილის მწვდომი წარმოდგენა ამავე დროს ცხადიც?

ცნობილია, რომ, ამ მიზნით, დემოკრიტე (და საერთოდ ატომისტები) ეიდოლებს მიმართავს, ხოლო ძენონი (და საერთოდ სტოელები) არ მიიღებს ამ თვალსაზრისს⁷. რადგან ფიქრობს, რომ ეიდოლები ზუსტ ანარეკლსაც რომ იძლეოდნენ საგნებისას. მათ საგანთა ზედაპირთან აქვთ საქმე და, ამდენად, არაფერს გვეუბნებიან თვით საგანთა ბუნების შესახებ. შემეცნებას კი, უპირველეს ყოვლისა, ეს მოეთხოვება და წარმოდგენებიც მხოლოდ იმ შემთხვევაში არიან ქეშმარიტნი, როცა თვით საგნებს მოიცავენ. სტოელები მკვეთრად გამოიჩნავენ ერთმანეთისაგან წარმოდგენასა (*φανაჯია*) და წარმოსახვას (*ფანჯაჯა*) სწორედ იმის გამო, რომ «Воображение — это видимость мысли, как это бывает в сновидениях, а представление — это отпечаток на душе». «Представление — это впечатление, рождающееся в душе и выражающее в себе то, что его произвел»⁸. სწორედ ამ უკანასკნელის უქონლობა (და მასთან შეუსაბამობა) ქმნის წარმოსახვის (*ფანჯაჯა*) სპეციფიკას.

ტერმინი *ფანჯაჯა* სტოელებთან სპეციფიკური შინაარსის მქონეა. იგი არ არის იდენტური არც ამ ტერმინის თანამედროვე შინაარსისა და არც იმ

⁷ სწორი არ უნდა იყოს ცნობა, თითქოს ეპიკურეს და სტოელებს შორის დავა ეიდოლათა გნოსეოლოგიური ფუნქციის შესახებ, მხოლოდ იმას ეხებოდეს, თუ რას მოაქვს ჩვენთან ეს ანაბეჭდები: ჰაერს თუ სიციარელებს, — ეს დავა დემოკრიტე-ეპიკურეს მიმართებას აშუქებს. რაც შეეხება სტოელებს, ისინი უარყოფენ ეიდოლათა გნოსეოლოგიურ ფუნქციას და ეპიკურეს მოძღვრებას ეიდოლების შესახებ მიიჩნევენ „აზრთა უშინაარსო წნულად“. სტოელ Sphairos-ს დაუწერია წიგნი: «Gegen die Atome und Idole» დ. ლ. ა. რ. ტ. ე. ლ. VII, 178).

⁸ ა. ე. ი. უ. ს. I, V 12, 1—5 (მსოფლიო ფილოსოფიის ანთოლოგია ტ. I, ნაწ. I, გვ. 477).

მნიშვნელობისა, რასაც მასში არისტოტელე დებს⁹. იგი სტოელებთან აღნიშნავს წარმოდგენას (Vorsfellung), რომლის საფუძველშიც რეალური სინამდვილე ძვეს. ასეთ საფუძველს მოკლებული წარმოსახვაა და იგი ტერმინ *φύσιμα*-თი გამოითქმება. ეს მომენტი არსებითია წარმოდგენის გნოსეოლოგიური ფუნქციის სტოელთა თეორიის ანალიზისათვის და სახეებით გაუმართლებელი ჩანს მათი ჩანაცვლება¹⁰.

წარმოდგენა, ძენონის თანახმად, საგანთა „ანაბეჭდია სულში“, „მის წამყვან ნაწილში“. კლენთე მას სანთელზე ანაბეჭდს ადარებს, ხოლო ხრისიპე მის გამოსათქმელად სულის ცვალებადობის, „მოდინფიკაციის“ ცნებას მიმართავს და არამართებულად მიიჩნევს მის ანაბეჭდთან ანალოგიას¹¹.

ამჯერად საკითხი არ დგას იმის შესახებ, თუ რამდენად მართებული უნდა იყოს ხრისიპეს ეს ჩასწორება და სძლევს თუ არა იგი სტოელთა სენსუალისტური გნოსეოლოგიის სტიქიურ-მატერიალისტურ ხასიათს¹². ჩვენს ყურადღებას ის ფაქტი იქცევს, რომ შემეცნების ანაბეჭდთან ანალოგიაში სტოელთა ღრმა რწმენაა გამოთქმული ადამიანის უნარისა და შესაძლებლობისა ადექვატურად წედეს გარემომცველ სინამდვილის საგნებსა და მოვლენებს, წარმოდგენებისა და საერთოდ შემეცნების ქვეშ გაიგოს არა სულის „ავტონომიური“ საქმიანობა, მის მიერ რაიმეს „შექმნა“, არამედ ასახვა, ანაბეჭდი სინამდვილისა¹³.

რასაკვირველია, ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სტოელები ყოველგვარ წარმოდგენას საგანთა ანაბეჭდად მიიჩნევდნენ. წარმოდგენათა რაობის ანალიზისას ისინი არ შემოისაზღვრებიან მათი წარმოსახვიდან გათიშვით. მათი აზრით, საჭიროა ასევე ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ყალბი და ჭეშმარიტი წარმოდგენები, რადგან „არსებობენ მოჩვენებითი, არანამდვილი წარმოდგენებიც თითქოსდა წარმომდგარნი არსებული საგნებიდან“; წარმოდგენებიდან „ერთნი ჭეშმარიტნი არიან, ხოლო მეორენი ყალბნი“¹⁴.

წარმოდგენათა ჭეშმარიტების საფუძველში არა მხოლოდ მის საგანთა რეალური არსებობა ძვეს, იგი აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა ჭეშმარიტებისა. ამ უკანასკნელისათვის ასევე აუცილებელია წარმოდგენა ზუსტად მოიცავდეს მის საგანს, იყოს მისი „მწვდომი“. ამ მიზნით სტოელები წარმოდგენათა დიფერენციაციას აწარმოებენ „მწვდომსა“ და „არამწვდომზე“, და ჭეშმარიტად მიიჩნევენ მხოლოდ იმ წარმოდგენებს, რომელნიც რეალური საგნებიდან იწარმოებიან და რომლებშიც ეს საგნები ადექვატურ-დ არიან წარ-

⁹ არისტოტელესთან ტერმინი *φαντασμα* წარმოდგენის უნარს გამოხატავს, ხოლო *φύσιμα* თვით წარმოდგენას (იხ. O душе, წიგ. III თ. 3, 8, 10, 11; Реторика, I, 11, 1370 ა, 11, 2, 13786).

¹⁰ Льюис. История философии от начала ее в Греции до настоящих времен. 1865, Сгр. 291.

¹¹ სეკსტი. VII, 228, 230—231, 236. შდ. W. Nestle. Die Nachsokratiker, B. 11, გვ. 4 (24) ფრჩხილებში ჩასმული ციფრი აღნიშნავს ფრაგმენტის ნომერს.

¹² იმ სიმნელეთა შესახებ, რასაც წარმოდგენის ასეთი ინტერპრეტაცია იწვევს, იხ. სეკსტი. VII, 228—235; 372—380 და სხვ.

¹³ თუმცა წარმოდგენები იწარმოებიან გარეგან ან შინაგან ადექტებთან დეკავშირებით, მაგრამ სტოელები ამ უკანასკნელთ, განსხვავებით გარეზემოქმედებით მიღებული წარმოდგენებიდან, უყოლებენ ცარიელ, უშინაარსო, ფუჭ წარმოდგენებს (სეკსტი, VII, 241).

¹⁴ აეცი. IV, 9 (ნესტლე, დს. ნაშრ., გვ. 58, 105); წლრ. სეკსტი. VII, 244.

მოდგენილი. ასეთ წარმოდგენებს სტოელები კატალეპტიკურს უწოდებენ (*φάντασια καταληπτική*) და მის ორ სახეობას განასხვავებენ გრძნობადისა და არავგრძნობადი სახით. პირველს განეკუთვნება ის, რაც აღიქმება გრძნობათა მეშვეობით, მეორეს ის, რაც მხოლოდ გონებით, აზროვნებით მიიღწევა¹⁵. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ თვით ქეშმარიტების წვდომის გზად სტოელები, ერთი მხრივ, შეგვრძნობას მიიჩნევენ, ხოლო, მეორე მხრივ, გონებას, ნათელი გახდება *φάντασια καταληπτική*-ს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა და ამდენად მისი სტოიციკური გაგების დადგენის სიძნელე, რომლის მართებელი გადაჭრა არსებითი მნიშვნელობის მქონეა. თვით ქეშმარიტებისა და მისი საზომის სტოიციკური თვალსაზრისის ანალიზისათვის. მრავალი მკვლევარი, და არც თუ უსაფუძვლოდ, *φάντασια καταληπτική*-ს მიიჩნევენ არა მხოლოდ ერთადერთ ქეშმარიტებად, არამედ მის უდაო საზომადაც. იმისდამიხედვით, თუ რა მნიშვნელობა იქნება მასში ჩადებული, სტოელთა გნოსეოლოგია რაციონალისტურ თუ ემპირისტულ ინტერპრეტაციას იღებს.

3. რა მნიშვნელობით მოიხმარს სტოიციზმი *φάντασια καταληπτική*-ს? — ეს უმთავრესი საკითხია და პრობლემის სიძნელემ საყოველთაო აღიარება ჰპოვა. ბევრი მკვლევარი გეთავაზობს მისი რაობის საკუთარ ინტერპრეტაციას, მაგრამ არ უარყოფს სხვაგვარი გაგების შესაძლო უპირატესობასაც; მაგალითად, ანტიკური ფილოსოფიის ცნობილი მკვლევარი — ცელერი აღნიშნული ტერმინით გულისხმობს წვდომილ, ცნებთის წარდგენას (*begrifflichen Vorstellung*) და იქვე მიუთითებს მისი ბარტისეული გაგების (*greifbare Vorstellung*) შესაძლო უპირატესობაზე¹⁶. ბარტი, თავის მხრივ, მიუთითებს M. Heinze-ზე რომელიც ფიქრობს, რომ ტერმინი *καταληπτική*; ორავროვანი განზრახულობის მქონეა და იგი აქტიური (*ergreifend*) და პასიური (*ergreifbar*) მომენტების შემცველია. ბარტი ფიქრობს, რომ სტოელები მერყეობდნენ ტერმინ კატალეპტიკურის ამ 2 მნიშვნელობას შორის, იხრებოდნენ რა ხან აქტიური, ხან პასიური მნიშვნელობებისაკენ¹⁷. თანხმობას უცხადებს რა ცელერს ფ. ჯ-ს შემომოყვანილ ინტერპრეტაციაში, ვინდელბანდი (ცელერთან ერთად) მიუთითებს ბონპოფერის შრომაზე — როგორც იმის ილუსტრაციაზე, თუ რა სიძნელე ახლავს ფ. ჯ-ს ნამდვილი შინაარსის გახსნას¹⁸. თვით ბონპოფერი კვლავ მისი ორგვარი ინტერპრეტაციის — „სულის მიერ სინამდვილის წვდომის“, ანდა „სინამდვილის მიერ სულის წვდომის“ — შესაძლებლობაზე მიუთითებს და ნათელყოფს მასთან დაკავშირებულ სიძნელეებს¹⁹.

ა. მაკოველსკის აზრით «Термин «каталептическое представление» может иметь тройный смысл: 1) представление, которое «улавливает» свои предмет, отражает его верно и точно; 2) истинное представление, которое является правильно постигнутым нами знанием предмета; 3) представ-

¹⁵ დ. ლაერტიელი. VII, 46, 51; შდრ. სექსტო. VII, 427.

¹⁶ Целер. Очерк истории греческой философии, 1913, стр. 129.

¹⁷ P. Barth. Die Stoa, 1908, S. 104—105; შდრ. R. Richter. Der Skeuzismus in der Philosophie, 1904, S. 345 (59).

¹⁸ Виндельбанд. История древней философии, 1902, стр. 277.

¹⁹ A. Vonhöfer. Epictet und die Stoa, 1890, S. 157.

ление, захватывающее нас, овладевающее нами, вынуждающее нас принять его. Таким образом, этот термин обозначает либо отношение представления к предмету, им постигаемому, либо отношение его к нашему знанию, либо отношение его к познающему субъекту. Историки логики отмечают трудность решения вопроса, какое из этих трех значений термина «каталептический» имели в виду стоики»²⁰.

ზემომოცემულ ინტერპრეტაციებში, რომელიც ჯერ კიდევ არ იძლევა სრულ სურათს ფ. ჯ.-ს შესახებ არსებულ თვალსაზრისთა სიმრავლისა და სხვადასხვაობის შესახებ, არსებითად მისი ორგვარი გაგება დომინირებს — როგორც „წვდომილი“ თუ „მწვდომი“ წარმოდგენისა. რომელ მათგანს განეკუთვნება ქვეშარტება და რა აზრით?²¹ ზოგიერთი (მაგ. ა. მაკოველსკი) ფიქრობს, რომ ფ. ჯ. ორივე მნიშვნელობის მქონეა; ზოგი კი (მაგ. ბონპოფერი) კვლევის ამოცანას იმის დადგენაში ხედვს, თუ რომელი მათგანის მნიშვნელობით მოიხმარს მას სტოიციზმი. ბარტის თანახმად, ეს ამოცანა იმის ნათელყოფაში ავლენს თავს, თუ რას გამოთქვამს ფ. ჯ. — „წარმოდგენას რომელიც ჩვენ გვიმორჩილებს, გვიჭერს“ თუ „წარმოდგენას, რომელსაც ჩვენ უწვდებით, ვიჭერთ“.

ჩვენ ქვემოთ შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ ფ. ჯ.-ს „რთულსა და სიბნელით მოცულ“²² შინაარსს აღქვამურად არ გამოთქვამს არცერთი მათგანი, ალბათი იზოლირებული სახით. მისი შინაარსის გასსნა დიფერენცირებულ მიდგომას საჭიროებს, რომლის საფუძველშიც შემცენების რაობისა და სინამდვილესთან მიმართების სტოიციკური გაგება უნდა იქნეს ჩადებული. მანამ კი თვით იმ არგუმენტაციის შესახებ, რომელიც ფ. ჯ.-ს სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას უდევს საფუძვლად.

დავიწყოთ მისი *begrifflichen Vorstellung*-ად მიჩნევის დასაბუთების მიზნით წამოყენებული არგუმენტაციის ანალიზით.

ა) ჩაღებს რა იდეალისტურ შინაარსს შემცენებისა და ქვეშარტების ცნებაში, ჰეგელი შეეცდება დასაბუთოს, რომ ფ. ჯ.-ს როგორც ქვეშარტებისა და სიკეთის „მეტეორული პრინცი ბის“ ქვეშ გაგებულ უნდა იქნას“ არა გრძნობადი წარმოდგენა, როგორც ასეთი, არამედ წამოდგენა დაბრუნებული აზრში, ცნობიერების კუთვნილებად ქმნილი“. ფ. ჯ.-ს ასეთი ინტერპრეტაცია, ჰეგელის თანახმად, იმიტომაა აუცილებელი, რომ წარმოდგენა, ალბათი თავისთავად, წარმოსახვა (*Einbildung*, *т.п.с.а.в.*) და იმისათვის, რომ იგი ქვეშარტი იყოს, „საჭიროა წვდომილი იქნას“, რაც მხოლოდ აზროვნებით ხორციელდება. ჰეგელი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ წარმოდგენას ქვეშარტების ნიშანს სძენს, არა საგანთან შესაბამისობა, არამედ თვით მისი წვდომა, რაც მას აზროვნებასთან იგივეობრივს ხდის. ამიტომ გასაგები უნდა იყოს, რომ ჰეგელთან ფ. ჯ. წარმოდგენილია როგორც გაგებულ, წვდომილი წარმოდგენა და, ამდენად, როგორც აზროვნება. ჰეგელი საესებოთ მიუღებლად მიიჩნევს ქვეშარტების სტოიკულთა, როგორც თვითონ უწოდებს, „ღირსშესანიშნაეი დეფინიციის“ ისეთ გაგებას, თითქმის ერთ მხარეს იყოს წარმოდგენა, ხოლო მეორე მხარეს — საგანი და საჭირო იყოს საგნისა და წარმოდ-

²⁰ А. Маковельский. История логики, 1967, стр. 176.

²¹ უზრადლებას იქცევს უაქტი, რომ „მწვდომის“ ცნება ორგვარად განისაზღვრება რის მიხედვით, იგი შემცენების საგნის მიმართ გამოიყენება თუ შემცენებელი სუბიექტის მიმართ.

²² იხ. Handbuch der Philosophie, 39. Leterung, 1933, S. 33.

გენის შესატყვისობა, თანხმობა ერთმანეთთან ისე, რომ „საჭირო იყოს რაღაც მესამე, რაც მათ შორის ამ შედარებას აწარმოებდა“. ჰეგელი შეუძლებლად მიიჩნევს ასეთი ამოცანის განხორციელებას და შემდეგ არგუმენტაციას გვთავაზობს ამ შეუძლებლობის დასაბუთების მიზნით: «Если бы это было так, то таким третьим мы должны были бы признать само сознание; но последнее с ничем иным не может сравнивать, кроме своего представления и притом — не с предметом, а опять-таки со своим представлением» ამიტომ ჰეგელიანობის დადგენის გზა, ჰეგელის თანახმად, სულ სხვა სპეციფიკის მქონეა. ესაა ცნობიერების მიერ საგნის წარმოდგენის მიღება, მისდამი თანხმობის გაცემა, „რადგან სწორედ ეს თანხმობაა ის, რის მეშვეობითაც წარმოდგენა ჰეგელიანობის ხასიათს იძენს“. საქმე ისე როდია, — გვაფრთხილებს ჰეგელი, — როგორც ეს ჩვეულებრივ წარმოდგენათ. თითქმის საგანი აწევება სანთელს და აღიბეჭდება მასში, ხოლო შემდეგ რაღაც მესამე ადარებს საგნისა და სანთლის ფორმას და ანაბეჭდის მართებულებაზე, წარმოდგენის საგანთან თანხმობაზე მიუთითებს: «Нет. Деятельность разума состоит в том, что мышление само по себе дает свое одобрение и признает предмет соответствующим ему. В этом и заключается сила истины, или, иначе говоря, одобрение именно и есть высказывание этого соответствия, есть сама оценка. В нем, говорят стоики, содержится истина;... Но истинность самого предмета заключается в том, что это предметное соответствует мышлению, а не в том, что мышление соответствует предмету...».²³

ჩვენ სპეციალურად მოვიტანეთ ეს ვრცელი ამონაწერი, რადგან ჰეგელი ფიქრობს, რომ „სწორედ ასეთია სტოელთა ძირითადი აზრი“ მიუხედავად იმისა, რომ მის შესახებ, უპირატესად, მოწინააღმდეგეთა ცნობებიდან ვიცით რაიმე. სტოელთა ნააზრევის შემოთმოტანილ ინტერპრეტაციაში ზოგიერთი რამ მართებულადაა შენიშნული, კერძოდ, რომ ჰეგელიანობის საზომი არ გამოდის ცნობიერების ფარგლებიდან და რომ არ არის რაღაც მესამე საგანსა და წარმოდგენას შორის; რომ კატალექტიკური წარმოდგენა ცნობიერების აღიარებას, თანხმობას იწვევს, რომ ამასშია მისი როგორც ჰეგელიანობის, და საერთოდ ჰეგელიანობის ძალა და სხვ. მაგრამ, ამ შემთხვევაშიც, იგნორირებული რჩება მთავარი თვითმიზეზი კატალექტიკური წარმოდგენის ამ ძალისა.

ჰეგელი თავის ინტერპრეტაციაში სექსტს ეყრდნობა, ნდობას უცხადებს მას. მაგრამ სწორედ სექსტი მიუთითებს კატალექტიკური წარმოდგენის საგნობრიობით განსაზღვრულ ბუნებას და ჰეგელი, არამც თუ უარყოფს ამას, პირიქით, როგორც თავად ამბობს: «He может быть и речи о том, чтобы стоики думали, будто мыслящий дух не нуждается в предмете, чтобы существовать в качестве сознания; это потребность в предмете, наоборот, прямо содержится в его памяти». როგორც ვხედავთ, საკითხი თვით საგნის გაცემაზე ეხება. ჰეგელი განაგრძობს: «Но данная определенность (das Diese) предмета, как некоего внешнего, есть лишь момент, который не является ни единственным, ни существенным. Это — явление духа, и последний существует лишь тогда, когда он является. Он должен, следовательно, обладать предметом, как внешним предметом, и давать ему свое одобрение т. е. выходить из этого отношения, уходить в себя и познавать в этом уходе свое единство. Но точно также, после того как он ушел в себя, он должен теперь из себя породить свой

²³ ჰეგელი ი. დასახ. ნაშრომი, 338—340.

предмет и дать самому себе то содержание, которое он из себя высылает вовне». ჰეგელი საყვედურს გამოთქვამს იმის გამო, რომ «Стоицизм только и есть это возвращение духа в себя, устанавливающее единство самого себя и предмета, познающее совпадение самого себя и предмета; но стоицизм не есть выход в свою очередь вовне для распространения из самого себя науки о некоем содержании...» ჰეგელი, არკეზილაისთან ერთად სტოეღთა პრინციპში შინაგან წინააღმდეგობას ხედავს იმის გამო, რომ «мыслимое нами представление есть, согласно им, мышление чего-то другого, между тем как мышление может мыслить лишь само себя»²⁴.

შემეცნების რაობისა და საგნის ასეთი გაგება მიუღებელია სტოიციზმი-სათვის და საესეგბით სამართლიანადაც. სტოიციზმი უარყოფს ცნობიერების აეტონომიურობის თეზას. ცნობიერება სინამდვილის ასახეა და არა შემოქმედი მისი. იგი საგანს რეალურ სინამდვილეში ჰპოვებს და არა თავისთავიდან აწარმოებბ მას. მისი შინაარსი რაღაცა სხვით, გარეგანი საგნებითაა განსაზღვრული და არა იმით, რაც მას „თავისთავიდან გამოაქვს გარეთ“. „თვით აძლევს თავის თავს“. შემეცნებისა და მისი საგნის ურთიერთობის ასეთი გაგება უქმნის რეალურ ნიადავს სტოეღთა გნოსეოლოგიას და საესეგბით გაუგებარი და დაუსაბუთებელია ჰეგელის მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს სტოეღთა გნოსეოლოგია წმინდა ფორმალურ ხასიათს ატარებდეს იმის გამო, რომ მან (და საერთოდ ანტიკურმა ფილოსოფიამ) აზრისა და რეალობის ერთიანობა ვერ გაიგო. ზემოთაღნიშნული (ჰეგელისეული) აზრით: ამის გამო დაუსაბუთებელი დარჩა თვით ფ. ჰ-ს ქვემარტივება, ხოლო საბოლოო საზომის როღში გამოტანილი იქნა „აზროვნების ფორმალური იგივეობა“, „წინააღმდეგობის კანონი“.

ფ. ჰ-ს ზემოთ წარმოებულ ანალიზში ნათლად ავლენს თავს მისი რაციონალისტური ინტერპრეტაცია, რის გამოც ქვემარტივების საზომის ფუნქციაც გონებას მიეწერება. ამიტომ, ჰეგელი საესეგბით „ლოგიკური“ ჩანს, როდესაც ადრეულ სტოიციზმს, და მათ შორის ტენონსაც, მიაწერს მოსაზრებას ქვემარტივების საზომის ქვეშ მართებული გონების (გრძებ; ἰσχύς) გაგების შესახებ. მაგრამ მსჯელობის ამ ლოგიკურობას ქვემარტივების უარყოფა უდევს საფუძვლად.

ბ) როგორც ცეღერი მიუთითებს, ქვემარტივების საზომის ასეთი ინტერპრეტაცია შეუძლებელია სარწმუნოდ იქნეს მიჩნეული, რადგან ეწინააღმდეგება ისტორიულ წყაროებს, და მაინც, ისიც ფ. ჰ-ს წარმოადგენს როგორც *begreiflichen Vorstellung*-ს. რით უნდა იყოს პირობადებუღი ფ. ჰ-ს ასეთი ინტერპრეტაცია ცეღერთან?

ჩვენ ზემოთ, ჰეგელის თვალსაზრისის ანალიზისას, შევეცადეთ გვეჩვენებინა ფ. ჰ-ს ასეთი გაგების არამართებუღება. იგი, წარმოდგენის რაობის დადგენის გარეშე, ჰერ კიდევ არაფრისმოქმელია მისი ქვემარტივებისა და საერთოდ სინამდვილესთან მიმართების ნათელყოფის თვალსაზრისით. ქვემარტივება, სტოეღთა თანახმად, სინამდვილის წვდომაა და არა წარმოდგენისა. წარმოდგენის „წვდომა“, „გაგება“ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა ყოფილიყო თვით სინამდვილის წვდომისა და ამდენად მისი ქვემარტივების თავდები, რომ ყოველი წარმოდგენა იყოს სინამდვილის „მწვდომა“, „დამქერი“. სტოეღები ამ აზრს არ იცავენ. პირიქით, ისინი წარმოდგენათა დიფერენციაციას აწარმოებენ

²⁴ ჰეგელი ი. დასახ. ნაშრ. გვ. 341, 396.

მწვდომსა და არამწვდომზე, ქეშმარიტსა და მოჩვენებითზე იმისდამხიხედვით, თუ რა მიმართებაში არიან ისინი თვით რეალურ სინამდვილესთან.

ამიტომ გაუმართლებელი და სტოიციზმისათვის მიუღებელი ჩანს მოსაზრება, თითქოს ფ. ა. „ჩვეულებრივი“, „უბრალო წარმოდგენის“ იდენტური იყოს, განსხვავებას კი მხოლოდ ის ქმნიდეს, რომ მასში გაცნობიერებულა მისი ობიექტთა თანხმობა. მიუხედავად ამისა ცელერი სწორედ მასში ხედავს „კატალექტიკური წარმოდგენის“ არსებას. ცელერის მოსაზრება ასეთ სახეს იღებს: «По их мнению часть наших представлений такова, что они вынуждают нас согласиться с ними (συγκαταλαμβάνει); они связаны с сознанием, что они могут произойти только от чего-либо реального, они имеют непосредственную очевидность (ἐναργεία); поэтому когда мы их признаем, мы схватываем самый предмет, и именно в этом, в признании представления с такими качествами, состоит, по мнению Зенона понятие (κατάληψις-выражение, введенное Зеноном), которое в силу этого (в отличие от ἐννοια...) имеет такое же содержание, как простое представление, но отличается от последнего сознанием своего согласования с объектом и своей вытекающей отсюда неизменяемостью. Представление, которое влечет за собою это сознание, Зенон называл постигнутым представлением (φαντασία κατάληπτική) т. е. таким, которое способно понять свой объект»²⁵.

ამრიგად, წარმოდგენის კატალექტიკურობის პირობას, ცელერის თანახმად, სხვა წარმოდგენებთან მისი შინაარსობრივი იდენტურობის გამო, საგანთან შესაბამისობის გაცნობიერება ქმნის. მაგრამ რამდენად ააქცია რთვები ული კატალექტიკური წარმოდგენის სპეციფიკის ასეთი ინტერპრეტაცია? ცელერიც ხომ არ უარყოფს, რომ სტოეელთა თანახმად, ჩვენი წარმოდგენების მხოლოდ ნაწილია ქეშმარიტი და, ამდენად, საფუძველია იმის გაცნობიერებისა, რომ ისინი რაღაც რეალურიდან არიან წარმომდგარნი. მაშასადამე, წარმოდგენის კატალექტიკურობის პირობა მისი სინამდვილესთან მიმართება ყოფილა და არა მხოლოდ ამ მიმართების გაცნობიერება. წარმოდგენის ობიექტთან შეთანხმებულობის გაცნობიერებას საფუძვლად უდევს წარმოდგენის საგანთან შესატყვისობა და მხოლოდ ეს უკანასკნელი შესძენს გაცნობიერებას გნოსეოლოგიურ ღირებულებას. ეს კი იმაზეც მიუთითებს, რომ საგნის შესატყვისი, მისი მწვდომი წარმოდგენა, შინაარსობრივად არ უნდა იყოს იდენტური „უბრალო წარმოდგენისა“. ფაქტური ვითარება საპირისპირო უნდა იყოს. სწორედ იმის გამო, რომ მხოლოდ ზოგიერთი, კერძოდ კატალექტიკური წარმოდგენაა დაკავშირებული იმის გაცნობიერებასთან, რომ იგი წარმოდგენილია რაღაც რეალურიდან — მათ არ უნდა ჰქონდეთ ისეთივე შინაარსი, როგორც ყოველივე სხვა „უბრალო წარმოდგენას“. მიუთმეტეს, რომ კატალექტიკური სწორედ ის წარმოდგენა ყოფილა, „რომელსაც უნარი შესწევს გაიგოს თავისი საგანი“. რაც მთავარია, თუ კატალექტიკური წარმოდგენის არსებას სწორედ ის ქმნის, რომ მას უნარი შესწევს გაიგოს თავისი საგანი, იგი „დამჭერი“, „მწვდომი“ წარმოდგენა ყოფილა და არა „გაგებული“ (წვდომილი), „დაჭერილი“ წარმოდგენა. ამ შემთხვევაში საქმეს ვერ შევლის იმაზე მითითება, რომ კატალექტიკური წარმოდგენის აღიარებით თვით საგნებსაც ვიჭერთ. წარმოდგენათა წვდომა მხოლოდ იმ

²⁵ ცელერი ი. დას. ნაშრ. გვ. 218—219 (ხაზი ჩემია-ბ. კ.).

შემთხვევაში შეიძლება იყოს, თვით საგანთა წვდომის თავდებიც, თუ წარმოდგენა შეესაბამება საგანს, თუ მასში დაქერილია საგანი.

ფ. ზ. ცელერისეული ანალიზი როგორც *begrifflichen Vorstellung*-ისა, მისი სხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობასაც სტოვეებს. კერძოდ, *αααα.ψψψ* = ცნებას, რომელსაც, განსხვავებით ზოგადი წარმოდგენებისაგან (*ἔννοιαι*), აქვს ისეთივე შინაარსი, როგორც უბრალო წარმოდგენას, მაგრამ ემოჯნება ამ უკანასკნელს საგნებთან თავისი შესაბამისობის გაცნობიერებით. ამ ინტერპრეტაციაში ფ. ზ-ი ჩვენს წინაშე წარმოსდგება როგორც ცნებითი წარმოდგენა, რაც ნაკლებად ეფუძება სტოელთა გნოსეოლოგიის სენსუალიზმს. მიუხედავად ამისა, როგორც ვნახეთ, სტოიციზმის ირგვლივ არსებულ ლიტერატურაში გამოხატვის არ ქმნის მისი ასეთი ინტერპრეტაცია²⁶. რას შეიძლება ეფუძნებოდეს ფ. ზ-ს ასეთი გაგება აღრეული სტოიციზმის მიმართ?

ცნობილია, რომ სტოელები წარმოდგენის ორ სახეს — გრძობადსა და არაგრძობადს (გონების) განასხვავებენ ერთმანეთისაგან და შესაბამისად წვდომის ორ გზას მიუთითებენ. უკვე ეს ფაქტი კითხვის ნიშან ქვეშ სვამს ფ. ზ-ს ცნებით წარმოდგენაზე დაყვანის მართებულებას და არა მხოლოდ იმ აზრით, რომ იგი ადგილს აღარ ტოვებს სინამდვილის გრძობადი წვდომის, როგორც შემეცნების ერთ-ერთი (სტოელთა აზრით, ძირითადი) სახისათვის, არამედ იმის გამოც, რომ გონებით წვდომა, სტოელთა თანახმად, თვით ეფუძნება შეგრძნებათა საფუძველზე განხორციელებულ წვდომას²⁷ და ამდენად დაქვემდებარებულ მნიშვნელობას იძენს მასთან მიმართულებაში. გონება სინამდვილესთან კავშირს შეგრძნებათა საფუძველზე ამყარებს²⁸. „შეგრძნება ხელმძღვანელია გონების“.

და მაინც სიძნელე თითქოს დაუძლეველი რჩება. იქნებ კატალეპტიკური სწორედ ეს გონებით წვდომაა, განსხვავებით გრძობადი წვდომისაგან, და ამიტომ ფ. ზ-ში ცნებითი წარმოდგენა უნდა იყოს გაგებული? დ. ლაერტელის ცნობით, „წარმოდგენათა ნაწილი უშუალოდ ცნებით იჭერს, ნაწილი არ არის უშუალოდ დამჭერი“²⁹, მაგრამ ავტორი წინააღმდეგობაში მოდის მისსახე ცნობასთან (VII, 49), რომლის თანახმადაც, „გონებას უნარი შესწევს მხოლოდ იმის გამოხატვისა, რაც წარმოდგენითაა გამოწვეული“, მთავარია ის, რომ ზემოთმოყვანილი ცნობის მართებულების შემთხვევაში საცხებით გაუგებარი და სტოელთა ნააზრების სრულ ფალსიფიკაციაზე იქნებოდა დაფუძნებული მთელი ბრძოლა, რასაც ანტიკური სკეპტიციზმი აწარმოებდა სტოელთა ფ. ზ-ს როგორც კეშარიტებისა და მისი საზომის წინააღმდეგ. აკადემიური სკეპტიციზმის წარმომადგენელი არკეზიდაი, ფ. ზ-ს უარყოფისა თუ შეუძლებლობის დასაბუთების მიზნით, სწორედ იმაზე მიუთითებდა, რომ «...одобрение возникает не по отношению представлению, но по отношению к смыслу — λόγος (ведь одобрение относится к постулатам)»³⁰, რაც, თავის მხრივ, უდაოს ხდის იმ ფაქტს, რომ „კატალეპტი-

²⁶ იხ. მ. გოგინბერიძე. რწ. ფილოს. თხზ. ტ. III, გვ. 216; Эпиктет. Основания стоицизма, стр. 19.

²⁷ სეკსტი. VII, 383.

²⁸ იხ. Древнеримские мыслители. (видетельства, тексты, фрагменты, 1955, стр. 80.

²⁹ დ. ლაერტელი. VII, 46. ანტიკური ფილოსოფიის მკვლევრებს არაერთხელ შეუნიშნავთ წინააღმდეგობანი დ. ლაერტელის ცნობებში. მათ შესახებ ჩვენ დ. გვექნება საუბარი.

³⁰ სეკსტი. VII, 154.

კლრობა“ ძენონისა და ხრისიპეს აზრით გრძნობად წარმოდგენებთანაა დაკავშირებული, რის გამოც მართებული არ უნდა იყოს ფ. ჰ-ს სტოიციკტური შინაარსის *begrifflichen Vorstellung*-ის სახით გადმოღება.

რასაკვირველია, გრძნობადი წარმოდგენისადმი თანხმობის ვაცემა, მისი აღიარება, გონების მეშვეობით ხდება. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ფ. ჰ. თვით იყოს ცნებითი წარმოდგენა. კატალექტიკურია არა ის, რაც წარმოდგენის სინამდვილესთან მიმართებას აცნობიერებს (ასეთი ყოველთვის გონებაა), არამედ თვით წარმოდგენის ის მიმართება სინამდვილესთან, რაც გონების ამ გამაცნობიერებელ მოქმედებას უღვევს საფუძვლად. თავის მხრივ, წარმოდგენათა დიფერენციაცია გრძნობადსა და გონებრივზე ისე კი არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს პირველი სავსებით გამორიცხავდეს გონებას. ასეთი წარმოდგენები, თვით სტოელთა აღიარებით, ცხოველთა ზვედრია. მაგრამ წარმოდგენის კატალექტიკურობის დადგენაში გონების საჭიროებაზე მითითება როდი უარყოფს ზემოთქმულის ქვეშაობას, ანდა იმაზე როდი მიუთითებს, თითქოს სტოელთა „პრინციპულ სენსუალიზმში აპრიორიზმის ელემენტები იჭრებოდეს“³¹. როგორც ანტიკური ფილოსოფიის ცნობილი მკვლევარი ა. ლოსევი მიუთითებს სტოელზე — «...безукоризненно сохраняли свою исходную эмпирическую позицию и в то же самое время учли необходимость идеальных понятий в человеческом субъекте, без функционирования которых в оценках чувственности они совершенно не мыслили никакой строгой науки. Это один из лучших примеров того, как можно спасти науку на основе эмпирических данных без всякого впадения в кантовский субъективный априоризм или в платоново-аристотелевскую объективную эйдологию»³².

ამრიგად, დავას არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ სტოელებს „კატალექტიკური წარმოდგენის“ ქვეშ გრძნობადი წარმოდგენა ესმით, მაგრამ როგორი „მწვდომი“ თუ „მწვდომილი“; წარმოდგენა (რომელიც „წვდება“, „იჭერს“ თავის საგანს), თუ წარმოდგენა „მწვდომილი“, დაქერილია“ გონების მიერ? აქამდე კატალექტიკური წარმოდგენის — „მწვდომ წარმოდგენად“ გაგების მართებულების დასაბუთების მიზნით, არსებითად, უარყოფით გზას მივმართავდით. კერძოდ, მისი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ვცდილობდით გვეჩვენებინა არამართებულება მის „მწვდომილი“ თუ „ცნებით“ წარმოდგენად გაგებისა. თავის მხრივ, ამ ანალიზს საფუძვლად ის ედო, რომ სტოელები *φανασία* *χαρακτήριον*-ს ქვეშ „მწვდომ“ წარმოდგენას გულისხმობენ. ამჯერად დასაბუთებული სწორედ ეს ხდება, რით საბუთდება, რომ ფ. ჰ., უპირველეს ყოვლისა, „მწვდომი“, „დაამქერი“ წარმოდგენაა სინამდვილისა და მხოლოდ მას შემდეგ და მის საფუძველზე სხვა, გარკვეულ თვისებებით აღჭურვილი წარმოდგენა?

ციცერონმა შემოგვინახა ცნობა, რომლის თანახმადაც ტერმინი „*χαρακτήριον*“ პირველად ძენონმა იხმარა შემეცნებაში „მწვდომის“ აქტის გამოსათქმე-

³¹ იხ. მ. გოგობერიძე. დას. ნაშრ., გვ. 217; Брашь, Классики философии, т. I, стр. 217.

³² А. Лосев. Статьи по истории античной философии... 1965, стр. 39.

ლად³³. ამჯერად საკითხი იმის შესახებ ისმის, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებულ-
 ლი თვით „წვდომის“ რაობა. რა აზრით და რასთან მიმართებაში მოიხმარს მას
 სტოიციზმი და რაც მთავარია რაშია მისი არსება?

ფილოსოფიურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმა-
 დაც სტოელები ტერმინ „კატალექტიკური“ აღნიშნავენ „მსჯელობის აქტს, მი-
 ლებულს თანხმობის შედეგად“³⁴, რომელსაც სუბიექტი გამოსცემს კატალექტიკუ-
 რი წარმოდგენის მიმართ, ანდა, როგორც არნიმი იტყვის კატალექტიკური... „აღ-
 ქმის ადეკვატური მსჯელობა“, როცა „იგი ეთანხმება ნამდვილად კატალექტიკურ
 წარმოდგენას“³⁵. ამ ინტერპრეტაციით, ტერმინი — „კატალექტიკური“ — თან-
 ხმობის კუთვნილებად ცხადდება და კვლავ „წვდომილი წარმოდგენის“ მნიშვნე-
 ლობას იძენს. ნათელი უნდა იყოს, რომ ზემოთქმული პასუხს არა სცემს ჩვენს
 წინაშე დასმულ საკითხს. მასში ხაზი იმას ესმევა, თუ რა შემთხვევაშია
 თანხმობა (συναρμόσιαι) გაცემული კატალექტიკურ წარმოდგენაზე — კატა-
 ლექტიკური და არა თვით კატალექტიკურის რაობას. ეს კი ორი სხვადასხვა
 რამაა. ფაქტია, რომ თანხმობა გაცემული კატალექტიკურ წარმოდგენაზე, თვით
 არის წვდომა და მეცნიერებაც, სტოელთა თანახმად, ასეთი „წვდომათა სისტე-
 მაა“. მაგრამ, როგორც სექსტის ცნობა მიუთითებს (ზემოაღნიშნულ ცნობებთან
 ერთად), ამ თანხმობას საფუძვლად თვით წარმოდგენის კატალექტიკურობა უდ-
 ვეს და არ არსებობს მის ვარსებუ³⁶. რაც იმ დებულების მართებულებაზე უნდა მეტ-
 ყველებდეს, რომ თავისი არსებით, კატალექტიკურია არა თანხმობა, გაცემული კა-
 ტალექტიკური წარმოდგენის მიმართ, არამედ თვით წარმოდგენა, მაგრამ რა აზრით?
 მიუთითებს რა ტერმინ კატალექტიკურის საზრისის სადაო ხასიათს, ა. მაკოველსკი
 წერს: «Катаlepsis (схватывание) — это такая истина, которая... «схватыв-
 ает» нас, принуждает к согласию, неотразимо навязывает нам себя... при-
 нудительно действует на субъекта, вызывая в нем согласие и таким обра-
 зом порождает катаlepsis». მაშასადამე, კატალექტიკურობის არსებას მის მიერ
 ჩვენი წვდომა ქმნის და იმაში ავლენს თავს, რომ სუბიექტს იძულებულს ხდის
 თანხმობა გასცეს მასზე. მაგრამ მაკოველსკის თვით მოაქვს ძენინის დებულება
 იმის შესახებ, რომ იგი ტერმინ „კატალექტიკური“ თვით სავანათა „წვდომის“
 აღნიშნავს; რომ მეცნიერული ცოდნა, რომლის არსებასაც სინამდვილესთან თან-
 ხმობა ქმნის, სტოელთა თანახმად, „ურყევი კატალექსისია“; რომ კატალექტიკუ-
 რი წარმოდგენა „აბსოლუტური უცილობლობის“ მქონეა. კითხვა ისმის — რის
 გამო? ნუთუ იმის, რომ იგი ჩემი „მწვდომი“, „დამპყრი“ წარმოდგენაა, რომელიც
 იძულებულს მხდის თანხმობა გავსცე მასზე? ამ შემთხვევაში რა ღირებულების იქ-
 ნებოდა იგი თვით სინამდვილის შემეცნების თვალსაზრისით. მითუმეტეს, თუკი
 „არა ყველა კემპარიტი წარმოდგენა კატალექტიკური“ (?) და, ამდენად, მხოლოდ
 „ამა თუ იმ სუბიექტის მიმართ აქვს მიიძღვებელი ძალა“³⁷.

³³ ც ი ე რ ი ნ ი. Acad. prior. II, 145 (ანთოლოგია... გვ. 478) ძველ ბერძნულ ენაში მის
 სხვადასხვა მნიშვნელობას შორის „წვდომად“, „დაქერად“ გაგება ღმინირებს (იხ. Древнегре-
 ческо-русский словарь, т. I, стр. 895). ასტრი მიუთითებს ზმნა καταλαμβάνει-ის სამგვარ
 მნიშვნელობას: ergreifen — begreifen — erkennen (იხ. V. A. S t e r. Geschichte der anfiker
 Philosophie, S. 142).

³⁴ История философии, т. I, 1941, стр. 296.

³⁵ Г. А р н и м. История античной философии, 1910, стр. 161.

³⁶ იხ. სექსტი, VIII, 398.

³⁷ თუმცა ა. მაკოველსკი კატალექტიკური წარმოდგენის სამგვარი მნიშვნელობის შესაძლებლო-
 ბას მიუთითებს (მათ შორის კატალექტიკურის როგორც სავანის დამპყრის, მისი ადეკვატური მოცე-

4. „მაინე“, ფილოსოფიის... სერია, 1977, № 4

მოუსმინოთ თვით სტოელებს, გადმოსცემს რა მათს შეხედულებას ტერმინ „კატალექტიკურისა“ და „კატალექტიკური წარმოდგენის“ რაობის შესახებ, სექსტი წერს: «*Postigaющим... представлением является то, которое вылепливается и запечатливается с формы реально существующего и в соответствии с реально существующим, каковое представление не могло бы возникнуть со стороны несуществующего реально. Строжайшим образом подтверждается, что такое представление способно к восприятию субстрата и что оно конструктивно вылепливает все относящиеся к нему специфические свойства. Они (стойки) полагают, что (постигающее представление) обладает каждым из этих свойств как акциденцией. Первое из них — свойство возникать «со стороны действительно существующего»... Второе — свойство возникать «со стороны действительно существующего и в соответствии с этим действительно существующим»... Именно, как резчики выполняют все части своей работы в согласии с замыслом и целью и как следы от печати всегда в точности вылепливает на воске все ее оригинальные черты, так и осуществляющие постижение субстрата должны непосредственно следовать и за всеми его специфическими свойствами»³⁸. უდაო უნდა იყოს, რომ ტერმინ „კატალექტიკურის“ არსებას საგანთან, შემეცნების ობიექტთან მიმართება ქმნის, რის გამოც ფ. ჰ. სტოელთა გაგებას ზუსტად უნდა გადმოსცემდეს მისი „მწვდომ“, „დამკერ წარმოდგენად“ მიჩნევა. კატალექტიკურია წარმოდგენა, რომელშიც „დაქერილი“, „წვდომილია“ მისი საგანი. კატალექტიკური წარმოდგენის ასეთი ურთიერთობა სინამდვილესთან მისი ჰემმარიტების თავდება: ანდა, როგორც ხრისიპეს უთქვამს, „კატალექტიკური წარმოდგენა არის ჰემმარიტი და მამი შეუძლებელია სიყალბე“³⁹.*

4. შემეცნების ჰემმარიტების კატალექტიკურობაში ძიება იმის გამო, რომ არსებობენ აკატალექტიკური წარმოდგენები⁴⁰ მოითხოვს საზომს, რომელმაც წარმოდგენის კატალექტიკურობა უნდა გახადოს ნათელი და განასხვავოს იგი აკატალექტიკური თუ ყალბი წარმოდგენებისაგან. ეს არის პუნქტი, რომელიც სტოელთა მოძღვრების ცენტრში ექცევა და ჰემმარიტების საზომის დადგენას,

მულობის მნიშვნელობასაც აღნიშნავს). მაგრამ: 1) აეტორი ლიდ ტოევებს საკითხს, თუ ამ ტერმინის რა გაგება ჰქონდათ მხედველობაში სტოელებს და 2) რაც მთავარია, წარმოდგენის კატალექტიკურობის არსებობა მიიჩნევა სუბიექტის დამკვეთმდებარებლის უნარს (იხ. ა. მაკოველსკი. დასახ. ნაშრ. გვ. 176). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჰემმარიტი წარმოდგენის კატალექტიკურობასთან მიმართების ასეთი ინტერპრეტაცია — ყოველგვარი განმარტების გარეშე — გაუგებრობაზე დაფუძნებული; ამ შემთხვევაში, სტოელებს მხედველობაში ყავთ გონებასუსტი ან მეღანქოლით შეპყრობილი პიროვნება) იხ. სექსტი. VII, 247).

³⁸ სექსტი. VII, 248—249, 251. სტოელები ღრმად არიან დარწმუნებულნი წარმოდგენის გნოსეოლოგიურ ღირებულებაში. მის უნარში ეჭვის შეტანა ადამიანს უსულო საგნებს უტოლებს (იხ. იქვე, 259—260).

³⁹ ნ. ს. ტ. ე. დასახ. ნაშრ., გვ. 59 (109). უდრ. სექსტი. VII, 152.

⁴⁰ ჰერბერტის თანახმად, ფ. ჰ. ორგვარი წინააღმდეგობის შემცველია: 1) აკატალექტიკურია წარმოდგენა, რომლის შემეცნებითი ღირებულება ნოლის ტოლია, იგი აზრის (*ბძნა*) საფუძველია; 2) კატალექტიკური წარმოდგენა, რამდენადაც იგი ჰემმარიტი წარმოდგენაა (*φαντασία ძღმურეს*) უპირისპირდება არაჰემმარიტი წარმოდგენას (*გეიბეს ფანაია*). რომლის შემეცნებითი ღირებულება ნაკლებია ნოლზე. მამასადამე იგი ნეგატიურია, რადგან არ გვაქვს ჰემმარიტი შემეცნებისაგან სვლა, იგი შეცდომის წყაროა (იხ. R. Herbertz. Das Wahrheitsproblem in der griechischen Philosophie, 1913, S. 237).

გნოსეოლოგიური კვლევა-ძიებების ფუნდამენტალურ ამოცანად სახავს. როგორია ადრეული სტოიციზმის თვალსაზრისი ქვეშარიტების საზომის შესახებ?

დ. ლაერტელი წერს: «Стоики говорят, что мерилом истинности бывает постигающее представление, то есть исходящее от существующего, как об этом говорит Хрисипп в двенадцатой книге о явлениях природы, а также Антипатр и Аполлодор. Боэт допускает большие мерил; ум, ощущение, стремление и знание. Но Хрисипп, не соглашаясь с ним, в первой книге о разуме говорит, что мерилами служат ощущение и предвосхищение. А предвосхищение — это прирожденное понимание общего. Другие же из более ранних стоиков считают мерилом верное рассуждение, как это делает Посидоний в книге о мериле»⁴¹.

ა. ბონპოფერი სამართლიანად მიუთითებს წინააღმდეგობაზე დ. ლაერტელის ზემოთმოტანილ ცნობაში, სადაც ქვეშარიტების საზომის როლში ხრისიპთან შეგრძნებასა (αἰσθησις) და პროლოფსისზეა (πρόληψις) მითითებული, რადგან იგი ეწინააღმდეგება მის სხვა გამოხატვას ამავე ფილოსოფოსზე, რომელშიც φαίνεται αἰσθησις καὶ πρόληψις წარმოდგენილია როგორც ერთადერთი და შეუღარებელი საზომი. ეს „სხვა გამოხატვაში“ დ. ლაერტელის ზემოთმოყვანილ ცნობაშივეა მითითებული. მაგრამ, თუ საკითხს ქვეშარიტების საზომის შესახებ საერთოდ სტოიციზმის მიმართ დავსვამთ, ჩვენს წინაშე სამი განსხვავებული თვალსაზრისი იჩენს თავს,— ეს საზომებია: 1) αἰσθησις καὶ πρόληψις, 2) φαῖσθησις καὶ πρόληψις და 3) ἔρμηξ ἰσχύς⁴². როგორია ურთიერთობა ძენონსა და ხრისიპეს შორის, საერთოდ, მათი დამოკიდებულება აღნიშნულ საზომებთან?

ა. ბონპოფერი სპეციალურად განიხილავს საკითხს ძენონის დამოკიდებულებისა ἔρμηξ ἰσχύς-თან როგორც საზომთან და მიუთითებს ლაფსუსზე შტეინის არგუმენტაციაში, რასაც იმის გაუგებრობა ქმნის, რომ ძენონის თანახმად, ἔρμηξ ἰσχύς-ი მხოლოდ კატალეპტიკური წარმოდგენის გვერდით და მის ბაზაზე შეიძლება იქნეს დამუშავებული როგორც საზომი ქვეშარიტებისა⁴³. ვინაიდან იგი, რ. პერბერტის სიტყვებით, რომ ვთქვათ, „მოქსოვილია კატალეპტიკური წარმოდგენებიდან“⁴⁴.

რაც შეეხება შეგრძნებასა და პროლოფსისს (αἰσθησις καὶ πρόληψις) ცელერი მიდის დასკვნამდე, რომ „არც შეგრძნება და არც პროლოფსისი არ წარმოადგენენ ნამდვილ (eigenliche) საზომებს“⁴⁵ ასეთი მხოლოდ კატალეპტიკურია, რომელიც წარმოდგენაში დარწმუნების უშუალო ძალას ფლობს. და მაინც დგება საკითხი, თუ როგორია ფ. ჯ-ს მიმართება დანარჩენ საზომებთან. ბონპოფერმა დაასკვნა, რომ ცელერისა და შტეინის (რო-

⁴¹ დ. ლაერტელი. VII, 54 (ანთოლოგია... გვ. 479).

⁴² იხ. ა. ბონპოფერი, დასახ. ნაშრ., გვ. 222. სწორი არ არის საკითხის ისეთი დიფერენცირება, თითქოს პირველი თვალსაზრისის წარმომადგენელი ხრისიპია, მეორისა — ძენონი, მესამისა — არისტონი და პოსიდონი (იხ. ა. მაკოველსკი. დასახ. ნაშრ., გვ. 177), ავტორი ეწინააღმდეგება თავის-სავე დებულებას, რომლის მიხედვითაც, ხრისიპესთან საზომის როლში კატალეპტიკური წარმოდგენა იგულისხმება (იხ. იქვე, გვ. 178—179).

⁴³ ა. ბონპოფერი. დასახ. ნაშრ. გვ. 227.

⁴⁴ რ. პერბერტი. დასახ. ნაშრ. გვ. 239.

⁴⁵ Z e i l e r. die Philosophie der Griechen. T. III, A. 1. 1909, P. 86.

მელიც, ბონჰოფერის აზრით, ძირითად პუნქტებში აღადგენს და იმეორებს ცე-
 ლერის დებულებებს) თელსაზრისი აღნიშნული პრობლემის ირგვლივ წინააღ-
 დგობრივია და ვერ მიიჩნევა მართებულად. ბონჰოფერი ფიქრობს, რომ
 საკითხის კვლევაში ამოსავალია თვით „საზომის“ ცნების გარკვეული ინტერ-
 პრეტაცია, კერძოდ, შეგრძნება და ლოგოსი (ან პროლეფრისი) ქეშმარიტი,
 ნამდვილი საზომებია, რამდენადაც „საზომად“ გაგებულია შემეცნების სა-
 შუალება (Erkenntnis-mittel). რაც შეეხება კატალეპტიკურ წარმოდგენას, ის-
 იც საზომია, თუმცა — სხვა აზრით, სახელდობრ, არა როგორც შემეცნების
 საშუალება, არამედ — როგორც შემეცნების ნიშანი (Erkenntnis-ze'cleu). ფ. ჯ.
 მხოლოდ წარმოდგენა და როგორც ასეთი, სულის მომენტალური სიმპტომე-
 რი მოვლენაა. შეგრძნება და ლოგოსი კი სულის ძალებია და, ამდენად, სტა-
 ბილური საზომებია. ესენი საზომებია ქეშმარიტების „მასშტაბით“, ხოლო
 ფ. ჯ. — შემეცნების წვდომის სიმპტომის აზრით.

აღნიშნულის მიუხედავად, არც ბონჰოფერი უარყოფს იმ დებულების მარ-
 თებულებას, რომ ისტორიულ წყაროებითაც და მკვლევართა საერთო აღიარ-
 რებითაც „...φανερα εαταληφαιη—არის ნამდვილი (eigenfl-iche) და ერთად-
 ერთი, (eir zig), უფრო ზუსტად, მთავარი კრიტერიუმი (Hauptkri-farium)“⁴⁶.

ის ფაქტი, რომ ძენონი და ხრისიპე ქეშმარიტების საზომის ფუნქციას კატა-
 ლეპტიკურ წარმოდგენას მიაწერენ. თითქმის საყოველთაო აღიარებას პოულობს
 ფილოსოფიაში (განსხვავებას მხოლოდ ის ქმნის, თუ როგორაა გაგებული თვით
 ფ. ჯ.-ს რაობა) მაგრამ, როგორც ვნახეთ, კატალეპტიკური წარმოდგენა სტოელთა
 კრიტერიოლოგიის საერთო საფუძველია. დ. ლაერტელმა შემოგვიჩანა დიოკლის
 ცნობა, რომლის თანახმადაც: „...μεριλο, при помощи которого познается ист-
 инность вещей, есть по роду своему представлени... так, как учение о при-
 знании, постижении и мышлении... не возникает без представления“⁴⁷.

რ ა შ ი ა ვ ლ ე ნ ს თ ა ვ ს კ ა ტ ა ლ ე პ ტ ი კ უ რ ი წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა
 რ ო გ ო რ ც ს ა ზ ო მ ი ქ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ი ს ა, რ ა გ ა ნ ს ა ზ დ ვ რ ა ვ ს
 მ ი ს უ ფ ლ ე ბ ა მ ო ს ი ლ ე ბ ა ს, ი ყ ო ს ა მ ფ უ ნ ქ ე ც ი ი ს მ ქ ო ნ ე ?
 უპირველეს ყოვლისა იმის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ ვერც სტოელები აწარ-
 მოებენ ნათელ დიფერენციაციას შემეცნების წყაროსა და საზომს შორის და მიუ-
 თითებენ რა კატალეპტიკურ წარმოდგენაზე, როგორც „ძირითად ქეშმარიტებასა“
 და შემეცნების „მეცნიერულ პრინციპზე“, მასვე მიაწერენ ქეშმარიტების საზომის
 ფუნქციას. ამიტომ სტოელთა გნოსეოლოგიური ნააზრების კვლევისადმი მიძღვ-
 ნილ ლიტერატურაში ქეშმარიტების საზომის როლში კვლავ კატალეპტიკური წარ-
 მოდგენა გამოტანლი. იგი თავის თავის „ზომაც არის და ნორმაც“. და ამაში,

⁴⁶ ა. ბონჰოფერი. დასახ. ნაშრ., გვ. 227—230. ავტორის აზრით, ფა-ი იმაში ავლენს თავს, რომ თავისში მოიცავს შეგრძნებასა და ლოგოსს, იგი პროდუქტია ქეშმარიტების ამ მასშტა-
 ბთა ობიექტისადმი მიყენებისა და, ამდენად, თვით არის საზომი, რომელიც თავისი *ὄνομα*
ἐναργής-ითა და *ἡυσιασ*-ით სუბიექტისათვის უდაოს ხდის თავის ქეშმარიტებას (იხ. იქვე,
 გვ. 231).

⁴⁷ დ. ლაერტელი. VII, 48—9 (ანთოლოგია, გვ. 478). წარმოდგენის როგორც ქეშმარიტების
 ძიების საყრდენის ეს თეორია პერპეტუალან ასეთ სახეს იღებს: იგი ერთმანეთისაგან განსხვავებს
 ემპირიულ ქეშმარიტებს კრიტერიუმს, რომელიც კატალეპტიკური წარმოდგენით ხელმძღვანე-
 ლობს და რომლის მოქმედების სფერო გრძნობად საგანთა სინამდვილეა (*αὐτήθεια*) და რაციონ-
 ალური ქეშმარიტების კრიტერიუმს — „ბუნებრივ ვინებას“ (*ἀρχαίς λόγοις*). რომელიც მოქსო-
 ვილია კატალეპტიკური წარმოდგენებით და რომლის მოქმედების სფერო — ლოგოსი-გონებაპე-
 რეტითი საგნებია (*νοητά*) იხ. რ. პერპეტუალი. დასახ., ნაშრ., გვ. 239.

თითქმის არაფერი უნდა იყოს გაუგებარი. ხრისიპეს სიტყვებით რომ ვთქვათ, «...подобно тому, как свет заставляет видеть себя самого и то, что он окружает, так и представление заставляет видеть себя само и то, что его производило»⁴⁸.

თუ რამდენად მართებულია ქვეშარტების საზომის ასეთი ინტერპრეტაცია სტოიციზმში, ქვემოთ წარმოდგენილი კვლევა გვიჩვენებს. ამჯერად კი იმის შესახებ გვინდა შევნიშნოთ, რომ ზემოთქმული, სექსტის ანალოგიურ ცნობებთან ერთად, კატალექტიკური წარმოდგენის უშუალო სიცხადის, როგორც მისი სპეციფიკური გარკვეულობისა და ქვეშარტების თავდების შესახებ — იმ დებულების მართებულობაზე უნდა მიუთითებდეს, რომ უკვე აქ, სტოელებთან ეყრება საფუძველი ახალ დროში დეკარტეს მიერ კლასიკური სხვით ფორმულირებულ დებულებას შემეცნების (*cogito*-ს), უცილობელი ქვეშარტებისა და სიცხადის როგორც მისი საზომის ურთიერთობის შესახებ.

სიცხადისადმი შემეცნების საზომის ფუნქციის მიკუთვნება სტოელებთან შეუნიშნავი არ დარჩენია ფილოსოფიურ კრიტიკას, მაგრამ იგი საბოლოოდ გაუცნობიერებელი დარჩა, რადგან მისთვის მასში უბრალოდ თანაარსებობენ დებულებანი: კატალექტიკური წარმოდგენის, უშუალო სიცხადის, შემეცნების სინათლის, გარკვეულობის როგორც მისი ქვეშარტების საზომისა და თვით კატალექტიკური წარმოდგენის როგორც ქვეშარტების საზომის შესახებ.

უკვე სტოელები აცნობიერებენ იმის აუცილებლობას, რომ წარმოდგენის კატალექტიკურობა, რაღაც სხვა ფენომენმა უნდა გახადოს ნათელი და მისი უმკველობა დაგვისაბუთოს. ამიტომ, ჩვენ უფრო მართებულად გვესახება დებულება, რომ საზომი ქვეშარტების არის არა კატალექტიკური წარმოდგენა (-ის სხვა არაფერია თუ არა ქვეშარტება), არამედ „მასში ძევს“⁴⁹, მისი რაობითაა განსაზღვრული ის, რაც მის უდაო ქვეშარტებაზე მიუთითებს და რაც ამ საფუძველზე ქვეშარტების საზომის ფუნქციას დაიმკვიდრებს. ამ ფაქტის გაუგებრობაზეა დაფუძნებული ქვეშარტების საზომის სტოელთა თეორიის სექსტისეული კრიტიკა. სექსტმა ეჭვი შეიტანა, და არც თუ უსაფუძველოდ, კატალექტიკური წარმოდგენის ქვეშარტების საზომად თვით კატალექტიკური წარმოდგენის მიჩნევის მართებულებაში, რადგან ფიქრობდა, რომ ასეთ ვითარებაში ქვეშარტების საზომის მაძიებელი არგუმენტაცია უსასრულობაში მიდის ან წრეში აღმოჩნდება ჩაკეტილი. სექსტი რაიმეს მიჩნევას თავის თავის საზომად უაზრობას უწოდებს და გარკვეულ არგუმენტაციას გვათავაზობს მისი დასაბუთების მიზნით⁵⁰.

მიუხედავად იმისა, რომ ამ არგუმენტაციაში ბევრი რამ საღაოა და ეწინააღმდეგება თვით სექსტის ცნობებს, უეჭველად მართებულია სექსტის მოსაზ-

⁴⁸ ა ე ც ი უ ს ი. VI, 12 (ანთოლოგია... გვ. 477) შდრ. ს ე ქ ს ტ ი. VII, 163, 442, თვით ტერმინი *parvaota*, ხრისიპეს თანახმად, წარმოებულია *ძმე*-იდან, რაც სინათლეს ნიშნავს.

⁴⁹ იხ. Zeller. Die philosophie der Griechischen..., T, III, A, I, S. 85; ნ ე ს ტ ლ ე. დას. ნაშრ. ტ. I, გვ. 33.

⁵⁰ ს ე ქ ს ტ ი. VII, 429, 426, 441, 319; VIII, 85—86; XI, 183. წინამდებარე წერილის მიზანდასახულება შეუძლებელს ხდის ამ არგუმენტაციის დეტალურ ანალიზს, —ეს ცალკე გამოკვლევის საგანია. ამჯერად მხოლოდ შევნიშნავთ, რომ ქვეშარტების საზომის მაძიებელი არგუმენტაციის უსასრულო რეგრესში სვლისა თუ წრეში მოქცევის თაობაზე, არსებითად, ახალი არაფერი უთქვამს შემდგომი დროის სკეპტიციზმს ანტიკურ სკეპტიციზმის, კერძოდ, სექსტისაგან განსხვავებით.

რება იმის შესახებ, რომ წარმოდგენის კატალეპტიკურობის საზომი ვერ იქნება თვით კატალეპტიკური წარმოდგენა, რადგან დასადგენი სწორედ ისაა. მაგრამ სტოელეზი წარმოდგენის კატალეპტიკურობის საზომს სხვაში, კერძოდ, მის სიცხადესა და ინტენსიურობაში ეძებენ და ამ ფაქტს არც სექსტი უარყოფს; პირიქით, იგი მრავალმხრივ და საყურადღებო არგუმენტაციას გვთავაზობს წარმოდგენის კატალეპტიკურობის საზომად სიცხადის მიჩნევის არამართებულების დასაბუთების მიზნით. სექსტი ცდილობს ნათელი გახადოს «... неразличимость постигающих и непостигающих представлений по их свойству, очевидности и интенсивности...»⁵¹.

სექსტის მიერ ფ. ჰ-ს როგორც ქეშმარიტების საზომის წინააღმდეგ წამოყენებული არგუმენტაცია ექვს არ ტოვებს იმაში, რომ ამ ფუნქციის მქონეა არა ფ. ჰ., არამედ მისი სპეციფიკური ვარკვეულობა — სიცხადე, რის გამოც, სიცხადის გნოსეოლოგიური ფუნქციის სტოელთა თეორიის ანალიზის გარეშე, საკითხი ქეშმარიტების საზომის რაობის შესახებ საესებით გაურკვეველი და სიბნელით მოცული რჩება სტოიციზმში. უარყოფს რა სიცხადის როგორც ქეშმარიტების საზომის სტოელთა თეორიას, სექსტი ცდილობს დაასაბუთოს, რომ „постигающее представление не имеет какой либо особенности, которая отличала бы его от ложных и непостигающих представлений». რატომ დასჭირდა სექსტს ამ მომენტზე ყურადღების გამახვილება? ვერც სექსტი უარყოფს იმ ფაქტს, რომ სტოელები ფ. ჰ-ს რეალურობის თავდებად მის სპეციფიკურ ვარკვეულობას მიიჩნევენ: «Ведь стоики утверждают, что тот, кто обладает постигающим представлением, конструктивно следует за наличным различием вещей, поскольку такое представление непременно имеет некое соответствующее специфическое свойство в сравнении с прочими представлениями, как имеют его рогаые змеи в сравнении с прочими змеями». რაშია ეს სპეციფიკა კატალეპტიკური წარმოდგენისა? სექსტი განაგრძობს: «Именно будучи очевидным и броским, ... оно привлекает нас к согласию и ни в чем другом не нуждается для появления в качестве такового или для пологания основания своего различия с прочими представлениями». მასხალამე, წარმოდგენის კატალეპტიკურობის საზომი, მისი უტყუარი მიმითებელი სიცხადე ყოფილა. მაგრამ ყურადღებას ის იქცევს, რომ, თვით სექსტის ცნობით, შემეცნების სიცხადე და ლიაობა მისი უცილებლობის, საზუსტის თავდებია: «Поэтому всякий человек, когда старается воспринять что-нибудь в точности, ... делает все, покамест не извлечет ясное и броское представление о предмете своего суждения, словно в этом полагают достоверность»⁵².

სექსტის ეს ცნობა, რომელიც გამონაკლისს არ ქმნის სტოელთა გნოსეოლოგიური ნაზრების ირგვლივ არსებულ ლიტერატურაში, არსებითი მნიშვნელობის მქონეა ქეშმარიტებისა და მისი საზომის სტოელთა თვალსაზრისის ანალიზისათვის. იგი უდაოს ზღის იმ ფაქტს, რომ სტოელები შემეცნების

⁵¹ სექსტი. XI, 193; VII, 442 და სხვ.; VI, 408. თუ რამდენად მართებულია სექსტის ეს მოსაზრება, ამას ნათელყოფს სიცხადის გნოსეოლოგიური ფუნქციის ანალიზი, მაგრამ მათი იდენტურობის ძიება იმაში, რომ „სიცხადე და ქმედითობა ძილში ნახულსაც ახლავს“, კერაფერს გვეტყვის თვით ამ პრინციპის აკვარგიაზობის შესახებ.

⁵² სექსტი. VII, 411, 252, 258 (ხაზგასმა ჩემია — ნ. კ.).

უცილობლობას მის სინათლესა და ლიაობაში, სიცხადეში ხედავენ და ზედა რიგია, რომ საზომის ფუნქციასაც მას დაუმკვიდრებენ.

რასი ავლენს თავს სიცხადე როგორც საზომი კემპარტებისა? როგორც ზემოთ მოყვანილი დებულებიდან ირკვევა, შემეცნება, მისი სიცხადისა და ლიაობის შემთხვევაში, რაც სტოელთა ღრმა რწმენით, მასში სინამდვილის ადეკვატური მოცემულობით, მისი წვდომითაა პირობადებული, სუბიექტის მწვდომიც ხდება და მის უპირობო თანხმობას იწვევს.

გ. არნიმის სიტყვებით რომ ვთქვათ: „Оно побеждает всякое колебание и сомнения в своей очевидности.“⁵³ და მისადმი სუბიექტივის ურყევ რწმენას განაპირობებს. აღსანიშნავია, რომ ზრისიპე შემეცნების (მეცნიერების) (ἐπιστήμη) სპეციფიკას სწორედ იმაში ხედავს, რომ იგი უბრალო აზრისაგან (βέβαια), როგორც „სუსტი და მატყუარა თანხმობისაგან“ განსხვავებით „მყარი, უტყუარი და უცილობელი წვდომაა“⁵⁴.

ამრიგად, ტერმინ „კატალეპტიკურისა“ და „კატალეპტიკური წარმოდგენის“ რაობის ანალიზისას სიცხადეს განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება. იგი, როგორც სინამდვილის მწვდომი წარმოდგენის სპეციფიკური გარკვეულობა, საშუალო რგოლია, შემეცნებისა, რომელიც სინამდვილის მწვდომ წარმოდგენას, შემეცნებელი სუბიექტის მწვდომის, დამქვემდებარებლის ფუნქციასაც სძენს. მასში თავს იყრის, სინთეზში მოდის კატალეპტიკური წარმოდგენის ორი არსებითი გარკვეულობა: იყოს მწვდომი, დამქვემდებარებული როგორც შემეცნების საგნისა, ისე შემეცნებელი სუბიექტისა⁵⁵.

ამჯერად საკითხი დგება თვით შემეცნების სიცხადის უფლებამოსილების შესახებ, იყოს საზომი მეცნიერული ცოდნის მყარი, უტყუარი და უცილობელი ხასიათისა. მრავალი მკვლევარი სიცხადის როგორც შემეცნების საზომის სტოიციკური გაგების „წმინდა ფსიქიკურ ბუნებაზე“⁵⁶ მიუთითებს და ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ „...при формулировке критерия истины, когда стонки ищут его в непосредственной очевидности для нашего сознания тех или иных представлений, они становятся на субъективно-идеалистическую точку зрения. Все дело для них в сознании несомненности того или иного положения, непоколебимости убеждения в том, что данное восприятие, представление, суждение совпадает с тем, что находится в самом объективном мире...“⁵⁷. რომ, „Логиков стонцизма ни мало не тревожит вопрос, что это... убежде-

⁵³ გ. არნიმი. დასახ. ნაშ. გვ. 161. ჩვენ ვერ დავეთანხმებით არნიმის მოსაზრებას, თითქოს სიცხადეს ის თვისება იყოს კატალეპტიკური წარმოდგენისა, რომელიც ამ უკანასკნელს კემპარტების საზომის ფუნქციას სძენს. წარმოდგენის სინათლესთან ანალოგია ამ დებულების მართებულებაზე როდი მიუთითებს. პირიქით, იგი იმაზე მიგვანიშნებს, რომ კატალეპტიკური წარმოდგენის კემპარტების საზომი სიცხადეა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ შორის იგივე მიმართებაა, რაც ახლ დროში კლასიკური ფორმით იქნა გამოთქმული დეკარტეს ცნობილ დებულებაში cogito-ს კემპარტებისა და სიცხადის როგორც მისი უცილობლობის უტყუარი საზომის შესახებ.

⁵⁴ იხ. ნეესტლერ. დასახ. ნაშ., 59—60 (109). შტრ. სექსტი. VII, 151. იხ. აგრ. სექსტი. XI, 183.

⁵⁵ ამიტომ, ჩვენ არამართებულად გვეჩვენება მტკიცება, თითქოს: „...этот термин обозначает либо отношение представления к предмету, им постигаемому, либо отношение его нашему знанию, либо отношение его к познающему субъекту“ (ა. მ. აკველსკი). დასახ. ნაშ., გვ. 176.

⁵⁶ Н. Блонский. Философия Платона, 1918, стр. 12.

⁵⁷ ა. მ. აკველსკი. დასახ. ნაშ., გვ. 177.

ние в чем либо может быть построено не на основании объективных данных, но на субъективно предвзятой мысли»⁵⁸.

ფაქტია, რომ სტოელებმა ვერ შეძლეს სიცხადის როგორც ჭეშმარიტების საზომის და საერთოდ ჭეშმარიტების საზომის პრობლემის მართებული გადაჭრა, მაგრამ მტკიცება იმისა, თითქოს სიცხადე როგორც საზომი ჭეშმარიტებისა სტოელებთან წმინდა ფსიქიკური იყოს და სუბიექტის ნება-სურვილს ექვემდებარებოდეს (ე. ი. არ გულისხმობდეს არავითარ ობიექტურ საყრდენს), — ყოველგვარ გამართლებასა მოკლებული. სხვა საკითხია, თუ რამდენადაა არგუმენტირებული სიცხადის როგორც ჭეშმარიტების საზომის საგანთა ბუნებით განსაზღვრულობის თეზა, მაგრამ უდაოა, რომ სტოელები სიცხადის გნოსეოლოგიურ ღირებულებას სწორედ მათს ასეთ მიმართებაში ხედავენ. გადმოსცემს რა ძენონისა და ზრინიპეს თვალსაზრისს აღნიშნული საკითხის ირგვლივ, ეპიქტეტი სწორედ იმ ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას, რომ კატალექტიკური წარმოდგენა, რომელსაც «... душа воспринимает тот час же, при первом взгляде на вещи, зависит не от нашей воли, не произвольны — она как бы насильно врываются в человеческий ум...»⁵⁹ და მის თანხმობას იწვევს, რაც, თავის მხრივ, შემეცნებაში საგნის ადეკვატური მოცემულობით, მისი „სინუსტიკა და სინათლითა“ პირობადებული. სიცხადის საგნით განსაზღვრულობის თეზა ექვს არ იწვევს სტოელებთან.

მაგრამ რა შეიძლება იყოს საგნებში ისეთი, რაც სიცხადეს ცნობიერებაში საგანთა ადეკვატური მოცემულობის საზომის ფუნქციას დაუმკვიდრებს? სხვანაირად, რა კავშირია შემეცნების სიცხადესა და ცნობიერებაში საგანთა ადეკვატურ მოცემულობას შორის? ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ სტოელები სიცხადეს თვით საგანთა გარკვეულობად მიიჩნევენ. შემეცნების სიცხადეს კი — მათგან წარმოებულად⁶⁰. სინამდვილის საგანთა და მოვლენათა დიფერენცირება, სიცხადისა და გარკვეულობის თვალსაზრისით, შემეცნების ამოსავალ პუნქტს ქმნის სტოიციზმში; კერძოდ, წარმოდგენა ანაბეჭდია სულში (მის წამყვან ნაწილში), რომელიც შეიძლება იყოს ნათელი და გარკვეული ან ბნელი და გაურკვეველი. წარმოდგენათა და, საერთოდ, შემეცნების ასეთი მიმართება თვით საგანთა გარკვეულობა-გარკვეულობასთან საფუძველია იმისა, რომ წარმოდგენებიდან ერთნი ჭეშმარიტი არიან, მეორენი — მცდარნი. შემეცნებაში სინათლის (schein) უქონლობა საგანთა წვდომის შეუძლებლობას განაპირობებს, რის გამოც შეცდომა განისაზღვრება როგორც „ბნელი, არანათელი (unklare) აზრი“⁶¹, ხოლო ჭეშმარიტება როგორც „სცხადი, ნათელი და ღია წარმოდგენა მსჯელობის საგანზე“⁶².

⁵⁸ М. Б р а щ ь. Класიკი философии, т. I., стр. 217.

⁵⁹ Афоризмы Эпиктета, стр. II.

⁶⁰ ს ე ქ ს ტ ი. VII, 243, 257—258, 163; VIII, 41, 416. სტოელები საგანთა დიფერენციაციას აწარმოებენ სიცხადის ხარისხისა და დროული თვალსაზრისითაც (იხ. ს ე ქ ს ტ ი. თხზ., ტ. II, გვ. 279).

⁶¹ იხ. ნ ე ს ტ ლ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 28 (5). შეცდომის მიზეზთა ანალიზისას, ყურადღებას იქცევს ისიც, რომ შემეცნების აქტში სტოელები ორ მომენტს განასხვავებენ: ობიექტურს (არანებელობით) და სუბიექტურს (ადამიანის ნებელობაზე დაქვემდებარებულს); კერძოდ, «...возникновение представления получается не произвольно и происходит не от претерпевающего его, но от того, что возбудило в нем такое представление... Однако одобрение этого представления зависит от того, кто получает это представление» (ს ე ქ ს ტ ი. VIII, 397). შესაბამისად, შეცდომის მიზეზს სტოელები, დეკარტეს მსგავსად, ნებელობაში ეძებენ და მასში ვაიებენ სუბიექტის თანხმობას არაკატალექტიკურ წარმოდგენაზე ან ასეთი თანხმობის უქონლობას კატალექტიკური წარმოდგენის მიმართ (იხ. ს ე ქ ს ტ ი. VII, 247).

⁶² ს ე ქ ს ტ ი. VII, 258.



ფილონმა შემოგვიჩინა ცნობა, რომლის თანახმადაც «...восприятия, делая явление вовнутрь, делают их известными и показывают их, запечатлевая оттиски каждого (из предметов) и производя сходное (с предметами) переживание»⁶³. აი ეს განცდა, წარმოებულ საგანთა ცნობიერებაში მოცემულობით, მისი სიცხადის შემთხვევაში, შემეცნებაში საგანთა ადეკვატური მოცემულობის თავდებია და როგორც ასეთი, ჭეშმარიტების საზომს წარმოადგენს. ამ შემაჯავებელი ხომ არ იწინასწარ უნებებს უფლებას სექსტიის მიერ წამოყენებული არ გუმეცნებაცია ჭეშმარიტებისა და მისი საზომის სტოიციკისტური ინტერპრეტაციის წრეში მოქცევისათუ უსასრულო რეგრესი სვლის შესახებ?

რასაკვირველია, თუ ჭეშმარიტებისა და მისი საზომის ქვეშ კატალეპტიკური წარმოდგენა იქნება გაგებული, მაშინ ჭეშმარიტება და საზომი ერთხვევა ერთმანეთს და საზომის როლში იგივე გამოდის, რაც ამ საზომს საჭიროებს. თუმცა სტოელები ფიქრობენ, რომ აზრს არ არის მოკლებული რაიმეს თავის თავის საზომად მიჩნევა⁶⁴, და არც თუ უსაფუძვლოდ⁶⁵, «Ведь отвес проверяет самого себя и другие предметы; и весы определяют равновесие и других предметов, и себя самих; и свет открывает не только другие предметы, но и самого себя, вследствие чего...и критерии может стать критерием и других и самого себя». მაგრამ ჭეშმარიტებისა და მისი საზომის სტოიციკისტური ინტერპრეტაცია გვერდს უვლის ამ სიძნელეს რადგან ჭეშმარიტების ქვეშ კატალეპტიკური წარმოდგენა გაგებული, ხოლო საზომისა — ასეთი წარმოდგენის სპეციფიკური გარკვეულობა — სიცხადე. სიცხადე კი, სტოელთა (ძენონისა და ხრისიპეს) ღრმა რწმენით, ობიექტური განსაზღვრულობის მქონეა და, თავის მხრივ, არ საჭიროებს საზომს: «Явное и очевидное везде явно и очевидно, всеми признается и не допускает никакого колебания». «Поэтому когда очевиден и явен предмет, о котором произносится суждение, мы, без труда относим к нему сказанное, говорим тогда, что суждение или истинно, если оно засвидетельствовано предметом, или ложно, если суждение ему противоречит». მაშასადამე, სიცხადე როგორც საზომი ჭეშმარიტებისა საგნობრიობით დამოწმებას გულისხმობს, იგი მისი ადეკვატური მოცემულობის ნათელყოფელია, რაც, თავის მხრივ, იმაზეც მიუთითებს, რომ «оно является критерием для представляемого предмета, что он в истинном смысле существует...»⁶⁶.

სტოელები ღრმად არიან დარწმუნებულნი სიცხადის როგორც ჭეშმარიტების საზომის მართებულებაში. მათ თანახმად, იგი შემეცნების ობიექტურობის თავდებია: „არაფერი არ შეიძლება იყოს სიცხადეზე ნათელი“, „იგი იმდენად ნათელია, რომ არ საჭიროებს დასაბუთებას“⁶⁷. როგორც ციკერონი შენიშნავს, «очевидность умалется доказательством»⁶⁸ «... для восприятия очевидного нет нужды

⁶³ ფილონის Demundi opiticio, § 166, vol. 1, P. 58, 59, (იხ. История философии, т. I, стр. 295).

⁶⁴ სექსტი. VII, 441.

⁶⁵ შემდგომ დადგინდება მარქსისტული ანალიზით, რომ ჭეშმარიტების ობიექტური საზომი ასეთი თვითსაფუძვლის, თვითდამფუძნებლის მქონეა.

⁶⁶ სექსტი. VII, 442, 430; VIII, 322, 324 (ხაზგასმა ჩემია — ნ. კ.)

⁶⁷ დ. ლუისი. დასახ. ნაშრ., გვ. 293.

⁶⁸ К о н д а к о в. Логический словарь, 1971, стр. 369.

ნი в какой науке, подобно тому, как и для видения белого, или ощущения сладкого, или осязания теплого»⁶⁹ — სიცხადე და ჭეშმარიტება იდენტური ცნებებია⁷⁰.

5. ზემოთ წარმოებული კვლევა ნათელს ჰვენს იმ ფაქტს, რომ: 1) სტოიციზმში საბოლოოდ ფორმდება ანტიკური თვალსაზრისი სიცხადის როგორც ჭეშმარიტების საზომის შესახებ, სტოელებთან საკითხი დგას არა მხოლოდ სიცხადის როგორც ჭეშმარიტების საზომის, არამედ მისი როგორც ასეთის რაობის შესახებაც, — აქ პირველი ცდაა მოცემული იმისა, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული სიცხადე როგორც საზომი ჭეშმარიტებისა. თვით ჭეშმარიტების საზომის (απειρίεια) ცნება, დილის გადმოცემით, პირველად სტოიციზმის დამფუძნებელმა ძენონმა შემოიტანა ფილოსოფიურ ტერმინოლოგიაში⁷¹; 2) ყოველივე ეს, თავის მხრივ, უდაოს ზღის დებულების სიყალბეს, თითქოს სიცხადეს როგორც შემეცნების საზომს დასაბამს ახალი ფილოსოფია, კერძოდ, დეკარტე აძლევდეს⁷².

სტოელთა თვალსაზრისი სიცხადის როგორც ჭეშმარიტების საზომის, ჭეშმარიტების როგორც თავისთავის ნორმისა და ზომის; ნათელი, გარკვეული, ცხადისა და ადეკვატურის როგორც ცოდნის სახეთა შესახებ — წითელ ზოლად გასდევს დეკარტე — სპინოზა — ვოლფ-ლაიბნიცის გნოსეოლოგიურ ნააზრევს ახალ ფილოსოფიაში.

⁶⁹ ს ე ქ ს ტ ი. I, 185.

⁷⁰ ამჟერად საკითხი არ დგას იმის შესახებ, თუ რამდენად მართებულია სტოელთა ეს კვლევბრ-ევილობა, რწმენა სიცხადის როგორც ჭეშმარიტების საზომისადმი. ეს სამეშაო წარმატებით მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება იქნეს განხორციელებული, როცა სრულად იქნება წარმოდგენილი ფილოსო-ფიური აზრის ევოლუცია სიცხადის როგორც შემეცნების საზომის შესახებ (რაც საშუალებას მოგ-ვეცემს განისაზღვროს თვითიველი მათგანის ადგილი სიცხადის გნოსეოლოგიური ღირებულების კვლე-ვაში) და წარმოებული იქნება მისი კრიტიკული ანალიზი ასახვის მარქსისტულ-ლენინური თეორიის პოზიციებიდან. ასეთი კვლევა ნათელს მოჰფენს სიცხადის შესაძლო გნოსეოლოგიურ, უპირობოდ ევრისტიკულ მნიშვნელობას ჭეშმარიტების ძიებისა თუ შემეცნების პრაქტიკაში. ეს კი მომავალი კვლევის საქმეა.

⁷¹ D i e l s. Doxographi Graeci, P. 606.

⁷² П. С. П о п о в. История логики нового времени, 1960, стр. 21, 32; Философская эн-циклопедия, т. III, стр. 90.

საოჯახო ნებისმიერობა

კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის თავისებურებანი თანამედროვე ეტაპზე

რაც შეეხება უახლოვდება კაცობრიობა სოციალიზმს და ძლიერდება სოციალისტური ქვეყნები, მით უფრო მწვავედება კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობა, ღრმავდება აღნიშნული სისტემის კრიზისი.

კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობათა შორის მთავარი იყო და დღესაც რჩება წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო კაპიტალისტურ ფორმას შორის. ეს ისეთი წინააღმდეგობაა, რომელშიც, თუ ე. ენგელსის გამოთქმას ვიხმართ, „უკვე თანამედროვეობის მთელი კოლიზია მოთავსებული ჩანასახის სახით“. აქედან „...გამომდინარეობს ყველა ის წინააღმდეგობა, რომლებშიც მოძრაობს თანამედროვე საზოგადოება“¹.

აღნიშნული ძირითადი წინააღმდეგობა კაპიტალიზმის შინაგანი შეზღუდვებით ნაწილია, მისი თვისება; იგი თან დაჰყვება კაპიტალიზმს, განვითარდა და გაღრმავდა მის განვითარებასთან ერთად, ხოლო მონოპოლისტური კაპიტალიზმის დროს მან აშკარა კატასტროფული, დამანგრეველი ხასიათი მიიღო.

სრულებით არ შეეფერება სიმაღლეს თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტების მტკიცება, თათქოს კაპიტალიზმი ვითარდებოდეს „უმტკიცებულად“, „პარაზიტულად“, წინააღმდეგობათა გარეშე, რაც თითქოს გამოიყვანს ყველა სახის კრიზისსა და ანარქიას. ეს გასაგებია, ვინაიდან ახლა საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ კაპიტალიზმი განსაკუთრებით სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმი, ძველ წინააღმდეგობებთან ერთად შეიცავს მრავალ ახალ წინააღმდეგობას, რომელმაც ქრონიკული ხასიათი მიიღო და რომლისაგან თავის დაღწევა მას არ შეუძლია.

თანამედროვე იმპერიალიზმის ეპოქაში მკვეთრად ძლიერდება წარმოების კონცენტრაციისა და კაპიტალის ცენტრალიზაციის პროცესი, დიდ როლს ასრულებს სახელმწიფო, ხოლო წარმოების განსაზოგადოება კიდევ უფრო მაღალ დონეს აღწევს. კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ბატონობის პერიოდში იმდენად გაღრმავდა, რომ იგი მრავალი ფორმით ავლენს ახალ წინააღმდეგობას როგორც ცალკეული კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით, ისე მის გარეთ — საერთაშორისო მასშტაბით.

კ. მარქსი მონოპოლისტურადელი კაპიტალიზმის ეპოქისათვის აღნიშნავდა ორ ძირითად ტენდენციას:

პირველი მდგომარეობდა კაპიტალიზმის მისწრაფებაში უსაზღვროდ გადიდებინა ზედმეტი ღრეზულების წარმოება, რისთვისაც იგი ცდილობდა გადაეღობა ყველა და ყოველგვარი საზღვარი, მიეღწია წარმოებისა და გაცემის ინტერნაციონალიზაციისათვის, შეეკმნა მსოფლიო მწარმოებლური ძალები.

მეორე ტენდენცია მდგომარეობდა შინაგანი ბაზრის შეკმნაში, ხოლო მის საფუძველზე — ნაციონალური კარჩაეტილობის, სახელმწიფოებრივი გან-

¹ ე. ენგელსი, სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ, თბ., 1970, გვ. 70, 89.

კერძოებულობის შექმნაში, რასაც საქმე სახელმწიფოთა შორის აშკარა მტრობამდე და შეჯახებამდე მიჰყავდა.

კ. მარქსის მოძღვრება კაპიტალიზმის ორი ტენდენციის შესახებ იმპერიალიზმის პირობების შესაბამისად განავითარა ვ. ი. ლენინმა და გვიჩვენა, რომ ამ ტენდენციების ურთიერთშეჯახება წარმოშობს ანტაგონიზმს მწარმოებლური ძალების საერთაშორისო მასშტაბით შექმნის პროცესის შინაარსსა (სახელმწიფოებრივი საზღვრების გადალახვა, წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია-ცენტრალიზაცია, ინტერნაციონალური წარმოებრივი კომპლექსების აღმოცენება, სხვადასხვა ეროვნული ტერიტორიების გაერთიანება გიგანტურ მეურნეობრივ რაიონებად) და ამ გაერთიანებათა ფორმებსა და მეთოდებს შორის (ექსპლოატაციის, დამორჩილების, ანექსიის გზით და უფრო ძლიერი ქვეყნების მიერ სუსტების დამონებით)².

იმპერიალიზმის პერიოდში ინტერნაციონალიზაციის ტენდენციასა და ნაციონალურ განკერძოებულობას შორის ანტაგონიზმის გამოვლენის სპეციფიკურ ფორმას, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, წარმოადგენს ფინანსური კაპიტალის „ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების მსოფლიო ქსელი“, „ნაციონალურ-განკერძოებულ ფინანსურ კაპიტალებს ინტერესები“. ვ. ი. ლენინი განასხვავებდა ფინანსურ კაპიტალს მთლიანად, ერთი მხრივ, როგორც მსოფლიოს მპყრობელს და, მეორე მხრივ, როგორც სახელმწიფოებრივ-განკერძოებულს, რომელიც იმპერიალიზმის მთლიანი სისტემის განსაკუთრებულ რგოლს წარმოადგენს: „მსოფლიოს ტიპური „მეუფე“ გახდა უკვე ფინანსური კაპიტალი, რომელიც განსაკუთრებით მოძრავი და მოქნილია, განსაკუთრებით გადახლართულია, ქვეყნის შიგნით და ინტერნაციონალურად, — განსაკუთრებით უპიროვნოა და მოწყვეტილია უშუალო წარმოებას, განსაკუთრებით ადვილად ახერხებს კონცენტრაციას და უკვე განსაკუთრებით შორსაა წასული თავისი კონცენტრაციის მხრივ, ასე რომ მთელი მსოფლიოს ბედი მართლაც რამდენიმე ას მილიარდერსა და მილიონერს უჭირავს ხელში“³.

იმპერიალიზმის ეპოქაში, განსაკუთრებით — სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დროს, ანტაგონიზმი წარმოების ინტერნაციონალიზაციის ტენდენციასა და ნაციონალური კარჩაკეტილობის, სახელმწიფოებრივი განკერძოებულობის ტენდენციას შორის, კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანია, რაც კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის გაღრმავების აშკარა მომასწავებელია, მისთვის ახალი ბიძგის მიმცემია. ამ ძირეული წინააღმდეგობის „გადაჭრის“ საშუალებად იქცა თითოეული მათგანის და ერთად აღებული იმპერიალიზმის სისტემის სახელმწიფოებრივ-განკერძოებული ყველა რგოლის საერთაშორისო ექსპანსია.

როგორია ამჟამად მწარმოებლური ძალთა ინტერნაციონალიზაციის დონე? — ამ საკითხის გარკვევა ჩვენ საშუალებას გვაძლევს, ერთი მხრივ, განვსაზღვროთ ანტაგონიზმის ხასიათი ინტერნაციონალიზებულ წარმოებასა და სახელმწიფოებრივ განკერძოებულებას შორის; მეორე მხრივ, დავინახოთ მისი ზეგავლენა კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობაზე, მისი კიდევ უფრო გაღრმავების მიმართულებით. ამ შემთხვევაში წარმოების ინტერნაციონალიზაცია ჩვენ გვიანტერესებს არა მარტო

² Система международной эксплуатации, М., 1975, стр. 182.

³ ვ. ი. ლენინი, *ეხპ.*, ტ. 22, გვ. 120.



როგორც ფაქტი, არამედ როგორც წარმოების საშუალებებზე ერთიანი საერთაშორისო საკუთრების წარმოშობის ტენდენცია, აგრეთვე საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლუციური გათვითცნობიერების საშუალება და მთლიანად ამ სისტემის წინააღმდეგ ბრძოლის პირობა.⁴

იგულისხმება, რომ ინტერნაციონალიზაციამ უნდა მოიცავს იდეალური, ტექნოლოგიურად ურთიერთდაკავშირებული ყველა საწარმო არა მარტო ერთი მრეწველური რაიონის ფარგლებში, არამედ მთელი ქვეყნის და ერთად აღებული მთელი რიგ ქვეყნების მასშტაბითაც კი. ამ ტენდენციას, ე. ი. წარმოების ინტერნაციონალიზაციის ტენდენციას, წარმოების საშუალებებზე ერთიანი საერთაშორისო საკუთრების განხორციელების საქმე მიჰყავს მომავალ მსოფლიო კომუნისტურ წარმოებას, მსოფლიო კომუნისტური საკუთრების შექმნისაკენ. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხება „ერთიანი, ყველა ერის პროლეტარიატის მიერ საერთო გეგმით მოწესრიგებული, მსოფლიო მეურნეობის როგორც მთელის შექმნას, ტენდენციას „რომელიც სავსებით აშკარად გამომჟღავნდა უკვე კაპიტალიზმის დროს. აუცილებლად განვითარდება შემდგომ და სავსებით დასრულებულ სახეს მიიღებს სოციალიზმის დროს“⁵.

კაპიტალისტური წარმოების ინტერნაციონალიზაცია აღმოცენდა ჯერ კიდევ მონოპოლიზმამდელი კაპიტალიზმის დროს. იმპერიალიზმის ეპოქაში წარმოებისა და კაპიტალიზმის ინტერნაციონალიზაციის ახალი ეტაპი წარმოიშვა, რომლის ნიადაგი მსხვილმა წარმოებამ და გაცვლის განვითარებამ მოამზადა. „გაცვლა-გამოცვლის ზრდა, მსხვილი წარმოების ზრდა, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — აი ეს ძირითადი ტენდენციები, რომელთაც საუკუნეთა განმავლობაში ვამჩნევთ აბსოლუტურად მთელ მსოფლიოში. და გაცვლა-გამოცვლის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, მსხვილი წარმოების ზრდის განსაზღვრულ საფეხურზე, სახელდობრ იმ საფეხურზე, რომელიც მიღწეულია დაახლოებით XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე, გაცვლა-გამოცვლამ შექმნა სამეურნეო ურთიერთობათა ისეთი ინტერნაციონალიზაცია და კაპიტალის ინტერნაციონალიზაცია, მსხვილი წარმოება იმდენად მსხვილ წარმოებად იქცა, რომ დაიწყო თავისუფალი კონკურენციის შეცვლა მონოპოლიით“⁶.

გარდა მსხვილი წარმოებისა და გაცვლის განვითარებისა იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალის ინტერნაციონალიზაცია ვლინდება კაპიტალის გატანის განვითარებით, რაც ამავე დროს კაპიტალისტური მეურნეობრივი ცხოვრების ინტერნაციონალიზაციასაც იწვევს.

აფართოებს და აღრმავებს რა კაპიტალის გატანა ეკონომიკურ კავში-

⁴ ზედმეტი ღირებულების წარმოების უნივერსიფიკაცია, ე. ი. მსოფლიო არენაზე კაპიტალიზმის გადაქცევა წარმოებრივი ურთიერთობების გაბატონებულ ტიპად, მწარმოებლურ ძალთა და თვით კაპიტალის ინტერნაციონალიზაცია კაპიტალისტური წყობილების რევოლუციური დამხობის წინამძღვრების შექმნის პროცესი ზდება. ამით ვლინდება ბურჟუაზიული საზოგადოების ისტორიული განწირულება ყველგან და არა მარტო ცალკე აღებულ ერთ ქვეყანაში. ეს პროცესი ნიშნავს, აგრეთვე, ერთი კლასის — საერთაშორისო მუშათა კლასის — ჩამოყალიბებას და ამაღლებას თავისი ყოფის პირობებით, ინტერნაციონალურობის ინტერესებთა და ამოცანებით ინტერნაციონალურის რიგამდე.

დაპირაფებული შრომის ექსპლუატაციის პროცესის ინტერნაციონალიზაცია გვევლინება ყველა ქვეყნის პროლეტარიატის საერთაშორისო ეკონომიკური ერთობის საფუძვლად.

⁵ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 167.

⁶ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22, გვ. 119.

რებს ქვეყნებს შორის, რომლებიც ჩაბმულნი არიან მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობაში, სტიმულს აძლევს კაპიტალისტური წარმოების ინტერნაციონალიზაციის პროცესს, რომელიც გამოდის, როგორც კაპიტალების საერთაშორისო გადაქაჩვის ობიექტური საფუძველი და შედეგი⁷. უკვე არა მარტო ერთი რომელიმე იმპერიალისტური ქვეყანა, არამედ თითქმის ყველა მაღალგანვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების უმსხვილესი მონოპოლიები სხვა ქვეყნებში ფლობენ მრეწველურ ობიექტებს, რომლებთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული გამსაღებელი და მომსახურების საწარმოები. უცხო ქვეყნების ტერიტორიებზე იქმნება არა მარტო ცალკეული ქარხნები, არამედ მსხვილი მრეწველური კომპლექსები როგორც ერთი ქვეყნის კომპანიების-ძალებით, ისე რიგი ქვეყნების კორპორაციების ერთობლივი მოქმედებით.

კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთ რელიეფურ გამოხატულებად ვ. ი. ლენინი საერთაშორისო მონოპოლიებს, მსოფლიო ეკონომიკურ განაწილებას თვლიდა, რომელიც, თავის მხრივ, არსებით გავლენას ახდენს კაპიტალის ინტერნაციონალიზაციაზე. მის ინტენსივობაზე, გაცვლის ფორმებზე და პირობებზე. საერთაშორისო მონოპოლიების აღმოცენება, მათი ახალ-ტრანსნაციონალურ და მულტინაციონალურ ფორმებში გადაზრდა, ისეთი ახალი ტიპის მონოპოლიის წარმოშობა, როგორიც არის კონგლომერატი და სხვ. უდიდეს ცვლილებებს იწვევენ კაპიტალის დაგროვების, დაქირავებულ მუშათა ექსპლოატაციის, აგრეთვე მსოფლიო ბაზრის გაფართოებაში.

კაპიტალი უპიროვნო, კოსმოპოლიტური ხდება. უფრო მწვავე ფორმით გვევლინება იმპერიალიზმის წინააღმდეგობრივი საწყისები — მონოპოლიებისა და კონკურენციის — შეჭახება, რაც კაპიტალიზმის შინაგანი მამოძრავებელი ძალის ხასიათს იძენს და რამაც კაპიტალიზმი გარდუვალად უძრაობამდე და ლობობამდე მიიყვანა⁸. ეს ტენდენცია უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება ტექნიკური პროგრესის ძალთა განვითარების შეფერხებით და, მეორე მხრივ, რამდენადაც მონოპოლისტურმა საწარმოებმა მოახდინეს ტექნიკურ სიახლეთა ცენტრების უზურპაცია, მათ შესაძლებლობა ეძლევათ ხელოვნურად დააბრკოლონ ტექნიკის განვითარება. რეალური სიტუაციის პარადოქსი მდგომარეობს იმაში, რომ აქცევენ რა თავიანთ კონტროლქვეშ, როგორც უკვე წარმოებაში დაწერგილ ისე სარეალიზაციოდ გამზადებულ ტექნიკურ სიახლეებს, მონოპოლისტური გაერთიანებები ამავე დროს უქმნიან რეალურ და პოტენციურ დაბრკოლებებს ტექნიკურ პროგრესს.

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მონოპოლიების როლი ტექნიკური პროგრესისადმი მხოლოდ ნეგატიურად შეფავასთ, რომ ერთადერთ გზად ტექნიკის განვითარებისათვის ვალიართ კონკურენცია. სინამდვილე გვიჩვენებს, რომ განვითარდნენ რა მონოპოლიები წარმოების კონცენტრაციიდან აუცილებლად გულისხმობენ კაპიტალის განსაზოგადობას და ტექნიკის სიახლეთა გამოყენებას, მის აღწარმოებას კიდეც უფრო მაღალ საფეხურზე. ისინი არა მარტო ცდილობენ გამოიყენონ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები, აგრეთვე იძულებულნი არიან რიგ შემთხვევებში მოახდინონ მათი სტიმულირება, არც კონკურენცია უზრუნველყოფს ყოველთვის ტექნიკისა და მეცნიერების ზრდას.

⁷ «Экономические науки», № 7, 1976, стр. 79.

⁸ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22, გვ. 347.



მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა ღრმად გააანალიზეს კონკურენციული ბრძოლის დამამახრუტებელი როლი, რომელიც განსაკუთრებულ მწვავე, დამანგრეველ ხასიათს იძენს იმპერიალიზმის პერიოდში.

ამგვარად, კაპიტალისტური ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის ფორმებისა და მონოპოლიზაციის პროცესის ზრდა ერთდროულად მოასწავებს კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გაღრმავებას, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა-შორის ბრძოლასა და კლასობრივი ანტაგონიზმის გამწვავებას.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ბურჟუაზიულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ზშირად ვხვდებით მოსაზრებებს, რომელთა მიხედვით კაპიტალისტური საკუთრების განვითარებით თითქოს თანდათან სუსტდება კაპიტალიზმის შინაგანი წინააღმდეგობანი, კერძოდ ძირითადი ეკონომიკური წინააღმდეგობა. საჭიროა რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ ამ საკითხზე.

როგორც ცნობილია, კაპიტალისტური საკუთრების უმაღლეს ფორმას სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური საკუთრება წარმოადგენს. ამ საფეხურს კაპიტალიზმი აღწევს წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია-ცენტრალიზაციის პროცესის სწრაფი ზრდით, წარმოების საშუალებათა და კაპიტალის თავმოყრით მსხვილი მონოპოლიების ხელში: მონოპოლიების მიერ სულ უფრო ფართო გასვლით თავიანთ ნაციონალურ ფარგლებს გარეთ და მსოფლიო მონოპოლიებად. კერძოდ, ტრანსნაციონალურ და მულტინაციონალურ მონოპოლიებად გადაქცევით; სახელმწიფოს როლის გაძლიერებით მონოპოლიების შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად და მათი საკუთრების გასაფართოებლად. ამ გზებით და საშუალებებით არა მარტო ზდება წარმოების საშუალებებზე ინდივიდუალური კერძო კაპიტალისტური საკუთრების გამსხვილება, არამედ იქმნება, აგრეთვე, გაერთიანებული ასოცირებული კაპიტალისტური კერძო საკუთრება აქციონერული კომპანიების სახით.

ყოველივე ამის შედეგად ადგილი აქვს წარმოების საშუალებებზე და, შესაბამისად, წარმოების პროდუქციაზე კაპიტალისტური წარმოებრივი ურთიერთობების სრულყოფას; მაგრამ ეს არა თუ არ უარყოფს, პირიქით, კიდევ უფრო აძლიერებს, განსაკუთრებული ძალით ამწვავებს კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობას — წინააღმდეგობას წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო კაპიტალისტურ ფორმას შორის. წარმოების პროცესის განსაზოგადოების კაპიტალისტური ეკონომიკური ფორმა და წარმოების საშუალებათა კაპიტალისტური მითვისება, ანუ კაპიტალიზმის წინააღმდეგობის ეს ორი პოლუსი, ეკონომიკური ურთიერთობების სახით გვევლინებიან და გულისხმობენ, აგრეთვე, მწარმოებლური ძალების განვითარებას.

კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის მთავარი წყარო და საფუძველი სწორედ ამ წინააღმდეგობის პირველ პოლუსში მდებარეობს, ე. ი. კაპიტალისტური წარმოების საზოგადოებრივ ფორმაში, მის ხასიათში. კაპიტალისტური საკუთრების გაძლიერება ზრდის ამ პოლუსს, ზრდის მისთვის დამახასიათებელ წინააღმდეგობასაც. კაპიტალისტური წარმოებრივი ურთიერთობანი შეუთავსებელი ხდება არა მარტო თავის თავთან წარმოების საშუალებათა განსაზოგადოების დონესთან. არამედ — თვით მითვისების ფორმასთანაც.

ამგვარად, წარმოების საშუალებებზე კაპიტალისტურ საკუთრებას მის სრულყოფილ ფორმაშიც კი არ შეუძლია მოსპობს ან შეასუსტოს კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა. ამიტომ ბურჟუაზიული ეკონომისტების

(წ. გელბრეითისა და სხვ.) მტკიცება, თითქოს კაპიტალისტური საკუთრების განვითარება მოასწავებდეს სოციალიზმის განხორციელებას — „ახალ სოციალისტურ საზოგადოებას“ — არის მოჭრილი ამბავი, რომელსაც საერთო არაფერი აქვს სინამდვილესთან.

კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის მოსპობა შეუძლია მხოლოდ კაპიტალისტურ წარმოებრივ ურთიერთობათა შეცვლას სოციალისტური ურთიერთობებით, სოციალისტური საერთო-სახალხო საკუთრებით. ეს არის კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის მთავარი განმსაზღვრელი ეკონომიკური კანონზომიერება, რაც ბრწყინვალედ განხორციელდა ჩვენს ქვეყანაში, აგრეთვე, სხვა სოციალისტურ ქვეყნებში. აქ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა განხორციელდა პოლიტიკური მხრივ — პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებით. მშრომელთა ხელისუფლების შექმნით კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით; ეკონომიკური მხრივ — წარმოების საშუალებებზე კაპიტალისტური საკუთრების მოსპობით და საერთო-სახალხო სოციალისტური საკუთრების დამყარებით, წარმოების პროცესის კაპიტალისტური განსაზოგადოება შესცვალა წარმოების სოციალისტური განსაზოგადოების პროცესმა.

რა სახეს ღებულობს წინააღმდეგობა სოციალიზმის დროს? რჩება თუ არა წინააღმდეგობა? — რა თქმა უნდა, რჩება, მაგრამ მას არა აქვს ანტაგონისტური ხასიათი. ეს არის წინააღმდეგობა მუდმივად მზარდ მწარმოებლურ ძალებსა და ცალკეულ პერიოდებში ეკონომიკურ ურთიერთობებს შორის, საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს სხვადასხვა მოსაზრება სოციალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის ბუნებისა და ხასიათის შესახებ.

ზოგიერთი ავტორი სთვლის, რომ სოციალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა არის, „წინააღმდეგობა თითოეულ მოცემულ მომენტში მიღწეულ მატერიალურ და კულტურულ დოვლათთა წარმოების დონესა და საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა შორის“⁹.

არსებობს განსხვავებული შეხედულებაც, რომლის მიხედვით, სოციალისტური ეკონომიკის ძირითადი წინააღმდეგობა არის „წინააღმდეგობა მწარმოებლურ ძალთა ცალკეულ ნაწილებს, სექტორებსა და მათი შესაბამისი წარმოებრივი ურთიერთობების ნაწილებს შორის“¹⁰.

სოციალისტური ეკონომიკის ძირითადი წინააღმდეგობის შესახებ, კიდევ უფრო განსხვავებულ მოსაზრებებს გამოსთქვამენ ეკონომისტები გ. კოვალევსკი, მ. კუჟუშკინი და სხვ.¹¹

მიუხედავად ავტორთა საერთო მეცადინეობისა და ცდისა შეიმუშაონ საყოველთაოდ მისაღები ფორმულა სოციალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის შესახებ, არ შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ მიზანი უკვე მიღწეულია.

ჩვენი აზრით, რამდენადმე უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა, რომ სოციალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის საფუძველს წარმოადგენს წარმოებ-

⁹ В. С. Сутягин, А. С. Сутягин. Особенности противоречий в социалистическом обществе и пути их преодоления М., 1972, стр. 53.

¹⁰ კრებული: «Диалектика материальной и духовной жизни общества, М., 1966, стр. 108.

¹¹ Г. Т. Ковалевский. Некоторые вопросы методологии политической экономии социализма, 1965, М., стр. 105.

რივე ურთიერთობანი მისი განვითარების ცალკეულ პერიოდებში და არა წინააღმდეგობა მწარმოებელურ ძალებსა და წარმოებრივ ურთიერთობებს შორის.

საერთო აზრია, რომ სოციალიზმის წინააღმდეგობა ძირეულად განსხვავდება კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობისაგან. სოციალისტური ეკონომიკის ძირითად წინააღმდეგობას აბსოლუტურად სხვა სოციალური შინაარსი აქვს ვიდრე კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობას.

სოციალიზმის დროს ძირითადი წინააღმდეგობა არ წარმოადგენს ერთიანობას და კლასობრივ დაპირისპირებულობათა ბრძოლას, ამიტომ ეს წინააღმდეგობა ხელს კი არ უშლის, კი არ აფერხებს კონკრეტულ მეურნეობრივ პრობლემის გადაწყვეტას, არამედ, პირიქით, ზეგავლენას ახდენს მასზე.

კაპიტალიზმის პირობებში ძირითადი წინააღმდეგობა ამ სისტემის განვითარებისა და პროგრესის მთელი შემაფერხებელი ფაქტორების გამოვლენის ფორმებად გვევლინებიან, ამასთან, ეს ფორმები სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დროს ახალი სახით და ახალი ძალით მოქმედებენ.

ყოველი წარმოების წესის ძირითად წინააღმდეგობას ისე როგორც, მაგალითად, ძირითად ეკონომიკურ კანონს და ძირითად წარმოებრივ ურთიერთობას, წარმოების პროცესის ისტორიული სპეციფიკური ბუნება შეესაბამება, ამასთან ამ წინააღმდეგობის ორივე დაპირისპირებული მხარე სპეციფიკურია მოცემულ სოციალურ-ეკონომიურ სტრუქტურისათვის.

როგორც ვიცით, კ. მარქსი ყოველ მოვლენას ორი მხრივ, ორ რაოდენობრივ ასპექტში განიხილავდა. თავდაპირველად იგი ანალიზს უკეთებდა ამ მოვლენის ან პროცესის საერთო ფუნქციონალურ თვისებას, შემდეგ კი შეისწავლიდა მის კონკრეტულ ისტორიულ შინაარსს. ასეთი მეთოდი მას საშუალებას აძლევდა ერთმანეთისაგან გაემიჯნა საერთო და სპეციფიკური, თუმცა ორივე მათგანი სინამდვილეში მჭიდროდაა ერთმანეთთან გადაჯაჭვული. ამ თვალსაზრისით კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის ორივე ნაწილი თუ მხარე უალრესად სპეციფიკურ ხასიათს ატარებენ. ავიღოთ, მაგალითად, მისი პირველი ნაწილი — წარმოების საზოგადოებრივი ხასიათი. იგი მარქსს ესმოდა არა მარტო როგორც განსაზოგადოების პროცესი, არამედ როგორც პროცესის პირობა, ხოლო თვით პროცესი, როგორც ზედმეტი ღირებულების წარმოების პირობა.

„კაპიტალის“ პირველ ტომში კ. მარქსი ანალიზს უკეთებდა შრომისა და წარმოების პროცესის ორად ზასიათს — როგორც საერთო, ისე კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნების მიხედვით. კ. მარქსი გარკვევით მიუთითებდა აღნიშნული პროცესის ღრმა თვისებას, რომელიც გამოიხატებოდა ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების შექმნით: „წარმოების პროცესი, როგორც შრომის პროცესისა და ღირებულების შექმნის პროცესის მთლიანობა, საქონლის წარმოების პროცესია; ხოლო, როგორც შრომის პროცესისა და ღირებულების ზრდის პროცესის მთლიანობა, იგი კაპიტალისტური წარმოების პროცესია, საქონლის წარმოების კაპიტალისტური ფორმაა“, ანდა: „თუ ჩვენ ახლა ღირებულების შექმნის პროცესს შევადარებთ ღირებულების ზრდის პროცესს, ე. ი. ზედმეტი ღირებულების შექმნის პროცესს, — დავინახავთ, რომ ღირებულების ზრდის პროცესი მხოლოდ განსაზღვრულ წერტილს იქით გაგრძელებული ღირებულების შექმნის პროცესია. თუ ეს უკანასკნელი მხოლოდ იმ წერტილს აღწევს, სადაც კაპიტალის მიერ გადახდილი ღირებულება სამუშაო ძალისა ახალი ეკვივალენტით არის შეცვლილი, მაშინ იგი ღი-

რებულების შექმნის უბრალო პროცესია. თუ ღირებულების შექმნის პროცესი ამ წერტილს იქით გრძელდება, მაშინ იგი ღირებულების ზრდის პროცესს ხდება¹².

როგორც ვხედავთ, წარმოების პროცესის საზოგადოებრივი ხასიათი პროლეტარიატის მიერ ზედმეტი ღირებულების შექმნის პროცესია და იგი სპეციფიკურია კაპიტალიზმისათვის. აქ, ჩვენ არაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ ზედმეტი ღირებულების შექმნის საზოგადოებრივი პროცესი ორგანულადაა შერწყმული კერძო საკუთრების სხვადასხვა ფორმასთან. ზედმეტი ღირებულების წარმოებისა და მისი მითვისების პირობების ერთიანობა წარმოგვიდგება როგორც კლასთა ურთიერთობა, რომელიც წარმოშობს მატერიალური და იდეოლოგიური ინტერესების, ტენდენციების მტრულ ანტაგონისტურ მიმართებას იმათსას, ვინც ქმნის ზედმეტ ღირებულებას — იმათთან, ვინც ითვისებს მას. აქედან ვხედავთ აგრეთვე იმას, თუ რამდენად სპეციფიკური და შინაგანად დამახასიათებელია კაპიტალიზმისათვის ანტაგონისტური წინააღმდეგობა, რომელიც აისახება კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობით. ეს წინააღმდეგობა გამოხატავს კონფლიქტს ზედმეტი ღირებულების წარმოების ისტორიულ სპეციფიკურ პროცესსა და მისი მითვისების ისტორიულ სპეციფიკურ პროცესს შორის.

მონოპოლისტური კაპიტალიზმი, კერძოდ კი სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმი არა მარტო კაპიტალისტური განსაზოგადოების პროცესის თავისებურ ფორმას წარმოადგენს თანამედროვე ეტაპზე, არამედ შეიცავს აგრეთვე კაპიტალისტური მითვისების სისტემის განსაზღვრულ ცვლილებებსაც, მის შეთავსებას მეცნაურულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებისადმი, კლასობრივ ბრძოლის გამწვავებას კაპიტალის სამყაროში, ორი სოციალური სისტემის თანაარსებობას. მათ შორის შეჯიბრებას და ბრძოლას. ეს უწინარეს ყოვლისა, შეეხება ისეთ დამახასიათებელ ნიშნებს თანამედროვე მონოპოლიების განვითარებაში, როგორიცაა: პ ი რ ვ ე ლ ი — წარმოებისა და კაპიტალის სწრაფი ზრდა უმსხვილესი მონოპოლიების ხელში, შთანთქმისა და შეერთების გზით; მ ე ო რ ე — ფართო დივერსიფიკაცია; მ ე ს ა მ ე — ფინანსური კაპიტალისა და ფინანსური ოლიგარქიის ძალაუფლების თავისებური ფორმის განხორციელება; მ ე ო თ ხ ე — მონოპოლიების მოღვაწეობის სულ უფრო ფართო გასვლა ნაციონალურ ფარგლებს გარეთ, საერთაშორისო მონოპოლიების გაძლიერება, კერძოდ, ტრანსნაციონალური მონოპოლიები; მ ე ხ უ თ ე — ბურჟუაზიული სახელმწიფოს როლის გაძლიერება მონოპოლიების შემდგომი განვითარების საქმეში¹³.

აღნიშნული ცვლილებანი ხელსაყრელია მონოპოლისტური კაპიტალისათვის არა მარტო იმიტომ, რომ ისინი უზრუნველყოფენ მაღალი მოგების შენარჩუნებას მოცემულ პირობებში, არამედ იმიტომაც, რომ ეწევიან სიმდიდრის მონოპოლისტურ მითვისებას; ამასთან, ინდივიდუალური კაპიტალისტური მითვისების ცალკეულ ფორმასთან შედარებით წინა პლანზე დგება ჯგუფური მითვისება, კერძო მითვისების ფორმის შენარჩუნებით.

აღსანიშნავია, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგიები, რომლებსაც სურთ უარყონ კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი, პირადი მითვისების ხვედრი წილის

¹² კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 157, 155.

¹³ С. П. Новоселов. Основные противоречия капитализма и современность. М., 1974, стр. 160.

რამდენადმე შემცირებით, აკეთებენ დასკვნას, თითქოს მოისპო ექსპლოატაცია-ჯგუფური მითვისება თითქოს გამოირიცხავს სხვისა შრომის მითვისების შესაძლებლობას. აშშ ცნობილი ბურჟუაზიული ეკონომისტი ჯ. გელბრეითი აღნიშნავს, რომ თანამედროვე მრეწველობა არ წარმოადგენს ისეთსავე ექსპლოატატორულს, როგორც წინანდელი კაპიტალიზმი. მან წამოაყენა მოსაზრება, თითქოს თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში ადგილი აქვს „ხელისუფლების ფართო დიფუზიას“¹⁴. საიდანაც ლოგიკურად გამომდინარეობს (და ამას „სერიოზულად“ ამტკიცებს კიდევ ავტორი), რომ წინააღმდეგობას კაპიტალიზმის დროს ნიადავი ეცლება.

არ არის ძნელი დასანახი, რომ ასეთი შეხედულება არის მცდარი, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგება სინამდვილეს. ეს თეორია, როგორც ყალბი, მთლიანად გააცამბვერა ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინმა 60 წლის წინათ „კაპიტალის დიფუზიის“ კონცეფციის კრიტიკით. ამის შემდეგ რაღა ფასი უნდა ჰქონდეს „ძალაუფლების დიფუზიის“ კონცეფციას, რომელსაც ასეთი აპლომბით აყენებს ჯ. გელბრეითი? მაგრამ ეს სრულებით, არ აწუხებს ამ კონცეფციის ავტორს. ეს მიწ. უფრო შეიძლება ითქვას, რომ თვით ჯ. გელბრეითის მონაცემებით, ადგილი არ აქვს არა თუ ხელისუფლების დიფუზიას, პირიქით: სინამდვილე გვიჩვენებს, რომ ადგილი აქვს ძალაუფლების კონცენტრაციას, ფუზიას.

ჯ. გელბრეითი თავისი ნაშრომებში, არაერთგან ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ აშშ-ი ხელისუფლებას განასახიერებს „ტექნოსტრუქტურა“¹⁵, მაგრამ დაისმება კითხვა: რით გამოიხატება ეს „ტექნოსტრუქტურა“? იგი, — როგორც ჯ. გელბრეითი აღნიშნავს, — შესაბამებდა თანამედროვე კორპორაციას, რომელიც ამჟამად აშშ-ის ნამდვილ ბატონ-პატრონს წარმოადგენს. მაგრამ ასეა მართლა? რა თქმა უნდა, არა.

კაპიტალისტური მითვისების ჯგუფური ფორმის გავრცელება, რომელსაც თითქოს საფუძვლად ედება წარმოების საშუალებებზე ჯგუფური საკუთრების არსებობა წარმოადგენს, აგრეთვე, „მმართველობაში რევოლუციის“ თეორიის არგუმენტს, მაგრამ სინამდვილე აქაც ღალატობს ამ თეორიის ავტორებს. ჯგუფური კაპიტალისტური საკუთრება და მითვისება კაპიტალიზმის დროს ისეთივე ბურჟუაზიული ხასიათისაა, როგორც — ინდივიდუალური საკუთრება და მითვისება, იმ განსხვავებით, რომ ჯგუფური საკუთრება უფრო შენიღბულია და არანაკლებ მწვავეა, ვიდრე ინდივიდუალური. მეტიც, კერძო კაპიტალისტურ საკუთრებას არ დაუკარგავს თავისი გაბატონებული მდგომარეობა, შეიცვალა მხოლოდ მისი სახე, წარმოიშვა საკუთრების აქციონერული ტიპი. აქციონერთა „კოლექტივის“ თითოეულ წევრს აქვს თავისი კერძო საკუთრება, აქციების განსაზღვრული რაოდენობა, რომლითაც ისინი ახორციელებენ გადაუხდელი შრომის მითვისებას. სწორედ ჯგუფური საკუთრე-

¹⁴ Дж. Гелбрейт. Новое индустриальное общество, М., 1969, стр. 166.

¹⁵ თავის ახალ წიგნში „ეკონომიკისა და საზოგადოების მიზანი“, ჯ. გელბრეითი წერს: „ბოლოს და ბოლოს არა ცალკე პირი, არამედ მეცნიერთა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა, ვაჭართა, მარკეტინგის სპეციალისტთა, საზოგადოებრივი კავშირგაბმულობის ექსპერტთა, ლობისტთა, ადვოკატთა, სახელმწიფოებრივი ბიუროკრატისა და მისი მანიპულაციის ადამიანთა, კორდინატორთა, აღმასრულებელი ხელისუფლების მმართველთა და წარმომადგენელთა კომპლექსმა შეადგინა საქმიანი ფორმის ხელშესაძენელი ინტელექტუალური ცენტრი. აი, ეს არის ტექნოსტრუქტურა. არა ცალკეული პიროვნება, არამედ ტექნოსტრუქტურა გახდა მბრძანებელი ძალა“ (J. G. A. I. b. r. a. i. t. h. Economics and Public Purpose, Boston, 1973, p. 4).

ბის პირობებში აქვს ადგილი იმას, რომ კერძო საკუთრება გიგანტურ მასშტაბებს აღწევს. მაგალითად, აშშ-ი ერთიდან ათ მლნ აქციამდე მფლობელ ოჯახთა რაოდენობა 1971 წელს შეადგენდა 4981-ს—13657 მლნ დოლარით, ხოლო 100 და მეტი მლნ დოლარის რაოდენობის მფლობელ ოჯახთა რიცხვი შეადგენდა 205 ოჯახს—52780 მლნ დოლარით; ან კიდევ: აშშ-ი 19 მილიონი აქციების მფლობელთაგან, რომელიც აღრიცხული იყო ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე მხოლოდ 2 ათასი (0,01 პროც.) ასრულებდნენ აქტიურ როლს; აქციონერთვის 99,9 პროცენტი კი სრულებით არ მონაწილეობდნენ კორპორაციის მართვის საქმეში. ამას ჯ. გელბრეითის მიხედვით ეწოდება „რევოლუცია მარტელობაში“, მაგრამ ვინ დაუჭერებს მას?

აღნიშნული მონაცემებით ნათლად ჩანს, თუ რა როლი აქვს ჯგუფურ საკუთრებას მითვისების კაპიტალისტურ ფორმაში, კერძო საკუთრებას და მითვისების კერძო ფორმებს.

ჯ. გელბრეითი ცნობს თანამედროვე მწარმოებლურ ძალთა საზოგადოებრივ ხასიათს, მაგრამ როგორც კაპიტალიზმის დამცველი უარყოფს მითვისების კერძო კაპიტალისტურ ფორმას. ამგვარად, ჯ. გელბრეითი ერთმანეთისაგან თიშავს კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის ორ მხარეს—წარმოების საზოგადოებრივ ხასიათს და მითვისების კერძო კაპიტალისტურ ფორმას. ამავდროს ჯ. გელბრეითი უარყოფს კაპიტალისტური წარმოების მიზანსაც, რომელიც თავის დროზე განსაზღვრული იყო კ. მარქსის მიერ.

როგორც ცნობილია, კ. მარქსი კაპიტალისტური წარმოების მთავარ მოტივად თვლიდა ზედმეტ ღირებულებას: „კაპიტალი და მისი ღირებულების თვითზრდა გვევლინება წარმოების ამოსავალ და საბოლოო პუნქტად, მოტივად და მიზნად: წარმოება მხოლოდ კაპიტალისტების წარმოებაა და არა, პირიქით“¹⁶.

რაკი ჯ. გელბრეითის აზრით, კაპიტალიზმის განვითარების კვალობაზე ადგილი აქვს წარმოების საზოგადოებრივი ხასიათის გაფართოებას, რაც ამ საზოგადოებაში ტექნოსტრუქტურის ძალაუფლების ზრდით ვლინდება, იცვლება მისი მიზნებიც, ისპობა მოგების მაქსიმიზაცია. „პროცესის მოტივაცია მარქსის მიხედვით,—წერს ჯ. გელბრეითი,—იყო ექსპლოატაცია და მოგება. თანამედროვე პროცესში პირველხარისხოვან მოტივს წარმოადგენს ბიუროკრატიული წარმოება—ტექნოსტრუქტურის მიერ პრესტიჟისა და ხელსაყრელობის მოპოვება“¹⁷.

ჯ. გელბრეითი უარყოფს თანამედროვე მონოპოლიების მიერ მაღალი მონოპოლიური მოგების მიღებისათვის ბრძოლას, რომელიც ამ მონოპოლიების და საერთოდ კაპიტალისტური წარმოების მთავარ მამოძრავებელ მოტივს წარმოადგენს.

მაგრამ ასეთი უარყოფისათვის ამჟამად არ არსებობს არავითარი საფუძველი, რამდენადაც სინამდვილე აშკარად გვიჩვენებს, რომ კაპიტალისტური მონოპოლიები არა მარტო მოგების გადიდებით არ კმაყოფილდებიან მუშათა ექსპლოატაციის ხარჯზე, ისინი ისწრაფვიან აგრეთვე მაქსიმალურად ისარგებლონ გადანაწილებით იმ ზედმეტი ღირებულებისა, რომელიც შექმნილია საშუალო და წვრილი მწარმოებლების მიერ, მაქსიმალურად გამოიყენონ სა-

¹⁶ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 3, ნაწ. 1, გვ. 317.

¹⁷ G. Galbraith, Economics and Public Purpose, p. 284.

ხელმწიფოებრივი საშუალებანი, გადიდონ სუსტად განვითარებული ქვეყნების ექსპლოატაცია და სხვ.

სცნობს თუ არა ჯ. გელბრეითი კაპიტალისტურ წინააღმდეგობას? რა თქმა უნდა, სცნობს, მაგრამ მის მიზეზებს იგი ეძებს ტექნოკრატიზმის ყალბი თეორიის სფეროში. უეჭველია, მესაკუთრეობის საერთო ხასიათი და საზომი, რომელიც ყოველთვის ახასიათებდა კაპიტალისტურ კლასს, ახლა უფრო მწვავედ მოქმედებს, მშრომელთათვის უფრო გამანადგურებელი ხდება საკუთრება კაპიტალზე და ზედმეტი ღირებულების მითვისება ყველა მის ფორმაში. ჯგუფური საკუთრების ზრდა, შინასაფირმო ინვენსტიცია და სხვა, ფაქტიურად წარმოებისა და კაპიტალისტური მითვისების კოლექტიურ ფორმას წარმოადგენს, მაგრამ საბოლოო ანგარიშით წარმოების შედეგის მითვისება ინდივიდუალური რჩება. ინარჩუნებს კაპიტალისტურ ხასიათს.

ამგვარად, კაპიტალისტური წარმოების პირობებში ჯგუფური საკუთრება და ჯგუფური მითვისება, ერთი მხრივ, ხოლო კერძო საკუთრება და კერძო მითვისება, მეორე მხრივ, ერთმანეთზე მჭიდროდაა გადაჯაჭვული მაგრამ ეს უკანასკნელი გადამწყვეტ როლს ასრულებს. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან მონოპოლისტური საკუთრება ზემოგების მიღების საფუძველს წარმოადგენს, ხოლო სახელმწიფოებრივ საკუთრებისა და, საერთოდ, ეკონომიკის სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური რეგულირების მთელი სისტემის მიზანი კი კაპიტალისტური მითვისების დაცვაა. ამასთან, რაც დრო გადის, კაპიტალისტურ მწარმოებლურ ძალთა განვითარებისა და წარმოების განსაზოგადოების კვალობაზე მათ შორის წინააღმდეგობასულ უფრო მეტად იზრდება, — რაც კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის გამოვლენის ფორმად გვევლინება.

კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა, რომელიც თან დაჰყვება ბურჟუაზიული წარმოების წესის წარმოშობას, იმდენად დიდი და რთული მოვლენაა, რომ მასში ასახვას ღებულობს კაპიტალიზმის მთელი რიგი სხვა წინააღმდეგობანი, დაბრკალებანი, სიძნელეები და კრიზისები, კონფლიქტები, ძალთა შინაგანი და გარეგანი შეჯახებანი, ანტაგონიზმები. ბევრი მათგანი კაპიტალიზმს მისი ძირითადი წინააღმდეგობის წიაღში — პირველი პერიოდიდანვე მოსდევს, რამაც შემდგომ ახალ, მკვეთრ განვითარებას მიადრწია; ბევრი კი კაპიტალიზმის განვითარების მომდევნო საფეხურზე — განსაკუთრებით იმპერიალიზმის ეპოქაში, სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტურ კაპიტალიზმის დროს წარმოიშვა.

ამგვარად, ჩვენ საქმე გვაქვს კაპიტალიზმის ძველ და ახალ წინააღმდეგობებთან, ზოგიერთი მათგანისა კი მოდიფიკაცია ხდება. ახალი წინააღმდეგობების წარმოშობით ან მოდიფიკაციით არ ისპობიან ძველი წინააღმდეგობები; პირიქით, ისინი ასრებობას ინარჩუნებენ და, ახალ წინააღმდეგობებთან ერთად, ერთიანი ძალით არყევენ კაპიტალისტურ სისტემას, მის საფუძველს. კაპიტალიზმის ძველი და ახალი წინააღმდეგობების შესაბამისად შეგვიძლია აღვნიშნოთ კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის გამოვლენის მონოპოლიზმამდელი და მონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდების ფორმები.

ფ. ენგელსმა მონოპოლიზმამდელი კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის შემდეგი ფორმები აღნიშნა:

1. კლასობრივ-ანტაგონისტური ხასიათისა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ: „წინააღმდეგობამ საზოგადოებრივ წარმოებასა და კაპიტალისტურ მითვისებას შორის თავი

იჩინა პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგობის სახით¹⁸.

2. საზოგადოებაში ანარქიის ხასიათისა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ „წინააღმდეგობა საზოგადოებრივ წარმოებასა და კაპიტალისტურ მითვისებას შორის მელაუნდება როგორც წინააღმდეგობა წარმოების ორგანიზაციასა, ცალკეულ ფაბრიკაში და წარმოების ანარქიას შორის მთელ საზოგადოებაში“¹⁹.

3. ეკონომიკური კრიზისული, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ „კრიზისების დროს წინააღმდეგობა საზოგადოებრივ წარმოებასა და კაპიტალისტურ მითვისებას შორის იძულებით აფეთქებამდე მიდის. საქონლის ბრუნვა დროებით წყდება; მიმოქცევის საშუალება — ფული — მიმოქცევის დაბრკოლებად ხდება; საქონელწარმოებისა და საქონელმიმოქცევის ყველა კანონი ყირამალა დგება. ეკონომიური კოლიზია თავის მწვერვალს აღწევს: ხდება წარმოების წესის აჯანყება გაცვლის წესის წინააღმდეგ“²⁰.

კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის გამოვლენის აღნიშნული ფორმები, რომლებიც დამახასიათებელი არიან მონოპოლიზმამდელი კაპიტალიზმისათვის, ამავე დროს ამ წინააღმდეგობის მექანიზმის გახსნის ფორმებსაც წარმოადგენენ. ამ წინააღმდეგობათა შუქზე კ. მარქსი იკვლევდა კაპიტალიზმის სინამდვილეში სხვა წინააღმდეგობებსაც, ავლენდა მათ კანონზომიერ განვითარებას და შედეგებს. ამ მხრივ აღსანიშნავია მოგების ნორმის შემცირების ტენდენციის კანონი, რომელიც ზედმეტი ღირებულების წარმოების გადიდების მისწრაფებისადმი დაქვემდებარებულია.

მართალია, კაპიტალიზმის თანამედროვე პირობებში. ეს კანონი მთელი ძალით არ გამოხატავს კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობას, რამდენადაც მისი მოქმედება რამდენადმე შესუსტებულია მონოპოლიური მოგების კანონის მოქმედებით, მაგრამ იგი კიდევ უფრო მეტი ძალით ავლენს ძირითადი წინააღმდეგობის სიმწვავეს და არყვეს კაპიტალიზმის მთელ საფუძველს.

მონოპოლიების ბატონობა, სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ზრდა, უახლესი ტექნიკის მიღწევების გამოყენება და სხვ. აშკარად განაპირობებს ექსპლოატაციის ხარისხის გადიდებას და კლასთა ანუკონიზმის გაღრმავებას. ეს იმას ნიშნავს, რომ მოგების ნორმის შემცირების ტენდენციის კანონის საწინააღმდეგო ფაქტორები კიდევ უფრო ძლიერდებიან, იმ დროს როდესაც სუსტდება ძირითადი ფაქტორის მოქმედება, რომელიც განაპირობებს მოგების ნორმის შემცირებას, სახელდობრ, კაპიტალის ორგანული შედგენილობის ზრდას, ზრდის პროცესი ნელდება, ზოგჯერ კი ჩერდება, რომელსაც ადგილი აქვს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გავლენით, მათ შორის წარმოების კაპიტალმოცულობისა და მასალამოცულობის შემცირებით.

კაპიტალისტური მითვისების სისტემა მის როგორც ძველ, ისე ახალ ფორმებს შეიცავს. ამასთან ძველი გვევლინება ახალის საფუძვლად.

ვიხილავთ რა, კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის გამოვლენის ძველ ფორმას, აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ ის, რომ ძალაში რჩე-

¹⁸ ფ. ენგელსი, სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ, თბ., 1970, გვ. 71.

¹⁹ იქვე, გვ. 74.

²⁰ იქვე, გვ. 78.

ბა წინააღმდეგობის ძველი წყარო ისევე, როგორც ძალაში რჩება თვით მითვისების ძველი კაპიტალისტური წესი — მუშათა ექსპლოატაცია. კაპიტალიზმის დროს დაჭირავებული შრომის ექსპლოატაცია, ზედმეტი ღირებულების წარმოება, ყოველთვის იყო და არის დღესაც კაპიტალისტური მითვისების მთელი სისტემის არსი. ეს გარემოება, რამდენადაც იგი სულ უფრო მეტად აღრმავებს წინააღმდეგობას, აძლევს მას უაღრესად მწვავე ანტაგონისტურ ხასიათს, წარმოშობს წინააღმდეგობათა ახალ სახეებს, მისი გამოღენის ახალ ფორმებს.

ჩვენ შეგვიძლო კიდევ კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის გამოვლენის ახალი ფორმები აღგვეჩინა იმპერიალიზმის ეპოქაში, განსაკუთრებით — მის უკანასკნელ საფეხურზე, წინააღმდეგობები, რომლებიც უცნობი იყო მონოპოლიზმამდელი ეპოქისათვის. ასეთებია: მონოპოლიათა შორის მწვავე ბრძოლა, სავალუტო-ფინანსური სფეროს კრიზისი, ინფლაციური პროცესის გართულება, რომელიც შრომისა და კაპიტალის სულ უფრო მწვავე შეჯახების საგნად იქცევა, ეკოლოგიური კრიზისი, ქრონიკული ჰარბწარმოების კრიზისი, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობა, მთელი სისტემის პოლიტიკური კრიზისი და სხვ.

1974 წლის იანვარში ქ. მოსკოვში მოწვეულ მეცნიერულ-თეორიულ კონფერენციაზე, რომელიც მიემდინა ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 50-ე წლისთავს, თავის მოხსენებაში ბ. ნ. პონომარევა აღნიშნა, რომ „ამჟამად ბურჟუაზიული საზოგადოება იმყოფება თავისი წინააღმდეგობების ისეთი გამწვავების წინაშე, რომელიც ნებას გვაძლევს ვილაპარაკოთ განსაზღვრულ თვისებრივ ძვრებზე კაპიტალიზმის საერთო კრიზისის განვითარებაში, ამ კრიზისის ყოველმხრივ გაღრმავებაზე. ეს არის იმპერიალიზმის ეკონომიკური ბაზის კრიზისი, რომელიც გამოდის ციკლობრივი დაცემის ფარგლებიდან. ეს არის ვალუტის კრიზისი, ეს არის იმპერიალიზმსა და კოლონიური მონობისაგან განთავისუფლებულ ქვეყნებს შორის მთელი ურთიერთობათა სისტემის კრიზისი; ეს არის იმპერიალიზმის თანამედროვე ძალების ბანაკთა ცენტრების — აშშ, დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და იაპონიას შორის ურთიერთობის კრიზისი, ეს არის ენერგეტიკის კრიზისი, რომელიც ამჟამად ნამდვილ დამანგრეველ ხასიათს იღებს, ეს არის ეკოლოგიური კრიზისი, ეს არის კრიზისი იმპერიალიზმის საგარეო პოლიტიკური კურსისა, მრავალსამხედრო დოქტრინისა, რომელიც მიზნად ისახავს სოციალიზმის შეიარაღებულ დამხობას. დაბოლოს, ეს არის პოლიტიკური და იდეოლოგიური კრიზისი, რომელიც გამოიხატება კაპიტალიზმის „შინაგან ფრონტზე“ კლასობრივი ბრძოლის ყოველმხრივი გამწვავებით“²¹. ამ ახალი წინააღმდეგობების თავისებურება ის არის, რომ ისინი, რომლებიც წარმოშობილნი არიან კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის ვითარებაში, მის ბაზაზე, უკუგავლენას ახდენენ მასზე, კიდევ უფრო ამწვავებენ მას. ამის გამო კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა ახალ თვისებებს იძენს, ახალ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს ავლენს.

თანამედროვე კაპიტალიზმის ახალი წინააღმდეგობის წარმოშობა და გაღრმავება არ ხდება მექანიკური წესით, იგი უაღრესად კანონზომიერ მოვლენად იქცა, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული კაპიტალიზმის მწარმოებ-

²¹ Газ. «Правда», 19 января, 1974.

ლური ძალების განვითარებასთან. ისტორიული მსვლელობის პროცესში მწარმოებლური ძალებისა და წარმოებრივი ურთიერთობების ცვლილებათა გავლენით რამდენადმე ცვლილება განიცადა კაპიტალიზმის ძირითადმა წინააღმდეგობამ, მან მიიღო ახალი სახე და მოძრაობის ახალი ფორმა. საფუძვლად დაედო ახალ წინააღმდეგობათა წარმოშობას, ახალი წინააღმდეგობანი, თავის მხრივ, გავლენას ახდენენ ძირითად წინააღმდეგობაზე, მის კიდევ უფრო გამწვავების მიმართულებით. ამ წინააღმდეგობათა გამოვლენის ფორმების დეტალური ანალიზი საბჭოთა სწავლული ეკონომისტების, ფილოსოფოსების, სოციოლოგების, ისტორიკოსების, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა მკვლევარებისა და ახალი ისტორიის სპეციალისტთა დიდ ერთობლივ შრომას მოითხოვს, — ეს არის დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, რომელმაც ნათლად უნდა დაგვანახოს ის, თუ საითკენ მიდის კაპიტალიზმის განვითარება, მიდის იგი ე. წ. „ახალი სოციალიზმის“, „იმპერიალიზმის“ შემდგომი“, „პოსტინდუსტრიული“ განვითარების გზით, თუ სოციალისტური რევოლუციის გზით, რომელიც მეცნიერულად არის ნაჩვენები მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მიერ და რომლის გაყალბებასაც ცდილობენ ბურჟუაზიის თანამედროვე აპოლოგეტები.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა.

წოდარ ბარამიძე

ზოგიერთი მოსაზრება სწავლის აღზრდის შესახებ ადამიანურ ძმეობათა სისტემაში*

მოწაფის საგანმანათლებლო სწავლა მრავალი მკვლევარის მიერაა შესწავლილი. მასზე დაწერილია და იწერება როგორც თეორიული, ისე ექსპერიმენტული ხასიათის გამოკვლევები. ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში მოიპოვება მრავალრიცხოვანი ლიტერატურა, რომელიც სასწავლო ქცევის ბევრ განსხვავებულ მიმართებასა თუ ასპექტს აშუქებს: სწავლა მესხიერების ფსიქოლოგიის ასპექტში, სწავლა და განვითარება, სწავლის მოტივაციური სტრუქტურა და ა. შ. ცნობილია აგრეთვე სწავლის კომპლექსური შესწავლისადმი მიძღვნილი ლიტერატურაც. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საყოველთაოდ მიღებული აზრი სასწავლო ქცევის მამოძრავებელ ძალაზე, მის ფსიქოლოგიურ ბუნებასა და მასასადამე, ამ აქტივობის ადგილზე ადამიანურ ქცევათა სისტემაში, ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება. წინამდებარე გამოკვლევების მიზანია შესაბამისი თეორიული მასალის ანალიზისა და ზოგიერთი ექსპერიმენტული მონაცემის გათვალისწინების საფუძველზე წარმოადგინოს აღნიშნული საკითხის გაგების ერთი თავისებური ცდა.

სწავლა ადამიანის ქცევის ერთ-ერთი ფორმაა. ეს კი თავისთავად იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანისათვის დამახასიათებელია ქცევის სხვა ფორმებიც, რომ გავარკვიოთ სწავლის ადგილი ადამიანურ ქცევათა სისტემაში, საჭიროა მოკლედ შევეჩერდეთ ადამიანის ქცევის ფორმების დახასიათებაზე.

ადამიანის ქცევის ფორმების სისტემატური კლასიფიკაცია საბჭოთა ფსიქოლოგიაში პირველად დ. უზნაძემ მოგვცა¹. მან, პირველ რიგში, გამოჰყო ადამიანის ქცევის ფორმების ორი დიდი ჯგუფი. ესენია: ქცევის ექსტროგენური და ინტროგენური ფორმები. ექსტროგენური ქცევისათვის ის არის დამახასიათებელი, რომ მისი აღმძვრელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია ობიექტურ გარემოში მოცემული საგანი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ექსტროგენურ ქცევას ყოველთვის ადამიანის საგნობრივი ანუ სუბსტანციური მოთხოვნილება განსაზღვრავს.

ინტროგენური ქცევის ფორმებს საფუძვლად ედება ადამიანის ფუნქციონის, აქტივობის მოთხოვნილებები. ფუნქციონის მოთხოვნილება (ფუნქციონალური ტენდენცია) რაიმე ობიექტის საჭიროებაში კი არ მდგომარეობს, არამედ თვით ინდივიდში მოცემული ძალების ამოქმედებაში.

ექსტროგენურ ქცევის ფორმათა ჯგუფში უზნაძემ ათავსებს ადამიანის შრომით აქტივობას, მოხმარებით ქცევას, მომსახურებას, მოვლას, ცნობის-მოყვარეობის დაკმაყოფილებას, საქმეს. ინტროგენურ ქცევათა კატეგორიაში ავტორი აერთიანებს თამაშს, სპორტს, გართობას, ესთეტიკურ ტკბობას, ზელოვნურ შემოქმედებას. ექსტროგენური ქცევის ტიპურ ფორმას შრომა წარმოადგენს, ინტროგენური ქცევისას კი თამაში.

* შრომა შესრულებულია 1976 წელს საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პედაგოგიური ფსიქოლოგიის ქუთაისის ლაბორატორიაში.

¹ დ. უზნაძე, ადამიან-ს ქცევის ფორმები, შრომები, ტ. V, თბილისი, 1967, გვ. 427-473.

სწავლა, რომელიც მოსწავლის ქცევის ძირითადი ფორმაა, დ. უზნაძის კლასიფიკაციით არ უნდა მიეკუთვნოს ქცევის არც ექსტროგენურ და არც ინტროგენურ ფორმებს, თუმცა იგი ორივესათვის დამახასიათებელ ელემენტებს შეიცავს. სწავლა იმით უახლოვდება ექსტროგენურ ქცევას (მაგალითად, შრომას), რომ, როგორც შრომის დროს აქტივობა მხოლოდ საშუალებაა პროდუქტის მისაღწევად, ისევე სწავლის პროცესი საშუალებაა თავისი შედეგის — ცოდნის ან ჩვევის შესაძენად. აქაც, ერთი შეხედვით, მთავარია ობიექტური ღირებულების მქონე პროდუქტის (ცოდნა-ჩვევის) შეძენა, რომლის (ე. ი. პროდუქტის) შექმნასაც აუცილებლობით გულისხმობს ადამიანის შრომითი საქმიანობა. მაგრამ დ. უზნაძე აღნიშნავს, რომ სწავლის გაგება, როგორც მხოლოდ ცოდნის შეძენის საშუალებისა, არაა სწორი. სწავლას შეძენილი ცოდნა-ჩვევისაგან დამოუკიდებელი ღირებულებაც გააჩნია: სახელდობრ, სწავლის პროცესი სხვადასხვა უნარსა და ძალებსაც უვითარებს მოსწავლეს. ამ მხრივ სწავლა ქცევის ინტროგენურ ფორმებს, მაგალითად, თამაშს უახლოვდება. თამაშის ძირითად ფუნქციას ხომ ბავშვის შინაგანი ძალების განვითარება შეადგენს.

მაგრამ, მეორე მხრივ, სწავლა, რომელიც ავითარებს მოსწავლის შინაგან ძალებს, გულისხმობს იმ საგნობრივ შინაარსს, იმ მასალას, რომელსაც გარედან ვაძლევთ მოზარდს. სწორედ გარედან მიწოდებული შინაარსები განსაზღვრებენ მოსწავლის ძალების განვითარებას სწავლის პროცესში. აქ შესასწავლ მასალას თვითონ კი არ პოულობს მოზარდის აქტივობა, არამედ იგი მას გარედან, ასე ვთქვათ, „იძულებით“ ეძლევა. ამ მხრივ სწავლა უახლოვდება შრომას ე. ი. ექსტროგენურ ქცევას. მაგრამ, რამდენადაც სასწავლო მასალის მიცემის დროს ანგარიში ეწევა მოსწავლის ძალების მდგომარეობას, მის შესაძლებლობებს (რაც არ გაითვალისწინება ხოლმე შრომის შემთხვევაში), ამდენად სწავლა ნამდვილი ექსტროგენური ქცევის ფორმად მიიწვია არ ჩაითვლება, თუმცა იგი, როგორც ვნახეთ, არც ინტროგენურ ქცევის ფორმათა კატეგორიაში შეიძლება გაერთიანდეს.

ამრიგად, დ. უზნაძის აზრით, სწავლა ადამიანის ქცევის თავისებური ფორმაა, რომელიც არ შეიძლება გაიგივებული იქნას არცერთს სხვა ქცევის ფორმასთან. იგი წარმოადგენს გარდამავალ ფორმას ქცევის აღნიშნულ ორ ძირითად კატეგორიას შორის. კერძოდ, მას საშუალო ადგილი უჭირავს თამაშსა და შრომას შუა და გარდამავალი საფეხურია პირველიდან მეორემდე.

ასეთია დ. უზნაძის შეხედულების ძირითადი აზრი ადამიანის ქცევის ფორმებზე — საერთოდ და სწავლაზე — კერძოდ.

უკანასკნელ პერიოდში სწავლა, როგორც ქცევის დამოუკიდებელი ფორმა, საგანგებოდ შესწავლის საგნად აქცია პროფ. შ. ჩხარტიშვილმა ზემოაღნიშნული საკითხებთან ერთად მან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სწავლის მოტივაციურ მხარეს, რასაც თავის დროზე დ. უზნაძე არ შეხებია. ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება ამ ავტორის მოსაზრებათა მოკლე დალაგებაც.

შ. ჩხარტიშვილის აზრით, სწავლა მხოლოდ მაშინ წარმოადგენს დამოუკიდებელ ქცევას, როდესაც იგი აგებულია საკუთარ ანუ ჰომოგენურ მოტივებზე. სასწავლო აქტივობისადმი ასეთი მიდგომა სავსებით შეესაბამება ადამიანის ქცევისა და მისი მოტივის იმ გაგებას რომელიც მოცემული აქვს დ. უზნაძეს და რომლის მიხედვითაც ყოველ ქცევას საკუთარი მოტივი აქვს.

მოტივსა და ქცევას შორის ყოველთვის ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება არსებობს. ფსიქოლოგიურად ქცევა იმდენივეა, რამდენიცაა მოტივი, ე. ი. ერთ ქცევას მხოლოდ ერთი მოტივი შეიძლება ჰქონდეს. სწავლა, როგორც ქცევის დამოუკიდებელი ფორმა, შ. ჩხარტიშვილის აზრით, ვერ თავსდება ქცევისა და მისი მოტივის უზნაძისეულ გავებაში. საქმე იმაშია, რომ სასკოლო სწავლა, ამ ავტორის მიხედვით, ორმოტივიანია. მას თამაშისა და შრომის მოტივები განსაზღვრავს. ამ ორ მოტივის სასწავლო ქცევის სტრუქტურაში ყოველთვის ერთნაირი ადგილი არ უჭირავს. „ერთ შემთხვევაში შეიძლება ერთი მათგანი ასრულებდეს ქცევის მიმდინარეობაში წამყვან როლს, მეორე შემთხვევაში — მეორე მესამეში კი — შეიძლება ორივე თანაბარ მონაწილეობას იღებდეს“² — წერს ავტორი და განაგრძობს: სასწავლო ქცევის ის თავისებურება, რითაც იგი შრომას ჰკავს, განსაზღვრულია შრომის მოტივით, იმ პროდუქტის საზოგადოებრივი ღირებულებით, რომლის შექმნა და მოპოვება სწავლის მიზანდასახულობაში შედის. ამიტომ სწავლა, როგორც დამოუკიდებელი ქცევის ფორმა, არ არის მხოლოდ ინტელექტუალურ მოთხოვნილებათა იმპულსით გაპირობებული აქტივობა. მისი ორგანიზაციის საქმეში წამყვან როლს ასრულებს ნებისყოფა... ნებისყოფა ინტელექტუალურ მოთხოვნილებებთან ერთად (როცა ისინი მას თავიანთ იმპულსებს აშველებენ) და მათ გარეშეც სასწავლო ქცევას აწესრიგებს³.

ამრიგად, შ. ჩხარტიშვილის აზრით, სწავლა თავისი არსით, ორმოტივიანი ქცევაა. მას ერთდროულად თამაშის მოტივიც ასაზრდოებს და შრომისაც. საკმარისია მისი ბუნებიდან ერთი მათგანი ამოვიღოთ, რომ იგი, იმის მიხედვით, თუ რომელს დავტოვებთ, ან თამაშად იქცევა და ან შრომის სახეს მიიღებს. ასეთია შ. ჩხარტიშვილის შეხედულების ძირითადი აზრი აღნიშნულ საკითხზე.

თავიდანვე გვინდა მივუთითოთ, რომ ზემოაღნიშნულ ავტორთა ზოგიერთი მოსაზრება, რაც სწავლის პრობლემასთან დაკავშირებით მოვიტანეთ, ძნელი გასაზიარებელი ჩანს. ამიტომ, პირველ რიგში, ჩვენ კრიტიკულად განვიხილავთ ამ მოსაზრებებს და გზადაგზა შეტლებისდაგვარად ნათელყოფთ ჩვენს პოზიციასაც სწავლის ფსიქოლოგიურ ბუნებასა და მის მოტივებზე.

მსჯელობის ყველა საფეხურზე, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ჩვენ დავეყრდნობით დ. უძნაზის იმ უდაოდ მართებულ, შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ფსიქოლოგიურ აზრსა და მნიშვნელობას ქცევას მოტივი აძლევს. სწორედ იგი ზღის ამა თუ იმ ფიზიკურ ქცევას კონკრეტულ ფსიქიკურ ქცევად. მოტივიერებული ქცევა ყოველთვის გარკვეული და არსებითად, მის ქცევად სწორედ ეს აქტების მატარებლად განიცდება და არსებითად, მის ქცევად სწორედ ეს აქტებს. შეუტლებელია მოტივთა ზრძოლის შესახებ ვილაპარაკოთ ერთი რომელიმე ქცევის პირობებში. ფსიქოლოგიურად ქცევა იმდენივეა, რამდენიცაა მოტივი, ე. ი. ერთ ქცევას მხოლოდ ერთი ძირითადი მოტივი შეიძლება ჰქონდეს⁴.

² შ. ჩხარტიშვილი, ექვსწლიანი ბავშვის სასკოლო სწავლების მოტივაციური თავისებურებანი, ე. „სკოლა და ცხოვრება“. 1976, № 1, გვ. 7.

³ შ. ჩხარტიშვილი, სწავლის მოტივაციური ფორმები, ე. „სკოლა და ცხოვრება“. 1975, № 12, გვ. 17.

⁴ დ. უძნაძე, შრომები ტ. III—IV, თბილისი, 1964, გვ. 165—220.

ამ შეხედულების მიხედვით, სწავლა მხოლოდ მაშინ იქნება დამოუკიდებელი ქცევა, როდესაც მას საფუძვლად დაედება მხოლოდ ერთი რომელიმე წამყვანი მოტივი (ამას, როგორც ვნახეთ, ხაზს უსვამს პროფ. შ. ჩხარტიშვილი). ასეთი საფუძველი კი სწავლას იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ იგი შევიდოდა ან ინტროგენურ ქცევათა კატეგორიაში და ან ექსტროგენურში. მაგრამ სასწავლო აქტივობა, როგორც უზნაძის კლასიფიკაციიდან ვიცით, ორივეს ელემენტებს შეიცავს და ეს ქმნის სირთულეს. ამ სიძნელეს, ჩვენის აზრით, ვერ ხსნის სწავლის ორმოტივიან ქცევად გამოცხადებაც. საკითხის ასეთი გადაწყვეტა (სწავლის ორმოტივიან ქცევად მიჩნევა) შემდეგი ახალი პრობლემის წინაშე გვაყენებს: ასეთ შემთხვევაში ან უნდა ვალიაროთ, რომ სწავლა შეუძლებელია იყოს დამოუკიდებელი ქცევა, ანდა დავუშვათ, რომ ერთ ქცევას შეიძლება ორი, თვისობრივად განსხვავებული, მოტივი გააჩნდეს. ეს უქანასკნელი, როგორც ვიცით, უზნაძის ზემოაღნიშნულ დებულებას ეწინააღმდეგება. მდგომარეობიდან გამოსავალი, ვფიქრობთ სხვა მიმართულებით უნდა ვეძებოთ.

პირველ რიგში, გავარკვიოთ ასეთი საკითხი: რამდენად მართებულია სწავლის გამოცხადება გარდამავალი ქცევის ფორმად? ნუთუ ფსიქოლოგიურად (ჩვენთვის სწორედ ესაა მთავარი!) სასწავლო აქტივობა ერთნაირად განიცდება ინტროგენური ქცევის ფორმადაც და ექსტროგენურადაც? დ. უზნაძის მიხედვით, სწავლა იმდენად შეიცავს ინტროგენური ქცევის ელემენტებს, რამდენადაც იგი მოსწავლის სათანადო ძალების განვითარებისაკენ არის მიმართული. მაგრამ ძალთა განვითარებას, როგორც ცნობილია, შრომაც იწვევს. მართალია, არა იმ ინტენსივობით, როგორც თამაშში და სწავლა, მაგრამ მაინც იწვევს. ცნადა შრომის ეფექტიც ანალოგიური იქნებოდა ამ მხრივ, რომ შრომის სუბიექტის ძალები დასრულებულ მდგომარეობაში არ ჰქონდა, ე. ი. ამ თვალსაზრისით მაინცდამაინც პრინციპული განსხვავება არ ჩანს შრომასა და სწავლას შორის. რაც შეეხება იმას, რომ ძალების განვითარება შრომის დროს თანმხლები მოვლენაა, სწავლის დროს კი მისი არსი, უნდა ვთქვათ, რომ ობიექტურად ეს მართლაც ასეა. ვიმეორებთ, ობიექტურად სწავლის ერთი ძირითადი მიზანი მოსწავლის სათანადო ძალების განვითარებაში მდგომარეობს. მაგრამ სუბიექტურად? ნუთუ ბავშვი იმიტომ სწავლობს, რომ მას საკუთარი ძალების განვითარება აქვს დასახული მიზნად? ეს შეუძლებელია. ძალების განვითარება, თვით ქცევის სუბიექტის პოზიციიდან თუ ვიმსჯელებთ, შრომის დროსაც თანმხლები მოვლენაა და სწავლის შემთხვევაშიც. არცერთი აღნიშნული ქცევის სუბიექტი არ ისახავს (და არც შეიძლება დაისახოს) მიზნად თავისი ძალების განვითარებას. ფსიქოლოგიურად, განცდისეულად, ფენომენოლოგიურად სწავლა არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს ქცევას, რომელიც ძალების განვითარებისთვის წარმოებს. არცერთი მოსწავლე არ განიცდის სასწავლო აქტივობას, როგორც ძალების განვითარების საშუალებას. მოსწავლე იმიტომ კითხულობს წიგნს, აკეთებს სავარჯიშოებს, წერს ასოებს და ა. შ., რომ სურს ის მიზანი განახორციელოს, ის პროდუქტი შექმნას, ის... რასაც მოვლიან მისგან უფროსები (მასწავლებელი, ოჯახი, საზოგადოება). ე. ი. სწავლის პროცესში მოსწავლე შინაგანი ძალების განვითარების ამოცანას კი არ წყვეტს არამედ გარკვეული ობიექტური ღირებულების მქონე პროდუქტის (ცოდნა-ჩვევის) შექმნას ცდილობს და ესაა მისთვის მთავარი. ჩვენთვის შეიძლება მისი ძალების განვითარება იყოს მთავარი, მაგრამ

ამას ქცევის ფსიქოლოგიურ სტრუქტურაში, მის მიმდინარეობაში არაფერი შეაქვს.

როგორც ვხედავთ, ვერც ამ მხრივ შეიმჩნევა არსებითი განსხვავება შრომასა, კერძოდ, გონებრივ შრომასა და სწავლას შორის. შეიძლება გვითხრან: სწავლას, სხვა ფაქტორებთან ერთად, მოსწავლის შინაგანი ძალების ამოქმედების ტენდენციაც უდევს საფუძვლად და ესაა, რომ მას ინტროგენურ ქცევასთან, კერძოდ, თამაშთან ახლოვდესო. მართალია, ამის შესაძლებლობას ვერაინ გამოირიცხავს, მაგრამ ცნობილია, რომ ადამიანის შინაგანი ძალების ფუნქციონის ტენდენციის მონაწილეობას შრომის პროცესშიც აქვს ადგილი, მაგრამ ამის გამო შრომა თამაშთან არავის დაუახლოვდება. არავის დაუახლოვდება შრომა ორმოტივიანი ან გარდამავალი ქცევის ნიშნებით იმის გამო, რომ მის მიმდინარეობაში ნებისყოფასთან ერთად აქტივობის ფუნქციონალური ტენდენციაც შეიძლება მონაწილეობდეს. არადა იგივე მოსაზრებით, ე. ი. მასში ორი მოტივის მონაწილეობის საფუძველზე, თითქოს ეს ბუნებრივი იყო.

ამრიგად, ჭერჭერობით არ ჩანს უტყუარი ფაქტი, რომლის გამოც სწავლა ინტროგენურ ქცევადაც შეიძლება მივეჩნიოთ. პირიქით, ზოგიერთი ზემოაღნიშნული გარემოება არსებითად მის ექსტროგენურობაზე მიუთითებს. ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, ჩვენის აზრით, ლაპარაკობს აგრეთვე მოსწავლის სასწავლო აქტივობის მიღებული განსაზღვრება და ნიშნის გამოყენების პრაქტიკაც სწავლებაში. ნიშანი, როგორც ვიცით, ცოდნა-ჩვევის ათვისების ხარისხს გამოხატავს, ე. ი. ნიშნით ფასდება სწავლის ის მხარე, რომლითაც იგი ექსტროგენურ ქცევათა კატეგორიაში შეიძლება გავრთიანდეს და რომელიც ფიგურირებს მის ჩვეულებრივ (ყოველდღიურ) განმარტებაში (სწავლას ზომ ისეთ აქტივობას უწოდებენ, რომელშიც რაიმე ცოდნა-ჩვევა შეიძინება). თუკი სწავლაში ინტროგენური მომენტი — მოსწავლის სათანადო ძალების განვითარებაა მთავარი, მაშინ ეს რალაცნაირად ასახული უნდა იყოს კიდევ ამ ცნების განსაზღვრებაში და ნიშანიც სწორედ ამაში უნდა ეწერებოდეს მოსწავლეს და არა მიღებულ ცოდნა-ჩვევაში. შეიძლება ვიფიქროთ: მიღებულ ცოდნა-ჩვევა გამოხატავს ძალების განვითარების დონეს და ამიტომ, ცოდნის შეფასება, ძალების განვითარების შეფასებასაც წარმოადგენსო. მაგრამ, ცხადია, ეს არ იქნებოდა მართალი, ვინაიდან მიღებულ (აქტუალურ) ცოდნა-ჩვევასა და ძალების განვითარების დონეს შორის ყოველთვის ერთმნიშვნელოვანი კავშირი როდი შეიძლება არსებობდეს.

ამრიგად, სასწავლო ქცევის გავრცელებული განსაზღვრება, ერთი მხრივ, და ნიშნით სწავლის ობიექტური მხარის შეფასების ფაქტი, მეორე მხრივ, ვფიქრობთ, არაპირდაპირ, მაგრამ მაინც მიუთითებს ობიექტურია (ექსტროგენური) მომენტის პრიორიტეტზე სწავლაში.

საგანგებოდ უნდა ვიმსჯელოთ სასწავლო ქცევის განცდისეული რაგვარობის, სუბიექტის გრძობებსა და ემოციებში მისი თვისობრივი მოცემულობის საკითხზე. ჯერ შევეხოთ საკითხის თეორიულ ასპექტს.

სწავლა, ისე როგორც ნებისმიერი სხვა ქცევა, კონკრეტული ადამიანის აქტივობას წარმოადგენს. იგი მეტ-ნაკლებად, მაგრამ ყოველთვის მთლიანი პიროვნების დაღითაა აღბეჭდილი. ამიტომ სწავლის როგორც ქცევის დამოუკიდებელი ფორმის მიმდინარეობა ბევრადაა დამოკიდებული იმაზეც, თუ

სად ზის იგი ადამიანის პიროვნების სტრუქტურაში, როგორია ასახული მის ემოციებსა თუ გრძნობებში.

სწავლა, დ. უზნაძის შეხედულების თანახმად, გარდამავალი ქცევის ფორმაა, ე. ი. თავის თავში შეიცავს როგორც ინტროგენურ, ისე ექსტროგენურ ქცევის ელემენტებს; კერძოდ, მასში ერთდროულად მოცემულია თამაშისა და შრომისათვის დამახასიათებელი მომენტები. რას უნდა ნიშნავდეს ეს განცდილად? რას უნდა იძლეოდეს თამაშისა და შრომის ელემენტების მოცემულობა სწავლაში ამ ქცევის განცდილად რა გვარობის თვალსაზრისით?

თამაშში, როგორც ვიცით, ადამიანის შინაგანი ძალების სპონტანური, თავისუფალი ამოქმედებაა, რის გამოც იგი ყოველგვარი უსიამოვნო შინაგანი დაძაბულობისა და იძულების გარეშე მიმდინარეობს. თამაშის სუბიექტისათვის დამახასიათებელია სასიამოვნო ემოციები და, საერთოდ, თამაშის მთელი პროცესი დადებით ემოციურ ფონზე იშლება. ეს კი სრულიად კანონზომიერი მოვლენაა, ვინაიდან ამ აქტივობას საფუძვლად ედება ფუნქციონის მოთხოვნილება (ტენდენცია), რომლის (ისევე როგორც ყველა დანარჩენი მოთხოვნილების) დაკმაყოფილებაც ყოველთვის დადებით ემოციურ მდგომარეობასთან არის დაკავშირებული. (ე. ი. დადებითი, სასიამოვნო ემოციები თამაშის კანონზომიერი შედეგია და არა მისი მიზეზი და ამიტომ აქ ჰედონიზმის პრინციპებთან რაიმე კავშირი გამოირჩევა).

შრომა, თამაშისაგან განსხვავებით, გარედანაა განსაზღვრული. მას საგნობრივი მოთხოვნილება ედება საფუძვლად. აქ საგანი თვითონ განსაზღვრავს თუ რა ძალების ამოქმედება სავირო შესაბამისი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი ქცევის გასაშლელად. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ქცევა გარედან, საგნიდან ლეზულობს იმპულსს... სწორედ ამიტომ, რომ შრომა (ექსტროგენური ქცევა) იძულებითი აქტივობის ხასიათს ატარებს (უზნაძე). აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ „იძულებითი“ მოცემულ კონტექსტში აღნიშნავს არა იმას, რომ შრომა მძიმე აქტივობაა, არამედ მხოლოდ იმას, რომ შრომის სუბიექტმა ანგარიში უნდა გაუწიოს საგნის თვისებებს, ობიექტურ გარემოებას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ შრომა ზოგიერთ შემთხვევაში (გარკვეული სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო) იძულებითი აქტივობის ხასიათსაც შეიძლება ატარებდეს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. მაგრამ თავისთავად ეს ჩვენთვის არაა მთავარი. მთავარია შრომისა და თამაშის შემოთმობიანილ დახასიათებათა ურთიერთმიმართება, მათი ურთიერთშედარება, რაც იმას გვეუბნება, რომ არ არსებობს შინაგანად მიუღებელი, არასასიამოვნო თამაში. მაშინ, როცა შრომითი აქტივობა ერთ შემთხვევაში შინაგანად შეუწყნარებელიც შეიძლება იყოს და მეორე შემთხვევაში დიდ კმაყოფილებასაც ანიჭებდეს ადამიანს.

თუკი სწავლა გარდამავალი ქცევის ფორმაა, რაც ჩვენის აზრით, აუცილებლობით გულისხმობს მის ორმოტივიანობას, მაშინ ეს გარემოება რალაცნაირად ასახული უნდა იყოს კადეც სწავლის სუბიექტის პიროვნებაში, მის ემოციებსა და განცდებში. სწავლის ფსიქოლოგიური ბუნების შემოაღნიშნული გაგებიდან გამომდინარე, სწავლა ერთდროულად თამაშითი სასიამოვნოც უნდა იყოს და შრომისათვის დამახასიათებელი იძულებით ელფერსაც ატარებდეს. ეს ორი მომენტი მის განცდაში რალაცნაირად უნდა ფიგურირებდეს.

მართალია, ჯერ კიდევ ვ უნ დ ტ მ ა დაამტკიცა, რომ შეუძლებელია რამდენიმე განსხვავებული გრძობის ერთდროულად განცდა, მაგრამ ეს სრულიადაც არ გამორიცხავს, რომ სასწავლო ჭკვევის მიმდინარეობის განცდაში ერთმანეთს შეერწყას ინტროგენური და ექსტროგენური ქცევისათვის სპეციფიკური თავისებურებანი და პიროვნებანი აღმოცენდეს ერთიანი „ემოციური მდგომარეობის“ განცდა. ამ განცდაში, როგორც აღვნიშნეთ, მოცემული უნდა იყოს, რომ სწავლა არაა თამაშივით ადვილი და სასიამოვნო, მაგრამ არც შრომის ცალკეულ შემთხვევებივითაა ძნელი და შინაგანად მიუღებელი. ხოლო თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ შრომა, ნორმალურ პირობებში, თვითგამოვლენის საშუალებაა, იგი ძირითადად, კმაყოფილებას ანიჭებს ადამიანს, მაშინ ცხადი იქნება, რომ შრომითი ელემენტების შემცველი სწავლა (რომელიც თამაშის ელემენტებსაც შეიცავს) ფაქტიურად სასიამოვნო აქტივობად უნდა ევლინებოდეს მის სუბიექტს.

როგორია საქმის რეალური ვითარება ამ მხრივ? თავიდანვე გვინდა მივუთითოთ, რომ სწავლის პროცესზე ობიექტური დაკვირვება და მისი მიმდინარეობის განცდაზე თვითდაკვირვება თითქმის ვერაფერს ადასტურებს ზემოაღნიშნული მოსაზრების სასარგებლოდ. პირიქით, მონაცემები ისეთია, რომ სწავლა თავისი განხორციელების სირთულითა და თავისებურებით ერთ-ერთ ნაკლებად შესაწყნარებელ ქცევადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ. მოვიყვანოთ ზოგიერთი ფაქტი (რომ არაფერი ვთქვათ როგორც თვით მოსწავლეთა, ისე მასწავლებელთა — და არა მხოლოდ მასწავლებელთა — მრავალრიცხოვან გამოთქვამებზე): თუკი სწავლა გარდამავალი ქცევის ფორმაა, ე. ი. მას თამაშის მოტივიც ამოძრავებს და შრომისაც, მაშინ გაუგებარია ის დამოკიდებულება სასწავლო აქტივობისადმი, რომელსაც აელენენ მოსწავლეები თითქმის ყოველთვის, როდესაც ეს აქტივობა ფერხდება, წყდება ან დროში გადაიდგება. ასე მაგალითად, ყოველი გაცდენილი გაკვეთილი სიამოვნებას გერის მოსწავლეს, ყოველი კვირის მოახლოება ახარებს მას, ყოველი ორშაბათი დღე კი მძიმე დღეა მისთვის. და ეს ასეა როგორც სუსტი, ისე კარგი მოსწავლეების შემთხვევაში და უკლებლივ ყველა კლასში. სწავლის შემთხვევითილი გაგებიდან გამომდინარე კი, ეს ქცევა სასიამოვნო თუ არა, არც ისეთ მძიმე და უსიამოვნო აქტივობად უნდა განიცდებოდეს რომ მისი შეწყვეტა მოსწავლეების ასეთი სიხარულისა და აღტაცების მიზეზი იყოს. საუფლისხმოა, რომ თამაშის მოულოდნელი შეწყვეტა ან მისი დროში გადადება ყოველთვის საწინააღმდეგო ემოციებთანაა დაკავშირებული.

სასწავლო და შრომითი აქტივობის განცდისეული რავგარობის საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთ გარემოებას შეიძლება მივაქციოთ ყურადღება. სწავლაცა და შრომაც როგორც ვიცით, გარკვეული პროდუქტის შექმნას ემსახურება. სწავლის სუბიექტი შესაბამისი პროდუქტის (ცოდნა-ჩვევის) მისაღებად იყენებს თავის ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფ ძალებს, მშრომელი ადამიანის საქმიანობა კი დასრულებულ ძალებს გულისხმობს. ძალების თავისუფალ ამოქმედებას არც პირველ შემთხვევაში აქვს ადგილი და არც მეორე შემთხვევაში, მაგრამ საგანმანათლებლო სწავლის პროდუქტის მიღებას, ჩვენის აზრით, უფრო დიდი შინაგანი სიმბოლოები ახლავს, ვიდრე შრომისას. მართლაც, რომელი აქტივობა უნდა იყოს ფსიქოლოგიურად უფრო ძნელად შესასრულებელი? ის, რომელიც ჯერ კიდევ, ფორმირებაში მყოფი ძალების გამოყენებით ხორციელდება, თუ ის, რომელიც უკვე დასრულებულ ძალებს



ემყარება? ვფიქრობთ, დასრულებული ძალებით პროდუქტის შექმნა ობიექტურადაც უფრო ადვილი უნდა იყოს და სუბიექტურადაც უფრო სასიამოვნო. ვიდრე ფორმირებადი ძალებით. შეიძლება ნაწილობრივ ამითაც აიხსნება ის გარემოება, რომ მოსწავლის სავანმანათლებლო სწავლა ზოგჯერ უფრო მძიმე აქტივობად განიცდება, ვიდრე ჩვეულებრივი შრომა ან სტუდენტისა და ასპირანტის სასწავლო მოქმედება (არაფერი რომ ვთქვათ თამაშზე). თვითონ შ. ჩხარტიშვილიც ხომ წერს: „ყველამ ვიცით რამდენი შრომა სჭირდება სკოლასა და ოჯახს იმისათვის, რომ მოზარდს იმ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რომელთა სასწავლო პროცესში ჩართვა შეუძლებელი ხდება, უარი ათქმევინოს და ისეთი მოქმედება განახორციელებინოს, რომელიც ცოდნის მიღების საქმეს უზრუნველყოფს“⁵.

ყველაფერი ეს კი, საბოლოო შედეგში იმაზე მიუთითებს, რომ სწავლას, მისი სუბიექტის პოზიციიდან თუ ვიმსჯელებთ, ცოტა რამ აქვს საერთო თამაშთან. ეს საერთო იმდენად უმნიშვნელო ჩანს, რომ არც კი შეიძლება ლაპარაკი ამ ორი აქტივობის ნათესაობაზე. სწავლა, თავისი ბუნებით, ისეთი აქტივობაა, რომელიც შრომას უახლოვდება და, ფაქტურად, მის ერთ-ერთ სპეციფიკურ სახედ გვევლინება. რამდენად გამართლებულია ასეთ ვითარებაში ლაპარაკი სწავლაზე როგორც გარდამავალ ქცევაზე? ერთი მოვლენიდან მეორეზე გარდამავალი იმას უფრო შეიძლება ეწოდოს, რაც შუალედურია (შუამდებარე) ამ ორ მოვლენას შორის. თვითონ დ. უზნაძეც ვფიქრობთ ასეთ პოზიციასზე იღვა. იგი იმდენად ლაპარაკობდა სწავლაზე, როგორც გარდამავალ ქცევაზე, რამდენადაც მიიჩნევდა, რომ მასში დაახლოებით თანაბრად მოცემული ინტროგენური და ექსტროგენური ქცევის ელემენტები. ყოველ შემთხვევაში, სწავლის ფსიქოლოგიური ბუნების დახასიათებისას, დ. უზნაძეს ამ აქტივობაში არც ერთი ზემოაღნიშნული ელემენტის მონაწილეობისათვის არ მიუცია უპირატესობა. და ეს საესებით გასაგებია, ვინაიდან მისი აზრით „სწავლას საშუალო ადგილი უჭირავს თამაშსა და შრომას შუა“⁶. მაგრამ ჩვენ ვნახეთ, რომ სწავლას ასეთი ადგილი არ უჭირავს აღნიშნულ ორ მოვლენას შორის. იგი თავისი ბუნებით არაა თამაშისა და შრომის შუამდებარე (შუალედური) ქცევა. მართალია, სწავლა თამაშის შემდგომი ეტაპია და მას შრომა მოყვება შემდეგ, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ სწავლა ისევე ახლოსაა თამაშთან, როგორც შრომასთან. უბრალოდ, საქმეს სჭირდება ადამიანის განვითარების თავისებურება მოითხოვს, რომ ჯერ თამაშის, შემდეგ სწავლის და ბოლოს იშრომოს, თორემ სწავლა, თავისი განხორციელების კანონზომიერებითა და საერთო მიმდინარეობით, როგორც ვნახეთ, შრომასთან უფრო ახლოს დგას ვიდრე თამაშთან. ე. ი. სასწავლო და შრომითი აქტივობის ფსიქოლოგიური სტრუქტურები ძალიან უახლოვდება ერთმანეთს და ორივე დაახლოებით თანაბრად (ერთნაირად) შორდება თამაშის სტრუქტურას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სწავლასა და თამაშს შორის, არსებითად, ისეთივე მიმართება უნდა ვიგულისხმოთ, როგორიც ივარაუდება შრომასა და თამაშს შორის. ყოველივე აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს მიზანშეწონილი ლაპარაკი სწავლაზე, როგორც თამაშიდან შრომისაკენ გარდამავალ ქცევის ფორმაზე.

„გარდამავლობის“ ტერმინით, „გარდამავალი ქცევის“ სახელწოდებით,

⁵ შ. ჩხარტიშვილი, აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბილისი, 1974, გვ. 117.

⁶ დ. უზნაძე, შრომები, ტ. V, თბილისი, 1967, გვ. 472.

ჩვენი აზრით, შეიძლება დავახასიათოთ არა თვით სწავლა, არამედ სწავლის წინამდებარე საფეხური, თამაშიდან სწავლაზე გარდამავალი ქცევის პერიოდი. აქტივობის ეს საფეხური, რომელიც თავისი, გარდამავალი ბუნების გამო, ჯერ კიდევ არ ჩაითვლება დამოუკიდებელ ქცევად, შეიძლება მივიჩნიოთ სწავლის მოსამზადებელ საფეხურად და ამდენად, გარდამავალი ხასიათის აქტივობად ჩავთვალოთ თამაშიდან სერიოზული სასწავლო აქტივობისაკენ. ასეთი მოსაზრების მართებულობაზე ისიც მიუთითებს, რომ გარდამავალი სტრუქტურის მქონე ქცევის (რომელსაც, ჩვენი აზრით, შეიძლება ვუწოდოთ ორბუნებიანი ან ორმოტივიანი ქცევა) განხორციელების ყველაზე უფრო საუკეთესო პერიოდად მიჩნეულია ნებისყოფის სუბიექტის ჩასახვის პერიოდი (შ. ჩხარტიშვილი). ეს ის პერიოდია, როდესაც მთავრდება სკოლამდელი ასაკი და ბავშვი ნელს თანდათანობით გარდაიქმნება სასკოლო ასაკის სუბიექტად. სწორედ მთელი ამ პერიოდის მანძილზე, ე. ი. სკოლამდელი ასაკის დასასრულიდან სწავლის სუბიექტად გახდომამდე, იგი გარდამავალი ბუნების მქონე ქცევის სუბიექტია. ქცევისა, რომელსაც ერთდროულად აქტუალური მოთხოვნილებების იმპულსიც მართავს და ნებისყოფაც. ასეთი აგებულების ქცევა, რომელიც გარდამავალი ბუნებისაა, ე. ი. ფაქტიურად თამაშიცაა და სწავლაც, შეუძლებელია ჩაითვალოს დამოუკიდებელ ქცევად, თვით სწავლაც კი, როგორც ქცევის დამოუკიდებელი ფორმა, არ შეიძლება იყოს ორმოტივიანი ანუ გარდამავალი ქცევა.

სასწავლო აქტივობაში რომ თამაშის მოტივის ხვედრითი წონა უმნიშვნელოა და იგი (ეს აქტივობა) ძალიან შორს დგას თამაშიდან, ამას შემდეგი ფაქტიც ადასტურებს: სწავლის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია, როგორც ვიცით, მოსწავლის ინტელექტუალური ძალების განვითარებაში მდგომარეობს. სწავლამ რომ ეს ფუნქცია შეასრულოს, იგი მეტ-ნაკლებად პრობლემური უნდა იყოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სასწავლო მასალის სიძნელე უნდა აღემატებოდეს მოსწავლის აქტუალურ ძალებს და შეესაბამებოდეს მისი განვითარების უახლოეს დონეს (დ. უზნაძე, ლ. ვიგოტსკი). ამრიგად, სწავლა, თავისი დანიშნულებიდან გამომდინარე, ყოველთვის ორიენტირებული უნდა იყოს განვითარების უახლოეს ზონაზე და მის აქტივაციას ახდენდეს, მაშინ როცა თამაში, ძირითადად, ბავშვის აქტუალურად მოცემული შესაძლებლობების თავისუფალ ამოქმედებას წარმოადგენს. ეს გარემოებაც, ვფიქრობთ, თავისებურად მიუთითებს იმაზე, რომ სწავლასა და თამაშს შორის არსებითი ხასიათის სხვაობა არსებობს, რომ მათ ნათესაობაზე ლაპარაკი ნაკლებად სარწმუნოა.

ამრიგად, მთელი ჩვენი ზემოთ მოცემული მსჯელობის ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ სწავლა, როგორც დამოუკიდებელი ქცევა, შეუძლებელია იყოს გარდამავალი ბუნების აქტივობა, რომ იგი ექსტროგენური ქცევის, კერძოდ, შრომის ელემენტებს უფრო შეიცავს, ვიდრე ინტროგენურისას. საგულისხმოა, რომ ჩვენი ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს თვით იმ ავტორთა ზოგიერთი გამოხატუებაც, რომლებიც საწვლას გარდამავალ, ორმოტივიან ქცევის ფორმად მიიჩნევენ. ქვემოთ ჩვენ სწორედ ამ გამოხატუებებს მოვიშველიებთ და ზოგიერთ მათგანს კრიტიკულადაც შევაჯავსებთ ჩვენი პოზიციის გასამაგრებლად.

პროფ. შ. ჩხარტიშვილი, რომელიც იზიარებს დ. უზნაძის შეხედულებას სწავლის გარდამავალი ბუნების შესახებ, წერს: „...სწავლის ორგანიზაციის 6. „მაცნე“, ფილოსოფიის, ... სერია, 1977, № 4

საქმეში წამყვან როლს ასრულებს ნებისყოფა, რომელიც ინტელექტუალურ მოთხოვნილებებთან ერთად (როცა ისინი მას თავიანთ იმპულსებს აშველებენ) და მათ გარეშეც სასწავლო ქცევას აწესრიგებს⁷. ამ დებულების საფუძველზე ავტორი შემდეგ ასეთ დასკვნას აკეთებს:

„ზემოთქმულის მიხედვით სწავლა, თავისი არსით, ორმოტივიანი ქცევაა. მისი მიმდინარეობის თავისებურებებს ერთდროულად თამაშის მოტივიც განსაზღვრავს და შრომისაც“⁸.

ისმება კითხვა: თუკი სასწავლო აქტივობაში ნებისყოფაა წამყვანი, თუ იგი თავის საქმეს აკეთებინებს სწავლის სუბიექტს, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას შესაბამისი ინტელექტუალური მოთხოვნილება (რითაც სწავლა თამაშის ბუნებას გაიზიარებდა), მაშინ როგორ გამოდის სწავლა ორმოტივიანი ქცევა? როგორ ენიჭება თამაშისა და შრომის მოტივებს. ინტელექტუალური ფუნქციონის მოთხოვნილებასა და ნებისყოფას ერთნაირი ღირებულება მის სტრუქტურაში? როგორც შეიძლება იყოს სწავლა გარდამავალი ან ორმოტივიანი ქცევა, როცა, ავტორის აზრით, შრომის მოტივი (ნებისყოფისეული მამოძრავებელი ძალა) წამყვანია მასში და ანგარიშს არ უწევს სხვა აღმძვრელებს? ეს აღმძვრელები ხომ მხოლოდ თავიანთ იმპულსებს აშველებენ ნებისყოფას, რომელიც მათ გარეშეც და მათი წინააღმდეგობის პირობებშიც სწავლის ძირითადი ორგანიზატორია?

ეხება რა თამაშისა და შრომის მოტივების ადგილს სასწავლო ქცევაში. შ. ჩხარტიშვილი ამბობს, რომ ამ ორ მოტივს სწავლის სტრუქტურაში ყოველთვის ერთნაირი ადგილი არ უჭირავს. „ერთ შემთხვევაში შეიძლება ერთი მათგანი ასრულებდეს ქცევის მიმდინარეობაში წამყვან როლს, მეორე შემთხვევაში — მეორე, მესამეში კი — შეიძლება ორივე თანაბარ მონაწილეობას იღებდეს“⁹. ამ გამოხატულებათან დაკავშირებით შეიძლება ორი ასეთი შენიშვნა გაკეთდეს: 1. რანაირად შეიძლება სწავლა ორმოტივიანი ქცევა იყოს, როდესაც მის მიმდინარეობაში ხან ერთი მოტივია წამყვანი და ხან მეორე? თუკი ქცევის რაგვარობაზე მისი წამყვანი მოტივის მიხედვით ვიმსჯელებთ (და ეს გამართლებულიცაა), მაშინ, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში მიზანშეწონილია ვილაპარაკოთ ერთმოტივიან ქცევაზე და არა ორმოტივიანზე (არაფერი რომ ვთქვათ სწავლის, როგორც დამოუკიდებელი ქცევის, შესაძლებლობაზე ორივე შემთხვევაში). 2. როგორაა სწავლა ქცევის დამოუკიდებელი ფორმა (ავტორი კი სწორედ ამას გულისხმობს), როცა მასში წამყვან როლს ხან თამაშის მოტივი ასრულებს და ხან შრომისა? ვიმეორებთ, თუკი ქცევის ბუნებას მისი წამყვანი მოტივი განსაზღვრავს, მაშინ ზემოაღნიშნულ შემთხვევებში ჩვენ საქმე გვქონია არა სწავლასთან, როგორც დამოუკიდებელ ქცევასთან, არამედ შესაბამისად თამაშისა და შრომასთან.

ავტორის მსჯელობიდან გამომდინარე შეიძლება ვიფიქროთ: სწავლა მხოლოდ მაშინაა ქცევის დამოუკიდებელი ფორმა, როდესაც მის მიმდინარეობაში თანაბარ მონაწილეობას ღებულობენ თამაშისა და შრომის მოტივები და, ფაქტიურად, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში თუ იქნებოდა კანონიერი ლა-

⁷ შ. ჩხარტიშვილი, სწავლის მოტივაციური ფორმები, გ. „სკოლა და ცხოვრება“, 1975, № 12, გვ. 17.

⁸ შ. ჩხარტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

⁹ შ. ჩხარტიშვილი, ექვსწლიანი ბავშვის სასკოლო სწავლების მოტივაციური თავისებურებანი, გ. „სკოლა და ცხოვრება“, 1976, № 1, გვ. 7.

პარაკი ორმოტივიან ქცევაზე. მაგრამ ამჭერადაც რამდენიმე საკითხი დგება ჩვენს წინაშე: ჯერ ერთი, ნაკლებად დამაჯერებელი ჩანს ორი მოტივის თანაბარი მონაწილეობა რომელიმე ქცევის მიმდინარეობის მთელს მანძილზე; მეორეც, გაუგებარია ეს მოტივები ერთ ახალ მთლიანს ქმნიან თუ ერთიმეორის გვერდით არსებობენ? თუკი ისინი ერთ მთელს ქმნიან, მაშინ საჭიროა ვუჩვენოთ თუ როგორია მოტივთა ეს ახალი წარმონაქმნი და თუკი ამას ვუჩვენებთ, მაშინ სწავლა, არსებითად, ერთმოტივიან ქცევად უნდა გამოვცხადოთ. მაგრამ თუკი ვიგულისხმებთ, რომ სწავლის სტრუქტურაში აღნიშნული მოტივები ერთიმეორის გვერდით არსებობენ, მაშინ ისევე იმავე პრობლემის წინაშე დავდგებით, რასაც თავიდანვე მიგუთითეთ: კერძოდ, თუ ყველა ქცევას ერთი ძირითადი მოტივი შეიძლება ჰქონდეს და სწავლას ორი მოტივი გააჩნია, როგორია სწავლა ქცევის დამოუკიდებელი ფორმა?

თუ გავითვალისწინებთ აღნიშნულ წინააღმდეგობებს და, საერთოდ, ყველაფერ იმას, რაც ზემოთ ითქვა, იძულებული ვიქნებით ვღიაროთ, რომ სწავლა არის არა გარდამავალი ანუ ორმოტივიანი ქცევა, არამედ აქტივობის თავისებური ფორმა, რომელიც შრომის, კერძოდ, გონებრივი შრომის სპეციფიკურ სახეს წარმოადგენს.

სწავლისა და გონებრივი შრომის ერთგვაროვნების, მათი გვარსახეობითი დამოკიდებულების მაჩვენებელია ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებანიც. ასე მაგალითად, ა. ფრანგიშვილის აზრით, „სწავლა გარკვეული განწყობით იწყება, განწყობით, რომლის საფუძველზე ობიექტივაციის, „თეორიული“ მოქმედების პლანი იშლება და საფუძველი იქმნება საგანმანათლებლო სწავლისათვის, ამოცანის გადაწყვეტისათვის, შემეცნების გზით ცოდნის შექმნისათვის და მთავრდება ამის შედეგად მიღწეული ახალი განწყობების ჩამოყალიბებით“¹⁰. როგორც ვხედავთ, სწავლისათვის აუცილებელი ყოფილა თეორიული მოქმედების პლანი, თეორიული მოქმედება, რომლის გარეშეც საგანმანათლებლო სწავლა საფუძველს მოკლებულად შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ თუკი სასწავლო მოქმედება, არსებითად, თეორიული მოქმედებაა, მაშინ გამოდის, რომ სწავლაც ფაქტიურად, გონებრივი შრომის სახესხვაობა ყოფილა. იგივე აზრია გატარებული ამავე ავტორის შემდეგ გამონათქვამებში: „სწავლა პირველად ძირითად საფეხურზე უჩვეულოს, გაუგებარის, უცხოს მიმართ ვაკვირებით, განცვიფრებით იწყება... წამოჭრილი საკითხის გარკვევისაკენ მისწრაფება ის ძირითადი მოტივია, რომელიც სწავლის მთელი პროცესის მანძილზე მოსწავლის მოქმედების განმსაზღვრელ საფუძველს წარმოადგენს“¹¹. მართალია, ძნელი გასაზიარებელია ა. ფრანგიშვილის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სწავლა მხოლოდ თეორიულ მოთხოვნილებას შეიძლება ეფუძნებოდეს, მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს ის, რომ სწავლა ამიტომ შეუძლებელია იყოს გონებრივი შრომის ერთ-ერთი სახე. საქმე იმაშია, რომ გონებრივი შრომა აქტუალური თეორიული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის არასოდეს წარმოებს. იგი ქმნის ისეთ პროდუქტს რომელიმაც მომავალში მოსალოდნელი თეორიული (ან პრაქტიკული) მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს. სწავლაც ხომ, ფაქტიურად, მომავალი

¹⁰ ა. ფრანგიშვილი, სწავლის ფსიქოლოგიური ბუნება, პედაგ. ფსიქოლოგია, ნაწ. I, თბილისი, 1975, გვ. 404.

¹¹ ა. ფრანგიშვილი, სწავლის ფსიქოლოგიური საკითხები, თბილისი, 1969, იხ. გვ. 30—32.

პიროვნების ცხოვრებისთვისაა გამიზნული. ისიც ხომ ადამიანის ხელოვნური მოთხოვნილებების გათვალისწინებით ივეგმება.

ეხება რა გონებრივი შრომის ორგანიზაციის ფსიქოლოგიას, ა. ფრანგი-შვილი პირდაპირ მიუთითებს სწავლისა და გონებრივი შრომის იგივეობაზე: „ალსანიშნავია, რომ თანამედროვე გამოკვლევების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ასხვავებენ სწავლის ქცევის სხვადასხვა სახეებს, სწავლის ქცევას მაინც ერთი საერთო სტრუქტურა აქვს... ეს გარემოება ნათელს ხდის იმ შინაგან კავშირს, რომელიც არსებობს სწავლასა და შემოქმედებითი გონებრივი მუშაობის საფეხურებს შორის, და იმასაც, რომ რაც ზემოთ გონებრივი შრომის შემოქმედებით მომენტზე ითქვა, სწავლის პროცესის შემოქმედებით ხასიათზედაც ვრცელდება“¹². კიდევ მეტი, ავტორი ერთი საერთო ნიშნის ქვეშ აერთიანებს მოსწავლის, სტუდენტისა და მეცნიერის (გონებრივი შრომის პროფესიული მუშაის) საქმიანობას. იგი აცხადებს რომ ეს საქმიანობანი გონებრივი შრომის სახესხვაობანია და თითოეული მათგანი აუცილებლობით გულისხმობს შემოქმედების მომენტს, რაც, ჩვენის აზრით, მათი ერთი საერთო კატეგორიის ქცევის ქვეშ გაერთიანების შესაძლებლობას იძლევა.

სწავლისა და გონებრივი შრომის არსებითი სიახლოვის სასარგებლოდ ლაპარაკობს ა. ნ. ლეონტიევიც: იგი წერს: სასკოლო სწავლება სწორედ იმითაა მნიშვნელოვანი, რომ იგი, თავისი არსით, სწავლის სუბიექტისაგან აუცილებლად მოითხოვს შინაგანი, თეორიული მოქმედების უნარების გამოყენებას სასწავლო ქცევაში, რომელიც თავისი საერთო ტიპით შემეცნებით ქცევას წარმოადგენს. ბავშვისათვის ეს ახალი მოთხოვნაა. შინაგანი, თეორიული პროცესები დამწყები მოსწავლისათვის წარმოადგენენ იმას, რასაც მან ჯერ კიდევ უნდა დაეუფლოს ან რომელსაც იგი ეს ესაა დაეუფლა. ამიტომ ეს პროცესები მასთან ნაკლებად მყარნი არიან. ამის გამოა, რომ უმცროსი მოსწავლეები ხანგრძლივად ვერ აჩერებენ ყურადღებას შინაგანი თეორიული მოქმედების საგანზე¹³. როგორც ვხედავთ, ავტორი აქ ლაპარაკობს შინაგან მოქმედებაზე, თეორიულ პროცესებზე, შემეცნებით აქტივობაზე და ა. შ. ყოველივე ეს კი გონებრივი შრომის აუცილებელ მომენტებს წარმოადგენს.

ჩეხი მკვლევარი ი. ლინგარტი, რომელიც თუმცა აცხადებს, რომ წინააღმდეგია სწავლის მხოლოდ შემეცნებით პროცესებზე დაყვანისა, საბოლოო შედეგში, მაინც ასეთნაირად განსაზღვრავს ამ აქტივობას: სწავლა არის ქცევის ისეთი სახე, რომელიც ამცირებს სუბიექტის დაურწმუნებლობის ხარისხს და უზრუნველყოფს სწორი პასუხის ან ადეკვატური ქცევის მეთოდის პოვნას მოცემულ სიტუაციაში. სწავლა ემსახურება აგრეთვე ერთი რომელიმე პრობლემის ან ერთგვაროვან (მასიურ) პრობლემათა გადაწყვეტის საერთო წესის მიგნებასა და ათვისებას...¹⁴ როგორც ვხედავთ, ამ ავტორის მიხედვითაც სწავლა გონებრივი შრომის რამდენიმე თავისებურებას ატარებს.

სხვა მკვლევარებიც, მიუხედავად იმისა თუ როგორ პოზიციიანე დგანან ისინი, როდესაც ლაპარაკობენ სწავლის პრობლემაზე, ხან ინტელექტუალურ მოთხოვნილებებს ეხებიან, ხან შინაგანი მოქმედებისა და გონებრივი ოპერა-

¹² ა. ფრანგი-შვილი, გონებრივი შრომის ორგანიზაციის ფსიქოლოგია, თბ., 1966, გვ. 19.

¹³ А. Н. Леонтьев. Деятельность, сознание, личность, М., 1975, гв. 255.

¹⁴ И. Лингарт. Процесс и структура человеческого учения, М., 1970.

ციების ცნებებს იყენებენ, ხან კიდევ ფუნქციონალური ტენდენციების დაზღვევის საჭიროებასა და ვალდებულების მიხედვით მოქმედების აუცილებლობაზე მიუთითებენ. ყოველივე ეს კი იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ სწავლასა და გონებრივ შრომას შორის მჭიდრო კავშირია, რომ ისინი ერთი საერთო თავისებურებით ხასიათდებიან, რომ სწავლა არის გონებრივი შრომის სპეციფიკური სახე და ისიც წმინდა ნებისმიერ ქცევას წარმოადგენს.

საგანმანათლებლო სწავლას რომ არაფერი აქვს საერთო თამაშთან, რომ იგი შრომას, კერძოდ, გონებრივ შრომას უახლოვდება და ფაქტიურად, მის სპეციფიკურ სახეს წარმოადგენს, ამას დამაჯერებლად ადასტურებენ ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტიც. მართალია, ამ ექსპერიმენტს გარკვეული მეთოდოლოგიური ნაკლი შეიძლება გააჩნდეს, მაგრამ მისი შედეგები, დასმული პრობლემის თვალსაზრისით, ვფიქრობთ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს.

ექსპერიმენტი ჩავატარეთ ქ. ქუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში. მასში მონაწილეობა მიიღო ქართული ენისა და ლიტერატურის და გერმანული ენის მასწავლებელთა ოთხმა ჯგუფმა (სულ 90 მასწავლებელმა). ლექციის დაწყების წინ თითოეულ ჯგუფს ვაძლევდით ასეთ ინსტრუქციას: „თქვენი საკუთარი გამოცდილებით, კარგად იცით თუ რა არის თამაში (ბავშვობაში ხომ ბევრს თამაშობდით), იცით აგრეთვე თუ რა არის სწავლა (ყველანი მოსწავლეები იყავით) და ასევე იცით თუ რას წარმოადგენს შრომა (იგულისხმება, როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი შრომა). გონების თვალისა და გონების სწავლის კონტრასტით დალაგებდით თქვენ მათ სიძნელეს-სიადვილის მიხედვით? ე. ი. რომელი იყო უფრო ადვილი და სასიამოვნო ქცევა, რომელი ძნელი (ნაკლებად მიმზიდველი) და რომელი კიდევ უფრო ძნელი (მძიმე შესასრულებელი)? კარგად გაიხსენეთ (მოიგონეთ) თქვენი თამაშის პერიოდები, სწავლის წლებიც გაითვალისწინეთ თქვენი შრომითი საქმიანობაც და ერთმანეთთან გულდასმით შედარების შემდეგ ჩამოწერეთ თამაშია უფრო ადვილი, სწავლა თუ შრომა?“

მიღებული შედეგების რაოდენობრივმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ 80 მასწავლებელთან 49 (61%) ქცევის აღნიშნული ფორმები, განხორციელების სიადვილე-სიძნელის მიხედვით, ასეთნაირად განალაგა: თამაში — სწავლა — შრომა, 31-მა მასწავლებელმა (39%) კი ასე: თამაში-შრომა-სწავლა. (10 მასწავლებლის პასუხი საზუსტეს მოკლებული აღმოჩნდა და ისინი არ გაგვივალისწინებია).

როგორც ვხედავთ, ცდის პირთა 39%-მა, ე. ი. მესამედზე მეტმა სწავლა შრომაზე უფრო მძიმე, ნაკლებად მიმზიდველ აქტივობად მიიჩნია. ცხადია, ამ ცდისპირებისთვის სწავლას არავითარი კავშირი არ შეიძლება ჰქონდეს თამაშთან, ვინაიდან სასწავლო აქტივობა განცდისეულად მათთვის თამაშისა და შრომას შორის კი არაა მოთავსებული, არამედ შრომის შემდგომი ეტაპია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 49 მასწავლებელმა (80-დან) ქცევის აღნიშნული სამი ფორმა სიადვილე — სიძნელის მიხედვით ასე დაალაგა: თამაში-სწავლა-შრომა. ე. ი. მათთვის თამაში ყველაზე უფრო ადვილი და სასიამოვნო აქტივობა იყო, სწავლა ძნელი და შრომა კიდევ უფრო ძნელი. საკითხი ამ მხრივ გარკვეულია, მაგრამ ეს მონაცემები ფაქტიურად არაფერს გვეუბნებიან იმაზე, თუ რა რეალურ ადგილს იჭერს მათთვის სწავლა თამაშისა და შრომას შორის. ამ მონაცემებიდან გამომდინარე ჩვენ არ შეგვიძლია დავასკვნათ —

სწავლა, ამ მასაწვლებელთათვის, თამაშთან იყო ახლოს, შრომასთან თუ მათ შუამდებარე ქცევად განიცდებოდა. 31 მასწავლებლის პასუხიდან (თამაში-შრომა-სწავლა) კი ნათელია, რომ სწავლა შრომასთან უფრო ახლოსაა, რომ იგი შრომის ელემენტებს უფრო შეიცავს, ვიდრე თამაშისას, რომ იგი, ამის გამო, გარდამავალ ანუ ორმოტივიან ქცევად არაფრით არ შეიძლება ჩაითვალოს.

ამ გარემოებამ ჩვენ მიგვიყვანა აღნიშნული ექსპერიმენტის მეორე ვარიანტის ჩატარების აუცილებლობამდე. ექსპერიმენტი ჩავატარეთ იმავე მასწავლებლებზე. ინსტრუქცია, რომელიც ეძლეოდა მასწავლებელთა თითოეულ ჯგუფს, ამჯერად ასეთი იყო: გაითვალისწინეთ შრომის, თამაშისა და სწავლის სირთულე-სიადვილე, შეადარეთ ისინი ერთმანეთს და წერილობით მოგვაწოდეთ თქვენი აზრი ასეთ საკითხზე: მოსწავლის სასწავლო აქტივობა, თავისი ბუნებით, თავისი მიმდინარეობით, თავისი შესრულების სირთულითა თუ სიადვილით შრომასთან უფრო ახლოს დგას, თამაშთან თუ მათ შუამდებარე ქცევას?¹⁵

მიღებული შედეგების დამუშავებამ გვიჩვენა, რომ 85 მასწავლებლიდან — 74-მა (87%) სწავლა შრომასთან უფრო ახლომდებარე ქცევად ჩათვალა, 9 (10,6%) აღნიშნა, რომ იგი შრომასაც უახლოვდება და თამაშსაც, 2-მა (2,4%) კი სწავლა თამაშის მონათესავე აქტივობად მიიჩნია (5 მასწავლებლის პასუხი გაურკვეველი იყო).

როგორც ვხედავთ, ც/პირთა უდიდესმა უმრავლესობამ (87%) სწავლა შრომით აქტივობას გაუთანაბრა. ძალიან უმნიშვნელო აღმოჩნდა იმათი რიცხვი (10,6%), რომლებმაც სწავლა თავისი განხორციელების სირთულითა და საერთო მიმდინარეობით თამაშისა და შრომის შუამდებარე (შუალედურ) ქცევად ჩათვალეს. ყოველივე ეს კი, ექსპერიმენტის პირველი ვარიანტის შედეგებთან ერთად, საფუძველს გვაძლევს მართებულად ჩათვალოთ თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც სწავლა შრომის, კერძოდ, გონებრივი შრომის თავისებურ სახეს წარმოადგენს.

ჩვენ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები თავისთავად ძალიან ნათელია. მაგრამ შეიძლება მათ ასეთი მოსაზრება დაუპირისპირონ: ეს შედეგები საქმეში ჩაუხედავ პირთა უბრალო დაკვირვების ან თვითდაკვირვების ფაქტებს ასახავს და არა მეცნიერული ანალიზის მონაცემებს, რომ აღნიშნული საკითხის ობიექტური ანალიზი სულ სხვა რაიმეს გვიდასტურებს და ა. შ. რა შეიძლება ითქვას ამ მოსაზრების შესახებ ჯერ ერთი, დაკვირვებისა და თვითდაკვირვების ფაქტებს რომ ანგარიშს უნდა უწევდეს ფსიქოლოგიური კვლევა-ძიება საკითხის თვისობრივი შესწავლისას, ეს უდავოა¹⁶. მეორეც, თუკი 87% ც/პირებისა გვიდასტურებს, რომ სწავლა თითქმის ყველა თავისი ძირითადი განხორციელებით ადამიანის შრომით აქტივობას უახლოვდება და უტოლდება კიდევ, რანაირად შეიძლება მეცნიერული ანალიზი ან ლოგიკური მსჯელობა აცდეს აშას? ნუთუ შესაძლებელია, რომ საკითხის მეცნიერული ანალიზი ერთს იძლეოდეს, საქმის ფაქტური ვითარება კი სხვას გვეუბნებოდეს? ვანა პირველი მეორეს არ უნდა ასახავდეს? მართალია, ჩვენი თვალსაზრისი მხოლოდ აღნიშნულ ექსპერიმენტს არ ემყარება, მაგრამ ვფიქრობთ,

¹⁵ იხ. მ.ტ. ა. ბოკორიშვილი, ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიისათვის, თბილისი, 1966, იხ. 11 თავი (თვითდაკვირვების პრობლემის შესახებ), გვ. 19—79.



რომ მისი შედეგებიც თავისებურად ამ თვალსაზრისის მართებულობას შე-
 თითებენ.

ამრიგად, მთელი ჩვენი ზემოთ მოცემული მსჯელობის საფუძველზე შეი-
 ძლება დავასკვნათ, რომ სწავლა არსებითად გონებრივი შრომის სპეციფიკურ
 სახეს წარმოადგენს. იგი თავისი ფსიქოლოგიური ბუნებით, მოტივაციური
 წყობის თავისებურებით იმდენად შორს დგას თამაშიდან და ისე უახლოვდება
 (უთანაბრდება კიდევ) შრომას, რომ ძნელია ილაპარაკო მასზე, როგორც
 გარდამავალ ქცევაზე პირველიდან მეორემდე. და რადგანაც შრომის ანუ ექს-
 ტროგენური ქცევის ელემენტების ხვედრითი წონა ძალიან დიდია (ფაქტიუ-
 რად ვადასწავებთ) სწავლაში, ხოლო თამაშის ანუ ინტროგენური ქცევის
 ელემენტებისა მეტად მცირე, ვფიქრობთ, ნაკლებად დამაჯერებელია მისი
 გამოცხადება ინტროგენური ქცევის ფორმადაც და ექსტროგენურადაც. სწავ-
 ლა, როგორც გონებრივი შრომის სპეციფიკური სახე და ქცევის თავისებური
 ფორმა, ჩვენის აზრით, არსებითად, ექსტროგენურ ქცევათა კატეგორიაში
 უნდა გაერთიანდეს. გამოძინარე აქედან თავისთავად ექვის ქვეშ დგება მო-
 საზრება, რომლის მიხედვითაც სწავლა ორმოტივიან, თამაშისა და შრომის მო-
 ტივებით აღჭრულ ქცევას წარმოადგენს. ზემოაღნიშნულის საფუძველზე
 უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა თუ ვიტყოდით, რომ სასწავლო აქტივობა
 ერთი ძირითადი მოტივის, ნებისყოფისეული მამოძრავებელი ძალის ნიადაგ-
 ზე აგებული ქცევაა. ხოლო რაც შეეხება სხვა დამატებითი მოტივებს (ალ-
 მძვრელებს), ისინი ისევე მონაწილეობენ მასში, როგორც შრომაში და ისევე
 ვერ სცვლიან სწავლის მოტივაციურ სტრუქტურას, როგორც ეს არ ძალუძთ
 შრომის შემთხვევაში.

ასეთია ჩვენი ზოგიერთი (შეიძლება მეტისმეტად გაბედული) მოსაზრება
 სწავლის ადგილის შესახებ ადამიანურ ქცევათა სისტემაში. მართალია, ეს
 მოსაზრებანი ყოველთვის არ შეესაბამებიან ზემოაღნიშნულ ავტორთა სათანა-
 დო შეხედულებებს, მაგრამ ვფიქრობთ, ისინი კარგად ეგუებიან ადამიანის
 ქცევისა და მისი მოტივის იმ გაგებას, რომელიც მოცემული აქვს დ. უზნაძეს
 და როზელსაც ვეყრდნობით ჩვენ მოცემულ შრომაში თავიდან ბოლომდე.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
 აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

თ. ნინია

ადამიანის ინდივიდუალობა – საბჭოთა სამოქალაქო
სამართლის დაცვის სახანი

ინდივიდუალობა გულისხმობს იმ განსაკუთრებული ნიშან-თვისებების ერთობლიობას, რაც ადამიანს სხვა ადამიანებისაგან განასხვავებს. მხედველობაში მიიღება როგორც ბუნებრივი, ისე სოციალური; როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური; როგორც ონტოგენეზით, ისე ფილოგენეზით განპირობებული ნიშან-თვისებები. დაიცვას საკუთარი ინდივიდუალობა, ნიშნავს ადამიანის მისწრაფებას წარდგეს საზოგადოების წინაშე თვითშეფასადი სახით, განთავისუფლებული მისთვის უცხო ფიზიკური თუ სოციალური ნიშნებისაგან, რომლებიც მას ვისიმე ნებით თუ უნებლიეთ მიეწერა.

ადამიანის ინდივიდუალობის დაცვის მიზანს ემსახურებოდა ისეთი სიკეთენი, როგორცაა პატივი, ღირსება, სახელი, ავტორობა, პორტრეტული და ფონოგამოსახულება და ა. შ. აღნიშნული სიკეთენი ხელს უწყობენ ადამიანის ერთგვარ თვითგამორკვევას საზოგადოებაში; ზოგიერთი მათგანი მიგვანიშნებს პიროვნების წვლილზე საზოგადოების ცხოვრებაში და იმ შეფასებაზე, რომელიც საზოგადოებაში ამა თუ იმ პიროვნების შესახებ არჩებობს. პატივი, ღირსება, ავტორობა, სახელი, პორტრეტული თუ ფონოგამოსახულება ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ როლს ასრულებენ ადამიანის ინდივიდუალობაში. შესაძლებელია ერთ-ერთის, მაგალითად, სახელის ხელყოფა შესაბამისად მოქალაქის პატივისა და ღირსების ხელყოფაც გამოიწვიოს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს თითოეული მათგანის ცალკე სამართლებრივი დაცვის უფლებბეყოფის სისწორეს.

საბჭოთა სამართალი იცავს ადამიანის ინდივიდუალობას გარკვეული უფლებებისა და მოვალეობების დაწესების გზით. თანამედროვეობამ ადამიანის ინდივიდუალობის დაცვის თვალსაზრისით წამოჭრა მრავალი საყურადღებო საკითხი, რომელთა გადაწყვეტას არ შეუძლია გერდი აუაროს საბჭოთა კანონმდებლობამ და იურიდიულმა მეცნიერებამ, ამ წერილში ჩვენ შევხებით ინდივიდუალობის დაცვის ისეთ სამოქალაქო სამართლებრივ გარანტიებს, როგორცაა სახელის და ფონოჩანწერის დაცვის უფლებბეყოფის.

1. ადამიანის უფლებბეყოფა სახელზე. სახელის ძირითად ფუნქციას მოქალაქის ინდივიდუალობისა წარმოადგენს. იგი ამით შეუცვლელ სამსახურს უწყებს საზოგადოებას. სახელი სოციალური მოვლენაა, საზოგადოება კარნახობს ადამიანს მისი არჩევის აუცილებლობას. ჩვენი თანამედროვეობა არ იცნობს პირადი სახელებისა და გვარების სოციალურ დიფერენციაციას. ამით საბჭოთა ანთროპონომიკა განსხვავდება რევოლუციამდელისაგან. ისტორიულად ადამიანთა სახელები და გვარები წოდებრივად იმიჯნებოდნენ. დღეს კი განსხვავებას სახელებს შორის რაიმე განსაკუთრებული სოციალური დატვირთვა არა აქვს. მათ შეუძლიათ მხოლოდ სხვადასხვაგვარი ემოცია გამოიწვიონ. ამასთანავე, შეიძლება აღინიშნოს, რომ სოციალურების მტკიცებით, ჩვენს სინამდვილეში შეინიშნება გარკვეული სხვაობა ქალაქსა და სოფელში გამოყენებულ სახელებს შორის¹.

სახელის უფლებბეყოფა აღიარებული და დაცულია საბჭოთა სამოქალაქო, აღმინისტრაციული, საოჯახო კანონმდებლობით; პრაქტიკამ დადასტურა აღნიშნული ნორმების მნიშვნელობა პიროვნების ინტერესების დაცვისათვის, ამასთან მიგვანიშნა მათი სრულყოფისა და განვითარების ამოცანებზე.

¹ В. А. Никонов, Имя и общество, изд-во «Наука», М., 1974, стр. 80.

საბჭოთა მოქალაქის სახელი სამწვერიანია. იგი მოიცავს საკუთარ სახელს, გვარს და მამის სახელს. საბჭოთა მოქალაქის სახელის სამწვერიანი ფორმულა სავალდებულო სახით დადგენილია საბჭოთა ადმინისტრაციული და საოჯახო კანონმდებლობით.

ზოგიერთი სახელმწიფოს მოქალაქეების სახელი ერთწვერიანი, ორწვერიანი ან მრავალწვერიანია. ისლანდიელებს არა აქვთ გვარები; ჩეხები, პოლონელები, ბულგარელები არ ატარებენ მამის სახელს; ჩინელების სახელებს თითქმის არაფერი აქვთ საერთო საბჭოთა სახელების სამწვერიან ფორმულასთან. საბჭოთა საპასპორტო სისტემის ენაზე ძნელი გასარკვევია, სად მთავრდება კორეელის ან იაპონელის სახელი და სად იწყება გვარი. სწორედ ამის შედეგია ის, რომ ხშირად ენციკლოპედიებში, ლექსიკონებში და სახელების უცხო ენაზე გადატანის სხვა შემთხვევებში ადგილი აქვს დამახინჯებებს, რაც უდავოდ ზიანის მომტანია პიროვნების ინტერესებისათვის.

საბჭოთა საოჯახო და საქორწინო კანონმდებლობის თანახმად სახელის დარქმევა ხდება მშობლების შეთანხმებით (საქ. სსრ. საქორწ. და საოჯ. კოდ. 56 მუხლი). კანონის ეს მითითება მნიშვნელოვანი სოციალური მონაპოვარი-რევოლუციამდე სახელის დარქმევის წესი მკაცრად იყო რეგლამენტირებული მთელი რიგი შეზღუდვებით. არავის არ შეეძლო სახელის დარქმევა გარდა ეკლესიისა, ეკლესიის მიერ კი სახელები მხოლოდ წმინდანთა სიის მიხედვებით ირჩეოდა.

მამის სახელი, ზოგადი წესის თანახმად, ბავშვის მამის სახელის მიხედვით იწერება. თუ ბავშვი შეეძინება დედას, რომელიც დაუქორწინებელია და, თუ არ არსებობს მშობელთა ერთობლივი განცხადება ან სასამართლოს გადაწყვეტილება მამობის დადგენის შესახებ, დაბადების ჩაწერის წიგნში ბავშვის მამის სახელი ჩაიწერება დედის მითითებით (საქ. სსრ საქ. და საოჯ. კოდ. 54 მუხლი).

ბავშვის გვარი განისაზღვრება მშობლების გვარის მიხედვით. თუ მშობლებს საერთო გვარი არ აქვთ, შვილს მიეკუთვნება დედის ან მამის გვარი მშობლების შეთანხმებით; მშობლების შეუთანხმებლობის შემთხვევაში — მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს მითითებით, (საქ. სსრ საქ. და საოჯ. კოდ., 56 მუხლი). თუ დედა დაუქორწინებელია და არ არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება მამობის დადგენის შესახებ ან მშობელთა ერთობლივი განცხადება, ბავშვის მამის გვარად ჩაიწერება დედის გვარი (საქ. სსრ საქ. და საოჯ. კოდ. 54 მუხლი).

პრაქტიკაში ხშირია სახელის (ფართო გაგებით) შეცვლის შემთხვევები ამას მრავალი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: სახელის, გვარის, მამის სახელის არაკეთილშრომანება, წარმოთქმის სირთულე, მოქალაქის სურვილი — ატაროს მეუღლის გვარი, დაიბრუნოს ქორწინებამდელი გვარი; სურვილი — ატაროს მშვილდების ან აღმზრდელის გვარი და ასე შემდეგ. ჩამოთვლილი მიზეზები ქმნიან იმის საფუძველს, რომ მოქალაქის მოთხოვნა სახელის შეცვლის შესახებ დაკმაყოფილებული იქნას. არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს მოქალაქის მოთხოვნას სახელის შეცვლის შესახებ მისი არაკეთილშრომანების გამო. მშობლების შეცდომას სახელის შერჩევის დროს ხშირად კურორთულობამდეც კი მიეყვარათ. სწორედ აქ იგრძნობა სახელისა და ღირსების დამოკიდებულება,

² «Личные имена в прошлом, настоящем и будущем», М., 1970, стр. 20—25.

როცა საქმე ეხება მოქალაქის პატივს, სახელი აქ უკვე მხოლოდ ინდივიდუალური ღირსების საშუალება არ არის.

სახელი არ შეიძლება გარკვეულ გავლენას არ ახდენდეს მოზარდის ფსიქიკის ჩამოყალიბების დროს, მით უმეტეს თუ იგი არაკეთილშობიანია. თუ როგორი უნერგულობა და სულიერი ტყვეობა შეიძლება გამოიწვიოს საკუთარი გვარის არაკეთილშობიანებამ, ეს შესანიშნავად გადმოსცა ადამიანის ფსიქიკის შესაძლებლემ თედორე დოსტოევსკიმ რომანში — „ყმაწვილი“, თუმცა იქ არაკეთილშობიან სახელთანაც არ გვქონდა საქმე. უმრავლეს შემთხვევაში საკუთარი სახელის არაკეთილშობიანებას, მოზარდი ადრეულ ასაკში ამჩნევს. საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით კი სახელის, გვარის, მამის სახელი შეცვლის უფლება მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან ენიჭება³. ამ შემთხვევაში კანონმდებელს მხედველობაში აქვს მოქალაქის სრული ქმედუნარიანობა. ჩვენი აზრით, კანონის ეს მითითება გადასინჯვას მოითხოვს. მხედველობაში მისაღები შემდეგი გარემოებები:

1. 16 წლის ასაკში მოქალაქეს ენიჭება ისეთი მნიშვნელოვანი უფლება როგორც შრომის უფლება. ეს იმას ნიშნავს, რომ მოქალაქე ჯერ კიდევ სრული ქმედუნარიანობის მიღწევამდე შეიძლება შევიდეს ახალ კოლექტივში, გაეცნოს საზოგადოების ახალ, მისთვის უცნობ წრეს, სადაც იგი მისთვის არასასურველი და დამამცირებელი სახელით უნდა წარდგეს;

2. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად მოქალაქეს მინიჭებული აქვს პატივისა და ღირსების დაცვის უფლება, კანონი არ ზღუდავს დაზარალებულთა წრეს ასაკის მიხედვით. ნებისმიერ მოქალაქეს უფლება აქვს მოითხოვოს სასამართლოს საშუალებით მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა (თუ ასეთი ცნობების გამავრცელები მათ სინამდვილეს ვერ დაამტკიცებს). არასრულწლოვან საკუთარი პატივისა და ღირსების დაცვის უფლება შეუძლია განახორციელოს წარმომადგენლის მეშვეობით;

3. 16 წლის ასაკში მოქალაქე იღებს პასპორტს, იგი ამ ასაკში შეიძლება იყოს კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა ორგანიზაციის წევრი, რაც ითვალისწინებს შესაბამისი დოკუმენტების არსებობას. დაახლოებით იმავე ასაკში იგი ღებულობს სიმწიფის ატესტატს. მათში შესწორებების შეტანა კი გარკვეულ სიძნელებთანაა დაკავშირებული;

4. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ საქ. სსრ და ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობით საქორწინო ასაკად დადგინებულია 18 წელი. გამოჩვეულების შემთხვევაში, მშრომელთა დებუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ ერთი წლით შეამცირონ საქორწინო ასაკი და მოქალაქე სრულ ქმედუნარიანობას იძოვებს დაქორწინების დღიდან. შესაბამისად, ამ დროს შეიძლება დადგეს გვარის შეცვლის საკითხი, რომელიც მეუღლეთა მოთხოვნის მიხედვით უნდა დაკმაყოფილდეს.

ამრიგად სრული სამოქალაქო ქმედუნარიანობის მიღწევამდე კანონი იძლევა ბევრი მნიშვნელოვანი ქონებრივი და არაქონებრივი უფლების დაცვის გარანტიას. სახელის (ფართო გაგებით) გამოცვლის უფლების დაწესება მხოლოდ 18 წლის ასაკმიღწეული მოქალაქისათვის ჩვენი აზრით გაუმართლებ-

³ Положение о порядке рассмотрения ходатайств о перемене гражданами СССР фамилии, имен, отчество. Утверждено советом министров СССР 20 августа 1971 г. № 587. стр. 1.

ლად უნდა ჩაითვალოს, რადგან მხედველობაშია მისაღები სხვა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო დებულებანი, რომლებსაც სახელის უფლებასთან მჭიდრო შემხებლობა აქვთ. სახელის შეცვლის უფლება უნდა მიენიჭოს იმ მოქალაქესაც, რომელიც შეზღუდული ქმედუნარიანობის ასაკში იმყოფება და შესაბამის მოთხოვნას თავისი კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით აყენებს.

სახელის გამოცვლის მიზეზს შეიძლება წარმოადგენდეს მოქალაქის სურვილი ატაროს მეუღლის გვარი ან დაიბრუნოს ქორწინებამდელი გვარი. დაქორწინების დროს მეუღლე თავისი სურვილისამებრ ირჩევს თავის ქორწინებამდელ გვარს ან თავის გვარს შეუერთებს მეუღლის გვარს. გვარების შეერთება არ შეიძლება, თუ ორივე მეუღლეს ან ერთ-ერთ მათგანს ორმაგი გვარი აქვს (საქართ. სსრ საქ. და საოჯ. კოდ. 20 მუხლი), მეუღლე, რომელმაც გვარი შეიცვალა დაქორწინების დროს, უფლება აქვს განქორწინების შემდგომაც ატაროს იგივე გვარი ან მისი მოთხოვნით მას შეიძლება მიეკუთვნოს ქორწინებამდელი გვარი. მშობლებს შორის ქორწინების შეწყვეტა არ იწვევს შვილის გვარის შეცვლას, თუ შვილი არასრულწლოვანია; მხოლოდ მისი ინტერესების შესაბამისად, მშობლებს უფლება აქვთ მიმართონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შვილისათვის თავის გვარის მიკუთვნების შესახებ. თუ ბავშვი ათ წელზე მეტი ხნისაა, გვარის შეცვლისათვის საჭიროა მისი თანხმობა.

სახელის შეცვლის საკითხი შეიძლება დადგეს შვილად აყვანასთან დაკავშირებით; სასამართლომ ბავშვის ინტერესების შესაბამისად, შვილად აყვანისას უნდა გადაწყვიტოს ბავშვისათვის მიკუთვნებული გვარის, სახელის, მამის სახელის შენარჩუნების საკითხი. თუ ბავშვს შეუძრულა ათი წელი, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მისი სურვილიც.

სახელის შეცვლა კანონით აკრძალულია, თუ მთხოვნელი იმყოფება ძიების ქვეშ, ან აქვს ნასამართლობა, ან კიდევ მისი სახელის შეცვლის წინააღმდეგია სათანადოდ დაინტერესებული სახელმწიფო ორგანოები.

სახელის უფლების დაცვის საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი საავტორო სამართალში, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმად ავტორის სახელის უფლება დამოუკიდებელი უფლება არ არის, იგი ავტორობის უფლების შემადგენელი ელემენტია⁴. არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომლის თანახმად ავტორობის უფლება და ავტორის სახელის უფლება დამოუკიდებელი, ერთმანეთისაგან განსხვავებული შინაარსის მქონე უფლებებია⁵. ჩვენი აზრით, უფრო მართებულად მეორე მოსაზრება უნდა ჩაითვალოს.

პირი, რომელიც ქმნის შემოქმედებითად ახალ ნაწარმოებს, უფლებამოსილია საკუთარი თავი ამ ნაწარმოების ავტორად ჩათვალოს. ნაწარმოების შექმნის პროცესში, როცა ადამიანი საკუთარი შემოქმედებით ინიციატივას ავლენს, ჯერ კიდევ მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ როგორ გამოხატავს იგი ავტორობას იურიდიული გაგებით, როცა ნაწარმოები გამოსაქვეყნებლად ან საჯაროდ შესასრულებლად გადაეცემა, ავტორის ინდივიდუალიზაციის მიზნით. „ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერული ნაწარმოების შექმნელს

⁴ Б. С. Антимонов, Е. А. Флейшиц. Авторское право, Госюриздат, М., 1957 г., стр. 46.

⁵ О. С. Иоффе. Советское гражданское право, т. 3, изд-во Ленинградского ун-та, Л., 1965, стр. 37.



ენიკება უფლება საჯაროდ აღიაროს იგი თავისი ნამდვილი სახელით, პირდაპირ სახელით (ფსევდონიმით) ან სახელის ალუნიშვნელად (ანონიმურად)“. (საქ. სსრ სამოქ. სამართ. კოდექ. სს 93 მუხლი).

თუ ნაწარმოები ჩაითვალოს საჯაროდ აღიარებულიათვის უვარგისად, და რედაქციამ ან სხვა დაწესებულებებმა არ მიიღო, ავტორობის უფლება პირს მასზე რასაკვირველია რჩება, რადგან „საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებზე, მიუხედავად ფორმისა, დანიშნულებისა, ღირსებისა და აგრეთვე რეპროდუქციის წესისა“ (საქ. სსრ სამოქ. სამართ. კოდ. 488 მუხლი), მაგრამ ამ დროს არ არსებობს ავტორის მიერ მისი სახელის უფლების რეალიზაციის საშუალება. ზემოთ ნათქვამიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა: სახელის უფლებისა და ავტორობის უფლების წარმოშობისა და განხორციელების საწყისი ერთმანეთს არ ემთხვევა, შესაბამისად ისინი სხვადასხვა ხასიათის არაქონებრივი უფლებებია და არამართებული იქნებოდა სახელის უფლების შეტანა ავტორობის უფლების ცნებაში.

შესაძლებელია დაირღვეს ავტორის სახელის უფლება და არ დაირღვეს ავტორობის უფლება; მაგალითად, პირმა გამომცემლობასთან ხელშეკრულება დადო ნაწარმოების ფსევდონიმით. გამოქვეყნების შესახებ, გამომცემლობამ კი ნაწარმოები ავტორის ნამდვილი სახელით გამოაქვეყნა. მაგრამ შესაძლებელია საპირისპირო შემთხვევაც, კერძოდ, როდესაც ავტორის სახელის უფლების დაცვა ემთხვევა ავტორობის უფლების დაცვას; მაგალითად, თუ ნაწარმოები ავტორის სახელით არ გამოქვეყნდა, ან გამოქვეყნდა ავტორის სახელის მიუთითებლად, ავტორს ამ შემთხვევაში, სახელის უფლების დაცვასთან ერთად, არსებითად შეუძლია მოითხოვოს ავტორობის უფლების დაცვა.

ავტორის სახელის უფლების დაცვა ხდება ამ უფლების ხელშეუხებლობის აღიარებით: „ნაწარმოების გამოცემის, საჯაროდ შესრულების ან სხვა სახით მისი გამოყენების დროს აკრძალულია რაიმე ცვლილების შეტანა ავტორის ნებართვის გარეშე როგორც თვით ნაწარმოებში, ისე მის სახელწოდებაში და ავტორის სახელში“ (საქ. სსრ სამოქ. სამართ. კოდ. 503 მუხლი).

შეიძლება მოხდეს, რომ ავტორი საკუთარი სახელით აქვეყნებს ნაწარმოებს, მაგრამ მისი სახელი ემთხვევა რომელიმე უკვე ცნობილი მწერლის ან გამოჩენილი მოღვაწის სახელს, — უკანასკნელს კი არ სურს, რომ ამ სახელით გამოქვეყნდეს სხვისი იაფფასიანი ან თუნდაც მაღალხარისხოვანი, მაგრამ მაინც სხვა პირის ნაწარმოები. ასეთ შემთხვევაში სახელის უფლების დაცვა გარკვეული თვალსაზრისით ღირსების დაცვასაც ნიშნავს. რედაქცია მოვალეა ამგვარ სიტუაციაში მიმართოს ავტორს და თხოვოს მას მეტი კონკრეტულობა შეიტანოს საკუთარ სახელში.

ლიტერატურაში საკითხი ასეც დაისმის: როგორ მოვიქცეთ, თუ ავტორის სახელი კი არ ემთხვევა სხვა პირის ოფიციალურ სახელს, არამედ — ფსევდონიმი? გამოთქმულია მოსაზრება, რომ სახელის ოფიციალურ მატარებელს უფლება უნდა ჰქონდეს მოითხოვოს, რათა სხვა პირმა არ ისარგებლოს ფსევდონიმის სახით ისეთი სახელით, რომელიც პირველი ავტორი ოფიციალურ სახელს წარმოადგენს⁶.

⁶ Е. А. Флейшиц. Личные права в гражданском праве Союза ССР и капиталистических стран, юридическое изд-во НКЮ ССР М., 1941, с.р. 142.



ფსევდონიმი დაცვის ისეთივე გარანტიით სარგებლობს, როგორც ავტორის ნამდვილი სახელი. რევოლუციამდე ფსევდონიმის მნიშვნელობა გარკვეულად უკავშირდება საზოგადო მოღვაწეთა პოლიტიკური დევნის საშიშროებას. კონსპირაციის პირობებში პოლიტიკური თუ ლიტერატურული მუშაკები იძულებულნი იყვნენ მიემართათ ფსევდონიმებისათვის. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე ფსევდონიმი ავტორის კონსპირაციითაა განპირობებული. დიდი ბელადის ვ. ი. ლენინისა და სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებლის მაქსიმ გორკის ფსევდონიმები, მართალია პოლიტიკური დევნის პირობებში შეიქმნა, მაგრამ პოლიტიკური დევნის საშიშროების გაქრობის შემდეგაც ისინი კაცობრიობისათვის გაცილებით უფრო ბევრის მოქმელია, ვიდრე გვარები — ულიანოვი და პეშკოვი.

საბჭოთა პრესაში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ვინაიდან ჩვენს პირობებში აღარ არსებობს ის მიზეზები, რომლებიც აიძულებდნენ ავტორებს მიემართათ ფსევდონიმებისათვის, უმართლებულად უნდა ჩაითვალოს მათი გამოყენება*.

იურიდიულ ლიტერატურაში სწორად აღინიშნა, რომ, მართალია დღეისათვის აღარ არსებობს ის მიზეზები (კერძოდ, პოლიტიკური დევნის საშიშროება), რომლებიც ოქტომბრის რევოლუციამდე აიძულებდნენ ავტორს მიემართა ფსევდონიმისათვის, მაგრამ ჭერჯერობით არის სხვა მიზეზები, რომლებიც მისი გამოყენების საჭიროებას იწვევს. დღევანდელ პირობებში ფსევდონიმს ჩვეულებრივ მიმართავენ, როცა ავტორი აქვეყნებს ისეთ ნაწარმოებს, რაც საერთოდ დამახასიათებელი არ არის მისი შემოქმედებისათვის⁷, ხშირად ავტორი მას მიმართავს კეთილხმოვანებისათვის ან კიდევ ნაწარმოების ერთიან სტილს უმორჩილებს და შესაბამისად ფსევდონიმი ხდება ავტორის შემოქმედებითი უნარის გარკვეული გამოვლინება.

ითვალისწინებს რა ყოველივე ამას, კანონმდებელი მიუთითებს, რომ „ფსევდონიმით ან ანონიმით გამოქვეყნებული ნაწარმოების ავტორის ქონებრივ და პირად უფლებებს, იმ დრომდე სანამ, ავტორი თავის ნამდვილ სახელს საყოველთაოდ არ გამოამჟღავნებს, იცავს ის ორგანიზაცია, რომელსაც ავტორთა უფლებების დაცვა ეკისრება“.

ავტორის გარდაცვალების შემდეგ მისი სახელის უფლებას იცავენ მემკვიდრეები ან ორგანიზაციები, რომლებსაც დავალებული აქვთ საავტორო უფლების დაცვა. აღნიშნული ორგანიზაციები იცავენ ავტორის სახელის უფლებას, როცა მემკვიდრეები არ არიან ან მათი საავტორო უფლების ვადა გავიდა.

საბჭოთა კანონმდებლობის ანალიზიდან ჩანს, რომ სახელის უფლების დაცვას გაცილებით მეტი ყურადღება ეთმობა მაშინ, როცა საქმე გვაქვს ავტორთან. კანონმდებლობას სახელის უფლების დაცვის საკითხი ერთგვარად შეუმჩნევლად რჩება, როცა საქმე ეხება არა შემოქმედს, არამედ — რიგითს მოქალაქეს. საავტორო კანონმდებლობაში არსებულ სპეციალურ მითითებათა გვერდით, სამოქალაქო სამართლის კოდექსის იმ ნაწილში, სადაც ზოგადი დებულებებია გადმოცემული, საჭიროა არსებობდეს ზოგადი მითითება სახელის უფლების დაცვის შესახებ.

⁷ М. Бубенов. Нужны ли сейчас литературные псевдонимы, «Комсомольская правда», 27 февраля 1951 г.

* ზ. ახვლედიანი. ლიტერატურული ნაწარმოების ავტორის უფლებები. «საბჭოთა საქართველო», თბილისი, 1974, გვ. 15.

3. ფონოგამოსახულების დაცვის უფლება. ხმა ადამიანის ინდივიდუალობის განუყოფელი ნაწილია. ტექნიკის განვითარებამ შესაძლებელი გახადა ხმის თითქოსდა ჩამოცილება მისი მატარებლისაგან. ამან კი წარმოშვა მისი დაცვის აუცილებლობა. ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება კონტროლი გაუწიოს მისი ხმის ფიქსირებასა და ფონოჩანაწერით სარგებლობას.

ფონოჩანაწერის დაცვის უფლების საკითხი საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ჯერ არ ქცეულა განხილვის საგნად. აღნიშნულ პრობლემას ყურადღება მიექცა გერმანელი ცივილისტების ნაწარმოებში⁹. როგორც პორტრეტული გამოსახულების, ასევე ფონოჩანაწერის დაცვის უფლება ორი პოზიციიდან მოთხოვს მიდგომას: პირველი, როგორც პირის ინდივიდუალობის დაცვის ერთ-ერთი საშუალება და მეორე, როგორც პირადი საიდუმლოების დაცვის უფლების ერთ-ერთი საპარტლბერივი გარანტია.

ხმის უკანონო ფიქსირებასა და ფონოჩანაწერით უკანონო სარგებლობას შეიძლება მოჰყვეს იურიდიული თვალსაზრისით განსხვავებული შედეგები: დაირღვეს პირის უფლება ინდივიდუალობაზე; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსალოდნელია ერთი პირის საუბარი ან საშემსრულებლო ხელოვნება (სიმღერა, დეკლამაცია) სხვას მიეწეროს, რის თავიდან აცილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რადიოგადაცემების, ფილმების სინქრონიზაციის დროს, და მეორე, ხმის უკანონოდ ფიქსირებასა და ფონოჩანაწერით უკანონო სარგებლობას შეიძლება მოჰყვეს გახმაურების ფორმით. უკანასკნელ შემთხვევაში საქმე გვაქვს დამოუკიდებელი სახის სამოქალაქო-სამართლებრივ დარღვევასთან, რაც დაკავშირებული არ არის ინდივიდუალობის დაცვის უფლებასთან.

ფონოჩანაწერის დაცვის უფლების კონსტრუქციისათვის საჭიროა წინასწარ გაირკვეს, რელევანტურია თუ არა სამართლებრივად განსხვავება საჯაროდ და არა საჯაროდ წარმოთქმულ სიტყვას შორის; ან განსხვავება ფონოჩანაწერის მიზნებს შორის; საჭიროა გაირკვეს, თუ რა მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს პირის ნებას ხმის ფიქსირებისა და ფონოჩანაწერის გამოყენების დროს.

თვისებრივი განსხვავების დადგენა საჯაროდ და არასაჯაროდ წარმოთქმულ სიტყვას შორის თითქმის შეუძლებელია. როგორც საჯაროდ, ასევე არასაჯაროდ წარმოთქმული სიტყვა შეიძლება იყოს ნაკლებად მოდოქრებული ან არა გულწრფელი, — ეს დამოკიდებულია პირის შინაგან მდგომარეობასა და იმ სიტუაციაზე, სადაც სიტყვა წარმოითქვა; თუ აღნიშნულ შემთხვევაში სიტყვის ჩაწერა და გავრცელება პირის თანხმობის გარეშე მოხდა, შეიძლება ამან უარყოფითი გავლენა იქონიოს მის პატივსა და ღირსებაზე.

ფონოჩანაწერი შესაძლებელია განსაზღვრული იყოს პირადი ან პროფესიული (მაგალითად, მეცნიერული) მიზნებისათვის ან ფართო წრისათვის მოსასმენად. მიუხედავად მსმენელთა მოსალოდნელი რაოდენობისა და წრისა, მოქალაქეს უნდა ჰქონდეს უფლება, არ მისცეს პირს შესაძლებლობა მისი თანხმობის გარეშე ფონოჩანაწერით ისარგებლოს.

ფონოჩანაწერების გამოყენება შეიძლება, თუ პირის ნება გამომქვავებული იქნა სიტყვიერად და კონქლუდენტური მოქმედებით, ან კიდევ, როცა მისი ნება შეიძლება ნაგულისხმევად ჩაითვალოს (მაგალითად, თუ პირი ფართო აუდიტორიის წინაშე გამოდის და კათედრაზე მომზადებულია მიკრო-

⁹ W. J o h n. «Zum rechtlichen Schutz der stimmlichen Auserung». «Neue Justiz», 1975, № 4, S. 114—117.



ფონი). არ შეიძლება ნებადართული იქნას მალული მიკროფონების გამოყენება, თუ ხმის ჩაწერა გარკვეულ სახელმწიფოებრივ ან მეცნიერულ მიზნებს არ ისახავს. მალული მიკროფონების გამოყენება არ ჩაითვლება უკანონოდ, თუ ჩაწერა ხდება მეცნიერული მოსაზრებით, რომელიც ფართო საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარეობს; ან სახელმწიფო უშიშროების, პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სასამართლო ორგანოების მიერ დანაშაულის განხილვის და პროფილაქტიკის მიზნით ხდება. აღნიშნულ შემთხვევაში ხმის ფიქსირება და ფონოჩანაწერის გამოყენება გარკვეული წესების დაცვით უნდა განხორციელდეს, რათა არ შეიზღალოს მოქალაქეთა კანონიერი ინტერესები.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში საჭიროა არსებობდეს მითითება ფონოჩანაწერის დაცვის შესახებ. ეს შეიძლება განხორციელდეს ფონოჩანაწერის დაცვის უფლებაზე კონკრეტული მითითებით ან იმ ნორმათა უნიფიკაციით, რომლებიც პირად არაქონებრივ სიკეთეთა დაცვას ეხება.

ნორმის პირველი ნაწილი საჭიროა დაეთმოს პირად არაქონებრივ უფლებათა აღიარებას, რაც წარმოადგენს სამოქალაქო უფლებათა დაცვის ერთ-ერთ საშუალებას (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-6 მუხლი), კერძოდ, ნორმაში მითითებული უნდა იყოს, რომ ადამიანის პატივი, ღირსება, სახელი, ფსევდონიმი, მიმოწერის საიდუმლოება, პორტრეტული გამოსახულება, ხმა, ლიტერატურული, გამომგონებლობითი, რაციონალიზატორული შემოქმედება დაცულია სამოქალაქო კანონმდებლობით.

ნორმის მეორე ნაწილი უნდა მიუთითებდეს დასახელებული უფლებათა დარღვევის შემთხვევაში განსაზღვრული სამოქალაქო-სამართლებრივი სანქციების შესახებ. კერძოდ ფონოჩანაწერის დაცვის უფლების დარღვევისას შეიძლება გამოყენებული იქნეს ისეთი სახის სამოქალაქო სამართლებრივი სანქცია, როგორიცაა „უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა და უფლების დამარღვევი მოქმედების აღკვეთა“ (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-6 მუხლი).

რაც შეეხება ნორმა ფონოჩანაწერის დაცვის უფლების, როგორც პირის ინდივიდუალიზაციის დაცვის ერთ-ერთი გარანტიის შესახებ, მისი ფორმულირება საჭიროა სამართალში იმ დარღვევათა გათვალისწინებით, რაც მოსალოდნელია ფილმების ან რადიოგადაცემათა სინქრონიზაციის დროს.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტმა თ. წერეთელმა



აზიკო სისვაძე

სადაზღვევო მარაგის ნორმირების მეთოდის სრულყოფისათვის

სამრეწველო საწარმოთა ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლების ერთ-ერთ ძირითად გზას მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სრულყოფა წარმოადგენს. მომარაგების პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია წარმოებულ ქალთა განვითარების თანამედროვე დონის პირობებში, როდესაც უმაღლესად გაიზარდა წარმოების მასშტაბები, გართულდა სამეურნეო კავშირები და გადიდდა მოსახმარი თუ წარმოებული პროდუქციის მომწოდებლობა. ამ პირობებში გაძნელებულია წარმოების უწყვეტი და რიტმული მომარაგების შესაძლებლობა. გაითვალისწინა რა პრობლემის დიდი მეთრნეობრივი მნიშვნელობა. სკკ XXV ყრილობამ აღნიშნა, რომ საჭიროა „უზრუნველყოთ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საერთო სახელმწიფო სისტემის შემდგომი განვითარება და სრულყოფა. გავაძლიეროთ მომარაგების ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა რაციონალური სამეურნეო კავშირთა თიერებისა და საწარმოო სტაბილური მომარაგების ორგანიზაციაში, სახალხო მეურნეობაში მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებაში“ (2,233). სამრეწველო საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ძირითადი მიზანი — წარმოების შეუფერხებელი და რიტმული მომარაგება — დაიყვანება მატერიალური რესურსების ისეთი მარაგის შექმნაზე, რომელიც ამ მიზნის მიღწევას უზრუნველყოფს. დასმული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტიანათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს საწარმოო მარაგის სადაზღვევო ნაწილის ნორმირების საკითხის დამუშავებას.

სადაზღვევო მარაგის შექმნის აუცილებლობა თვით მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების არსებული სისტემითაა გაპირობებული, რაც საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდების ვადებისა და მიწოდებული პარტიის სიდიდის შემთხვევითობაში ვლინდება. საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდების არსებული დებულების თანახმად, სატრანზიტო მომარაგების დროს მიწოდებანი ნაწილდება კვარტალების, თვეების ან დეკადების მიხედვით. ხოლო მისაწოდებელი პარტიის სიდიდე განისაზღვრება დატვირთვის მინიმალური ნორმების შესაბამისად. ამ პირობებში, მიმწოდებელს უფლება აქვს, მომხმარებელს პროდუქცია მიაწოდოს კვარტალის, თვის ან დეკადის ნებისმიერ მომენტში — ერთი ან რამდენიმე ვაგონით, კონტეინერით და ა. შ., — რაც შეიძლება არ შეესაბამებოდეს მომხმარებელი საწარმოს მოთხოვნილებას (როგორც რაოდენობრივად, ასევე დროში). ეს გარემოება განაპირობებს სადაზღვევო მარაგის შექმნის აუცილებლობას. სადაზღვევო მარაგის შექმნის საჭიროებას იწყევს მატერიალურ რესურსებზე წარმოების მოთხოვნილების გაუთვალისწინებელი ცვალებადობაც.

პროდუქციის მიწოდების ვადებისა და მიწოდებული პარტიის სიდიდის რხევადობა შესწავლილია საქართველოს სსრ ელექტროტექნიკური მრეწველობის რვა საწარმოში (ფერადი ლითონების მიხედვით). მოპოვებული ინფორმაცია დაჯგუფდება მიწოდების სიხშირის ნიშნით. ვარიაციის კოეფიციენტმა მიწოდების ინტერვალებისათვის (დრო ორ მორიგ მიწოდებას შორის) შეადგინა 0,44—0,88, ხოლო მიწოდებული პარტიებისათვის 0,44—0,81. მიწოდების ასეთი მაღალი ვარიაცია ახასიათებს მომარაგების უაღრეს არარიტმულობას, რაც დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული პარ-

ტიის სიდიდებსა და შესაბამის ინტერვალებს შორის არსებობს მჭიდრო წრფივი კორელაცია; მარტივად, მიწოდების დიდ ინტერვალებს შეესაბამება დიდი პარტიები და, პირიქით, მცირე ზომის პარტიები მიწოდებას — მოკლე ინტერვალები. გაანგარიშებამ გვიჩვენა რომ კორელაცია მიწოდების ინტერვალებსა და მიწოდებულ პარტიებს შორის არ არსებობს, — ეს ასახულებს მატერიალური რესურსების მიწოდების პროცესის შემთხვევითს, ქაოსურ ხასიათს. სადაზღვევო მარაგი საწარმოებში უნდა შეიქმნას სწორედ ასეთი მასობრივი შემთხვევითობისაგან თავის დაზღვევის მიზნით, მის დანიშნულებას შეადგენს მატერიალური რესურსების მარაგით წარმოების გარანტირებული უზრუნველყოფა.

სადაზღვევო მარაგის შექმნის გამომწვევი მიზეზების (მიწოდების ინტერვალის, მიწოდებული პარტიის, სადიდე მოხმარების ინტენსიობა) შემთხვევითი ხასიათი განაპირობებს ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის გამოყენების აუცილებლობას სადაზღვევო მარაგის გეგმური სიდიდის ანუ ნორმის გაანგარიშების დროს. სადაზღვევო მარაგის ნორმირება საკმარისად როული და შრომატევადი პროცესია: სირთულე დაკავშირებულია მისი გამომწვევი მიზეზების შემთხვევითის ხასიათთან, ხოლო შრომატევადობა — განგარიშებისათვის საჭირო დიდი მოცულობის ინფორმაციის გადამუშავების აუცილებლობასთან. საკითხის სირთულე ავტორთა შორის იწვევს აზრთა სხვადასხვაობას სადაზღვევო მარაგის ნორმირების მეთოდის შესახებ. ძირითადად გვთავაზობენ სადაზღვევო მარაგის ნორმირების მეთოდს, ერთი რომელიმე მიზეზის (ფაქტორის) გათვალისწინებით: მაგალითად: კ. ვ. ინიუტინა [8, 96] რეკომენდაციას იძლევა, სადაზღვევო მარაგის ნორმა გაანგარიშებული იქნეს პროდუქციის მიწოდების ინტერვალების შემთხვევითობის ფაქტორის გათვალისწინებით; ვ. ი. კორობოვი და გ. ა. პლინერი [9, 217] სადაზღვევო მარაგის ნორმას ანგარიშობენ მატერიალური რესურსების მოხმარების ინტენსიობის შემთხვევითი ფაქტორის ანალიზის საფუძველზე; ნ. დ. ფასოლიაქის [16, 196] აზრით, ნორმირება უნდა მოხდეს ფაქტორული ან გაანგარიშებული მარაგის რჩევალობის ანალიზით.

ყველა დასახელებულ შემთხვევაში გაითვალისწინება მხოლოდ ერთი ფაქტორი, რაც არ იძლევა სადაზღვევო მარაგის ჭეშმარიტი ნორმის დაგეგმვის საშუალებას; ამასთანავე, უგულვებელყოფილია მისი სიდიდის ოპტიმიზაციის საკითხიც. სადაზღვევო მარაგის ნორმირების უფრო სრულყოფილ მეთოდს გვთავაზობს ბ. ლ. გერონიმუსი [5, 148], რომელიც ნორმირებას ახდენს ოპტიმიზაციის საფუძველზე, ორი ფაქტორის — მიწოდების ინტერვალებისა და მიწოდებული პარტიის სიდიდის — გათვალისწინებით. ოპტიმიზაციის კრიტერიუმად მიღებულია სადაზღვევო მარაგის შენახვის ხარჯებისა და დეფიციტით გამოწვეული დანაკარგების ჯამის მინიმუმი. მიწოდებული პარტიის სიდიდეები განაწილებულია ნორმალურად, ხოლო მიწოდების ინტერვალები — ექსპონენციალური კანონით; ამ პირობებში სადაზღვევო მარაგის სიდიდე შემდეგი ეკონომიურ-მათემატიკური მოდელით განისაზღვრება:

$$\Gamma = \frac{\sigma^2 \lambda}{2\nu} - \lambda \ln q' (1),$$

სადა: Γ არის სადაზღვევო მარაგის ოპტიმალური სიდიდე, σ — მიწოდებული პარტიების სიდიდეთა დისპერსია, λ — მიწოდების საშუალო ინტერვალის შებრუნებული სიდიდე, ν — მასალის საშუალო დღეღამური მოხმარება, Π — მიწოდებული პარტიების საშუალო სიდიდე, q' — რისკის ოპტიმალური კოეფიციენტის შებრუნებული სიდიდე.

სადაზღვევო მარაგის ნორმირების აღწერილი მეთოდი უდავოდ დიდი მეცნიერული ღირებულების შემცველია, მაგრამ მისი პრაქტიკული გამოყენება მეტად ძნელია განაგარიშებათა შრომატევადობის გამო; კერძოდ, დიდი მოცულობის სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, თითოეული მასალისათვის უნდა დადგინდეს ყველა ჩამოთვლილი პარამეტრი; ამასთანავე (1) მოდელი გამოსადგვია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მიწოდების ინტერვალები განაწილებულია ექსპონენციალური კანონით, ხოლო მიწოდებული პარტიის სიდიდეები — ნორმალურად.

სადაზღვევო მარაგის ნორმირება ყველა შემთხვევაში მოითხოვს, დიდი მოცულობის სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, მიწოდების ინტერვალების, მიწოდებული პარტიის სიდიდის თუ მოხმარების ინტენსივობის განაწილების კანონის დადგენას. პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გვხვდება შემთხვევითი სიდიდეთა განაწილების ნორმალური, ექსპონენციალური და პუასონის კანონები. თითოეულ ამ შემთხვევაში, სადაზღვევო მარაგის ნორმირებას სპეციფიკური თავისებურებანი ახასიათებს — თუ შემთხვევითი საანალიზო ფაქტორი განაწილებულია ნორმალურად, სადაზღვევო მარაგის ნორმა შემდეგი ფორმულით განისაზღვრება:

$$\Gamma = t\sigma = t \sqrt{\frac{\sum(x_i - \bar{x})^2 m}{\sum m}} \quad (2), \quad \text{სადაც: } t \text{ არის ნორმირებული გადახრა, } x_i - \bar{x} \text{ შემთხვევითი სიდიდის ცალკეული მნიშვნელობა, } \bar{x} - X \text{ შემთხვევითი სიდიდის საშუალო მნიშვნელობა, } m - \text{ცალკეულ ვარიანტთა სიხშირე, } \sigma - \text{საშუალო კვადრატული გადახრა.}$$

ნორმირების ასეთ მეთოდს საფუძვლად უდევს ის ფაქტი, რომ საშუალოზე მეტ ინტერვალში, საშუალოზე ნაკლები პარტიის მიწოდების დროს და მოხმარების საშუალოზე მეტი ინტენსივობის დროს წარმოიშობა მასალების დეფიციტი, რომლისაგან თავის დაზღვევის მიზნით საჭიროა სადაზღვევო მარაგი t რაოდენობის საშუალო კვადრატული გადახრის ოდენობით. თვით ნორმირებული გადახრის სიდიდე განაგარიშება x შემთხვევითი სიდიდის მოცემული მნიშვნელობის საშუალოდან გადახრის შეფარდებით საშუალო კვადრატულ გადახრასთან:

$$t = \frac{x_i - \bar{x}}{\sigma}, \quad \text{საიდანაც } t\sigma = x_i - \bar{x} \quad (3)$$

ამ შემთხვევაში, სადაზღვევო მარაგი უნდა პასუხობდეს პირობას:

$v = t\sigma = \max(x_i - \bar{x})$. მოცემულ გამოსახულებაში ნორმირებულ გადახრას შეგვიძლია მივცეთ სხვადასხვა მნიშვნელობა, რომელთა მიხედვით განაგარიშებული სადაზღვევო მარაგი წარმოებას უზრუნველყოფს განსაზღვრული ალბათობით; კერძოდ, თუ საანალიზო შემთხვევითი სიდიდე, რომელიც საფუძვლად უდევს ნორმირების პროცესს, განაწილებულია ნორმალურად, მაშინ t ნორმირებულ გადახრასა და წარმოების უზრუნველყოფის P ალბათობას შორის შემდეგი დამოკიდებულება არსებობს:

$$p = P(|x_i - \bar{x}| < t\sigma) = F(t) \quad \text{სადაც: } F(t) = \frac{1}{\sqrt{2\pi}} \int_0^t \left(1 - \frac{t^2}{2}\right) dt \quad (5)$$

$F(t)$ ფუნქციის მნიშვნელობანი მოცემულია ცხრილებში (4,290), რაც გვაპოვინებს:

$$\left. \begin{aligned} P(|x_1 - \bar{x}| < \sigma) &= 0,6827 \\ P(|x_1 - \bar{x}| < 2\sigma) &= 0,9545 \\ P(|x_1 - \bar{x}| < 3\sigma) &= 0,9973 \end{aligned} \right\} (6)$$

ე. ი. ერთი „სიგმას“ ტოლი სადაზღვევო მარაგი წარმოებას უზრუნველყოფს ყველამიწოდების 68,3%-ის შემთხვევაში, ორი „სიგ-

მას“ ტოლი — 95,4%-ის შემთხვევაში, სამი „სიგმას“ ტოლი 99,7%-ის შემთხვევაში. თუ საანალიზო შემთხვევითი სიდიდე განაწილებულია ექსპონენციალური კანონით, ე. ი. მისი ალბათობების განაწილების დიფერენციალური ფუნქციას აქვს ასეთი სახე:

$$f(x) = \lambda \cdot e^{-\lambda x} \quad (7), \quad \text{სადაც, } \lambda \text{ არის ექსპონენციალური განაწილების პარამეტრი, მაშინ სადაზღვევო მარაგის სიდიდე გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:} \\ \Gamma = t\bar{x} = t\sigma. \quad (8).$$

ექსპონენციალური განაწილების თავისებურებას შეადგენს ის, რომ ამ განაწილებისათვის საშუალო კვადრატული გადახრა და საშუალო მნიშვნელობა ერთმანეთის ტოლია, ხოლო ექსპონენციალური განაწილების პარამეტრი $\lambda = \frac{1}{\bar{x}} = \frac{1}{\sigma}$. ექსპონენციალური განაწილების დროს $t\sigma$ -ის ტოლი სადაზღვევო მარაგისათვის რისკის კოეფიციენტი ასე განისაზღვრება:

$$P(t\sigma) = P(|x_1 - \bar{x}| < t\sigma) = 1 - e^{-t} = 1 - e^{-1} \quad (9)$$

e^{-1} გამოსახულების სპეციალურ ცხრილებში მოცემული მნიშვნელობით (4,306) ვპოულობთ:

$$\begin{aligned} P(\sigma) &= 1 - e^{-1} = 1 - 0,368 = 0,632 \\ P(2\sigma) &= 1 - e^{-2} = 1 - 0,135 = 0,865 \\ P(3\sigma) &= 1 - e^{-3} = 1 - 0,050 = 0,950 \end{aligned} \quad (10)$$

თუ შემთხვევითი სიდიდე განაწილებულია პუასონის კანონით, მაშინ:

$$\Gamma = t\sqrt{\bar{x}} \quad (11), \quad \text{ხოლო } \sigma = \sqrt{\bar{x}};$$

ე. ი. პუასონის განაწილებისათვის შემთხვევითი სიდიდის საშუალო კვადრატული გადახრა უდრის კვადრატულ ფესვს მისი საშუალო მნიშვნელობიდან:

როგორც ვხედავთ, ალბათობის თეორია ფლობს საკმარისად ზუსტ და საიმედო მეთოდებს. რაც შეეხება თვით სადაზღვევო მარაგს, მისი ნორმირება უნდა მოხდეს არა ერთი შემთხვევითი მიზეზის ანალიზის საფუძველზე, როგორც ამას ავტორთა უმრავლესობა გეთავაზობს, არამედ თვით მატერიალური რესურსების მიწოდებისა და მოხმარების პროცესის ანალიზის საფუძველზე ყველა მიზეზის (ფაქტორის) სტოხასტური ბუნების გათვალისწინებით. ამისათვის საჭიროა მოიძებნოს ისეთი სინთეზური მაჩვენებელი, რომელშიც აისახება მიწოდების ინტერვალების, მიწოდებული პარტიების სიდიდისა და მოხმარების ინტენსივობის ცვალებადობა. მოვძებნოთ ასეთი სინთეზური მაჩვენებელი.

თუ პროდუქცია მიიწოდება τ_1 ინტერვალში X_1 პარტიებით, მაშინ მატერიალური რესურსების მიწოდების პროცესი ასეთი სქემით შეიძლება წარმოდგინდეს:

$$\left\{ \begin{array}{l} \tau_1, \tau_2, \dots, \tau_1, \dots, \tau_n \\ X_1, X_2, \dots, X_1, \dots, X_n \end{array} \right.$$

სადაც τ_1 გვიჩვენებს დღეთა იმ რაოდენობას, რომლის განმავლობაშიც წარმოება

უნდა დაკმაყოფილდეს მატერიალური რესურსებით, ხოლო X_1 ახასიათებს ფაქტიურად მიღებულ მასალების რაოდენობას. საკითხი დავსვათ: აკმაყოფილებს თუ არა X_1 პარტიებით მიღებული მა-

სალები წარმოების მოთხოვნილებას τ_i ინტერვალში? — ამის გასარკვევად ერთმანეთს შევედაროთ τ_i და x_i სიდიდეები. ამისათვის ისინი გამოვსახოთ ერთგვაროვან მაჩვენებლებში. კერძოდ, მიღებული პარტიების სიდიდეები გამოვსახოთ უზრუნველყოფილ დღეებში, ე. ი. x_i პარტიის სიდიდეები გავყოთ მასალის საშუალო დღე-ღამურ მოხმარებაზე τ_i ინტერვალში. შეფარდება

$\frac{x_i}{v_i}$ სადაც, v_i მასალის საშუალო დღე-ღამის მოხმარება. τ_i ინტერვალში,

გვიჩვენებს დღეთა იმ რაოდენობას, რომლის განმავლობაშიც საკმარისია მასალების მიღებული პარტია წარმოების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებ-

ლად, ხოლო სხვაობა $\frac{x_i}{v_i} - \tau_i$ დაახასიათებს დაკმაყოფილა თუ არა წარ-

მოება τ_i ინტერვალში მიღებულმა მასალის პარტიამ. თუ შევადგენთ ასეთ

სხვაობებს ყოველი მიწოდებისათვის $\frac{x_i}{v_i} - \tau_i = \Delta_i$ ($i=1,2,\dots,n$) (13)

თვალნათლივ დავინახავთ მასალების მიწოდებისა და მოხმარების მთელ სურათს.

კერძოდ, შესაძლოა ადვილი პქონდეს შემდეგ შემთხვევებს: $\frac{x_i}{v_i} > \tau_i$, მაშინ, $\Delta_i > 0$.

ეს იმას ნიშნავს, რომ τ_i ინტერვალში წარმოება მთლიანად დაკმაყოფილდა მატერიალური რესურსებით და ინტერვალის ბოლოს დარჩა მარაგი Δ_i ოდენობით;

თუ $\frac{x_i}{v_i} < \tau_i$ მაშინ, $\Delta_i < 0$, ე. ი. τ_i ინტერვალში წარმოიშვა დეფიციტი Δ_i

ოდენობით; თუ, $\frac{x_i}{v_i} = \tau_i$, მაშინ $\Delta_i = 0$. მაშასადამე მიღებული პარტიის სიდიდე

სრულად შეესაბამება წარმოების მოთხოვნილებას τ_i ინტერვალში, მაშასადამე

(13) გამოსახულება ახასიათებს მიღებული x_i პარტიებით წარმოქმნილი მარაგის სიდიდის გადახრას ფაქტურით მოთხოვნილებიდან τ_i ინტერვალში. სადაზღვევო

მარაგის ნორმირების პროცესში საკითხი უნდა დავსვათ სადაზღვევო მარაგის ისეთი სიდიდის განსაზღვრის შესახებ, რომელიც დავიცავს დეფიციტის წარმოქ-

მნის საშიშროებისაგან დეფიციტის წარმოქმნული სამივე ფაქტორის ერთობლივი მოქმედების პირობებში. ნორმირება უნდა მოხდეს Δ შემთხვევით გადახრის ანა-

ლიზის საფუძველზე, რომლის სიდიდეზეც გავლენას ახდენს სამივე შემთხვევით ფაქტორი: მიწოდების ინტერვალები, მიწოდებული პარტიების სიდიდე და მოხ-

მარების ინტენსივობა. Δ შემთხვევით გადახრის საფუძველზე სადაზღვევო მარა-

გის ნორმირებისათვის საჭიროა განისაზღვროს მისი განაწილების კანონი.

Δ გადახრა გამოკვლეული იქნა საქართველოს სსრ ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოთა მონაცემების მიხედვით — მომარაგების სატრანზი-

ტო ფორმისათვის. სულ შესწავლილი იქნა ფერადი ლითონების ნაგლისის მიწოდების 2234 შემთხვევა. ნომენკლატურის რაოდენობამ შეადგინა 365.

მოპოვებული ინფორმაცია დაჯგუფდა მიწოდების სიხშირის მიხედვით. დაჯგუფების ამ ნიშნის მიზანშეწონილობა დადასტურდა გამოკვლევის პროცესში. კერძოდ, აღმოჩნდა რომ მატერიალური რესურსების მიწოდების სიხშირის ცვლილებაზე აქტიურად რეაგირებს მარაგის მართვის სისტემის მრავალი მა-

ხასიათებელი. ინფორმაციის ყველაზე დიდი რაოდენობა (მიწოდებული პარტიათა რაოდენობა 228, ნომენკლატურის რაოდენობა 57) მოხვდა ჯგუფში,

რომელიც შეესაბამება ოთხის ტოლ მიწოდების სიხშირეს, მოცემულ ჯგუფში Δ გადახრის მნიშვნელობათა განაწილების სტატისტიკური მწკრივი წარმოდგენილია ცხრილთ (1).

Δ გადახრის განაწილების სტატისტიკური მწკრივი

ცხრილი 1

ინტერვალი	-243,-193	-192,-142	-141,-91	-90,-40	-39,10	11,61	62,112	113,16	164,214
ინტერვალის ცენტრი	-218	-167	-116	-65	-14	31	87	138	189
სიხშირე	3	5	7	35	81	67	24	5	3

გადახრის საშუალო მნიშვნელობა შეადგენს: $\Delta = -0,69$; საშუალო კვადრატული გადახრის მნიშვნელობა: $\sigma\Delta = 65,55$.

თითოეული ეს მაჩვენებელი განსაზღვრულ როლს თამაშობს გამოკვლევის პროცესში. მათი განგარიშება აუცილებელია როგორც სადაზღვევო მარაგის ნორმირებისათვის, ასევე Δ შემთხვევითი გადახრის განაწილების კანონზომიერებათა დადგენისათვის. კერძოდ, საშუალო მნიშვნელობა განაწილების მწკრივის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია; საშუალო კვადრატული გადახრა $\sigma\Delta$ გვეხმარება, როგორც განაწილების კანონზომიერებათა დადგენაში, ასევე სადაზღვევო მარაგის ნორმირებაში.

Δ შემთხვევით გადახრის განაწილების კანონის გამოვლენის მიზნით, I ცხრილის მონაცემთა საფუძველზე ავაგეთ შემთხვევით გადახრის განაწილების ჰისტოგრამა და პოლიგონი რომლის ფორმამ საფუძველი მოგვცა გვევარაუდა, რომ შემთხვევითი გადახრის მნიშვნელობანი განაწილებულია ნორმალურად. წამოყენებული სტატისტიკური ჰიპოთეზა შევამოწმეთ რომანოვსკის კრიტერიუმით, — რომლის თანახმად, — შემთხვევითი სიდიდე განაწილებულია ნორმალურად თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ პირობას:

$$\frac{x^2 - k}{\sqrt{2k}} < 3 \text{ სადაც } k \text{ არის თავისუფლების ხარისხთა რიცხვი, რომელიც გაიანგარიშება ინტერვლების რიცხვისათვის სტატისტიკური მწკრივის მახასიათებელთა რაოდენობის გამოკლებათ. ნორმალური განაწილებისათვის ასეთი მახასიათებელი სამია: საშუალო მნიშვნელობა, საშუალო კვადრატული გადახრა და მწკრივის წვერთა რაოდენობა. მაშასადამე } k = 9 - 3 = 6. x^2 \text{ (ხი - კვადრატი) სიდიდე ახასიათებს განაწილების თეორიული სიხშირეების გადახრას ემპირიული სიხშირეებიდან და შემდეგი ფორმულით გაიანგარიშება:}$$

$$x^2 = \frac{\sum (m - m^1)^2}{m^1} \text{ სადაც: } m \text{ არის განაწილების ემპირიული სიხშირე, ხოლო } m^1 - \text{განაწილების თეორიული სიხშირე. ნორმალური განაწილებისათვის თეორიული სიხშირეები ასე განსაზღვრება:}$$

$m^1 = \frac{NI}{\sigma} \cdot \frac{1}{\sqrt{2\pi}} e^{-\frac{t^2}{2}}$ სადაც N არის შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა,

$$m^1 = \frac{NI}{\sigma} \cdot \frac{1}{\sqrt{2\pi}} e^{-\frac{t^2}{2}} \text{ სადაც } N \text{ არის შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა,}$$



I—ინტერვალის სიდიდე ემპირიულ განაწილებაში. ცხრილებში მოცემულია ამ გამოსახულების მეორე ნაწილის მნიშვნელობანი, რომელთა დახმარებით გაანგარიშებულია Δ შემთხვევითი გადახრის თეორიული სისშირე (ცხრილი 2).

შემთხვევითი გადახრის განაწილების თეორიული სისშირეები

ცხრილი 2

Δ გადახრა	-218	-167	-116	-65	-14	31	87	138	189
თეორიული სისშირე m^1	0	3	75	43	68	62	28	7	2

თეორიული სისშირეების გაანგარიშებულ მნიშვნელობათა მიხედვით:

$x^2 = 15,92$. თუ x^2 -ისა და k -ს მნიშვნელობებს ჩავსვამთ შესაბამის ფორმულაში.

მივიღებთ: $\frac{x^2 - k}{\sqrt{2k}} = \frac{15,92}{\sqrt{12}} = 2,86 < 3$, ე. ი. იმის დაშვება, რომ Δ გადახრის მნიშ-

ვნელობანი განაწილებულია ნორმალურად, სამართლიანია.

გამოკვლევის შემდგომი ეტაპია Δ შემთხვევითი გადახრის განაწილების თეორიული მრუდის გამოკვლევა. გაანგარიშებით დადგინდა რომ თეორიული მრუდის ასიმეტრიის მაჩვენებელი შეადგენს -0.032 ხოლო ეგსცესისა 0.03 . ასიმეტრიისა და ეგსცესის მნიშვნელობანი ადასტურებენ, რომ შემთხვევით გადახრათა განაწილების თეორიული მრუდი უმნიშვნელოდ განსხვავდება ნორმალური მრუდისაგან. რაც საბოლოოდ ადასტურებს წამოყენებულ სტატისტიკურ ჰიპოთეზას. მაშასადამე, ნორმალური განაწილების კანონზომიერებანი შეგვიძლია გამოვიყენოთ სადაზღვევო მარაგის ნორმირების მიზნით.

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ Δ გადახრა ნორმალურად განაწილებული შემთხვევითი სიდიდეა, რომელიც შეგვიძლია აღვწეროთ ალბათობათა განაწილების სიმკვრივის დიფერენციალური ფუნქციით:

$$f(\Delta) = \frac{1}{\sigma_{\Delta} \sqrt{2\pi}} e^{-\frac{(\Delta - \bar{\Delta})^2}{2\sigma_{\Delta}^2}} \quad (12)$$

Δ გადახრის განაწილების სტატისტიკური მახასიათებლები $\bar{\Delta}$ და σ_{Δ} გაანგარიშებული იქნა მიწოდების სისშირის ნიშნით დაჭრულებული მონაცემების მიხედვით. გაანგარიშების შედეგები წარმოდგენილია ცხრილში (3).

ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ Δ გადახრის საშუალო მნიშვნელობანი ცალკეულ ჯგუფებში ირჩევიან ნულის გარშემო და ღებულობენ დადებით და უარყოფით მნიშვნელობებს. რაც შეეხება σ_{Δ} საშუალო კვადრატულ გადახრას, იგი მცირდება მიწოდების სისშირის ზრდასთან დაკავშირებით, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ამ დამოკიდებულების მათემატიკური მოდელის აგება.

გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ საანალიზო მაჩვენებლების შორის არსებობს მკიდრო წრფივი კორელაცია. კერძოდ, კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობა შეადგენს -0.92 . კოეფიციენტის უარყოფითობა მიუთითებს უკუკავშირის არსებობაზე.

Δ გადახრის საშუალო მნიშვნელობა და საშუალო კვადრატული
 გადახრა მიწოდების სხვადასხვა სიხშირის დროს

ცხრილი 3

მიწოდების სიხშირე	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18-21
$\bar{\Delta}$	4,54	-1,39	-0,69	-2,39	3,6	1,88	5,15	4,69	0,48	3,7	4,61	0,74	-1,22	0,7	-0,12	0,58	0,29
σ_{Δ}	94,16	89,22	65,55	62,74	59,40	59,85	47,71	34,44	31,05	33,83	32,97	26,63	57,20	20,74	19,57	20,66	15,79

კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობა უფლებას გვაძლევს დამოკიდებულება ფერადი ლითონების ნაგლინის მიწოდების სიხშირესა და Δ-ს საშუალო კვადრატული გადახრას შორის გამოვსახოთ რეგრესიის განტოლებით:

$$\sigma_{\Delta} = a_0 + \frac{a_1}{n} \quad (13) \quad \text{სადაც: } a_0 \text{ და } a_1 \text{ მუდმივი კოეფიციენტებია, } n \text{ — მიწოდების სიხშირე.}$$

რეგრესიის განტოლებაში a_0 და a_1 კოეფიციენტების მნიშვნელობანი განგარიშებული იქნა უმცირეს კვადრატთა მეთოდით. მივიღეთ რომ $a_0 = 14,15$ და $a_1 = 193,84$. მაშასადამე:

$$\sigma_{\Delta} = 14,15 + \frac{193,84}{n} \quad (14)$$

უნდა ვივარაუდოთ რომ რეგრესიის მიღებული განტოლება სამართლიანია მატერიალური რესურსების სხვა ჯგუფებისათვისაც. ეს შეიძლება იმით დავასაბუთოდ, რომ მიწოდების სიხშირის გაზრდის პირობებში მიწოდებული პარტიის სიდიდეები და მიწოდების ინტერვალები მცირდება. ამიტომ მათი სხვაობა და შესაბამისად σ_{Δ} საშუალო კვადრატული გადახრის სიდიდეც შემცირდება. და პირიქით, მიწოდების სიხშირის შემცირება გამოიწვევს აღნიშნულ მაჩვენებელთა გაზრდას. იმის გამო რომ ეს დამოკიდებულება დაკავშირებული არა მასალათა ცალკეული ჯგუფების ფიზიკურ ქიმიურ თვისებებთან, არამედ მიწოდების საერთო პირობებთან (რაც მათთვის დიდად განსხვავებული არაა), ამიტომ რეგრესიის (14) განტოლება მასალათა სხვა ჯგუფებისათვის სამართლიანი იქნება. განხილული მეთოდისა და ჩატარებული გამოკვლევის თანახმად სადაზღვევო მარაგის ნორმა შემდეგი ფორმულით შეიძლება გავიანგარიშოთ:

$$V = t \left(a_0 + \frac{a_1}{n} \right) \quad (15)$$

სადაც, V — სადაზღვევო მარაგის სიდიდე დღეებში, $a_0 = 14,15$; $a_1 = 193,84$. სადაზღვევო მარაგის ნორმირების დამუშავებული მეთოდის უპირატესობას სხვა მეთოდებთან შედარებით შეადგენს ის რომ იგი ითვალისწინებს ოთხი



ფაქტორის მოქმედებას (განხილულ ფაქტორებს ემატება მიწოდების სიხშირე). ამავე დროს იგი მარტივი და პრაქტიკულია გამოყენებითი თვალსაზრისით. წინამდებარე გადახრის სიდიდე დამოკიდებულია წარმოების პროცესში მოცემული მატერიალური რესურსების მნიშვნელობასა და როლზე. სადაზღვევო მარაგის ნორმატივები მიწოდების სიხშირისა და წინამდებარე გადახრის სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის მოცემულია ცხრილში (იხ. ცხრილი 4).

სადაზღვევო მარაგის ნორმატივები მიწოდების სიხშირისა და წინამდებარე გადახრის სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის (დღეეში)

ცხრილი 4

მიწოდების სიხშირე	I კლ. მ.		II კლ. მ.	
	1	2	1	2
1	208	416	424	
2	111	222	333	
3	79	158	237	
4	63	126	189	
5	53	106	159	
6	46	92	188	
7	42	84	126	
8	38	76	114	
9	36	62	108	
10	33	66	99	
11	32	64	96	
12	30	60	90	
13	29	58	87	
14	28	56	84	
15	27	54	81	
16	26	52	72	
17	25	50	75	
17-18	25	50	75	
19-20	24	48	72	
21-22	23	46	69	
24-26	22	44	66	
27-30	21	42	63	
31-35	20	40	60	

საჭირო სადაზღვევო მარაგის სიდიდის მკვეთრად გამოხატული დამოკიდებულება სათანადო ხარჯებთან მისი ოპტიმიზაციის საშუალებას იძლევა. ამოცანა მდგომარეობს სადაზღვევო მარაგის ნორმატივის ისეთი ოდენობით განსაზღვრაში, როდესაც ხარჯები მინიმალური იქნება. ეკონომიკურ ლიტერატურაში გვთავაზობენ მეთოდებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სადაზღვევო მარაგის ოპტიმიზაციას შენახვის ხარჯებისა და დეფიციტით გამოწვეული დანაკარგების ჯამის მინიმუმის კრიტერიუმით. საქმე ის არის, რომ სადაზღვევო მარაგის სიდიდე პროპორციულია მისი შენახვის ხარჯებისა უკუპროპორციულია დეფიციტით გამოწვეული დანაკარგებისა. თუ სადაზღვევო მარაგის სიდიდე შეადგენს $t_{\Delta}v$ -ს და ერთეული მარაგის შენახვის ხარჯი წელიწადში არის α , მაშინ მარაგის შენახვის ხარჯი იქნება $t_{\Delta}v\alpha$. დეფიციტით გამოწვეული დანაკარგი t_{Δ} -ს ტოლი სადაზღვევო მარაგისათვის განსაზღვრულია ფორმულით:
$$\gamma \frac{k}{t_{\Delta}} = d,$$

სადაც: K არის პროპორციულობის კოეფიციენტი, γ — დეფიციტით გამოწვეული დანაკარგი ერთ დღეში; d დეფიციტური დღეთა წლიური რაოდენობა. ამ პირობებში სადაზღვევო მარაგის შექმნის წლიური ხარჯი იქნება:

$$f(t_{\Delta}) = t_{\Delta}v\alpha + \frac{k}{t_{\Delta}} \gamma \quad (16)$$

ფუნქციის ექსტრემალური მნიშვნელობის განსაზღვრის გაწარმოების მეთოდის გამოყენებით მიიღება, რომ სადაზღვევო მარაგის ოპტიმალური ნორმა, რომლისთვისაც (16) გამოსახულებით განსაზღვრული ხარჯები მიიღებენ მინიმალურ მნიშვნელობას, — გაიანგარიშება ფორმულით:

$$V^* = \sqrt{\frac{k \gamma}{\alpha v}}$$
 სადაც V^* არის სადაზღვევო მარაგის ოპტიმალური ნორმა დღეების მიხედვით, ხოლო v მასალის დღელამური მოხმარება.

(17) ფორმულის პრაქტიკული გამოყენების აუცილებელი პირობაა K კოეფიციენტის მნიშვნელობის დადგენა. ლიტერატურაში მისი გაანგარიშების ხერხები შესწავლილი არ არის, ამიტომ ავტორი დამოუკიდებლად შეეცადა მის გაანგარიშებას. იგი ასახავს დამოკიდებულებას დეფიციტურ დღეთა წლიურ

რაოდენობასა და სადაზღვევო მარაგის სიდიდეს შორის: $d = \frac{k}{t\sigma_{\Delta}}$ სადაც

d არის დეფიციტურ დღეთა წლიური რაოდენობა. K კოეფიციენტის გასაანგარიშებლად დაევაამოთ ტოლობის ორივე მხარე:

$$\Sigma d = \Sigma \frac{k}{t\sigma_{\Delta}} \text{ საიდანაც } k = \frac{\Sigma d}{\Sigma \frac{1}{t\sigma_{\Delta}}}$$

მიღებულ ფორმულაში დაჯამება ვრცელდება სადაზღვევო მარაგის ცალკეულ მნიშვნელობებსა და შესაბამის დეფიციტურ დღეთა წლიურ რაოდენობებზე. თუ $t\sigma_{\Delta}$ -ს ტოლი სადაზღვევო მარაგის დროს დეფიციტის წარმოშობის ალბათობა არის $I-P$, მაშინ დეფიციტის შემთხვევათა წლიური რაოდენობა იქნება $(I-P)n$, ხოლო დეფიციტურ დღეთა მოსალოდნელი რაოდენობა $(I-P)n\sigma_{\Delta}$. ასეთი პირობის შესაბამისად, კოეფიციენტის მნიშვნელობა უაიანგარიშება ფორმულით:

$$k = \frac{\Sigma(I-p)n\sigma_{\Delta}}{\Sigma \frac{1}{t\sigma_{\Delta}}} \quad (18)$$

ამ გამოსახულებაში p ალბათობის სიდიდე სადაზღვევო მარაგზე დამოკიდებული და Δ გადახრის განწილების კანონითაა განსაზღვრული. ეს დამოკიდებულება (5) ფუნქციით გაიზიარება. k კოეფიციენტის მნიშვნელობა-

ნი გაანგარიშებული ფორმულით (18) მიწოდების სხვადასხვა სიხშირისათვის მოცემულია ცხრილში (5).

სადაზღვევო მარაგის ოპტიმალური ნორმირების განხილული მეთოდის დროს მიწოდების სიხშირე და შესაბამისი σ_{Δ} -ს საშუალო კვადრატული გადახრის სიდიდე მოცემული მატერიალური რესურსისათვის წინასწარ ცნობილი მუდმივი სიდიდეა. ვეჭებთ t ნორმირებული გადახრის ოპტიმალურ სიდიდეს, რომლისთვისაც სადაზღვევო მარაგის შენახვის ხარჯებისა და დეფიციტით გამოწვეული დანაკარგების ჯამი მიიღებს მინიმალურ მნიშვნელობას.

ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ სადაზღვევო მარაგის სიდიდე დამოკიდებულია მიწოდების სიხშირეზეც, კერძოდ მისი უკუპროპორციულია. მიწოდების სიხშირე, თავის მხრივ, განსაზღვრავს შემოზიდვის ორგანიზმების ხარჯებს. თუ მიწოდების სიხშირეა n , დეფიციტის წარმოშობის ალბათობა განსაზღვრულია t ნორმირებული გადახრით და შეადგენს $q = 1-p$ -ს,

ხოლო შემოზიდვის ორგანიზმების ხარჯი (რომელსაც ადგილი აქვს მხოლოდ დეფიციტურ სიტუაციებში) შეადგენს β -ს, მაშინ შემოზიდვის ორგანიზმების წლიური ხარჯი იქნება $nq\beta$. ამ პირობებში სადაზღვევო მარაგის შენახვის ხარ-

ჯი შემდეგი სახით განისაზღვრება: $\sigma_{\Delta} v_x = \left(a_0 + \frac{a_1}{n} \right) a v$.

k კოეფიციენტის მნიშვნელობანი მიწოდების სხვადასხვა სიხშირისა და σ_{Δ} საშუალო კვადრატული გადახრის შესაბამის მნიშვნელობათათვის
ცხრილი 5

n	σ_{Δ}	k
2	111	5406
3	79	4070
4	63	3430
5	53	3063
6	46	2831
7	42	2680
8	38	2671
9	36	2557
10	34	2459
11	32	2428
12	30	2409
13	29	2357
14	28	2325
15	27	2303
16	26	2295
17	25	2290
18-19	23	2288

შეგვიძლია ჩამოვაცალიბოთ ახალი ამოცანა: განვსაზღვროთ სადაზღვევო მარაგის ისეთი ოპტიმალური სიდიდე, რომლისთვისაც შენახვისა და შემოზიდვის ორგანიზების ხარჯების ჯამი მიიღებს მინიმალურ მნიშვნელობას. ამოცანის მიზნის ფუნქციას შემდეგი სახე აქვს.

$$i = \left(a_0 + \frac{a_1}{n} \right) vx + nq\beta \quad (19)$$

(19) მიზნის ფუნქციის საფუძველზე განვსაზღვროთ მიწოდების ისეთი ოპტიმალური სიხშირე, რომლისთვისაც სადაზღვევო მარაგი ოპტიმალური იქნება. ამისათვის გავაწარმოოთ მიზნის ფუნქცია და მიღებული შედეგი გავუტოლოთ ნულს:

$$f'(n) = -\frac{a_1}{n^2} vx - \beta q = 0$$

განტოლების ამოხსნით მიიღება მიწოდების ოპტიმალური სიხშირე:

$$n^* = \sqrt{\frac{a_1 vx}{\beta q}} \quad (20)$$

მიწოდების მოცემული სიხშირისათვის (19) მიზნის ფუნქცია მინიმალურ მნიშვნელობას ღებულობს:

$$\min i(n) = a_0 vx + 2 \sqrt{a_1 vx \beta q}$$

(20) გამოსახულების ჩასმით (15) ფორმულაში მიიღება ოპტიმალური სადაზღვევო მარაგის ნორმა შენახვისა და შემოზიდვის ორგანიზების ხარჯების მინიმუმის კრიტერიუმით:

$V^* = t \left(a_0 + \sqrt{\frac{a_1 \beta q}{av}} \right)$ (21) სადაც არის სადაზღვევო მარაგის ოპტიმალური ნორმა დღეების მიხედვით. მიღებულ ფორმულაში დეფიციტის წარმოშობის ალბათობა t ნორმირებული გადახრით განისაზღვრება. ჩატარებული გათვლებიდან გამომდინარეობს რომ სადაზღვევო მარაგის ოპტიმიზაციის მიზნით მიწოდების სიხშირე უნდა დაიგეგმოს (20) გამოსახულების შესაბამისად, ამავე პირობებში მიწოდების დაგეგმილი სიხშირე განსაზღვრავს შემოსატანი პარტიის სიდიდეებს და შესაბამისად მიმდინარე მარაგის მაქსიმალურ ნორმას:

$$x = Q/n^* = Q / \sqrt{\frac{a_1 vx}{\beta q}} \quad (22)$$

სადაც, T — მიმდინარე მარაგის მაქსიმალური ნორმა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ მანქანათმშენებელი მრეწველობის საწარმოებში სადაზღვევო მარაგი არ იქმნება. სწორედ ამის შედეგია მასალების მწვავე უყმარობა, რომელსაც დარგის საწარმოები განიცდიან. ამასთან უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სამრეწველო საწარმოები ზარალდებიან არა ძირითადად მატერიალური რესურსების დეფიციტურობის, არამედ მომარაგების არარეგულურობისა და არორგანიზებულობის გამო. გაანგარიშებამ გვიჩვენა, რომ დეფიციტურ დღეთა წლიური რაოდენობა საშუალოდ ლითონების ერთ ნომენკლატურაზე შეადგენს 40—42 დღეს. ამ პირობებში საქონლური პროდუქციის გამოშვების გეგმები მთლიანად სრულდება. ეს იმას ნიშნავს რომ გავგაჩნია სიმძლავრეთა ეფექტური გამოყენებისა და შრომის მწარმოებლურობის ზრდის საკმარისად დიდი რეზერვი, რომელთა ამოქმედების ერთ-ერთი ძირითადი გზაა საწარ-

მომარაგის მართვის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის შექმნა, რომელშიც ვარკვეულ წვლილს შეიტანს ოპტიმალური სადაზღვევო მარაგის გაანგარიშება და პრაქტიკული დანერგვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კ. მ ა რ ქ ს ი. კაპიტალი, ტ. II, სახელგამი, თბ., 1957.
2. სკკპ XV ყრილობის მასალები, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1976.
3. Дж. Букан, Э. Кенинсберг. Научное управление запасами, «Наука», М., 1967.
4. И. Г. Венецкий, Г. С. Кильдишев. Основы математической статистики, «Госстатиздат», М., 1963.
5. Б. Л. Геронимус. Пути совершенствования планирования материально-технического снабжения народного хозяйства, «Наука», М., 1973.
6. В. Е. Гмурман. Теория вероятностей и математическая статистика, «Высшая школа», М., 1972.
7. Г. Л. Громыко. Статистические ряды в экономических и экономико-географических исследованиях, издательство Московского Университета, 1974.
8. К. В. Инютина. Нормирование производственных запасов с применением математико-статистических методов, «Статистика», М., 1969.
9. Г. Ю. Коробов, Г. А. Плинер. Совершенствование снабжения с применением ЭВМ. «Наука и Техника», Минск, 1973.
10. Л. Т. Кузин. Основы кибернетики, т. I, «Энергия», М., 1973.
11. Методологические основы определения потерь от дефицита материальных ресурсов в народном хозяйстве, ЦЕМИ АН СССР, М., 1970.
12. Э. С. Маркович. Курс высшей математики, «Высшая школа», М., 1972.
13. А. А. Пугачова. Статистика материально-технического снабжения и сбыта. «Статистика», Л., 1973.
14. Ю. И. Рыжиков. Управление запасами, «Наука», М., 1969.
15. «Типовая методика определения экономической эффективности капитальных вложений», «Экономика», М., 1969.
16. Н. Д. Фасоляк. Управление производственными запасами, «Экономика», М., 1972.
17. Хозяйственная реформа в СССР, «Правда», М., 1969.

Н. З. ЧАВЧАВАДЗЕ

ВНЕШНИЕ И ВНУТРЕННИЕ ФАКТОРЫ РАЗВИТИЯ КУЛЬТУРЫ

1. О СПЕЦИФИЧНОСТИ РАЗВИТИЯ КУЛЬТУРЫ

ნაშრომის ამ ნაწილში ყურადღება გამახვილებულია აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებში შრომის მწარმოებლურობისა და ანაზღაურების ზრდის ტემპთა თანაფარდობის საკითხებზე და დადგენილია, რომ მერვე ხუთწლიელში, შრომის გარანტირებული ანაზღაურების შემოღების შემდეგ, შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად უსწრებდა მისი ანაზღაურების ზრდის ტემპს (შენახამისად — 19,2% და 4,5%); მეცხრე ხუთწლიელში კი კოლმეურნეობებში შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპი შემცირდა, ხოლო შრომის ანაზღაურებისა გაიზარდა. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობებში მთლიანი პროდუქციის განაწილების პროპორცია 1971—1974 წლებში პრაქტიკულად არ შეცვლილა, ხოლო 1975 წელს შრომის ანაზღაურების ხვედრითი წონა მთლიან შემოსავალში კიდევაც შემცირდა. ამას, შრომის მწარმოებლურობის ზრდასთან შედარებით — ბელფასის გასწრებადი ტემპით

* ბ. ა. ა მ უ ბ. ა. შრომის ანაზღაურება კოლმეურნეობებში (რუს. ენაზე). რედაქტორი ი. ნ. ბუზღალოვი, სიხუმი, 1976, გვ. 109.

ზრდის პირობებში, ავტორი ხსნის კოლმეურნეობათა მთლიანი პროდუქციის სტრუქტურის გაუმჯობესებით. ამ ასპექტში სავსებით სწორია ავტორის დასკვნა შესახებ იმისა, რომ კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურებასთან შედარებით შრომის მწარმოებლურობის გასწრებადი ტემპით ზრდის პრობლემა უნდა წყდებოდეს არა კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების ზრდის შენეებით, არამედ მათი შრომის მწარმოებლურობის უფრო მაღალი ტემპის უზრუნველყოფით.

ნაშრომის ამ ნაწილში ყურადღება განაზვიადებულია შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების პრობლემაზე როგორც კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებისა და წარმოების ეფექტიანობის გადიდების უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე. ავტორის აზრით, რესპუბლიკის კოლმეურნეობებში შრომის რესურსების უფრო სრულად გამოყენებისა და ამ საფუძველზე საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი პირობაა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების შემდგომი სრულყოფა. აქ მთავარია ის, რომ შრომის ანაზღაურების ფორმებში რაც შეიძლება სრულად იქნას მხედველობაში მიღებული შრომის საბოლოო შედეგები მისი რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით.

მეორე თავში — „მატერიალური სტიმულირება და კოლმეურნეობებში გამოყენებული შრომის ანაზღაურების ფორმათა ეკონომიკური შეფასება“ — განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა კოლმეურნეობების ხელშემდგენელ მუშაეთა შრომის ანაზღაურების სპეციფიკა და თავისებურებანი თანამედროვე ეტაპზე, შრომის დამატებითი ანაზღაურება, წმინდა შემოსავლიდან მატერიალური წახალისების მნიშვნელობა და სხვ.

ნაშრომში ახსნილია საერთოდ ჩვენი ქვეყნის და, კერძოდ, აფხაზეთის სოფლის მეურნეობაში შრომის ნარდობლივი ანაზღაურების ფართოდ გავრცელების მიზეზები, დაახასიათებულა მისი სხვადასხვა სახე, როგორცაა: ინდივიდუალური, წვრილჯგუფური, რაგოლური, ბრიგადული; განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შრომის სანარდო ანაზღაურების აკორდულ-პრემიული სისტემის დახასიათებას, რომელიც უკანასკნელ პერიოდში ფართოდ გამოიყენება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ნაშრომში, აფხაზეთის ასსრ სხვადასხვა წარმოებრივი მიმართულების კოლმეურნეობათა ეკონომიკური საქმიანობის მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ შრომის ანაზღაურების აკორდულ-პრემიული სისტემა უზრუნველყოფს წარმოების საბოლოო შედეგებით კოლმეურნეთა მაღალ მატერიალურ დაინტერესებას. აქვე ავტორი სავსებით სწორად შენიშნავს, რომ ამ სისტემის შეხამება დროით ავანსირებასთან, განსაკუთრებით — ეკონომიკურად ძლიერ კოლმეურნეობებში, სავსებით სწორი და პროგრესული ღონისძიებებია. პერსპექტივაში სოფლის მეურნეობაში შრომის ანაზღაურების ასეთი სისტემა უდავოდ ფართოდ გავრცელდება, რამდენადაც ერთ და იმავე მეურნეობაში ერთი და იმავე კულტურის მოყვანისათვის საჭირო სამუშაოთა წლიური მოცულობა დამოკიდებულია მუშაეთაგან დამოუკიდებელ ობიექტურ ფაქტორთა მთელ წრეზე (გვ. 65).

ნაშრომში კარგადაა გაშუქებული კოლმეურნეობებში შრომის დამატებითი ანაზღაურების საკითხები. კოლმეურნეობრივი წარმოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როგორც ავტორი წერს, ეკონომიკურად დასაბუთებული თითოეული მეურნეობის შესაბამისი შრომის გარანტირებული ანაზღაურების შეხამება დამატებით ანაზღაურებასთან შრომის მიხედვით განაწილების ეკონომიკური კანონის მოთხოვნათა უფრო სრულად რეალიზაციისა და კოლმეურნეობრივი წარმოების აღმავლობით მუშაეთა მატერიალური დაინტერესებულობის გაძლიერების უმნიშვნელოვანესი პირობაა. ამასთან, რესპუბლიკის კოლმეურნეობებში შრომის დამატებითი ანაზღაურების სისტემის გამოყენებას ზოგიერთი ნაკლოვანება გააჩნია, მათ შორის მთავარია წარმოების შედეგების ცალმხრივი გათვალისწინება, კერძოდ ის, რომ წახალისების, მაგალითად, მხედველობაში არ მიიღება წარმოების დანახარჯები, რაც მუშაკებს სათანადოდ არ ასტიმულებს წარმოების ყველა ფაქტორის რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენებაში. ასევე, სათანადოდ არ არის გათვალისწინებული პროდუქციის ხარისხიც. ამასთან, შრომის დამატებითი ანაზღაურების მოქმედი სისტემა ვერ უზრუნველყოფს მეურნეობათა ხელშემდგენელობას და სპეციალისტების მისწრაფებას გეგმიური დაგეგმვა შეასრულონ ყველა დარგის მიხედვით. საქმარისა შესრულებს მთლიანი პროდუქციის წარმოების გეგმა, რომ მათ დამატებითი წახალისება მიიღონ. აღნიშნული და სხვა ნაკლოვანებების გამო დამატებითი ანაზღაურების მოქმედი სისტემა მნიშვნელოვან კორექტივებს საჭიროებს.

დახასტრულს, ავტორი დაასკვნის, რომ კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების პრაქტიკის თანმიმდევრული სრულყოფა და საზოგადოებრივი, კოლექტიური და პირადი ინტერე-

სების ოპტიმალური შეხამება სოფლის მეურნეობის წინაშე სკკპ XXV ყრილობის მიერ დაუენებელი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ნაშრომის მიმართ გვაქვს ზოგიერთი შენიშვნა. პირველ რიგში ეს შეეხება წიგნის სახელწოდებას, რომელიც ინსტრუქციული ხასიათისაა და სრულად ვერ ასახავს მის შინაარსს. შენიშვნას იმსახურებს წიგნის სტრუქტურაც, მაგალითად: პირველ თავში განხილულია გარანტირებული ანაზღაურება კოლმეურნეობებში, ხოლო მეორე თავში — შრომის ანაზღაურება კოლმეურნეობებში; აჭობებდა კი — პირიქით.

მე-15 გვერდზე არის ცხრილი სათაურით — „აფხაზეთისა და საქართველოს ოჯახების ერთობლივი შემოსავლის სტრუქტურის ცვლილება“, ფაქტურად ცხრილში არ არის შეხება მისი მონაცემები ცალ-ცალკე აფხაზეთსა და მთლიანად საქართველოსზე; ამასთან, გაურკვეველია, ცხრილში მოტანილი მონაცემები აფხაზეთს ეკუთვნის. თუ მთლიანად საქართველოს.

72-ე გვერდზე ავტორი წერს „შრომის მიხედვით განაწილების ეკონომიკური კანონის უფრო სრული რეალიზაციის შესახებ“; ეკონომიკური კანონის რეალიზაცია, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, — უნდა იყოს მისი მოთხოვნების რეალიზაცია; ამასთან, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში სადასკუსიოა საკითხი შესახებ იმისა: შრომის მიხედვით განაწილება ეკონომიკური კანონია თუ პრინციპი. კარგი იქნებოდა სარეცენზიო ნაშრომის ავტორს ამ საკითხზე თავისი შეხედულებები გადმოეცა.

ნაშრომში წამოყენებულია საინტერესო მოსაზრებები შრომის ანაზღაურების სისტემის, საერთოდ, განაწილებითი ურთიერთობის შემდგომ სრულყოფის შესახებ კოლმეურნეობებში; საჭირო იყო ავტორს ეს ღონისძიებანი დასკვნების ან რეკომენდაციების სახით დაერთო ნაშრომისათვის.

მთლიანად ნაშრომი მაღალმეცნიერულ დონეზეა შესრულებული და მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს შესაბამისი დარგის მუშაკებს.

რ. გოგობიძე

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ეკონომიკისა და საშრომლის ინსტიტუტმა



ОРИГИНАЛЬНОЕ И СОДЕРЖАТЕЛЬНОЕ ИССЛЕДОВАНИЕ

В современной буржуазной философии, особенно в тех ее направлениях, где на первом плане оказываются вопросы человека, общества и истории, проблема времени («временности») приобрела первостепенное значение, превратившись в центральную и узловую. Одним из таких направлений является экзистенциализм, в котором проблема времени с самого его возникновения заняла центральное место. Основная работа родоначальника этого направления М. Хайдеггера «Бытие и время» (1927 г.), по существу, посвящена разработке вопроса о времени «как горизонте бытия». Это обстоятельство, естественно, вызывает интерес к выяснению своеобразия постановки и трактовки проблемы времени в философии М. Хайдеггера с критических позиций.

В этом плане несомненный интерес представляет монографическая работа Г. Т. Маргвелашвили «Сюжетное время и время экзистенции»¹, вышедшая в свет под редакцией кандидата философских наук В. Г. Гогобершвили. Она продолжает, дополняет и углубляет разработку вопросов, которые были предметом специального рассмотрения автора в серии публикаций последних лет.

Рецензируемая книга Г. Т. Маргвелашвили состоит из введения, трех глав и заключения, где подводятся основные итоги исследования. Кроме того, дано резюме на немецком языке. Работа имеет четкую структуру, охватывает круг основных вопросов, связанных с проблемой сюжетного времени и времени экзистенции. Теоретический анализ выдвинутых в работе Г. Т. Маргвелашвили вопросов ведется на высоком профессиональном уровне, с хорошим знанием источников.

Работа примыкает к разряду критических исследований, дающих проблемную критику экзистенциализма — одного из ведущих направлений современной буржуазной философии. Тема, вынесенная в название книги, а также названия глав и разделов показывают своеобразие авторского подхода к исследуемой проблеме.

В вводной части работы автор кратко разбирает понятие экзистенциального времени и временного поля в экзистенциальной онтологии М. Хайдеггера. Остановившись на известной хайдеггеровской формулировке «время — горизонт понимания бытия», автор правильно замечает, что время характеризуется Хайдеггером не только как движение и процесс, но еще и как «своеобразная», первичная пространственность экзистенции, в пределах которой могут только открываться само пространство и все бытие» (стр. 6). В связи с этим автор ставит себе задачей показать, что время экзистенции — это время, ограниченное по своей обозримости и прозрачности. Этот недостаток экзистенциального времени можно преодолеть, согласно автору, с помощью сюжетного времени языка и речи, являющегося в зримостном смысле неограниченным.

Раскрывая хайдеггеровское понятие временного поля и характеризуя сюжетное время как проблему экзистенциальной аналитики, Г. Т. Маргвелашвили обращает внимание на имеющиеся в книге «Бытие и время» ссылки на понятие своеобразной временной пространственности, лежащей в основе понятия экзистенции у Хайдеггера. При этом автор отмечает, что руководящим принципом при разработке понятия между содержаниями экзистенции и языка (экзистенции), ибо оба вида содержания даются в специфическом обозреваемом времени, т. е. в таком времени, где каждый экзистенциальный и каждый сюжетный факт локализуется и рассматривается на своем оп-

¹ Г. Т. Маргвелашвили. Сюжетное время и время экзистенции. Тбилиси, «Мецниереба», 1976, 73 стр.

ределенном месте» (стр. 9). Это весьма уместное замечание, устранившее недоумение, вызываемое на первых порах названием книги «Сюжетное время и время экзистенции», ибо в терминологическом аппарате экзистенциальной онтологии, как известно, нет понятия сюжетного времени. В отличие от психологического времени, которое просто переживается, время сюжетного факта, согласно астуру, — это время, в котором такой факт воображается или представляется на своем определенном месте в общереальном поле сюжета. Это место всецело зависит от внутренне-временной структуры сообщаемого содержания. Оба вида времени — экзистенциальное и сюжетное — имеют, прежде всего, то общее, что они пространственны. Но по своей обозримости время экзистенции представляет собой более ограниченное поле зрения, потому что его содержание доступно лишь одному экзистенциальному «я». Сюжетное время, наоборот, представляет собой неограниченную обозримость, так как содержание этого времени — это содержание языковой информации и как таковое доступно всем экзистенциальным «я».

Как известно, Хайдеггер в книге «Бытие и время» возможность анализа временной конституции речи и объяснения всех временных характеристик языковых фактов ставит в зависимость от предварительной разработки основополагающей взаимосвязи между бытием и истиной как проблемы временности. Хайдеггер, согласно автору, просто констатирует структурную зависимость речи от первоначальной открытости экзистенции, но не учитывает, что речь обладает своей сюжетной временностью. Выявив этот недостаток экзистенциальной аналитики Хайдеггера, Г. Т. Маргвелашвили считает, что «анализ сюжетной временности речи может составлять часть исследования взаимосвязи между бытием и истиной» (стр. 11). Более того, без учета сюжетной временности речи такое исследование не может быть успешным. Таким образом, отсутствие четкого понятия сюжетного времени ставится в упрек экзистенциальной онтологии. В этой связи Г. Т. Маргвелашвили отмечает: «Как специфическое измерение наибольшей прозрачности и обозримости экзистенции сюжетное время — одно из тех понятий, с помощью которых устанавливается экзистенциальная истина (истинность экзистенциальной информации), а в этом смысле оно имеет прежде всего отношение к экзистенциальной онтологии как философии о взаимосвязи между временем и бытием» (стр. 11).

Во второй главе своей монографии автор последовательно разбирает вопросы о структурной общности и различиях между временем экзистенции и сюжетным временем, характеризует отсутствие понятия языка в экзистенциальном анализе как недостаток последнего, выявляет зримостное качество экзистенциального времени как недостаточное основание для подлинности экзистенции.

Памятуя о теме, вынесенной в название рецензируемой работы, здесь интересно остановиться на некоторых констатациях и выводах, которых делаются автором. Так, весьма интересна параллель, проводимая автором между экзистенциально-онтологическим понятием временного поля как структурного основания экзистенции и временным полем в художественных сюжетах. Сюжетное время характеризуется автором как интересубъективное. «Это значит, — пишет Г. Т. Маргвелашвили, — что сюжетное время, как экзистенциальное время, способно свести разные «я» на основании своей специфической растяженности» (стр. 16). Сюжетное время, будучи интересубъективным, не является и объективным временем. Посредством этого времени можно выражать объективные факты, но само оно не идентично этим фактам.

Характеризуя экзистенциальное время, автор отмечает, что экзистенциальное поле прозрачно и до конца обозримо только для самого обладателя этого поля. И обладатель экзистенции может открываться другим только посредством сюжетного поля языка и речи, ибо оно в несравненно большей степени открыто для обозрения, чем экзистенциальное. Разбирая рассуждения позднего Хайдеггера по данному вопросу, автор отмечает, что и для него наибольшего обозрения человек достигает в сюжетах поэтического языка, в которых мир виден в единстве четверицы (Geviert): земли, неба, бессмертных и смертных. Вместе с тем Хайдеггеру делается упрек, что в его

рассуждениях нет анализа самого языка как зримостной структуры сравнительно с экзистенцией.

Оба вида времени — сюжетное и экзистенциальное — должны, согласно автору, дополнять друг друга, ибо только их единством создается полностью обозреваемый план экзистенции. В связи с этим Г. Т. Маргвелашвили делает следующее критическое замечание: «Из-за отсутствия у Хайдеггера полного понятия экзистенции как сложной зримостной структуры, т. е. понятия, построенного с учетом зримости сюжетного поля, социальная сущность экзистенции, ее конституирующая специфика как совместное бытие с другими экзистенциями (*Mitsein*) осталась в экзистенциальной аналитике раскрытой не до конца» (стр. 25).

Рассуждения Хайдеггера о языке автор справедливо считает слишком онтологичными. Именно такой чрезмерно онтологизированный подход Хайдеггера к языку не дал ему возможности оценить по достоинству то большое структурное значение, которое имеет сюжетное (языковое) поле для полной прозрачности экзистенции. Недостатки экзистенциально-онтологического учения о зримости экзистенции обнаруживаются особенно ясно, когда Хайдеггер пытается подкрепить свои положения посредством интерпретации художественных произведений, в частности, софокловской драмы «Царь Эдип».

В третьей и четвертой главах монографии софокловская трагедия «Эдип-царь» рассматривается в связи с проблематикой зримостной структуры времени экзистенции и сюжетного времени. Трагедия интерпретируется автором как трагедия непрозрачности экзистенциального времени.

В интерпретации Хайдеггера смысл трагедии «Эдип-царь» Софокла заключается в снятии покрыва с бытия (*Seinsenthüllung*). Рассматриваемая на онтологическом уровне, драма интересует Хайдеггера в той мере, в какой в ней отражен доплатоновский логос бытия как *aleteia*. С другой стороны, доплатоновское мировоззрение призвано при этом играть роль своего рода первоисточника его экзистенциальной онтологии в историческом плане. Хайдеггера не интересует конкретная проблема раскрытия экзистенции Эдипа и ее подлинной временной прозрачности для самой себя.

Возражая Хайдеггеру, Г. Т. Маргвелашвили считает, что время в трагедии «Эдип-царь» выступает в качестве одного из основополагающих структурных компонентов. Хайдеггеру делается упрек, что его «анализ проводился без учета конкретного структурного смысла трагедии Эдипа, т. е. смысла, заключающегося в противоречии между экзистенциальным и сюжетным временами как в корне различными зримостными уровнями экзистенции» (стр. 36). В этой связи автор разбирает существующие онтологические интерпретации трагедии и вскрывает их недостатки. В отличие от Хайдеггера и других интерпретаторов, основной темой софокловской драмы «Эдип-царь» автор считает не только бытие, но и зримостную ограниченность экзистенции и проблему ее преодоления. Средством же преодоления зримостного предела экзистенции, согласно автору, является сюжетное время, выражаемое в языке и речи экзистенции и превращающее экзистенциальное время в беспредельную обозримость. В ходе анализа хайдеггеровской интерпретации и самой драмы, Г. Т. Маргвелашвили сюжетное время выявляет как то время, отсутствием которого порождаются трагические действия в драме. В драме каждое действующее лицо прозрачно лишь для самого себя — в плане экзистенциального времени. Ввиду отсутствия обоюдной экзистенциальной информации действующие лица не прозрачны друг для друга в плане сюжетного времени. И как результат: Эдип становится невольным убийцей своего отца Лая и мужем своей матери Иокасты. Таким образом, в противоположность Хайдеггеру Г. Т. Маргвелашвили выявляет прозрачность сюжетного времени как определяющий фактор и в древнегреческом структурном понятии *соприсутствия бытия* (*parhousia*). Предпринятый критический анализ позволяет автору установить большое значение, которое имеет сюжетное время как оптимальная зримостная структура экзистенции для экзистенциальной проблематики, а его недооценку Хайдеггером — как существенный недостаток экзистенциальной онтологии.

Монография Г. Т. Маргвелашвили «Сюжетное время и время экзистенции» оставляет хорошее впечатление как серьезное и содержательное исследование. Именно как таковая она настраивает на высказывание некоторых пожеланий.

В терминологическом аппарате экзистенциальной онтологии, как известно, нет понятия «сюжетное время». Но в монографии утверждается, что в книге «Бытие и время» Хайдеггера понятие экзистенциального времени разрабатывается с некоторым учетом сюжетного мышления, что о взаимосвязи между экзистенциальным и сюжетным временами в этой книге можно заключить косвенно (стр. 26). В этой связи автору следовало бы, как нам кажется, свой анализ вести с большим учетом значимости экзистенциала «сообщение» (Mitteilung), весьма своеобразно толкуемого Хайдеггером в корреляции с другими экзистенциалами. Далее. Так называемый «поворот» (Kehre) — это не только цезура между ранним и поздним Хайдеггером, но и в определенном смысле характеристика философии позднего Хайдеггера. Если в работе «Бытие и время» Хайдеггер исходил из человека как Dasein и хотел прийти к бытию, то после «поворота» философ исходит из бытия и хочет прийти к человеку. Соответственно совершается переход от понимания языка как экзистенциальной речи к его экзистенциально-агетейологическому истолкованию. Нельзя сказать, что Г. Т. Маргвелашвили вовсе не считается с этим обстоятельством. Хотя и после «поворота» человек остается местом открытости бытия, автору следовало бы, на наш взгляд, вести свой анализ с большим учетом того, что он после «поворота» не является исходным пунктом, каковым у позднего Хайдеггера выступает истина бытия. Но из-за отсутствия соответствующего акцентирования этого критического смысла может создаться впечатление, что проведенный автором критический анализ носит имманентный характер. Смысл противопоставления рассматриваемой тематики марксистско-ленинскому решению тех же вопросов в данной работе следовало бы выдвигать на первый план.

Подытоживая наш анализ, мы можем сказать, что монография Г. Т. Маргвелашвили — оригинальное, содержательное исследование весьма сложной проблемы. Логическая стройность изложения, высокая актуальность рассматриваемых вопросов делают книгу Г. Т. Маргвелашвили определенным вкладом в дальнейшее критическое исследование буржуазной философии ФРГ.

И. ПШИГОТИЖЕВ

Представлена Институтом философии АН Грузинской ССР



ძრონისკა და ინფორმაცია

თანამედროვე ცხოვრება, კომუნისმის მშენებლობის ამოცანები ახალ, გაზრდილ მოთხოვნებს აუენებს მეცნიერების ყველა სფეროს მუშაისა და, მათ შორის, საბჭოთა ფილოსოფიის წინაშე. სწორედ ამ მაღალი მოთხოვნებიდან გამოდის საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, როცა შეისწავლა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის მუშაობა და 1978 წლის 30 ოქტომბერს მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის მუშაობის შესახებ“. ჩვენი ინსტიტუტის ცხოვრებაში ეს ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო და, ბუნებრივია, აქედან სათანადო დასკვნა გაკეთდა.

აღნიშნულ დადგენილებაში მითითებული იყო რიგი ნაკლოვანებანი, კერძოდ, ნაქცავი იყო, რომ ჩვენს სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ზედმეტად დიდი ადგილი ეთმობოდა ისტორიულ-ფილოსოფიურ და კრიტიკულ შრომებს, რომ ნაკლებად მუშავდებოდა პოლიტიკურ-კონსტრუქციული შრომები. ფილოსოფიის ინსტიტუტმა, ამ ნაკლის გამოსწორების მიზნით, გარკვეული ნაბიჯი გადადგა არა იმ მხრივ, რომ შეენელებინა ყურადღება ფილოსოფიის ისტორიისა და ბურჟუაზიული ფილოსოფიის კრიტიკის პრობლემებზე, პირიქით, გაღრმავდა და გაძლიერდა ამ საკითხების კვლევა, ოღონდ ეს მიჩნეულია არა თვითმიზნად, არამედ — თანამედროვე პოლიტიკური პრობლემების დამუშავების საშუალებად.

დღევანდელ პირობებში, ფილოსოფიური აზრის შემდგომი განვითარებისა და ფილოსოფიური კვლევის პრობლემათა შორის, უპირველესია ადამიანის შესწავლა, რადგან საკითხ ადამიანის არსის შესახებ, — თუ რა არის ადამიანი, როგორი უნდა იყოს ახალი, კომუნისმის მშენებელი ადამიანი, როგორ უნდა მოხდეს მისი ყოველმხრივი განვითარება, — ჩვენთვის უშუალო და არსებითი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ამას მტკიცებებს ის, რომ, საერთოდ, ადამიანის პრობლემა, კერძოდ კი, ადამიანის კეთილდღეობის ამოღებისა და ახალი, ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის ჩამოყალიბების საკითხი მუდამ არის ღრუნური პარტიის მზრუნველობის საგანი და მას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სსკპ XXIV და XXV ყრილობებზე.

ფილოსოფიის ინსტიტუტის მეცნიერთა მიერ ახალი ადამიანის ფორმირების პრობლემათა კვლევა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ რესპუბლიკაში მიმდინარე საზოგადოებრივი გარდაქმნების წარმატებით განხორციელების საქმეში. ამიტომაც გადახალისდა ჩვენი სამეცნიერო მუშაობა და ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით გეგმაში შეტანილია ამ პრობლემათა შესწავლა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი ფილოსოფიის ინსტიტუტის მუშაობისა, რაც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში იყო აღნიშნული, იმაში მდგომარეობდა, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში არ ჩანდა მკვეთრად გამოკვეთილი სტრატეგიული ხაზი, რომლისკენაც უნდა ყოფილიყო მიმართული ინსტიტუტის ყველა განყოფილებისა და ყველა მეცნიერ თანამშრომლის მუშაობა, რომელიც განსაზღვრავდა ინსტიტუტის პროფილს და ადგილს საბჭოთა კავშირის ფილოსოფიურ კოლექტივებს შორის.

ინსტიტუტმა შეიმუშავა და ამჟამად სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა ძირითადი სტრატეგიული გეგმის მიხედვით, რომელიც მოიცავს პრობლემებს ადამიანი-კულტურა-ღირებულებები. ფილოსოფიის ინსტიტუტის წინაშე ასეთი ამოცანის დასმა მრავალი მოტივით არის გაპირობებული, რომელთაგან უმთავრესია სამი მიზეზი: **ქ ე რ თ ი**, ინსტიტუტში ამ მიმართულებით ნაწილობრივ ადრეულ პერიოდშიც მიმდინარეობდა მუშაობა; **მ ე ო რ ე**, ეს სწორედ ღრმა ფილოსოფიური პრობლემატიკაა, რომლის დამუშავებაც საესებით შეესაბამება მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის განვითარების თანამედროვე ეტაპს. და **ბ ო ლ ო ს**, სწორედ ამ პრობლემატიკას აქვს არსებითი მნიშვნელობა ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე სოციალურ გარდაქმნათა წარმატებით განხორციელებისათვის.



აღნიშნული მიმართულებით მუშაობის გარდაქმნისათვის ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ საქართველოს კვების დადგენილებისთანავე მიიღო საქროო წოყბობა: დაწესდა ინსტიტუტის 1974 და 1975 წლების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმები, ხოლო ინსტიტუტის 1976—1980 წლების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმა აგებული იქნა ამ ძირითადი სტრატეგიული ამოცანის მიხედვით; ამასთან, გეგმა შემდეგი ძირითადი პრობლემებისა და თემების დამუშავებას ითვალისწინებს:

- I კომუნისტური ფორმაციის ჩამოყალიბებისა და განვითარების პრობლემები;
 1. კულტურის თეორიის ძირითადი პრობლემები,
 2. მორალის ადგილი და მნიშვნელობა კომუნისმის მშენებლობაში,
 3. მეცნიერული კომუნისმისა და მარქსისტული სოციალოგიის აქტუალური პრობლემები.
4. ადამიანის არსი და ახალი ადამიანის ფორმირება;

II დიალექტიკის თეორიის პრობლემები:
კატეგორიები, როგორც ყოფიერების უზოგადეს განსაზღვრულობათა ახახვა, მათი შემეცნებითი ღირებულება და მეთოდოლოგიური მნიშვნელობა;

III თანამედროვე მეცნიერების მეთოდოლოგიისა და ლოგიკის საკითხები:
დასახუთებათა საშუალებები;

IV მარქსისტულ-ლენინური მეშკვიდრება და ესთეტიკური აზრის განვითარება:
ესთეტიკური ღირებულება და ადამიანი;

- V თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის კვლევა და კრიტიკული ანალიზი:
 1. პიროვნებისა და კულტურის ბურჟუაზიული კონცეფციების კრიტიკა,
 2. ანტიკომუნისმისა და რევოიონისმის თეორიების კრიტიკა;

VI საბჭოთა კავშირის ხალხთა ფილოსოფიური აზრის ისტორია:
ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების პრობლემები.

გარდა ამისა, ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მთარგმნელობით მუშაობას: თარგმნილი იქნება ფილოსოფიის კლასიკოსთა შრომები.

საქმად დიდი მუშაობა ჩატარებული საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილების შემდგომ პერიოდში, ინსტიტუტის თანამშრომელთა მეცნიერულ-პოპულარული შრომების პუბლიკაციის მიმართულებით.

ამ ხნის განმავლობაში გამოქვეყნდა მონოგრაფიები, დაიბეჭდა კრებულები: ო. ჯიოვეი — ისტორიის მატერიალისტური გაგება და ბურჟუაზიული ფილოსოფია (რუს. ენაზე). შ. ადგიშვილი — კიბერნეტიკის ფილოსოფიური მნიშვნელობა (რუს. ენაზე); გ. ბანქელაძე — ადამიანის ღირსების ცნება მარქსისტულ-ლენინურ ეთიკაში; ო. ტაბიძე — ქვეთარმეცნიერების ფილოსოფიური საფუძვლები; დ. დანელია — ირაციონალისტური ნაკადი თანამედროვე ბურჟუაზიულ კულტურაში; კულტურა და სოციალიზმი (კრებული, რედაქტორი ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი ო. ჯიოვეი); ე. შენაბდიშვილი — ეროვნულ ურთიერთობათა ადგილი შრომითი კოლექტივის სოციალურ სტრუქტურაში; ჯ. ლომთათიძე — შრეწველობის მუშაკის ცხოვრების წესი; გ. შაჩიტაძე — სავანი-თვისება-მიმართება; გ. ჯიბუტი — ინდივიტუი დასკვნის ბუნებისათვის; ა. ბეგიაშვილი — ნეოპოზიტოვიზმი და ეგზისტენციალიზმი; გ. ცინცაძე — გაგების მეთოდი ფილოსოფიაში და პიროვნების პრობლემა; ა. პოპიაშვილი — ფიქტის ეთიკური იდეალიზმის მარქსისტული კრიტიკისათვის; გ. შარველაშვილი — სიუჟეტური დარო და ეგზისტენციის დაროლობა; რ. ბალანჩივაძე — ადამიანი, თავისუფლება, პასუხისმგებლობა; გ. ბანქელაძე — მალაზნეობრივი კულტურის დამკვიდრებისათვის; თ. ბუაჩიძე — ჰეგელი და ფილოსოფიის არსების პრობლემა; ლ. ცერცვაძე — ფროიდის ხელოვნების თეორიის კრიტიკა.

გარდა აღნიშნულისა, ინსტიტუტის თანამშრომლებმა სოციალისტური ვალდებულებებით მოამზადეს შემდეგი კრებულები, ბროშურები და სტატიები: სტატია — შეიქცევის სოციალოგიის საკითხები კ. მეგრელიძის შრომებში, სტატია — ფილოსოფია საქართველოში; ბროშურები — ზენობრივი აღზრდის აქტუალური პრობლემები; მარქსისტული ეთიკა ადამიანის დანიშნულების შესახებ; კრებული — კულტურა როგორც ფილოსოფიური კვლევის საგანი (რედაქტორი ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი თ. ბუაჩიძე) კრებული — დიალექტიკა, ლოგიკა, შემეცნების თეორია (რედაქტორი ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი ნ. ჭავჭავაძე) სტატია — ფილოსოფია და ცხოვრება; წიგნი — შემეცნების დიალექტიკური ბუნება; ბროშურა — ხელოვნება და ცხოვრება; ბროშურები — ადამიანის პრობლემა ფილოსოფიაში; ნეგატიური მოვლენები საზოგადოებრივ ცხოვრებაში და კულტურა; ადამიანის ღირსება; რწმენა და ცოდნა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის მიხედვით; ვ. ი. ლენინი ნების თავისუფ-

ლებს შესახებ; რა არის მეცნიერული შეშენების ღოგა; „ლოკალური ცივილიზაციის სწრაფობის კრიტიკა; ნ. მარტანის ესთეტიკური თეორიის კრიტიკა.

მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარებული ინსტიტუტის თანაშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების საბაზისებზე: 1975 წელს სადოქტორო დისერტაციები დაიცვეს: გ. ცინცაძემ, ვ. გოგობერიშვილმა და ვ. კაკაბაძემ; საკანდიდატო დისერტაციები — ლ. ცერცვაძემ. ზ. ტაბლიაშვილმა გ. გოგობერმა ა. პობიაშვილმა; ხოლო 1976 წელს — დ. ზუმბაძემ.

საინსტიტუტო მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა სამეცნიერო სესიების მოწოდება და მათში მონაწილეობა. 1974 წელს ნოემბერში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და განვითარებული სოციალისტური საზოგადოება“, რომელიც მიაწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა, აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიისა და სამართლის ინსტიტუტმა და სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიისა და სამართლის ინსტიტუტმა. მასში მონაწილეობდნენ ინსტიტუტის თანაშრომლები: ნ. ქავჭავაძე, ჯ. კაკაბაძე, ო. ჭიოგვი, ქ. ლომთათიძე, ე. მენაბდეშვილი, ზ. ტაბლიაშვილი.

ქ. მოსკოვში საკავშირო ფილოსოფიური საზოგადოების მიერ აღმანიშნულ პარობლემებზე სადმი მიძღვნილი სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ინსტიტუტიდან: ნ. ქავჭავაძემ, თ. ბუაჩიძემ, ა. ბრეგვაძემ, რ. ბალანჩივაძემ, ზ. კაკაბაძემ, ვ. კაკაბაძემ, ო. ჭიოგვი, გ. ბანძელაძემ.

1975 წელს ივნისში ქ. ერევანში ჩატარდა სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების ფილოსოფიის ინსტიტუტების სამეცნიერო სესია თემაზე: „ფილოსოფია და მეცნიერების მეთოდოლოგიური საკითხები“, მოხსენებები წაიკითხეს ნ. ქავჭავაძემ, თ. ბუაჩიძემ, ო. ჭიოგვი, ს. ავალიანმა, ო. ჭულევი, ნ. გოგობერმა.

1976 წელს აპრილში ჩატარდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის არსებობის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. ამავე წელს ოქტომბერში შედგა ივ. ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. ამავე წელს დეკემბერში ქ. ბაქოში ჩატარდა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების ფილოსოფიის ინსტიტუტების მესამე საერთო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ამიერკავკასიის ხალხთა ფილოსოფიური აზრის განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში“. მოხსენებები წაიკითხეს ჩვენი ინსტიტუტიდან ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორმა შ. ხიდაშელმა და მ. მახარაძემ.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო (ხელმძღვანელი ფილოსოფიურ მეც. კანდ. გერ. შუშანაშვილი), რომელმაც, 1974 წელს შრომის წითელი დროშის ორდენისანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოსთან ერთად, ჩატარა სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი ი. კანტის დაბადების 250 წლისთავისადმი. 1976 წელს სამეცნიერო სესია მიძღვნა ე. ფენელის წიგნის — „რელიგიური ფილოსოფია და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული“ — გამოსვლის 90 წლისთავს. მიმდინარე წელს ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭომ შრომის წითელი დროშის ორდენისანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოსთან ერთად ჩატარა სამეცნიერო სესია მიძღვნილი ქართველი ფილოსოფოსის პროფ. ს. წერეთლის დაბადების 70-ე წლისთავისადმი. მიმდინარე წელსვე, ინსტიტუტის ალკ ორგანიზაციასთან ერთად, ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭომ ჩატარა სესია თემაზე: „სულიერ ღირებულებათა პრობლემა განვითარებული სოციალიზმის დროს“.

ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო აწუბს საბჭოთა და საზღვარგარეთელი ავტორების ფილოსოფიური შრომების განხილვას. საბჭოს მუშაობა მუდამ არის ინსტიტუტის პარტიული ბიუროსა და სამეცნიერო საბჭოს ყურადღების ცენტრში, მის მუშაობაში ხისტემატურად მონაწილეობენ აკად. ა. ბოქორიშვილი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორები: ნ. ქავჭავაძე, გ. ბანძელაძე, ზ. კაკაბაძე ო. ჭიოგვი.

ინსტიტუტის მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მასებისათვის ფილოსოფიური ცოდნის გადაცემის ისეთი მეთოდის გამოყენებას, როგორცაა გამსვლელი სამეცნიერო სესიებისა და თეორიული კონფერენციების ჩატარება, სადაც შექმნილია საკითხები: მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის აქტუალური პრობლემები, ფილოსოფიური აზრის განვითარება საქართველოში, ფილოსოფია და თანამედროვეობა, დიალექტიკური მატერიალიზმისა და ლოგიკის აქტუალური საკითხები, მშრომელთა ზნეობრივი აღზრდის ამოცანები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე. დიდი ადგილი უძირავს ჩვენს მუშაობაში,



აგრეთვე, ლექციურ პროპაგანდას მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, ეთიკის აქტუალურ საკითხებზე.

ფილოსოფიის ინსტიტუტის ცხოვრებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა მიმდინარე წელს აპრილში ინსტიტუტის ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილების (განყოფილების გამგე აკად. ა. ბოჭორიშვილი) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგების მოსმენა ფურნალ „ვობროსი ფილოსოფიის“ რედაქციისა და ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე, სხდომაზე მოიხილა განყოფილების გამგის აკად. ა. ბოჭორიშვილის; განყოფილების წევრების: ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის ო. ტაბაძის, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატების — ა. ბრეგაძისა და ვ. კაკაბაძის მოხსენებები. სხდომაზე მოხსენებთა ირავლივ სიტყვებით გამოვიდნენ ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორები: ა. ცივინტია, წ. კაკაბაძე, ო. ჭიოციანი, გ. ჭავჭავაძე, გ. თევზაძე, ტ. ნიჭერმანი, ბ. გრაგორიანი, ა. მისლიჩენკო, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილების მუშაობის შედეგების მოსმენის საფუძველზე გამოიქვეყნა აზრი, რომ განყოფილების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისას წამოიჭრება რიგი სადაო საკითხებისა, რომლებიც მოქცეულა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიური პრობლემატიკის სფეროში.

ფილოსოფიის ინსტიტუტის სათანადო ყურადღებას უთმობს, ფილოსოფიურ პრობლემათა კოორდინირებული კვლევა-ძიების მიზნით, სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან კავშირის დამყარებას. ჩვენი ინსტიტუტის კულტურის განყოფილებამ (ხელმძღვანელი, ფილოსოფიურ მეცნ. დოქტ. ო. ჭიოციანი) დაამყარა კონტაქტი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოების კულტურისა და სულიერი ცხოვრების შემსწავლელ სექტორთან; შემუშავდა ერთობლივი მუშაობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს კულტურის პრობლემათა ერთობლივ კვლევას.

ინსტიტუტში, განყოფილებებს შორის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კოორდინაციის ამაღლების მიზნით, გარკვეული სტრუქტურული ცვლილებები გატარდა. შეიქმნა ოთხი სექტორი, რომლებშიც გაერთიანდა თერთმეტი განყოფილება. დიალექტიკური მატერიალიზმის სექტორი (ხელმძღვანელი, ფილოსოფიურ მეცნ. დოქტ. პრფ. ს. ავალიანი) აერთიანებს მატერიალური დიალექტიკისა და ლოგიკის განყოფილებებს; ისტორიული მატერიალიზმისა და მეცნიერული კომუნისტიკის სექტორი (ხელმძღვანელი ფილოსოფიურ მეცნ. დოქტორი ო. ჭიოციანი) აერთიანებს კულტურის განყოფილებას, კონკრეტულ სოციალური გამოკვლევათა ლაბორატორიას და მეცნიერული კომუნისტიკის პრობლემურ ჯგუფს; ადამიანისა და სულიერ და მრეხვეულებათა სექტორი (ხელმძღვანელი აკად. ა. ბოჭორიშვილი) აერთიანებს ფილოსოფიური ანთროპოლოგიის, ეთიკისა და ესთეტიკის განყოფილებებს; ფილოსოფიის ისტორიისა და კრიტიკის სექტორი (ხელმძღვანელი ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი შ. ხიდაშელი) აერთიანებს ქართული ფილოსოფიის, ბურჟუაზიული ფილოსოფიის კრიტიკის და თარგმანისა და ინფორმაციის განყოფილებებს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ, პარტიულ ბიუროსთან ერთად, დიდი მუშაობა გასწია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილების შესასრულებლად, რათა ღირსეულად შეხვედროდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხვა ინსტიტუტებთან ერთად ღირსეულად ხვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვან იუბილეს უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შემოქმედებითი კოლექტივი. ჭრტ კიდევ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავისათვის, იმდენად მნიშვნელოვანი იყო ქართველ ფსიქოლოგთა წარმატებები, რომ მათი ხელმძღვანელი, პროფესორი დ. უზნაძე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსებისთანავე არჩეული იქნა მის ნამდვილ წევრად. ხოლო მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა ფსიქოლოგიის ინსტიტუტი.

მეცნიერული ფსიქოლოგია საქართველოში ძირითადად საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა.

დ. უზნაძე ერთ-ერთი პირველი საბჭოთა ფსიქოლოგია, რომელმაც იმთავითვე მატერიალისტური ფსიქოლოგიის შექმნას მოჰკიდა ხელი: «В первых же работах Д. Н. Уznadze, касающихся принципиальных вопросов психологии („Impersonalia“, 1923 «Основы экспериментальной психологии», 1925 г.) в самых общих чертах были намечены пути разработки ключевых понятий и положений конкретной психологии на кафедре



психологии и в лаборатории экспериментальной психологии Тбилисского университета (А. С. Прагншвили, «30 лет Института психологии им. Д. Н. Унадзе Академии Наук Грузинской ССР», 1972 г.).

დ. უნაძის მეცნიერული სკოლის წარმომადგენელთა მონოგრაფიები თუ ცალკეული სტატიები გამოქვეყნებულია აშშ-ში, ინგლისში, საფრანგეთში, პოლონეთში, უნგრეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, პოლონეთში, იაპონიაში, კანადაში, იტალიაში, ბულგარეთში და სხვა ქვეყნებში. ახლახან გამოვიდა ბერლინში კრებული — „განწყობის ფსიქოლოგია“, რომელშიც, გარდა დ. უნაძის შრომებისა, გამოქვეყნებულია მისი მოწაფეების: ა. ფრანგიშვილის, ვ. გრიგოლავას, ზ. ხოჭავას, ნ. ელიავას, რ. ნათაძის, შ. ჩხარტიშვილისა და ე. გერსამიას გამოკვლევები (რედ. მ. ფორცივა).

კანადელი (ქ. კალგარი) ფსიქოლოგების ძლიერი კოლექტივი ქ. პრიცუკი, დ. ბერლიანი, რ. პერსოვი, ვ. ანტოვი, ჰ. ჰანზენი და სხვ. ინტენსიურ ექსპერიმენტულ მუშაობას აწარმოებს განწყობის ფსიქოლოგიაში და მრავალი საყურადღებო შედეგი აქვთ მიღებული; XVII საერთაშორისო კონგრესზე (მოსკოვი, 1966 წ.) სპეციალური სიმპოზიუმი მიეძღვნა განწყობის ფსიქოლოგიის პრობლემების განხილვას (სიმპოზიუმის ხელმძღვანელი აკად. დ. ა. ფრანგიშვილი).

დ. უნაძის დაბადების 85-ე წლისთავთან დაკავშირებით, უნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა გამოსცა კრებული „ფსიქოლოგიური გამოკვლევები“ (რედ. ა. ფრანგიშვილი). გარდა ქართული ავტორებისა, მასში შევიდა მსოფლიოს მრავალი გამოჩენილი ფსიქოლოგის მიერ სპეციალურად ამ კრებულიისათვის დაწერილი გამოკვლევა (ე. პიავი — შვეიცარია, ჰ. ბრუნერი — აშშ; ა. ლანინი — აშშ; ლენგარტი — ჩეხოსლოვაკია; ნ. ოკონორი — ინგლისი; შ. შატო — საფრანგეთი; ჰ. პრიცუკი — კანადა; დ. შეკოვი — აშშ; კ. სატო — იაპონია, ვ. ნებელიცინი, — პ. ვალპერინი, ფ. ზასინი — სსრკ და სხვ.). კრებულში ორმოცზე მეტი სტატია არის წარმოდგენილი, რომლებიც კარგად ასახავენ ფსიქოლოგიური მეცნიერების თანამედროვე პრობლემათიკას უველა მოწინავე ქვეყანაში და იმ ფართო რეზონანსს, რომელიც დ. უნაძის განწყობის თეორიას აქვს საერთაშორისო ფსიქოლოგიურ აზროვნებაში.

ქართული საბჭოთა ფსიქოლოგიური სკოლის დიდი აღიარება იყო სსრკ ფსიქოლოგთა სკოლაგადების V ყრილობის მოწვევა თბილისში (პრეზიდენტი ა. ფრანგიშვილი, საპროგრამო კომიტეტის თავ-რე შ. ნადირაშვილი, საორგანიზაციო კომიტეტის თავ-რე ვ. გრიგოლავა), რომელიც მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებიც. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები სისტემატურად მონაწილეობენ საერთაშორისო კონგრესების, კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მუშაობაში როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ (ბონი — 1960 წ., ლიუბლიანა — 1963 წ., მოსკოვი — 1966 წ., ლონდონი — 1969 წ., ტოკიო — 1972 წ., პარიზი — 1976 წ. და სხვ.).

საქართველოს კომუნისტური პარტია და მთავრობა მუდმივ მზრუნველობას იჩენს ქართული საბჭოთა ფსიქოლოგიის მიმართ. ამისი დადასტურება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წ. 18 იანვრის № 14 დადგენილება „ფსიქოლოგიური მეცნიერების მდგომარეობის მისი შემდგომი განვითარებისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში გამოყენების ღონისძიებების შესახებ“ და „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცვ-ის ბიუროს დადგენილება — „ფსიქოლოგიის სპეციალისტების გამოყენების შესახებ რესპუბლიკაში“. ამან საშუალება მისცა ინსტიტუტს, ფართო მუშაობა გაეშალა პედაგოგიურ ფსიქოლოგიასა (ხელმძღვანელი პროფ. შ. ჩხარტიშვილი) და შრომისა და სოციალურ ფსიქოლოგიაში (ხელმძღვ. პროფ. შ. ნადირაშვილი). აღნიშნული დადგენილებების საფუძველზე ინსტიტუტს ექსპერიმენტული სამუშაოების ჩასატარებლად გამოეყო თბილისის ორი სკოლა, სადაც ფართო მუშაობა გაიშალა ბავშვის სწავლა-აღზრდის სხვადასხვა საკითხებზე.

პედაგოგიური ფსიქოლოგიის განყოფილებაში მუშავდება აქტუალური პრობლემები: მეორე ენის დაუფლების (ხელმძღვ. ფსიქოლოგ. მეცნ. დოქტორი ა. აღმაშვილი), მათემატიკის სწავლების (ხელმძღვ. ფსიქოლოგ. მეცნ. კანდ. ი. კოტეტიშვილი), მცირეწლოვან დაზარალებულ პედაგოგიაში (ხელმძღვ. ფსიქოლოგ. მეცნ. კანდ. ნ. როგავა) და პროფორიენტაციის ფსიქოლოგიური საკითხები (ხელმძღვ. ფსიქოლოგ. მეცნ. კანდ. მ. ზარანდია). პერსპექტიული გეგმით (1975—1980) მუშავდება შემდეგი საკითხები:

1. სწავლებისა და აღზრდის ფსიქოლოგიური საკითხები მოსამზადებელ კლასებში.
2. ძირითად სოციალური მოთხოვნილებათა ბუნება და ადგილი მოსწავლის პიროვნების მოტივაციურ სტრუქტურაში.



წ. სასკოლო ასაკის ბავშვების პროფესიული ორიენტაციის დინამიკა და მასთან დაკავშირებული ფაქტორები.

4. მცირეწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის ფორმები და მასთან ბრძოლის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური კანონზომიერებანი გარდამავალ ასაკში.

5. ადრეულ სასკოლო ასაკში მეორე ენის სწავლების ფსიქოლოგიური თავისებურებანი თავისუფალი სიტუაციის პირობებში.

ესათვის მუშაობა წარიმართა შრომისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილებაში, სადაც რამდენიმე უმცროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა პირველად დაიცვა საკადრიტო ბაკალავრის დისერტაციები.

პერსპექტიული გეგმით ამ განყოფილებაში მუშავდება ორი ძირითადი პრობლემა:

1. ჭვავის სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შეცვლისა და ფორმირების კანონზომიერებანი.

2. განწყობის ძირითადი კანონზომიერებანი მართვის სასტემოში მომუშავე ოპერატორის მოქმედებაში.

სერიოზული მუშაობა გაშლილი პიროვნების შესწავლის მიმართულებით (ხელმძღვ. პროფ. ვ. ნორაიძე). ამ განყოფილებაში დამუშავების პროცესშია პიროვნების ძირითადი ფსიქოლოგიური თვისებების საფუძვლები, პიროვნების შესწავლის მეთოდები და სხვ.

მეტყველებისა და ცნობიერების ურთიერთობის საკითხებს სწავლობს ახლადდარსებული „მეტყველების პრობლემების ფსიქოლოგიური ლაბორატორია“ (ხელმძღვ. ფსიქოლოგ. მეცნ. დოქტ. დ. რამიშვილი).

პათოფსიქოლოგიის განყოფილება (განყოფ. ხელმძღვ. ფსიქოლოგ. მეცნ. დოქტორი მ. საყვარელიძე) ამუშავებს პიროვნული ფაქტორის როლს სხვადასხვა დაავადებების დროს.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ინსტიტუტში განწყობის ფსიქოლოგიის საკითხების შესწავლას (ზოგადი ფსიქოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, პროფ. ზ. ზოგავა). ინსტიტუტის ძირითად სტრატეგიულ მიმართულებას, წრავალი წლის მანძილზე, სწორედ ეს პრობლემა წარმოადგენს, როგორც ცოცხალი ინდივიდის ქცევის განმსაზღვრელი ფსიქოლოგიური ფაქტორი. უფრო უზუსტად განწყობა წარმოადგენს „იმ სპეციფიკურ მდგომარეობას, რომელიც სუბიექტში მოთხოვნილების დაქვეითების ობიექტური სიტუაციის ზეგავლენის შედეგად ჩნდება“ (დ. უზნაძე). განწყობა როგორც ერთ-ერთი ძირითადი ზოგად-ფსიქოლოგიური ცნება შტაბიელ დამკვიდრდა საბჭოთა ფსიქოლოგიაში და ამ პრობლემებზე მუშაობენ არა მარტო საბჭოთა, არამედ უცხოელი მეცნიერებიც.

პერსპექტიული გეგმით ზოგადი ფსიქოლოგიის განყოფილება შემდეგ ძირითად პრობლემებს შეისწავლის:

1. განწყობა როგორც პიროვნების ანალიზის ფსიქოლოგიური ერთეული.
2. განწყობის შესწავლის ექსპერიმენტული მეთოდები.
3. არაცილობიერი ფსიქიკური პრობლემა განწყობის ცნების შუქზე.
4. განწყობის ფორმირებისა და შეცვლის კანონზომიერებანი.

აქვე უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნული დადგენილებები ცუდად ხორციელდება სამინისტროებისა და უწყებების მიერ; ახე, მაგალითად: ყველა სამინისტრო და დიდი წარმოება ვალდებული იყო შემოეღო ფსიქოლოგიური სამსახური, მაგრამ მხოლოდ ქუთაისის ორჭონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანამ აიყვანა ერთი ფსიქოლოგი და დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანამ — ფსიქოლოგი. ამის გამო 3 წლის მანძილზე უნივერსიტეტის 76 კურსდამთავრებულიდან, მხოლოდ 18 მოეწყო სხვადასხვა სამუშაოზე სპეციალობის მიხედვით.

1977 წ. 28 ივლისიდან 4 აგვისტომდე მოსკოვში ჩატარდა სსრკ ფსიქოლოგთა საზოგადოების მეხუთე ყრილობა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა ფსიქოლოგიის ინსტიტუტის 30-ზე მეტი თანამშრომელი. ყრილობამ აირჩია საზოგადოების ცენტრალური საბჭო და პრეზიდიუმი პრეზიდიუმის წევრად არჩეულია ა. ფრანგიშვილი, ხოლო ცენტრალური საბჭოს წევრებად — შ. ნადირაშვილი და ვ. გრიგოლავა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ასეთი წარმომადგენლობა ცენტრალურ საბჭოში არცერთ სხვა რესპუბლიკას არა ჰყავს, რაც ერთხელ კიდევ მეუთითებს ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ნაყოფიერ წვლილზე საბჭოთა ფსიქოლოგიაში.

პ. ლომთათიძე, ვ. გრიგოლავა

შეიხანებული შეცდომები

გვ.	სტრ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
3	5 ქვ.	ს. გოგოჭური	ბ. გოგოჭური
110	14 ზ.	ანტიტეოლოგიზმ	ანტიტეოლოგიზმ
111	23 ზ.	ществование	ществование—
113	11 ზ.	чтобы	что
"	19 ქვ.	механизмом	механизмом
116	11 ზ.	хаосе	хаос
"	26 ზ.	условно;	условно,
117	13 ქვ.	ноосферы	ноосферы
118	4 ზ.	не	ее
"	8 ქვ.	философской	философией
119	4 ზ.	истории	истории,
123	2 ზ.	„идолов“	„идол“
"	15 ზ.	это	этот
"	27 ზ.	лучшими	с лучшими
125	1 ზ.	обществ—военно	общественно —
127	20 ზ.	плана	права
129	7 ზ.	редакцией	редакций

„მეცნე“ ფილოსოფიის... სერია, 1977, № 4

ფასი 1 მან.

ბ. 136/115

Индекс 76 196

